

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მ ა ს ც ნ ე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

2 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2 · 1975

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (პლენანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07

ხელნაწერილია დასაბეჭდად 14.5.1975; შეკვ. 525; ანწყობის ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,80; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14.90; უე 01908; ტირაჟი 1 600.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ბ. ბპერდფითელი, დიდი სამამულო ომი და ქართული მწერლობა	5
რ. ბიორბაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ა. წერეთლის თანამედროვეობის ამსახველ პროზაში	14
ჟ. ზელიძე, პენრიკ სენკევიჩი და ქართული საზოგადოებრიობა	29
რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ ხელნაწერი მემკვიდრეობისათვის	42
შ. ჩიჯავაძე, ეფესისტყაოსნის პოეტიკიდან	60
შ. ქავთარია, XVII—XVIII სს. ქართული პიმნოგრაფიის ისტორიიდან	74
ლ. კობახიძე, ბერნარდოსელი კოლექციის (XVII ს.) ზღაპრები	91
ი. ჯაველიძე, ჯელალ ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობის ერთი საკითხის გაგებისათვის	103
შ. ნათაძე, სტილისტური ელფერის სოციალური გაპირობებულობა	120
ლ. ბაბაშვილი, სუვესტოპედია როგორც ექსპერიმენტული სუვესტოლოგიური მეთოდი	130
თ. კვანტრიძე, მსგავსებითი შედარების კატეგორიისათვის	141
ლ. ლანაძე, ნათესაობითი ბრუნვის ატრიბუტული კონსტრუქციების სემანტიკური სტრუქტურა თანამედროვე ქართულში	156
ნ. ზონინი, ნასახელარ დინამიკურ ზმნათა წარმოება აფსაზურ-აბაზურ დიალექტებში	166

ცნობები და შენიშვნები

2. კაკელია, სიტყვა „მემაჯანის“ გაგებისათვის „ეფესისტყაოსანში“	181
---	-----

კონტრა და ბიბლიოგრაფია

ბ. კვარაცხელია, საბჭოთა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი	184
--	-----

შენიშვნები

6. მაქაძე, გამოჩენილი რუსთველოლოგი	189
------------------------------------	-----

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Г. ГВЕРДЦИТЕЛИ, Великая отечественная война и грузинская литература	5
О. ГЕОРГАДЗЕ, Национально-освободительные идеи в прозе А. Церетели	14
Дж. ЧЕЛИДЗЕ, Генрих Сенкевич и грузинская общественность	29
Р. ПИРЦХАЛАЙШВИЛИ, К рукописному наследию «Дидмоуравнани» Иосифа Тбилели	42
Ш. ЧИДЖАВАДЗЕ, Из поэтики «Вепхисткаосани»	60
М. КВАТРИА, Из истории грузинской гимнографии XVII—XVIII вв.	74
Л. КОГАШВИЛИ, Сказки из коллекции Бернардо (XVII век)	91
Э. ДЖАВЕЛИДЗЕ, К пониманию одного вопроса мировоззрения Джелал-ад-дина Руми	103
М. НАТАДЗЕ, О социальной обусловленности стилистических окрасок	120
Л. ГЕГЕЧКОРИ, Суггестопедия — экспериментальный суггестологический метод	130
Т. КВАЧАНТИРАДЗЕ, О категории уподобляющего сравнения	141
Л. ЛАЦАБИДЗЕ, Семантическая структура атрибутивных конструкций родительного падежа в современном грузинском языке	156
И. ЧОХОНЕЛИДЗЕ, Образование отыменных динамических глаголов в абхазско-абазинских диалектах	166

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. КЕКЕЛИА, К толкованию слова «мемаджани» в «Вепхисткаосани»	181
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. КВАРАЦХЕЛИА, Значительный вклад в советское языкознание	184
--	-----

ЮБИЛЕИ УЧЕНЫХ

Н. МАҚАДЗЕ, Выдающийся руствелолог	189
------------------------------------	-----

დიდი ბამარჯვების 30 წლისთავი

გურამ გვარდნიელი

დიდი სამამულო ომი და ქართული მჭარლობა

1975 წლის მაისში საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილი დამთავრების 30 წლისთავს აღნიშნავს. ეს არის უდიდესი დღესასწაული მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისა, მთელი პროგრესული კაცობრიობისა, ვისთვისაც ძვირფასია ჰუმანიზმის მაღალი იდეალები, ვისთვისაც ორგანულად მიუღებელია ძალმომრეობა, ადამიანური ღირსებების გათელვა.

სამამულო ომის თემა! რა შეიძლება იყოს ამაზე ამაღლებელი და მნიშვნელოვანი, პათეტიკური და დრამატული თემა საბჭოთა მწერლობისათვის. ამიტომაც დაიწერა უამრავი წიგნი, დოკუმენტური და მხატვრული, ისტორიული და მემუარეული, სიკეთისა და ბოროტების ამ უმავალითო, არნახული შერკინების შესახებ, სადაც კიდევ ერთხელ იხეიმა გამარჯვება ადამიანურმა ღირსებამ, პატრიოტულმა სულსკვეთებამ, ჰუმანიზმმა. ამ წიგნებისადმი მკითხველთა საყოველთაო ყურადღება, ინტერესი, სიყვარული გასაგებია და მრავლისმეტყველი.

„წიგნები დიდ სამამულო ომზე არც ძეგლია და არც საფლავის ქვაზე წარწერა, ისინი ჩვენი დღევანდელი ცოცხალი სიამაყე და ტკივილია. მათში მარტო წარსულის გაკეთილი კი არ არის, არამედ მომავლისაც, მარტო ომის წველა-კრულვა კი არ არის, არამედ მეომრის განდიდებაც, მარტო გაწეულ მსხვერპლთა დარდი კი არ არის, არამედ ძლიერი იარაღიც სახალხო საქმისათვის მებრძოლთა აღსაზრდელად, მარტო დაღუპულთა ხსოვნის ხარკი კი არ არის, არამედ ის მოვალეობაც, რასაც თვითველ ჩვენთაგანს გვაკისრებს მათი გმირობა“ (А. Н о ч а р о в, Человек и война, М., 1973, გვ. 5).

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვება მრავალმა რამ განაპირობა, მაგრამ მთავარზე უმთავრესი საწინდარი იყო სოციალისტური სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობა და კიდევ საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმტკიცე, მისი უმავალითო ერთგულება და სიყვარული თავისი მშობლიური ქვეყნისადმი, ისტორიაში პირველი ჰემმარიტად სახალხო სახელმწიფოსადმი.

ამ ომში ფაშიზმის კაცთმოდულე ნაციონალისტურ იდეოლოგიას დაუპირისპირდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებით შთაგონებული ხალხის უძლეველი სულსკვეთება და გამარჯვებაც პროგრესისათვის, ხალხთა თანასწორობისა და სამართლიანობისათვის მებრძოლთ დარჩათ. საბჭოთა ხალხის ისტორიული მისია ამ ომში ყველასათვის ნათელია. მან თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობაც შეინარჩუნა. ევროპის ხალხებსაც მოუტანა თავისუფლება და მთელი მსოფლიო გადაარჩინა ფაშიზმის წამლექავი ბოროტი ძალისაგან. მთელი მსოფლიო უნდა უმადლოდეს გმირ საბჭოთა ხალხს სასიკვდილო საფრთხის თავიდან აცილებას. ასეთი დიდი და კეთილშობილური დამსახურება სრულიად ბუნებრივად აღგვავსებს სიამაყის გრძნობით ჩვენი სამშობლოსა და მისი ხალხების გამო.

ცხადია, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ უძმომესი და უკეთილშობილესი ბრძოლის წლები, დიდი განსაცდელისა და დიდი გამარჯვების წლები აღრეც იყო და კვლავაც იქნება ჩვენი მრავალეროვანი მწერლობის ყურადღების ცენტრში, მუდამ იქნება დაუშრეტელი წყარო მისი თემატიკისა, მუდამ იქნება განმსაზღვრელი მისი სულისკვეთებისა.

დიდი სამამულო ომი და ქართული მწერლობა! ეს თემა მრავლისმომცველია და მხატვრული ნაწარმოებების უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. ქართველმა მწერლებმა, სხვა მოძმე საბჭოთა მწერლებთან ერთად, ომის ჰირველივე დღიდან აღიმალეს ხმა მტრის წინააღმდეგ, თავიანთი შთამაგონებელი სიტყვის ძალით დიდი წვლილი შეიტანეს გამარჯვების გამოქედვის საქმეში. მას შემდეგ დღემდე იმდენი ლექსი და პოემა, პიესა და მხატვრული ნარკვევი დაიწერა, რომ მათი მოხსენიებაც კი გაძნელდება, არამცთუ დახასიათება. ამ წერილში მხოლოდ პროზაული ჟანრით შემოვიფარგლებით და მათ შორისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს თუ გამოვარჩევთ მხოლოდ.

უშუალოდ ომის წლებში დაწერილ რომანებს, მოთხრობებსა და ნარკვევებს იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის გასაღვივებლად, ხალხის მორალური ნებისყოფის გასამტკიცებლად, მაგრამ შორი მანძილიდან ძნელად თუ რომელიმე მათგანს შემორჩა მხატვრული ლიტერატურისათვის აუცილებელი ძალა უბერებლობისა. ეს გასაგებიცაა. იმ დროის მხოლოდ ლირიკულმა ლექსებმა გაუძლეს გამოცდას თავისი მაღალი ემოციონალური ზემოქმედების ძალის წყალობით. ფართო ეპიკურ ტილოებს მეტი დაკვირვება და გამოცდილება სჭირდება, რაც მხოლოდ დროს მოაქვს თან. ომისდროინდელმა ქართულმა პროზამ მაშინ კი გააკეთა თავისი დიდი მამულიშვილური საქმე, მაგრამ დღეს მხოლოდ თითო-ოროლა თუ მიიტყვევს ჩვენს ყურადღებას. აქ რომანებიდან მხოლოდ ლეო ქიაჩელის „მთისკაცს“ თუ მოვიხსენიებთ, რომლის ცალკეული თავები 1944 წელს გამოქვეყნდა, მთლიანი სახით კი რომანი ომის დამთავრების შემდეგ გამოიცა. ამ რომანში, მიუხედავად მისი ნაკლოვანებებისა, კიდევ ერთხელ გამოკრთა მწერლის ნიჭი ხასიათების გახსნისა. თვითონ მთისკაცი ბათუ ქარდუა დღემდე რჩება საბჭოთა პატრიოტიზმით შთაგონებული ადამიანის ერთ-ერთ მონუმენტურ სახედ. ომის წლებში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური“, რომელიც ამ თემაზე დაწერილ მცირე პროზაულ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ასევე შეუძლებელია არ გავიხსენოთ უშუალო შთაბეჭდილებებით დაწერილი ნოველები გიორგი ნატროშვილისა „დასავლეთის ფრონტზე“, ანდრო ლომიძის „გმირები არ კვდებიან“ და სხვა.

დემნა შენგელაიამ ერთ-ერთმა პირველმა უძღვნა ამ თემას რომანი „წითელი ყაყაჩო“, რომელიც ომის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ დაიწერა და აქაც გაამჟღავნა თავისი გულის სიტბო, ლირიკული თხრობის ოსტატობა. აქვე უნდა გავიხსენოთ რაუდენ გვეტაძის „ცხოვრება იწყება თავიდან“, თინა დონეაშვილის „ვერ მიგატოვებ“.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ლიტერატურა თანდათან სულ უფრო მეტ შესაძლებლობას პოულობს სრულად და საფუძვლიანად წარმოსახოს ის დიდი განსაცდელის წლები როგორც ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი საბჭოთა ხალხის გმირული ცხოვრებისა. სამამულო ომის თემაზე დაწერილმა

ნაწარმოებებმა მეტი სიმართლე და სიღრმე შეიძინეს, რამაც კიდევ უფრო შემატა მათ დამაჩქარებლობა და მკითხველზე ზემოქმედების ძალა.

თანამედროვე ქართული მწერლობა ამ ოცდაათი წლის მანძილზე უდიდესი ინტერესით ეკიდება სამამულო ომის თემას. ეს არც არის გასაკვირი და მას საფუძვლიანი მიზეზებიც აქვს.

თვით ომის წლებით ქართული პროზა საკმარისად ღარიბია ნაწარმოებთა სიუხვის მხრივაც და განსაკუთრებით კი თავისი მხატვრული ღირსებებით. იმ დროს დაწერილი ქართული მოთხრობები და რომანები, გულახდილად უნდა ვთქვათ, საკმაოდ სწორხაზოვნად ქადაგებდნენ საბჭოთა პატრიოტიზმს, გვიწვევებდნენ საბჭოთა ადამიანების გამირულ ბრძოლას სამშობლოს დასაცავად, ან საბჭოთა მშრომელების თავდადებას გამარჯვების გამოსაქედად. იმ დროს ღრმა დაფიქრების, განსჯის, ადამიანის სულიერი განცდების კვლევის დრო არც იყო. ომისდროინდელი ცხოვრება თავად მოითხოვდა ერთგვარ პლაკატურ სტილს. არც ომის შემდეგ პირველ წლებში იყო ხელსაყრელი გარემო და პირობები ჩაღრმავებული მხატვრული აზროვნებისათვის, ისეთი დრამატული ეპოქის სრული სიმართლით წარმოსახვისათვის, როგორც ფაშისმთან ბრძოლის წლები იყო. ცხადია, ეს დაუქმყოფილებლობის გრძნობა კიდევ უფრო უღვივებდა ქართულ მწერლობას თავისთავადაც უაღრესად მნიშვნელოვანი თემისადმი ინტერესს.

სამამულო ომი იმდენად ამოუწურავი თემაა, მასალაა, რომ იგი დიდხანს იქნება კიდევ საბჭოთა მწერლობის შთაგონების წყარო. ამ ომის დროს ხომ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოემდებინა საბჭოთა ადამიანის მაღალი ეროვნული და ინტერნაციონალური შეგნება, პატრიოტული სულისკვეთება, შეუღრეკელი ხასიათი, მორალური სიძლიერე. ერთი სიტყვით, სრულად გაიხსნა საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სიძლიერე და სილამაზე და, ბუნებრივია, ყველაფერი ეს იზიდავს საბჭოთა მწერლობას.

მართალია, ომმა თან მოიტანა ათასი უბედურება, განსაცდელი, გაჭირვება, მაგრამ სწორედ ამ მძიმე ცხოვრების დაძლევაში გამოჩნდა საბჭოთა ადამიანის გულგაუტეხელობა, სულიერი მხნეობა.

თანამედროვე მწერლობა ახლა უკვე ცალმხრივად კი არ აშუქებს იმდროინდელ წლებს, საბჭოთა ადამიანის მხოლოდ სულიერი მხნეობისა და მაღალი მორალური თვისებების გამოხატვით კი არ კმაყოფილდება, არამედ ომის პერიოდის მძიმე ცხოვრების მართალი სურათების შექმნით, ადამიანების მართალი განცდების გამოხატვით ვეცხნის ამ სულიერი მხნეობის წყაროსა და საფუძველს.

მხოლოდ ამით არ განისაზღვრება სამამულო ომისადმი საბჭოთა მწერლობის ღრმა ინტერესი. საქმე იმაშია, რომ ომის ექო, მისი კვალი ჭერაც არ გამქრალა და ჩვენი ცხოვრების საგრძნობ ნაწილს წარმოადგენს, იმ დროს მიყენებული კრილობები დღესაც მოურჩენელ ტკივილად ამჩნევია ჩვენს გულს. ამას გარდა, რაც კიდევ უფრო მთავარია, ჩვენი დღევანდელი შეგნება ბევრწილად სწორედ იმ ვმირული და ტრაგიკული დღეების გაკვეთილით ყალიბდება.

აი, ამიტომ არის, რომ თითქმის მთელი თანამედროვე მწერლობა, ისეთი ნაწარმოებებიც კი, რომელნიც უშუალოდ ამ თემას არ ეხებიან, მეტ-ნაკლებად მაინც ატარებენ ომის წლებით დაჩნეულ კვალს ჩვენი ცხოვრების წიაღში,

ჩვენს ფიქრებსა და განცდებში. ასე მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას „ვახის ყვავილობა“ სულ სხვა პრობლემას ეძღვნება, მაგრამ სამამულო ომის თემა მისთვის მაინც ძლიერი და მნიშვნელოვანია. ან კიდევ ალიო ადამიანს სულ ახლახან გამოქვეყნებული რომანი „დიდი და პატარა ეკატერინე“, რომელიც დღევანდელი ქართული სოფლის ცხოვრებას, მის გასაჭირს დასტრიალებს თავს, ვერ უვლის გვერდს იმ მძიმე განცდებს. რაც ომმა დაუტოვა ამ მთიანი მხარის მცხოვრებლებს. ამდაგვარი მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიგონოთ ქართული პროზიდან, რაც აშკარად დაგვარწმუნებს ომის ექოს სიმძლიერეში. მაგრამ, ცხადია, ჩვენი ინტერესი მაინც იმ ნაწარმოებებისაკენ არის მიმართული, სადაც ეს თემა ძირითადია და განმსაზღვრელი.

საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ფართო ეპიკური ტილოები, როგორიცაა: ალექსანდრე კალანდაძის რომანები „დღევანდელი ბრესტის სიმაგრეში“, „პიასტის ნამუხლარზე“, „მაკიზარებთან“, რევაზ ჭაფარიძის „ქარისკაცის ქვრივი“ და „მარუხის თეთრი ღამეები“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, დავით კვიციანიძის „მშვიდობით უსიერო ტყეებო“, მიხეილ კვესელავას დიდი პუბლიცისტური გზებით დაწერილი დოკუმენტური წიგნი „ასერგასის დღე“, ან კიდევ გავიხსენოთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, არჩილ სულაკაურის, გრიგოლ ჩიქოვანის, თუ ბევრი კიდევ სხვისი მოთხრობები, რომ ნათელი გახდება, თუ რა მრავალმხრივ, სხვადასხვა კუთხითა და ასპექტითაა გახსნილი ომის თემა თანამედროვე ქართულ პროზაში.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ დიდი სამამულო ომის თემა ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ შორსაა ამოწურვისაგან, თუკი საერთოდ შეიძლება მისი ამოწურვა. ქართულ პროზას ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. განსაკუთრებით ცოტაა დაწერილი თვით ფრონტულ ცხოვრებაზე. საბჭოთა მეომრის სახე ნაკლებადაა გახსნილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი რომანი და მოთხრობა გამოქვეყნდა ქართულ ენაზე.

ეს შეიძლება ნაწილობრივ იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ პირად შთაბეჭდილებას, განცდას, უშუალოდ ცხოვრებისაგან მიღებულ დაკვირვებებს გადაამწყვეტი თუ არა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლისათვის. ამ მოსაზრების მართებულებაში ისიც გვარწმუნებს, რომ ფრონტული ყოფა, მეომრის ხასიათი და სული ყველაზე უკეთ იმ ქართველმა მწერლებმა ვავიხსენეს და წარმოგვისახეს, რომლებსაც კქონდათ ამის პირადი გამოცდილება და უშუალო განცდაც.

მე მხედველობაში მაქვს ალექსანდრე კალანდაძის სამივე რომანი, რევაზ ჭაფარიძის „მარუხის თეთრი ღამეები“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების ციკლი „სიკვდილი ცოტას მოიცდის“. დავით კვიციანიძის „მშვიდობით უსიერო ტყეებო“ და სხვა.

ალექსანდრე კალანდაძის რომანები თანამედროვე ქართული პროზის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია. მწერალი თვითონ იყო უშუალო მონაწილე ბრესტის ციხესიმაგრეში გამართული იმ უმაგალითო ბრძოლისა, რისთვისაც მას „გმირი სიმაგრის“ საპატიო წოდება მიენიჭა. საბჭოთა მეომრების ამ საოცარი თავდადების შესახებ სერგეი სმირნოვის მიერ დაწერილმა წიგნმა საყოველთაო ყურადღება და აღიარება დაიმსახურა. ახლა ჩვენ გვაქვს

ამ გმირული ეპოპეის უშუალო მონაწილის ყოფილი ქართველი ოფიცრის ალექსანდრე კალანდაძის დიდი სიმართლით დაწერილი დოკუმენტური რომანი „ღღეები ბრესტის სიმაგრეში“, სადაც ქართველი მკითხველი ბევრ საგულისხმომო ეპიზოდს ამოიკითხავს.

მტრის ზურგში საბჭოთა მეომრების გმირულ ბრძოლაზე დაწერილი ალექსანდრე კალანდაძის მომდევნო ორი რომანი „პიასტის ნამუხლარზე“ და „მაკიზარებთან“, რომელთა აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია. ეს რომანები ბევრწილად ბიოგრაფიული ხასიათისაა. მწერალი დიდი ოსტატობით მოგვითხრობს იმ მძიმე, მაგრამ გმირულ ბრძოლებზე. პოლონეთის, გერმანიის თუ საფრანგეთის ტერიტორიაზე რომ ეწეოდნენ საბჭოთა მეომრები. დოკუმენტური სიმართლის და მხატვრული განზოგადების ძალის შერწყმა ამ რომანების გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

აგტობიოგრაფიული ხასიათისაა დავით კვიციანიძის რომანიც „მშვიდობით უსიერო ტყეებო“ და ეს მეტ დამაჭრებლობას ანიჭებს მას, მეტად აღუძრავს მკითხველს ინტერესს. მწერალი ბელორუსიის უსიერ ტყეებში შეხიზნული პარტიზანების გმირული ბრძოლების ეპიზოდებს გვიცოცხლებს და მისი უშუალო თხრობის მანერა, სტილის სისადაე უთუოდ უხდება რომანს, სულაც არა სცემს ნაწარმოების ჰეროიკულ პათოსს.

რევზ ჭაფარიძის „მარუხის თეთრი ღამეები“ ვრცელი დოკუმენტური მოთხრობაა, რომელიც თავისი ღირსებებით არ ჩამოუვარდება მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებს და რომელშიც უღელტეხილის დაცვისა და ბრძოლების მონაწილე ქართველი მეომრების გმირული ცხოვრების ეპიზოდები შთამბეჭდავდაა გაცოცხლებული.

ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების ციკლი „სიკვდილი ცოტას მოიცდის“. ეს ციკლი ჭერაც არ არის დამთავრებული და მწერალი აგრძელებს მასზე მუშაობას. ახალ მოთხრობებს უმატებს. ამ მოთხრობებს კონსტანტინე ლორთქიფანიძემ უტყუარი მოთხრობებიც და ნამდვილი ამბავიც უწოდა. ნაწარმოების სათაურის მიგნება ერთი დიდი ნიჭთაგანია და ეს ნიჭი უხვად აქვს მინიჭებული კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. უკვე ამ ცოტა თითქოს უცნაურ სათაურში „სიკვდილი ცოტას მოიცდის“ შესანიშნავად ჩანს საბჭოთა მეომრის ღრმა რწმენა გამარჯვებაში, მისი გაუტეხელი გული, ვაჟკაცური ხასიათი, რაც თვით სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერიო ჭიდილის დროსაც კი არ უკარგავს იუმორის გრძნობას, სიმხნევებს, მომავლის რწმენას. სწორედ ამ გულგაუტეხელ ვაჟკაც მეომრებზე, ვინც სიკვდილსაც კი მოაცდევინებენ თავიანთი ვალის მოსახდელად, არის დაწერილი ეს ციკლი მოთხრობებისა. „სამი წელიწადი დავყავი მოქმედ არმიადში, — წერს კონსტანტინე ლორთქიფანიძე. — რაც იქ ვნახე და განვიცადე, ზოგი რამ უკვე იცის მკითხველმა ჩემი მოთხრობებიდან. ზოგზე ახლა ვმუშაობ და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიმუშაებ, რადგან, ეტყობა, იმ ომის მოლანდება კაცს ასე ადვილად არ მოშორდება“.

ის, რაც მწერალმა გამოაქვეყნა, უკვე შეადგენს ერთ კრებულს, რომელიც ცალკე გამოიცა. წიგნის მიზანდასახულობას და მის ხასიათს მწერალი წინათქმაში თავიდანვე გვაძნობს: „ბევრი რამ საკუთარი თვალთ ვნახე და იქვე ჩაიწერე. ეს ყველაფერი თავის ღრობე საფრონტო ვაზეთებში დაიბეჭდა და თუ ახლა ისე განვიზრახე მათი გამოქვეყნება, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინ-

და დიკარგოს მათი სახელი, ვინც ნამუსიანად მოიხადა ყველაზე მძიმე ვალი კაცის ცხოვრებაში — ჭარისკაცის ვალი”.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ეს წიგნიც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და დოკუმენტური მხატვრული პროზის ნიმუშს წარმოადგენს. ეს სულაც არ უშლის ხელს მწერალს, არ ზღუდავს იმდენად, რომ დიდ განზოგადებას და მხატვრულ ეფექტს ვერ მიაღწიოს. მწერალი ძალზე უბრალოდ და საინტერესოდ (საერთოდ მას ამისი ჩინებული უნარი აქვს, მკითხველს მუდამ ძაბავს მძაფრი სიუჟეტით და ენერგიული, ეფექტური თხრობით) გვაცნობს ერთ-ერთ ასეთ ვალმოხდილ ჭარისკაცს მამია ჭაიანს, რომელთანაც ერთად ფრონტის წინა ხაზზე რამდენიმე დღე დაუყვია და მისი ეაქცაური ხასიათი სიკვდილთან პირისპირ ყოფნის დროსაც გამოუცდია.

უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე ომის თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები მიზანდასახულობით მკვეთრად განსხვავდებიან საკუთრივ ომის-დროინდელი ან ომის დამთავრების შემდგომ პირველ წლებში ცხელ გულზე დაწერილი ნაწარმოებებისაგან. ახლა მთავარი ყურადღება ექცევა ფსიქოლოგიურ ჩარბმავებს და პეროიკული ტრაგედია ცალკეული პიროვნების ბედის პრიზმაშია გადატეხილი. ამ მძიმე განსაცდელის ქაშს ადამიანის აფორიაქებულ სულში ღრმად ჩახედვამ საბჭოთა ლიტერატურა ღრმა თანაგრძნობით აავსო და ომის მთელი ტრაგედიაც კიდევ უფრო გააშიშვლა, ემოციონალურად დაამძიმა. მკითხველის თვალწინ მხატვრული სიტყვის ძალით გამოცოცხლებულმა საშინელმა სინამდვილემ, უბედურებამ, ტანჯვამ, სიკვდილმა, რაც მთავარია, ყოველივე ამის მიერ მოტანილმა მძიმე გაცდებმა თითქოს იმის საშინოობაც შექმნეს, რომ პაციფისტური განწყობილება მოგეძალებოდა. ზოგ ნაწარმოებს კიდევ დაეტყო ამ არაქანსალი განწყობილების კვალ. მაგრამ ამან საერთოდ არ უნდა აკვალეზინოს ხელი უარღესად საინტერესო ტენდენციასზე, არ უნდა დაევიწყოთ, რომ სწორედ ასეთმა ღრმა ფსიქოლოგიურმა ხედვამ შეაძლებინა საბჭოთა ლიტერატურას ჩვენი ხალხის გმირობის მთელი სიდიადის შეგატანება და დიდი შთამბეჭდავობით გამოხატვა.

სწორხაზოვნად, პირდაპირ მინიშნებული გმირობა მხოლოდ საილუსტრაციო მასალად თუ გამოდგება. ეს კი არ არის საკმარისი მწერლობისათვის. ადამიანის შინაგანი გაცდების, ბრძოლის, შიშის დამღვევის, მოტივირებული თავგანწირვის ფსიქოლოგიური სიმართლით გახსნა გაცილებით უფრო მეტად და დამაჯერებლად გვიხსნის მის სულიერ სიმტკიცეს და სისუსტეს, ზნეობრივ მშვენიერებას თუ სიმანხინჯეს, შეგნებულ პატრიოტიზმს თუ თავის გადარჩენის ინსტიქტს, მორჩილებას. ეიღრე უბრალო ამისი დემონსტრირება.

ქართული მწერლების მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში სწორედ ასეთ ღრმა ფსიქოლოგიურ დაკვირვებებთან გვაქვს საქმე. ამის მშვენიერი ნიმუშია კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების ციკლი „სიკვდილი ცოტას მოიციდის“. ამ ციკლში არის რამდენიმე ჩართული ამბავიც, რომლებსაც ჭაიანი გვიყვება და რომლებიც თავისთავად ბრწყინვალე ნოველებს წარმოადგენენ. ამთვან ერთი განსაკუთრებით იქცევის ყურადღებას და გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი მხატვრული ინტერპრეტაცია, ადამიანის სულის ხვეულებში ამდაგვარი ჩაწვდომა და ასეთი გაცდების წარმოსახვა არამცაუ უცხო, არამედ შეუძლებელიც და მოულოდნელიც იყო ომის ცხელ ნაკვალევზე დაწერილ ადრინდელ ნაწარმოებებში.

ჯიანი მოენეს წამოიყვანს. როგორც გზაში გამოირკვევა, ეს მოენე ქართველი ყოფილა, ახალი გადასული მტრის მხარეზე. მთელი საოცრება ამ ნოველისა ის არის, რომ მკითხველს ერთგვარი თანაგრძნობით განაწყობს ამ უბედური კაცისადმი. თანაგრძნობის საფუძველი ის კი არ არის, რომ თავისი პირადი დიდი წყენის გამო, რაკილა მშობლები უსამართლოდ დაუღუპეს, თითქოს მორალური უფლება ჰქონდა მტრის მხარეზე გადასულიყო. არა. თანაგრძნობის ეს საფუძველი თვით ამ ტრაგიკული პიროვნების სინდის-ნამუსია. ამ საბედისწერო ნაბიჯის შემდეგაც, რამაც მას გერმანული მაზარა ჩააცვა, იგი უნებლიეთ, თუმცა გულითა და გრძნობით, საბჭოთა მეომრებს „ჩვენებს“ უწოდებს. მას დახვრეტის არ ეშინია. აი, რას ემუდარება ჯიანი: „მაგ დივიზიას თბილისიდან მოვდეგ... ახლა იქ ჩვენების წინ რომ ჩამატარებენ რანაირად შემომხნედავენ! ამას გადამარჩინე“... ერთადერთ ტყვიას სთხოვს ეს უბედური, სიკვდილი უნდა, ისე უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ თავისი შერცხვენილი სახელი არ დატოვოს, ვერაუინ გაიგოს. მწერალი ყოველი ფაქტის იქით ადამიანის სულის მოძრაობას ხედავს და ამითაა სწორედ ძლიერი. აქაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე მარტო იმას კი არ გვაშინებს, რომ ეს უცნობი იმერელი ბიჭი მტრის მხარეზე გადავიდა, არამედ მის სულში გვახედებს და ცგრძნობთ, რომ სხვაზე არანაკლებ და უფრო მწვავედაც ესმის ახლა მას, რომ „ლალატი შურის საძიებლად არ გამოდგება“; ვხედავთ მის გაღვიძებულ ნამუსთან კაცობას, რომელმაც საკუთარ თავს ყველაზე მკაცრი განაჩენი გამოუტანა.

ფრონტულ ცხოვრებაზეა დაწერილი არჩილ სულაკაურის მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან“, უფრო სწორად, აქ ფრონტული ყოფა მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ დიდ განზოგადებამდე აიყვანოს ჯარისკაცის ტკივილი და მისი მამაკაცური სინდისის ხმა გავაგონოს. მწერალს აქ არ აინტერესებს სიმართლის ეპიზოდები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მის გმირს თავისი დიდი სინდისი და მამულისადმი ვალის გრძნობა გაამჟღავნოს. ამის ჩვენებას არჩილ სულაკაური გმირის სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზით ახერხებს. ამ მხატვრული ხერხით შესანიშნავად გვაჩვენებს თავისი ჯარისკაცის დიდბუნებოვნებაში. მომაკედავე ჯარისკაცის უცნაური სიმღერა ღიად დარჩენილ საფლავეებზე, იმ საფლავეზე, რომელიც ქალიშვილს გაუთხარა, მაგრამ ვერ დამარხა, მართალი სინდისის ძლიერი ხმაა, რომელიც უთუოდ წალეკავს ბოროტებას.

საბჭოთა ახალგაზრდობის ვაჟკაცურ სულსა და უმწიკვლო პატრიოტულ გრძნობას უძღვნა გრიგოლ ჩიქოვანმა მთელი ციკლი მოთხრობებისა, მათ შორის „ფოსტალიონის სიკვდილი“, „დაბრუნება“, „სიცოცხლის საზღვარი“, სადაც შესანიშნავად გავვიხსნა ჩვენი ხალხის სულიერი სიმტკიცე და ერთსულოვნება მამულისათვის ბრძოლაში.

ქართულ ლიტერატურაში უფრო მრავალმხრივაა წარმოსახული საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სამამულო ომის წლებში. საბჭოთა ადამიანების იმედები, ტკივილები, შეუპოვრობა, ამტანობა, მოქალაქეობრივი და მამულიშვილური გრძნობა ამ დიდი განსაცდელის ქამს არანაკლებ ამაღელვებელია, ვიდრე ფრონტული მებრძოლებისა, და ყველაფერი ერთად კი გვიხსნის ხალხის იმ შეუღრეკელ ხასიათსა და ნებისყოფას, რომელიც წყვეტს ომის ბედს.

სამამულო ომის წლების ცხოვრებაზეა დაწერილი უკანასკნელი წლების ისეთი მნიშვნელოვანი რომანი, როგორიცაა რევზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის

ქვრივი“. ამ ფართო ეპიკურ ტილოზე მწერალმა საინტერესოდ დაგვიხატა ქართული სოფლისა და მისი მკვიდრების ცხოვრება ომის მძიმე წლებში. მწერალი ცხოვრების ფართო პანორამას იძლევა, უამრავი გმირები შემოჰყავს მოქმედებაში, მაგრამ ყველას და ყველაფერს ჩრდილავს ხათუნა მინდელის, ჭარისკაცის ქვრივისა და ქართველი დედის, მონუმენტური ფიგურა. ესაა ქართველი ქალის სინდისისა და ნამუსის სიმბოლო, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხათუნა მინდელს ცოცხალი ადამიანის განცდითა და ტკივილებით, გასაქირითა და მხნეობით წარმოგვიდგეს თვალწინ. ხათუნას შეუდრეკელი ხასიათი, მისი უტეხი ნებისყოფა, მისი მოქმედება ერთი დიდი მიზნითაა შთაგონებული, მას არა აქვს უფლება გააციოს თავისი ქმრის, დაღუპული ჭარისკაცის კერა. ამ დიდი მიზნის გამო უარყოფს ხათუნა შედარებით იოლ ცხოვრებას მშობლებთან და უმამაკაცოდ მარტივმარტო ეწევა ცხოვრების მძიმე ჰაზანს. ბევრ განსაცდელს გადაიტანს ხათუნა. ამ ახალგაზრდა, გამოუტყდელი ქალისათვის გაცილებული კერის აღდგენა, ცხოვრების სიმწელებთან ბრძოლა, შვილების ნამუსიანად აღზრდა, ცოცხალი ადამიანის ვნებებთან ბრძოლა იოლი საქმე არ არის, მაგრამ ყველაფერს სძლევს იმიტომ, რომ ეს ისეთივე ჭარისკაცული ვალია მისთვის, როგორ ვალსაც შეეწირა მისი მეუღლე. ხათუნა მინდელი ისევე, როგორც ქართველის დედა, ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ ის ხალხი, რომელიც ასეთ მეუღლესა და დედას ზრდის, არ გადაშენდება, არ მოშლის ქართულ ოჯახს და კვლავაც დაზრდის ისეთ შვილებს, რომლებიც, თუ ამას მამული მოითხოვს, მამის კვალზე წაივლიან და ვაჟკაცურად გასწირავენ თავს, რადგან ხათუნა მინდელის რჩებიან იმედად. რევაზ ჭაფარაძის ეს რომანი მნიშვნელოვანია თავისი ამ დიდი იმედით, რომელსაც ასე მძლავრად გვაგრძნობინებს ცხოვრების მძიმე გზაზე ამაყად და მტკიცედ მიმავალი ხათუნა მინდელი.

ომის წლებში ვაჟკაცდებიან ნოდარ დუმბაძის რომანების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისა“ და „მე ვხედავ მზეს“ გმირები ზურციკელა ვეშლომიძე და სოსოია. ნოდარ დუმბაძის ამ რომანებმა, რომლებიც სასველი დიდი ადამიანური სითბოთი, ღრმა ჰუმანიზმით, ცხოვრების სიხალისით, ადამიანური ტკივილებით, ღრმა ოპტიმიზმითა და დაუშრეტელი იუმორით, სავეტებით დამსახურებულად მოიპოვეს ქართველი, და არა მარტო ქართველი, მკითხველის დიდი მოწონება და სიყვარული. ამ წმინდა ოთხეულის — ზურციკოს, ბებიას, ილიკოსა და ილარიონის — სიყვარულით სასვე ურთიერთობა ადამიანის კეთილი ბუნების მხატვრულად მართალი. ორიგინალური და შთამბეჭდავი გამოხატულებაა. არც ზურციკოსა და არც სოსოიას არა აქვთ უზრუნველი ბავშვობა. მათ საკმაოდ ადრე დააწვათ ამქვეყნიური უღელი მხრებზე და ეს იმიტომ, რომ ომის მძიმე წლებში უჩდებათ ცხოვრება, მაგრამ მათ ამის გამო არ დაუკარგავთ ცხოვრების ხალისი. არც ბავშვური უშუალობა და ადამიანებისადმი დიდი სიყვარული.

მზაჯერული ღირსებისათვის, თუნდაც გამოხატვის სისრულისათვის, ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობას რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ამას ეოთხელ კიდევ გვანხენებს კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სერგო კლდიაშვილის ბრწყინვალე ნოველები „ცაბუნია“ და „კინკა ბიკები“. ამ ორ სულ რამდენიმეგვერდიან ნაწარმოებში, კონკრეტულ პატარა ფაქტთან დაკავშირებით, შესანიშნავადაა გადმოცემული ომის დრამატული განცდაც. ადამიანების დიდი ჰუმანური ბუნებაც და ცხოვრების ღრმა ოპტიმისტური ხილვაც. კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობის გმირი პატარა ცაბუნია, რო-

მელიც ყოველ დილით მორბის სოფლიდან სადგურში, ეგებ ფრონტიდან მომავალმა დაქირებებმა მამის ამბავი მითხრან და ავადმყოფი დედა გავახარო, დიდხანს უტოვებს ტკივილს მკითხველს და ერთხელ კიდევ განაცდევინებს მთელი სიმძაფრით ომის ტრაგედიას. ამ ტკივილს მხოლოდ უცნობი დაქირები ქარისკაცის დიდი ადამიანური გულით ნათქვამი ტყუილი აყუჩებს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცაბუნიას ირგვლივ კეთილი ხალხია, რომლებიც თავისი სიყვითით გაათბობენ დარდისა და სიცივისაგან გათოშულ გოგონას. როგორი იქნება ცაბუნიას ბედი, საერთოდ ცაბუნიების ბედი, ამ კითხვას ღრმა ოპტიმიზმით პასუხობს სერგო კლდიაშვილის ნოველა „ჭინკა ბიჭები“. ჭინკა ბიჭების მამებიც არ დაბრუნდნენ ომიდან, შემდეგ მეორე ომში თვით დაეჯიკაბებული ჭინკა ბიჭები დაიკარგნენ და ამ სევდიან მოგონებას თავის მშობლიურ სოფელში ჩასულ მწერალს ერთბაშად უქარეებს ყრიაშვილი ბავშვებისა, მესამე თაობის ჭინკა ბიჭებისა და იგი გრძნობს, რომ ცხოვრება ძლიერია ომზე, რომ სიკეთე მარადიულია, რომ ჭინკა ბიჭებს არ უწერიათ გადაშენება და ეს იმედითა და ხალისით ავსებს მას.

ომის ეს დრამატული, მაგრამ ერთდროულად ოპტიმისტური განცდა უდევს საფუძვლად ოტია იოსელიანის რომანს „ვარსკვლავთცენა“. ის, რაც სერგო კლდიაშვილთან ნოველისებური ხერხითაა გადაწყვეტილი, აქ უკვე ვრცელ ეპიკურ ტილოს ავსებს. გოგოცა და მისი ამხანაგები რიკტაფელას თამაშით ხვდებიან ომს და მათი ბავშვობა ამით მთავრდება. მამაკაცებისაგან დაკლილ სოფელში ეს ყოფისაგან ნაადრევად მომწიფებული ბავშვები ებმებიან ცხოვრების უღელში. ომის ტრაგედია მარტო ბრძოლის ხაზზე კი არ იშლება, იგი ყველგან სწვდება, ცხოვრების ყველა კუნთულს აღწევს. მწერალი გვარწმუნებს, რომ სოფელში დატრიალებული მთელი უბედურება, რაც მთავარია ფატის დაღუპვაც, რომელიც ვერ მოერია თავის თავსა და ცხოვრების წყურვილს, ყველ-ფერი იმ საერთო ბოროტების ბრალია და არა ამ ადამიანებისა. ფატიც ერთი ჩვეულებრივი, ადამიანური და წმინდა მსხვერპლია ომისა. მწერალი სოფლის, კერძოდ კი გოგიტასა და ფატის, ამ დიდ ტკივილებზე მოგვიტხრობს მხოლოდ და გმირების ამ მძიმე, ტრაგიკული ცხოვრების განცდას ეპილოგის ნათელი ოპტიმიზმიც ცვლის, სადაც კვლავ გაისმის რიკტაფელას თამაშით გართული ბავშვების უდარდელი ხმები. გოგიტას დარდი, შავებიანი ქალის დარდი, რომელიც თავის ამბაკოს ამბავს ეკითხება შემხედურთ, ნელ-ნელა ქრება, რადგან იგი უცხოა იმათთვის, ვისაც ეს თვითონ არ განუცდია, ვინც ომის მერე წამოჩიტულა და დაეჯიკაბებულა, და ამაშია ცხოვრების მარადიულობის კანონი.

ამ მცირე წერილიდანაც კი, ვფიქრობ, ნათლად ჩანს, თუ რა მდიდარი და მრავალფეროვანია დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ქართული მხატვრული პროზა. მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთელი რიგი რომანი და მოთხრობა ვერც კი მოვიხსენიეთ, უფრო დაიმედებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ეროვნული მწერლობა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება თავის ამ წმიდათაწმიდა მოვალეობას, ღირსეულად ხვდება დიად დღესასწაულს, საბჭოთა ხალხის გერმანიის ფაშინზე ისტორიული გამარჯვების 30 წლისთავს. დიდი სამამულო ომი კვლავაც დარჩება საბჭოთა პატრიოტიზმის უმაგალითო და უკვდავ ნიმუშად; ცხადია, ამიტომ იგი დარჩება საბჭოთა მწერლობის უბერებელ თემდაც.

ოთარ ბიორბაძე

პროფესორ-განმათავისუფლებელი იდაეპი ა. შერეთლის
თანამედროვეობის ამსახველ პროზაში

„პროგრესული მასების გაღვიძება
ფეოდალური მძინარობისაგან, მათი
ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის
წინააღმდეგ, ხალხის სუვერენობისათვის,
ერის სუვერენობისათვის“.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების პროგრესულ შეხედულებებზე აღზრდილი ა. წერეთელი შინაგანი ხედვის საოცარი ძალით, მოქალაქეობრივი შეგნებითა და ამბულბული სულით, სამ-შობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულანთებული წარმოდგა ჩაგრული ხალხის წინაშე და საიმედოდ ამოუდგა გვერდში სოციალურ-ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ი. ჭავჭავაძეს, რომელმაც ახალი თაობის საბრძოლო დროშაზე წააწერა:

მოიკლაო წარსულ დროებზედ დარდი,
ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშეათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

აქვე გაისმოდა მისი ლელთ ლუნისას სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

ახალგაზრდა აკაკიმ მიიღო, შეისისხლხორცა ეს დიადი პროგრამა და ჩადგა მისი განხორციელებისათვის ბრძოლის სამსახურში. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ა. წერეთელი აღრიდანვე ეხმთანება ილიას ნაწერებს და ღდის მათ თავისი ინტერესის საგნად. მართალია, ზოგჯერ ამა თუ იმ მოვლენის მიმართ განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას, მაგრამ მათი საერთო-საქვეყნო მიზნები, არსებითად, ერთნაირია.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1860 წელს დაწერილი აკაკის ლექსი „ამო ძებნა“, რომელიც, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ღერთგვარ გამოხმაურებას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის „არჩილი-სას“¹. მასში დიდებულად არის ნაჩვენები დატყვევებული და დასწულბული ეროვნული სულის იმეამინდელი უძლურება. აკაკიმ ამ ლექსით უთხრა თანამომემ ილიას, ამოდ ეძებ, რაც წარსულში იყო, ამოდ იხმობ ნუგეშის-მცემელს, „არსიდან ხმა, არსით ძახილი“, შენი ქვეყანა ტყვეობის მარწუხებშია მოქცეული და ამხანად არ ძალუძს აქედან თავის დაღწევაო.

ფიქრობთ, ასეთსავე შეხმთანებას წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის „მგზავრის

¹ ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1953, გვ. 135; გ. აბზიანიძე, ა. წერეთლის თხზულებანი, ტ. I, 1950, გვ. 407—408.

წერილებისადმი“ ა. წერეთლის დიდებული მოთხრობა „საუბარი ორთა შუა“², რომელიც, მსგავსად სხვა ბევრი პროზაული თხზულებისა, რატომღაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ჩვენი აზრით, როგორც ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ ვერ აუვლის გვერდს ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც ამ გამოჩენილი მწერლის შემოქმედებით არის დაინტერესებული, ასევე აკაკის აქ ხსენებულ მოთხრობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მგოსნის ეროვნულ-სოციალური შეხედულებების გარკვევისას.

თუ ილიას, არსებითად, მოხვევსთან აქვს საუბარი თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყობზე, აკაკი გლეხ კიკოს ესაუბრება ამავე თემაზე. ილიასაც დაქირავებული ჰყავს ლელთ ლუნია და აკაკისაც — იმერელი გლეხი კიკო. სარკაზმი და ირონია „მგზავრის წერილებშიც“ სუსხავს მტერს და აკაკის მოთხრობაშიც. მოქმედებისა და ბრძოლის განწყობილება პირველშიც ძლიერია და მეორეშიც. ეროვნულ-სოციალურ სატივიზარზეც თითქმის ორივეში თანაბრად არის მინიშნებული. თუ ი. ჭავჭავაძე დიდებული მყინვარისა და დაუღლეი თერგის ხილვამ ჩააფიქრა ქვეყნის მწარე ბედზე, აკაკი ლამის იდუმალებაში, სულის მასაღმუნებელ გარემოცვაში ჩაულრმავდა ერის პირვარამს.

ჯადოსნური სილამაზის ღამეულ გარემოში აკაკიზე ნაკლებ არ გაეტაცნა ფიქრებს კიკო. როდესაც მწერალი დაინტერესდა, თუ რა აწუხებდა მის მხლებელს, ბევრი რამ შეიტყო მეტად საყურადღებო. გლეხმა ჯერ იმას გაუსვა ხაზი, რაც დიდი თანამდებობის მქონე პირებისა და მაღალი წოდების წარმომადგენლებისათვის იყო დამახასიათებელი: ოცნება „დიდკაცობაზედ, სიმდიდრეზედ, ოქრო-ვერცხლზედ, ჩინებზედ და ტემლაკზედ“. მისი მწარე შენიშვნით, „ამის მეტი სხვა რაღა დარჩენია საფიქრებელი“ სხვის ხელში მყოფრებელ, სხვის წყალობას დაჩვეულ, თავშეუწუხებელ მცონარე ნაწილს საზოგადოებისა. „ამ სიტყვებმა დაშხამული ისარივით გამიარეს გულშიო“, — აღნიშნავს აკაკი.

გლეხი შემდეგ თავისი ოჯახის გაკირვების შესახებ მოუთხრობს მწერალს და ატყობინებს, რაზე ოცნებობდა; როცა მის გვერდით იყო წამოწოლილი, იგი ფრიად საინტერესო მომენტებზე მიაქცევს ხოლმე აკაკის ყურადღებას და ავრძნობინებს მას, რა დიდი განსხვავებაა თავადებისა და გლეხების ოჯახურ გარემოს შორის. შემდეგ კი ასე მიმართავს პოეტს: „თქვენ ეგება არ გეჭეროსთ, დიდკაცები ბრძანდებით, და მე და ჩემმა ღმერთმა, ჩვენი შესაფერი გრძნობა და ნამუსი ჩვენ საწყალ ხალხსაცა გვაქვსო“³.

ილიას მსგავსად, აკაკიც სპეტაკ სინდისსა და მაღალ ზნეობას ხედავს ვლახობაში და ეს ხალხი მიაჩნია გულგაუქუტყუიანებელ სანდო ძალად. ამიტომ სწორედ მათ წარმომადგენელს, კიკოს, ალაპარაკებს და მის შეხედულებებს გვაცნობს ქვეყნის ავ-კარგზე მოთხრობის შემდგომ ნაწილში.

აკაკი შეფარვით, მაგრამ მაინც მისახვედრად ათქმევინებს თავის გლეხს მეფის საჩხახურში შესული ქართველების დიდ გატაცებაზე ყოველგვარი ჩინოვნიკურით: ენა იქნება იგი, ჩაცმულობა თუ სხვა რამ. ისინი რაღაც დიდსა და

² „მგზავრის წერილები“ პირველად დაიბეჭდა 1871 წელს ეურნალ „კრებულის“ II და V ნომერებში, ხოლო „საუბარი ორთა შუა“ — ამავე ეურნალის 1872 წლის VI ნომერში.

³ „საუბარი ორთა შუა“: ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. VII, 1958, გვ. 220.

საპატროს ხედვენ ყოველივე ამაში და თავი მოაქვთ, სინამდვილეში კი, კიკოს აზრით, გარდა თვალსაჩუქარისა, მასში „აბა, სხვა რა უნდა იყოს?“. როგორც უკვე, ბრიყვ ბავშვს იზიდავს და ახარებს ჩინოვნიკის ქული თავისი წითელი არშიის გამო და ქართულ ბოხოსს იწუნებს, ასე მოსდის ღიღებსაცო.

კიკო უქმყოფილა იმის გამოც, რომ მას ტკბილად და მოსვენებულად ძილის საშუალებაც კი არ აქვს, რის მიზეზადაც ბევრ რამეს თვლის. პირველ რიგში ასახელებს იმას, რომ ახლა კაცი კაცის ხელის შემშლელია და ძმა ძმის მტერი, მომრავლდა ქურდი და წამგლეჯი. გლეხის სიტყვებმა ჩააფიქრა და დააღონა აკაკი.

გარდა იმისა, რომ გლეხთან ბაასით აკაკიმ ხაზი გაუსვა დიდ ეროვნულ საფრთხეს, ისიც მწარედ აღნიშნა, თუ როგორ აბუჩად ივდებდნენ ჩინოვნიკები ქართველ ხალხს, როგორი იყო მათი „წყრომის“ მეთოდები.

აწმყოთი შეწუხებულმა მწერალმა წარსულზე ჩამოუგდო საუბარი თანამგზავრს, მაგრამ ისეთნაირად, რომ ზოგი რამ საღღისო ჭირზეც მიაწინებდა. აკაკიმ აგრძნობინა გლეხს, რომ საქართველოს ახლაც არ ადგას კარგი დღე: ხალხი ირყენება, ხასიათი ეცვლება, ზნე-ჩვეულება ფეხქვეშ ითელება, დედენა კნინდება და ბევრი ხელს იღებს მასზე. მწერალმა წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებით ნათელყო, თუ რით აღწევდა ძველად თავს საქართველო გასაქირს, როგორ იგერიებდა მტერს, როგორ ინარჩუნებდა თვითმყოფობას და რა მდგომარეობაშია იგი ახლა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოიცილოს საშიშროება, იხსნას თავი კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღლისაგან. აკაკი არწმუნებს კიკოს, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამირულად დაცემული მამულიშვილები არ კვდებიან, მათი საქმეები მარად ცოცხლობენ, სადაც ისინი დამარხულან და მათი ძელებია მიმობნეული, იქ ვარდი ჰყვავის „და იმ ვარდზედ შემომქდარი ბულბული ღამ-ღამით მათ სულელს უგალობებს“.

პოეტის შთაგონებით ნასიამოვნებ კიკოს სახე გაუნათლდა, ძალზე აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ გლეხკაცობას იმდენი აზრი და გონება არ აქვს, რომ ყოველივე ამას ჩაწვდეს, ყოველგვარ საქირობას აღლო აუღოს და ისე იმოქმედოს. ბოლოს დასძენს: „ვაი ჩვენი ბრალო!.. მაგრამ ჩვენი რა ბრალია! ჩვენც, როგორც ჩვენი ძველები უწინდელ დროში, დიდკაცობას შევჩერებდით და ავსაცა და კარგსაც მათგან ვსწავლობთ“.

აკაკიმ აქ კიკოს გულსტიკვილით შესანიშნავად გვამცნო, რომ ხალხს გაღვიძება, ამოქმედება, ამაღლება ესაჭიროება, რათა ღრმად შეიგნოს ცხოვრების ასავალ-დასავალი, შეიტყოს მტრის ზრახვები და გადადგას სწორი, გაბედული ნაბიჯები.

ჩანს, რომ პოეტის თანამოსაუბრეს არ აქვს ამ დიდკაცობის იმედი, რამაც მწარე ფიქრებში გაახვია იგი და ისევე ძველებთან მიიყვანა. „ქეშმარიტად ჩვენ ღვინოც არ შეგვევრება, თუ ისინი არ მოვიხსენიოთ“, — ამოხვრით თქვა და ჩაჰკიდა თავი. აქ მის წინაშე ამოტივტივდა წინაპართა სახელოვან საქმეებზე მომღერალი ბულბული და ოხერი ძერა, თავისი საშინელი წივილით, რომელიც „სწორედ მტრის გასაგონია“. შემდეგ ხალხისა და ქვეყნის შემაწუხებელ ჭინკებზედაც ჩამოაგდებს ლაპარაკს კიკო.

ამ სიმბოლიკით აკაკიმ ჩინებულად გამოხატა, ერთი მხრივ, პოეტ-ბულბულის კეთილშობილება და დიდი მისია, რაც ნაკლებად ესმის გლეხს, ხოლო, მეორე მხრივ, შეაჩვენა ისინი, ვინც ქვეყნისათვის ზრუნვის ნაცულად პირადულით არის გატაცებული და იქცევა სწორედ ისე, როგორც ეს მტერს აწყობს. პოეტს გულს უკლავს საზოგადოების დიდი ნაწილის ასეთი საქციელი და მათი აღარაფერი სჯერა. იგი მშრომელი ხალხის მოიმედება და იმით ცოცხლობს. კიკოს ნაამბობი მას ქუთაში უჭდება; მოსწონს ამ გლეხის დაკვირვებულობა, პირდაპირობა, სიმართლე და შრომისმოყვარეობა, მზადყოფნა გასაჭირის ასატანად, დიდი სურვილი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა. კიკო ერთ დღეს დაბადებულა და ერთ დღეს მოკვდება, სიარტს იღებს კი არ უკამს.

ამ გლეხით ნასიამოვნები აკაკი მიმართავს კანონმდებელთ: „ჩვენო მსაჯულებო! ზეცას რომ ეპოტინებით და იქიდან ჰკრეფავთ თქვენს აზრებს და ისე აღგენთ კანონებს! უმჯობესი არ არის, რომ დაბლა ჩამობრძანდეთ, მიუგდოთ ყური ამ ხალხს, შეისწავლოთ მათი სატიკივარი და სამკურნალოდვე მათგან ფუტკარივით ამოჰკრიბოთ!“.

ილიამაც ხომ ლელთ ღუნისას სატიკივარისადმი გაამახვილა ქართველი ხალხის ყურადღება. აკაკიც ასე იქცევა. იგი დაბეჭიბებით ითხოვს, ხალხს ვათხოვოთ ყური, ჩავუკვირდეთ მათ ცხოვრებას, მათ სატიკივარს და მათშივე ვეძიოთ წამალი მძიმე სენის გასაყურნავედ. აკაკის სწამს, რომ ხალხს ყველაფერი შეუძლია, თუ მოახერხებ მის ამოქმედებას და წაიყვან სწორი მიმართულებით.

მწერალი მოთხრობას მრავლისმეტყველად ამთავრებს: „ბევრი კიდე სხვაეც რამ მემუსაიფა ჩემმა კიკომ, მაგრამ გლეხის საუბარი რა გასაგონია და ან რა საკადრისი! გლეხი თუ კარგი იყოს, გლეხიც არ იქნებაო, ნათქვამია ძველად, — დღესაც ზოგიერთები კიდე იმეორებენ, მაგრამ მათვე შვილებს კი ღიმილი მოსდით“. ცხადია, ეს ღიმილი ახალი თაობის მწარე ირონიაა, წყრომანა იმით მიმართ, ვინც დასცილდა ხალხს, ვინც გლეხობაში მხოლოდ მიწაზე მიჯაჭულ სამუშაო ძალას ხედავს და ადამიანურს კი ვერაფერს ცნობს მათში, ვინც არაფრად მიიჩნევს მშრომელი მასების ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას, კმაყოფილია თავისი მდგომარეობით და ისე წირავს, როგორც უწირავს ძველად.

ეს ერთ-ერთი პირველი მოთხრობა იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ მისმა ავტორმა არ უღალატა პოეზიაში აღებულ კურსს და არსებითად პროზაში იმით დაიწყო, რითაც ღიმილია. ეროვნული და სოციალური უსამართლობა, ცარიზმის დამპყრობლურ-ბიუროკრატიული პოლიტიკა და მისი მავნე შედეგები აკაკის ბელეტრისტული თხზულებების უმთავრესი საკითხებია ისევე, როგორც სხვა ქანრის ნაწარმოებებისა.

თუ აღნიშნულ მოთხრობაში ა. წერეთელმა ეროვნულ-სოციალურ უსამართლობაზე ფაქტიურად კიკო ალაპარაკა, „იმერლებში“ ახალი თაობის წარმომადგენელს, რომელიც პეტერბურგიდან საქართველოში უნდა დაბრუნდეს სამოღვაწეოდ, წარმოათქმევინა, რა უნდა ყოფილიყო მათი ყურადღების ცენტრში და რისთვის უნდა გადაედოთ თავი ახალგაზრდებს. გეგელი მიმართავს სტუდენტობას: „ჩვენ უნდა წინდაწინვე გადავწყვიტოთ და მოვიმზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ! მსხვერპლი არის ბუკედი და გვირგვინი კეთილ

ნაწარმოებისა; მხოლოდ ის ამაგრებს ქვეყნად ქეშმარიტებას! და მაშ ჩვენც ვიყოთ მსხვერპლი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისა. ვიღონოთ მამულის გულისათვის და ეს მოღვაწეობა დაჰბადებს ათს ჩვენზე უკეთეს მომავალ მუშას“⁴.

პალმერსტონიც მოითხოვს ახალგაზრდობისაგან გულმაგრობას, წამებისა და ტანჯვის ატანას ხალხისა და სამშობლოს სამსახურისათვის. საქართველოც ჩვენი აკვანი და სამარეც ის უნდა იყოსო, მისი ბედნიერებისათვის ყოველგვარ სიმწარეს უნდა გავუძლოთო, — მიმართავს იგი თავის ამხანაგებს.

კარგად ჩანს, თუ რა დიდი ამოცანის წინაშე იდგა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა 60-იან წლებში და ისიც ჩინებულად იგრძნობა, რომ სამშობლოს შველა სჭირდებოდა. ბნელეთით მოცულ გარემოში ახალ თაობას ძლიერი სინათლის სხივი უნდა შემოეტანა, ფარდა აეხადა ეროვნულ-სოციალური უსამართლობისათვის და დაეწყო დაუნდობელი ბრძოლა საკმაოდ გაშლილ ფრონტზე. ასეც მოხდა სინამდვილეში. მართალია, ყველა სწავლულმა ვერ გააძარკულა იმედები, მაგრამ ა. წერეთელი ამ დიდ საეროვნო ფრონტზე ისე აქტიურად მოქმედებდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში და ისეთ დიდ როლს ასრულებდა, როგორც მამაცი მთავარსარდალი ბრძოლის ველზე.

ა. წერეთელი ჩვენ გვაგონებს იმ მაღალი სულისა და კეთილშობილი განწყობილების მქონე მკურნალს, რომელმაც ავადმყოფი მხეთუნახაეი სელიდან გამოისტაცა სიკვდილს და მისცა შესაძლებლობა ჯანსაღი შთამომავლობის წარმოქმნისა („სნეული მზეთუნახავი“). არ იყო შემთხვევითი, რომ ამ თხზულებაში ა. წერეთელმა საქართველო შეადარა სნეულ მზეთუნახავს. მწერალი გრძნობდა, რომ ერის სასიცოცხლო არტერიები სისხლის ნაკლებობას განიცდიდა და, რაც გააჩნდა, ისიც აღარ იყო სუფთა და ჯანსაღი. ასეთ საბედისწერო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს მან ორი მკურნალი მიჰგვარა, რითაც მშვენიერად გამოხატა, ერთი მხრივ, ქეშმარიტი მამულიშვილების რამოკიდებულება კრიტიკულ ვითარებაში მყოფი ერისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, ცბიერთა, გადაგვარებულთა და მოღალატეთა უღირსი საქციელი თავისუფლებამოკლებული სამშობლოსადმი.

აკაკის ერის დაცემის, დასნეულების ბევრი მიზეზი აქვს წარმოჩენილი. ზემოთ ზოგიერთ მათგანზე კიკომ მიგვანიშნა, მაგრამ აქ არ დაუსვამს წერტილი მწერალს და სხვა პროზაულ ნაწარმოებებშიც საფუძვლიანად დააკვირვა მკითხველი იმ უარყოფით მოვლენებზე, რამაც თავი იჩინა ქართველი ხალხის ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის მთელს მანძილზე.

აკაკის აზრით, საქართველოს ზამთარმა (მტერმა. — ო. გ.) საშინელი დღე დააყენა: ტყბილი და ალურსიანი შემოდგომის შემყურე ერთი მოუშზადებელი შეხვდა წლის ამ დროს და ისეთი ამბავი დაემართა, რომ აერია გზა და კვალი. პატიოსან შრომაზე და საქვეყნო საქმეზე ყველამ აიღო ხელი. დაერივნენ ერთმანეთს, გატანა არსად იყო. ვინც ვის მოერეოდა, სიმათლევ მას რჩებოდა. ყველაფერი მოსწრებაზე მიდგა. „ძლიერები სუსტებს უკანასკნელ პერანგს აძრობდნენ, ოღონდაც თვითონ გამთბარიყვნენ“. ქვეყანა აიწეწა, მტაცებელთა რიცხვმა თანდათან იმატა. თუ ვინმე შეეცდებოდა კეთილსინდისიერ შრომასა და გარჯას, ნაყოფს თვითონ მაინც ვერ მოიპოვებდა. მწერლის შენიშვნით, „ერთი ორად გაიყო: მგლეჯელებად და გაგლეჯილებად. რასაკვირველია, პირ-

⁴ „იმერლები“, ტ. VIII, 1958, გვ. 294.

ველის რიცხვი ნაკლები იყო მეორეზედ და მეორეს რომ მოენდომებინა, ხელი გამოეღო, პირველს დაამარცხებდა და მგლეჯელებს დაამშვიდებდა. მაგრამ, როგორც საზოგადოდ ამგვარ შემთხვევაში, ახლაც ხალხმა სასოწარკვეთილად გააქნია თავი, მოუშვა ხელები და მისცა თავი ძილს, რაც დამემართოს, დამემართოსო“⁵. ამ ქაოსს, მოშვებულობას, ერთმანეთზე მისევას, ინერტულობას, უღარდებლობას, რაც ახალ დროს მოჰყვა, ებრძვის მწერალი, მაგრამ ყველა როდი უჭერს მხარს, ყველას როდი ესმის მისი გულისტკივილი. მას ძალზე აოცებს, რომ ხალხი ფარისევლებს, ცრუპატრიოტებს, კერძო ინტერესებით მოქმედ პირებს უფრო უსმენს და უჭერებს, ვიდრე იმას, ვინც გამოფხიზლებასა და სწორი გზით სიარულს ურჩევს, ვისაც ერის წარსული, აწმყო და მომავალი დღე და ღამ აფიქრებს და აწვალებს, საკუთარი კი ყველაფერი დავიწყებული აქვს.

საზოგადოების გულგრილი, უკმაყოფილო და ბრყიველი დამოკიდებულება თავისი ერთგული შვილებისადმი, რომლებიც თავს დასტრიალებენ ერს და უგერიებენ მტერს, დიდი დამაჭერებლობითა და ოსტატობით გამოხატა აკაკიმ ძაღლისა და ცხვრის არაკით. სანამ ძაღლი დააჩაქად ედგა ცხვრის ფარას, მანამ ეს პირუტყვეები თავისუფლად ძოვდნენ და დააბიჯებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ატყდნენ და გადაწყვიტეს, მოეცილებინათ მათი ერთგული ძაღლი, რომ ყურები დაესვენებიათ მისი ყეფისაგან. ჩანათფირი სისრულეში მოიყვანეს. ძალზე გაეხარდათ შემაწუხებლის მოშორება, მაგრამ ეს სიამოვნება სულ მალე ჩაშხამდათ: ძაღლის ყეფა რომ ვეღარ გაიგონა მგელმა, შევარდა უპატრონო ცხვრის ფარაში და ხან ერთს შეაჭდა ზურგზე და ხან მეორეს. შევიწროებულმა და ბედის მანყვეარმა ცხვრებმა ახლა კი იგრძნენ დაშვებული შეცდომა, მაგრამ გვიანდა იყო. მიმართეს ისევ ღმერთს, რომ კვლავ წაღმა მოებრუნებია მათი ბედის ჩარხი, მაგრამ მისგან ასეთი პასუხი მიიღეს: „თქვენ იმისთანა ჩივისა ხართ, რომ კული მოკლე გაქვსთ და რქები დიდო და სანამ მაგ რქებს არ მოიცილით და ტყავს კულის რიკამდე არ ჩაგახევენ, ვერც ძაღლს იგუებთ და ვერც კატასო! ბულბულის სტეენით ნადირი ვის მოუგერებიაო?“⁶.

აქაც მწერალი ძალზე გამწყარალია იმის გამო, რომ ქვეყნის მოწინავე და მზრუნველ კაცს ნდობა დაკარგული აქვს, არავინ უსმენს, მის მოუსვენარ შრომას არად აგდებენ და განზე უდგებიან, ამავს არ უფასებენ და წყალში უყრიან. დაბრმავებული და დაჩლუნგებული ხალხი, რომელიც მტერმა ადვილად ჩაიგდო ხელში, გზას ვერ იკვლევს, თავისიანს არ უსმენს და არ სცემს პატივს, დამკველსა და მებრძოლ ძალას უგულუბეულობა. მწერალს აკვირებს, რომ ისინი მაინც ქედმაღლობენ და თავი დიდად მოაქვთ. ამიტომაც ძალზე მწარე შეგონებებს აძლევს მათ და კიცხავს იმ დიდ მანკიერებას, რასაც მედიდურობა, თვითდამშვიდება, მრუდედ ცქერა და სიარული, ღირსეულთა უპატივემულობა და შეუფასებლობა ჰქვია. ყველაფერი ეს მწერალს ერის ერთერთ მძიმე სნეულებად მიაჩნია. აკაკი აქაც აფრთხილებს ხალხს, რომ აღმადამა სიარულითა და ბულბულის სტეენით მტერი არ დაფრთხება და თავისას არ მოიშლის.

ა. წერეთლის შეხედულებით, თუ ადამიანმა პირუტყვისაგან განსხვავებული თვისება — მაღალი ზნეობა დაკარგა, სინდისი წაბილწა, მაშინ იგი ცხო-

⁵ „მეორე საღამო“, ტ. VII, გვ. 294.

⁶ „ძაღლი და ცხვრები“, ტ. VIII, გვ. 27.

ველზე უარეს მდგომარეობამდე დადის, თავის უპირატესობას სამუდამოდ ეთხოვება. პოეტის გაგებით, „იგივე ითქმას მთელს ერზედაც“.

მწერალს საზოგადო კანონად მიაჩნია, რომ ზნეობის დამკარგავი პიროვნება თუ ერი თანდათან იჩაგრება, კლექდება და ბოლოს სულ ქრება, თუ აქაიქ მანინც სულის ჩამბერკველი და ჩამდგმელი არ ეყოლა. „ეს სულის ჩამდგმელები არიან ისევე მისი შვილები. ამგვარი შვილი მამულს ასიათასში ერთი ჰყავს, ისე ძვირია, — ძვირია, მაგრამ ისინი თავის ოფლისა და სისხლის ღირით უმზადებენ თავის ჩამომავლობას მომავალში მკედრეთით აღდგომას“⁷. აკაკი ქვეყნისათვის თავდადებულ რამდენიმე ასეთ პირს ახლაც ხედავს, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება ზნეობრივად ისე შელახული და დაცემულია, რომ მისი დიდი ნაწილი ასეთ ღირსეულ მამულიშვილთ ქოქოლას აყრის, ახირებულ კაცებად მიაჩნიათ, დასცინიან, კიცხავენ, სძულთ, არაფრად ეპრიანებათ მათი გამბედაობა, ქედმოუხრელობა და პირდაპირობა. როგორც გველს ეჯავრება გოგირდის სუნი. ასევე ვერ იტანენ ამ ადამიანებსაო, — გულისწყრომით შენიშნავს მწერალი. მართალია, ისინი უკან მანინც არ იხვევენ, მაგრამ აკაკი შიმობს და შეწუხებულია მათი ბედით, რადგანაც კარგად იცის, რომ „ბოროტი კაცი მისგან ამორჩეულ სამსხვერპლოს მარტო სიტყვას არ აკმარებს და საქმიანად გამოიმეტებს ხოლმე“⁸. დღეს ჩვენში, პოეტის თქმით, ეს მებრძოლი შვილები ერისა სწორედ სამსხვერპლოდ ჰყავთ გამზადებული. „სულმდაბალი, მუცელმდერთა საზოგადოება, მდიდრის პურმარილზე გაწუწუებული... აქაო და დიდ კაცს ვასიამოვნოთო, სდევნიან საბრალეობს“⁹.

ერის ტრაგედია სწორედ იმაშია, მწერლის ფიქრით, რომ იგი მისთვის ჯვარცმულ შვილებს არც სიცოცხლეში სწყალობს და არც სიკვდილის შემდეგ, ხოლო მტერს ყოველთვის გუნდრუქს უკმევს, სიცოცხლეში აძლიერებს, მოკვდება და გამორჩეულად დასტირის, „საფლავზედაც მარმარილოს ქვას დაადებს ზედწარწერით“.

ღრმა ეროვნულ-პოლიტიკური აზრი გაახვია ა. წერეთელმა ზღაპარში „კუქია“. აქ მწერლისათვის დამახასიათებელი ალევგორიით არის გამოხატული, თუ როგორ ჩაყლაპა პატარა ერები მეფის რუსეთმა. მართალია, ზოგმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. იგი თანდათან გაიზარდა და მთის ოდენა გახდა, გაძლიერდა, ველარავინ უბედავს რაიმეს. დაღონებული სოფლები წავიდნენ მკიონხავთან, რომლისგანაც ასეთი რჩევა მიიღეს: „მაგას თქვენ ვერაფერს დააკლებთ, ტყვილა ნუ აჯავრებთ და ნურც აკვდებითო. ეგ რასაც შეტს ჩაყლაპავს, ისა სჯობია: ბევრს ველარ მოინელებს და თან გადაჰყვებაო. გარედან ვერას დააკლებთ და, ვინც ჩაგყლაპოსთ, მის მუცელში თან სადგისჩ ჩაიტანეთ და შიგნიდან უჩხვლიტეთ ხოლმეო“¹⁰.

აქ აშკარად იმაზეა მითითებული, რომ დამორჩილებულმა ერებმა ცალცალკე და ნაადრევად კი არ უნდა შეუტიონ ძლიერ მტერს, არამედ შეემზადონ, სადგისი და მახვილი ყველა გალესოს, შიგნიდან იმოქმედონ, დაასუსტონ, რასაც ველარ გაუძლებს „კუქია“ და დაღვეს სულს. ამდენად, მწერალი თითოეული ერის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთობლი-

⁷ „ეპიკოსი და ეპიკოსი“, ტ. VII, გვ. 266.

⁸ იქვე, გვ. 267.

⁹ იქვე, გვ. 267—268.

¹⁰ „კუქია“, ტ. VIII, გვ. 160.

ვად დაწყების, მათი შეერთების იდეას ქადაგებს, მტერზე საერთო იერიშის მიტანის პროგრესულ შეხედულებას ავითარებს.

ჩვენი აზრით, აქ მარტო ქართულ მსხვერპლზე არ არის ლაპარაკი. პოეტი მხოლოდ ქართველი ერის ბედ-იღბლით როდია დაინტერესებული. მას სურს, ყველა იყოს თავისუფალი, სარგებლობდეს ერთნაირი უფლებებით და მეგობრულად სუფევდნენ ერთ დიდ ოჯახში. რომ ეს ასეა, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ლეგენდა „დავითის გვირგვინი“. აქ მწერალი წინასწარმეტყველს ათქმევინებს იესე ბეთლემელის უფროსი შვილის დავითისადმი, რომელმაც მეუღლანოეს მიერ ბოძებული საჩუქარი ქნარად გადააკეთა, შეისწავლა მისი დაკვრა და იგი გაიხადა თავის ქირად, ლხინად, მანუგეშებლად და სიმხნესიმამაცის მომნიჭებლად: „იმ თავითვე ხელში დაგიჭერია ნიშანი მეუბობსა: ეგ ჩანგი არის შენი სამეფო და სიმები სხვადასხვა ერი. შენ არ მივიგრებია სიმები ერთმანეთზე (ე. ი. ასიმილაცია არ მოგიხდენია. — ო. გ.), რომ მით შუა ათეი (საკუთრივ მეფის რუსეთი. — ო. გ.) გაკედილებია და გაგებდა საბამელად! (ხაზი აქ და ქვემოთაც ჩვენი. — ო. გ.) მხოლოდ შეგიკავშირებია ერთმანეთისათვის შეუცვლელად თავთავის საკუთარის ხმით და სიდიდით! შეგიხმატბილებია ერთ ჰანგად და მოგიხადირებია სამწყსო. მწყემსე სამეფოცა შენი მაგვარად და ჯდე საყდარსა ზედა უქუნისამდეო“¹¹.

აქაცის ბევრჯერ აქვს შედარებული საქართველოს მთლიანი სამეფო ჩონგურთან, ხოლო მისი კუთხეები — სიმებთან, მაგრამ ჩვენ აქ ანალოგიურ შედარებას არ ვხედავთ. ჩვენი აზრით, „დავითის გვირგვინში“ ერთ დიდ სამწყსოში პატარა ერების გაერთიანების სწორ და პროგრესულ პრინციპებზეა მინიშნებული. მწერალი ილაშქრებს პატარა და სუსტი ერების დაპყრობით, მათი ერთმანეთთან „მიგრების“ შეშევებით რომელიმე ძლიერი ერის აღსულებასა და განდიდების წინააღმდეგ. მისი ღრმა რწმენით, მთლიანობამ და კავშირმა არც ერთ ერს არ უნდა დაუკარგოს თავისი სახე, ბუნება და ხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩანგი ვერ გამოსცემს შეხმატბილებულ და საამო ჰანგებს.

როგორ იქცევა სინამდვილეში ცარიზმი? როგორია მისი პოლიტიკა პატარა ერების მიმართ? როგორ გამოიყურება ა. წერეთლის პროზაში მეფის ხელისუფლების „მოყვრულ-მეგობრული“ საქმიანობა საქართველოში? ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მოთხრობა „ორი სიზმარი“ ა. წერეთლის ეს თხზულება მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ დოკუმენტს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ მწერლის თვალსაზრისის გასაგებად. საერთოდ, არ არის საკამათო, რომ აქაც „ორთა კავშირს“ მიესალმება, პრინციპში მას იგი საჭიროდ მიაჩნია. აქაც დასტურდება, რომ პოეტი საესეებით გამართლებულად მიიჩნევს ორი ქვეყნის ამ პოლიტიკურ კავშირს. მისი აზრით, ამ ორ ქრისტიანულ ერს ბევრი ისეთი რამ გადახდომია თავს, რომ განგებას თითქოს წინდაწინვე დაუკავშირებია ერთმანეთთან მათი ბედი.

მოთხრობის მიხედვით, ერთ-ერთი მოსწავლე იკონებს გიმნაზიის წლებს. განსაკუთრებულად ამოტივტივდა მის მეხსიერებაში ისტორიის მასწავლებელი ალექსეი პეტროვიჩი, რომელსაც აღმერთებდნენ მოსწავლეები, როგორც შესანიშნავ მცოდნესა და დიდებულ პედაგოგს. ახლა აგონდება მისი ერთ-

¹¹ „დავითის გვირგვინი“, ტ. VIII, გვ. 146.

ერთი გაკვეთილი, რომელიც ეხება რუსების მიერ მონღოლთა დამარცხებას. ამ გაკვეთილზე მიღებული ძლიერი შთაბეჭდილების შესახებ მას უსაუბრნია მამამისთან. ამ უკანასკნელს გაღივებია და შვილისათვის წინადადება მიუცია, წაეკითხა საქართველოს ისტორიიდან მის მიერ მითითებული ადგილები.

აი, რას ფიქრობს ქართული ისტორიით აღფრთოვანებული ბავშვი: „იქაც და აქაც ერთი და იგივე მოვლინება! იქაც მოულოდნელად დაეცემიან იმათ თავზე თათრები და აქაც ჩვენ მოულოდნელად გვესხმებიან. ერთსა და იმავე დროს რუსეთიც აკვნესდება ულელქვეშ და აქაც საქრისტიანო საქართველო მიიღებს მაჰმადიანისაგან წმინდა მოწმობას! იქაც, ცხრა მთას იქით, და აქაც, ჩვენში, ერთმანეთის შეუტყობლად, ამბობდება ხალხი და თათრების მტარველობას იშორებს თავიდან! იქ სერგი მეუღდაბნოე ამხნევებს ლოცვა-კურთხევით რუსის ჯარს და აქ, ქართველებს, — არსენ კათალიკოსი. აქაც და იქაც ორგანვე შენიშნავენ თეთრ ცხენზე მჯდომარე მეომარს, წმინდა გიორგიდ მიღებულს, და დასასრულ, იქაც დიმიტრი ღონელი და აქაც, — დიმიტრი თავდადებულის მიზეზით აგზნებული გიორგი!.. ნუთუ ესეები ყველა არ ამტკიცებს, რომ განგებებს წინ და წინ ვე მოუნდომებია ამ ორი სხვადასხვა ხალხის ქრისტიანულის კავშირით ერთმანეთზე გადაბმამა?“¹² (ხაზი ჩვენია — ო. გ.). ბოლოს დასძენს, რომ ამისთანა ფიქრები მომდიოდა და შარავანდედით გაბრწყინებული მენახტებოდა რუსეთით.

აწის შემდეგ მოწმე ვხდებით ამ ყმაწვილის ასეთი სიზმრისა: „მოსხივცისკარე სამოსით გაბრწყინებულ ტახტზე იჯდა ქრისტე, იმისკენ მისწრაფოდა ხალხიც. წინ მიუძლოდათ მათ ორი გვირგვინოსანი მეფე დიმიტრი თავდადებული და დიდი თავადი დიმიტრი ღონელი. იმათ აეღოთ ჯვარი ორივე მხრით და მიჰქონდათ, რომ დაესვათ ქრისტეს ტახტის წინ და გაემაგრებინათ. იმათ მისდევდა ჯარი ერთის მხრით რუსის და მეორეთი ქართველები... გალობდნენ რუსები... ეხმატკილებიან ქართველები და ხმა უხილავი ბანს აძლევს მალღიღამ. საკვირველია, რომ სხვადასხვა ენაზე გალობდნენ, სხვადასხვა კილოთი და ჰარმონია კი ერთია: ციური და მომხიბლავი!.. ქრისტე თან სწორად აკურთხებს ორივეს. (ხაზი ჩვენია — ო. გ.).

აი, სად ყოფილა ქვეშარიტება! მაშ ეს არის სასუფეველი? — დავიყვირე და კიდევ გამომეღვიძა იმ ჩემ ხმაზე. იმაზე უფრო უნეტარესი დილა მერე მე აღარ გამთენებია!.. სუყოველგან რუსები მელანდებოდნენ! ასე გასინჯეთ, რომ ლოცვის დროსაც კი ხატის წინ რუსები მეჩვენებოდნენ და რაღაც გამოუტყვეველ უცნაურ ძალას მივყავდი მათკენ“¹³.

ცხადია, ეს სიზმარი, ფაქტიურად აკაკის სურვილია, მისი თვალსაზრისია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა განამტკიცებს რუსი და ქართველი ხალხის შვიდრო პოლიტიკურ კავშირს, მათ ნამდვილ მეგობრობას, რომელიც, მისი აზრით, მეტად საჭირო და აუცილებელია.

მაგრამ ქვემოთ ისეთი ამბების მხილველი ვხდებით, რომ ყველაფერი თავდაყირა დგება და მწერლის ოცნებასაც ფრთები ეკვეცება. მეორე დღეს, როდესაც საქართველოს ისტორიით აღფრთოვანებული ბავშვი სკოლაში მივიდა და თავისი სიხარულის მიზეზი ამხანაგებს გააცნო, ყველას ესიაომენა,

¹² „ორი სიზმარი“, ტ. VIII, გვ. 197—198.

¹³ იქვე, გვ. 198.

მაგრამ, ალექსი პეტროვიჩმა, ზედამხედველმა და სკოლის დირექტორმა შეიტყვეს თუ არა ამის შესახებ, სასტიკად გაწყურნენ, ძლიერ დატუქსეს იგი და მკაცრად გააფრთხილეს, რომ ქართული წიგნებისათვის აღარ მოეცილებინა ხელი, თორემ დაუყოვნებლივ გააგდებდნენ სკოლიდან. მაგრამ მალე იგი იძულებული გახდა, ქართული სახარებისათვის მიემართა, რადგანაც სლავიანურ ენაზე დაწერილს ვერაფერი გაუგო. როდესაც ეს შეიტყო რჭულის მასწავლებელმა, ცოფი გამომანთხია და აღშფოთებით უთხრა: „ჰმ!.. მაშ აგრე?.. ჩვენი წმინდა სახარება, სამართლმადიდებელი და საქრისტიანო, მიაგდე განზე და ამას ამჯობინე თქვენი, რაღაც ძაღლის ენაზე დაწერილი წიგნი? მართლა რომ შენი გასწორება ძნელი ყოფილა“¹⁴.

როდესაც ყმაწვილმა დედ-მამას უამბო ამ მეტად შეუთრაცხმყოფელი ფაქტის შესახებ, მათ გადაწყვიტეს შეიღოს სკოლიდან გამოყვანა. მართალია, გრძობდნენ, რომ ეს არ იყო კარგი, მაგრამ „წაწყვედას ყველაფერი სკობილა“, — ინუგეშეს თავი. თავად ბავშვი კი ამ დროს შემდგეს ფიქრობდა «როგორ? ის ენა, რომლითაც მოციქულთა — სწორი, წმინდა ნინო ქადაგებდა და ავრცელებდა საქართველოში ქრისტეს მცნებას — ძაღლის ენაა? ის ენა, რომელზედაც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდნენ ჩვენი წმინდა მამები ღვთის სამსახურს, უწმინდურია? თუ არ ეკადრებოდა ღმერთსა, მაშ რისთვის ვიტანჯებოდით ამდენ ხანს მისი გულისათვის? ჩვენი წმინდა მოწაყებო, რატუნისათვის რომ იტანჯებოდნენ, მაშ სულ ტყუილი იყო? და ჩვენი წარსულრიც — „ამაო-ამაოა“?»¹⁵.

გაოგნებულ ბავშვს ჩაეძინა და ახლა ასეთი სიზმარი ნახა:

„იმ ტახტს, სადაც ადრე ქრისტე ღმერთი იჯდა, ცეცხლი მოჰკიდებოდა და ზედ ანტიქრისტე ზის, ორივე მხრით უწმინდურთა რაზმი შემოხვევია, მათი მეთაური იუდა და კაინი არიან. მეც ბევრი მათგანი ვიკანი. მთელი საყდარი დაქცეულია და მის ნაცვლად აუფიათ კერპთ სადგური, სადაც ქურუმები თამამად ასრულებენ კერპთმსახურებას.

ბიკოს!.. აკი ესენი გუშინ ქრისტიანები იყვნენ?! დღეს სამოსელი გადაუვდიათ და კერპთთაყვანისმცემლობას აღიარებენ! „შეეწირეთ მსხვერპლი მამონსაო!“ — იძახიან. სისხლიანი დანით ხელში მიაბრუნინებენ სამსხვერპლოდ განწირულ ახალგაზრდებს ვილაც გამხეცებულები! ღმერთო ჩემო! რანაირად მოგავან ესენი იმ ჩვენს მოძღვრებს და აღმზრდელებს!.. ეს სამსხვერპლო ბავშვები... ესენიც ხომ ჩემი ამხანაგები არიან? რად მიჰყავთ ძალით ჯოჯოხეთში?.. აი, სად ყოფილა ჯოჯოხეთი! ცეცხლი მეკიდება, აგერ სადაც არის გული შემიწუხდება! მაგრამ დილოცა ღვთის სამართალი... დაიფლვა, ყოველი გაანათლა; დაიქუხა და გაუარდა მეხი, მოხვდა ანტიქრისტეს და ისიც თავის თანამოზიარეებით ჩავარდა ქვესკნელში.

შორით გამოჩნდა ნათლის სვეტი და თან მოჰყვება ქრისტე, ცოდვილთა და მართალთა განსასჯელად“¹⁶.

აღნიშნულ მოთხრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ მწერლის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გარკვევის საქმეში. ამიტომაც დავესესხეთ ასე უხვად მის ადგილებს. აკაკიმ ამ ნაწარმოებში, ერთი მხრივ,

¹⁴ „ორი სიზმარი“ ტ. VIII, გვ. 201.

¹⁵ იქვე, გვ. 202.

¹⁶ იქვე, გვ. 203.

მკითხველს დაანახა, როგორი უნდა იყოს, რას უნდა ეყრდნობოდეს, რა უნდა განსაზღვრავდეს ერთა მეგობრულ კავშირს, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი სისრულით დახატა, თუ ფაქტიურად როგორია, რა განაპირობებს, რა ამოძრავებს უკვე მტრად ქცეულ მოკავშირეს ამ ურთიერთობაში. დამოწმებული ადგილების მიხედვით ფარდა ეხდება მეფის რუსეთის ბოროტ განზრახვებს. მის მიერ ქართველი ხალხის ყოველმხრივ დაქვეითებასა და დაბეჩავებას, ზნეობრივად გადაგვარების, ერის ასიმილირების პოლიტიკის წარმოებას, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული ნიადაგიდან მოწყვეტის დაუოკებელ სურვილს.

მწერლის მახვილი თვალი კარგად ხედავს ანტიქრისტიესა და მისი ხროვის, უწმინდურთა რაზმის შავბნელ საქმეებს, მათ მიერ ძველი საყდრის მოშლისა და კერპთმსახურების შემოღებით თავდამტყდარ უბედურებას. იგი იმასაც ჩინებულად ჰვრეტს, თუ რა მოჰყვება ყოველივე ამას. განსაკუთრებით მაინც დედაენისა და ქართველი ბავშვების ბელი აწუხებს მგოსანს. მისი აზრით, ჩვენი ახალგაზრდობა, რომელსაც რუსულ ყაიდაზე ზრდიან, სამსხვერპლოდ არის განწირული, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან დგას. მათ სისხლიანი მახვილით მიერეკებიან უფსკრულისაყენ. არც ქართული ენა არის კარგ დღეში. იგი ხომ ძაღლის ენად შერაცხეს და ყველგან ამოაღმგევიინეს ფეხი. აკაკის ვერც ის აუტანია, რომ ჩვენი ხალხის ისტორიას ანგარიშს არ უწევენ, აყალბებენ და აძულებენ მოსწავლეებს, რომ წარსულს გვიგინებენ და მამა-პაპათა დეაწულს არად აგდებენ.

აი, ამგვარმა ჩამუქებულმა და ჩამონისლულმა სინამდვილემ მოჩვენებად უქცია, ეშმაკეულად წარმოუდგინა მწერალს პირველი სიზმრის დიდებული ხილვანი და ჩაუფარცხა მისი ინტერნაციონალური მისწრაფებანი. მიუხედავად ამისა, ა. წერეთელი მოთხრობას მაინც ოპტიმისტურად ამთავრებს. მას სჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც ელვა გაანათებს, მოჰყვება მას მგხი, დაეცემა ანტიქრისტეს ტახტს და თავის თანამოაზრეებიანად გადაუძახებს ჯოჯოხეთში. სამაგიეროდ ამ ადგილზე აღიმართება ნათლის სვეტი, მოვა ქრისტი და განიკითხავს ცოდვილთა და მართალთა. ეს ყველაფერი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების, მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ გალაშქრების, მისი დამხობის, ერთა თავისუფლების, სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვების, ხალხთა შორის მეგობრობის დამყარების რწმენის მშვენიერი სიმბოლიკაა.

მართალია მწერალი ამ იმედით სულდგმულობს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას მაინც უგმირავს გულს ის, რაც ძლიერ აწუხებს დედა მარიამს („კუდაბზიკეთი“): წარსული გაქრა და ახალს ჯერ არ უჩანს კარგი პირი. საკითხავია, ვაუძლებს თუ არა საქართველო იობის განსაცდელს? ხომ არ გაჰყვება იგი ეშმაკეულის გზას? იესოს დაპირება, მართალია, ცოტა იმედის მოცემია, მაგრამ ეშმაკსაც ხომ არ დაუყარავს თავისი ძალა და არ შეუცვლია თავისი ბოროტი ბუნება. ასე რომ, ხიფათი მაინც რჩება ძალაში, თუ საწაღმართო გზას არ დაადგა ხალხი, არ დააღწია თავი შინაურ მტრობას და არ შეემზადა კინკველეთის (მეფის რუსეთის. — ო. გ.) წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისათვის. აკაკის აზრით, მეფის ხელისუფლება უნდა დაემხოს, რადგანაც ყოველგვარი ბოროტების სათავე იქედან იწყება. მწერალი დაუზოგავად ამხელს ცარიზმის ბარბაროსულ პოლიტიკას, სააშკარაოზე გამოაქვს ის საშინელება-

ნი, რასაც მიმართავენ ხელისუფალთა წარმომადგენლები დამორჩილებულ ქვეყნებში. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ყველაზე ბევრის მქმელია მოთხრობა „ნამდვილი ამბავი“. მაშინვე ა. ყაზბეგის მოთხრობები და რომანები გაგახსენდებათ, როცა კითხულობთ აკაკის ამ ნაწარმოებს. როგორც ყაზბეგის თხზულებებში, აქაც გულშემხარავი სურათებია დახატული ყაზახ-რუსების მიერ ჩვენი ხალხის აკლები-აწიოკებისა, აბუჩად ავადებისა, ქართველ ქალთა ნამუხის ახდისა, დამსჯელი რაზმების თარეშისა.

ნაწარმოებში ერთი ძლიერ დასახიჩრებელი კაცის თავგადასავალია მოთხრობილი. იგი მწერალს უყვება, რაც შეემთხვა რამდენიმე წლის წინ. მაშინ თურმე სტრატეგიად მსახურობდა და მთავრობასაც კარგად ჰყოლია მიღებული. როგორც რუსულის მცოდნე, კაზაკების ერთი ჯგუფისათვის მიუმაგრებიათ, რათა წინამძღოლობა გაეწია მათთვის უცხო ადგილებსა და ხალხში თარეშის დროს. თავიდანვე არ მოსწონებია მას ეს, მაგრამ ბრძანების წინააღმდეგი ვეღარ წასულა. იგონებს რა მწარედ ამ მომენტს და მის მიერ ჩადენილ ბევრ უმსგავსებებს, დასძენს: „პირველ ხანებში ცოლით ვიწვოდი: მაგრამ საკვირველი ყოფილა აღამიანი... ყოველიფერ სისაძაგლეს მიეჩვევა თურმე: ბოლოს და ბოლოს მეც შევეტოპე უწმინდურობის წუმპეში და ერთიც ვედარავინ მჯობდა ძარცვა-გლეჯაში! მით უფრო, რომ ნაძარცვეში მეც წილი მეღვა ხოლმე და სოფლელების წივილ-კივილი აღარაფრად მიმაჩნდა“¹⁷.

გლახა ბევრ მაგალითს ასახელებს ისეთს, რომელიც ფარდას ხდის მთავრობის ერთგული მსახურების აღვირახსნილობას, მხეცობას, მათ სიძულვილს ქართველი მშრომელი და პატიოსანი ხალხისადმი. თითქოს შაჰ-აბასი ყოფილიყო, ურიადნიკმა განკარგულეობა მისცა მამსახლისს, თორმეტი ქართველი ქალი აერჩია სოფელში და დაუყოვნებლივ მიეგვარა მისთვის. მაგრამ ყველაფერი ეს აღარაფრად მოჩანს იმ ამაზრზეგ ფაქტთან შედარებით, რაც პირუტყვი უნით გატაცებულმა კაზაკებმა ჩაიდინეს დედა-შვილის მიმართ. აი, რას ამბობს გლახა: „ჭერ შუა გზა არ გვექნებოდა გავლილი, რომ ერთი თავდაღმართი დაგვიხვდა ჩასავლელი. იქ, იმის ძირში წყაროს პირად ვიღაც ქალი კოკას ავსებდა წყლით, თანაც 9—10 წლის ქალი ახლდა. ბავშვმა, როგორც კი მოგვეკრა თვალი, შეკვილა... დედა წამოვარდა ზეზე და დამფრთხალ ირემივით შევარდა ტყეში. ბავშვი იქვე დარჩა და მოჰყვა ღრიალს. მოცივიდნენ კაზაკები, სტაცეს ხელი ბავშვს და დაუწყეს წვალება, დედა, სასოწარკვეთილი, გამოვარდა ისევ ტყიდან და შემობღავლა გამხეცებულებს: „მაგას ნუ ერჩით, ანგელოზია, გაუშვით ხელი და მე, რაც გინდათ, მიყავით! გინდ მომკალიო!“ — ვინ რას გაუგონებდა? სიცილ-ხარხარით წააელეს ხელი დედას, მაგრამ შვილისთვისაც არ დაუნებებიათ თავი. რაც იქ მაშინ ამბავი მოხდა. ის მეორედ წულა მაჩვენოს დემრთმა!.. დედას პირზე დააქირეს ხელი. ბავშვის წივილ-კივილი ცამდის აღიოდა. ვინ იყო გამგონე?! დედა-შვილი დიდი ხნის გულშემოყრილი იყვნენ, რომ კაზაკები თავის პირუტყვეულ გრძნობას აქმაყოფილებდნენ. ბოლოს, როცა ვული იჭერეს, მომიბრუნდნენ მე: — „ახლა შენ მოდიო!“ — მე, რასაკვირველია, უარზე დავდექი და აღარც ცოცხალი და აღარც

¹⁷ „ნამდვილი ამბავი“, ტ. VIII, გვ. 230—231.

¹⁸ იქვე, გვ. 230.

მკვდარი, გავყევი მათ სადგურისაკენ. იმ ღამეს აღარ დამძინებია. ვფიქრობდი, დამენებებია თავი სამსახურისათვის, მაგრამ საღდა უნდა წავსულიყავი?¹⁹.

მწერალს თითქოს არც გაჰყვირებია აქ რა, ისე შენიშნა გლახას: „მაგის-თანებთ და მაგაზნად უარესები ბევრი რამ ხდებოდა იმ დროში“. შემდეგ კი იმით დაინტერესდა, თუ რატომ იყო ასე საშინლად დასახიჩრებული მისი თანამოსაუბრე. გამოიკვია, რომ გლახას ერთ გიორგობა დღეს საყდარზე ვილაც ფუთელი გლეხის ქალი გაუცენია, მოხიბლულა მისი სილამაზით და შეჰყვარებია ძლიერ. შეუთვლია კიდევ მშობლებისათვის, რომ მიეთხოვები-ნათ თავიანთი ქალიშვილი. დედ-მამას ძალზე გახარებოდათ ეს ამბავი, მაგრამ ქალს შორს დაუჭერია თავი და განუცხადებია: „ქალთაპირს არ წაყვებო! ოქროში რომ ჩამსვას და თვალ-მარგალიტით შემკედოს, მაშინაც არ მინდა ქვეყნის მძარცველიო. იმას რომ წაყვე, მერე რაღა პირით უნდა შევხედო სოფელსო?“²⁰.

გლახა დიდ საგონებელში ჩავარდნილა: აღარ დაუძინებია, შემდეგ მადა დაჰკარგვია, აღარავის გაჰკარებია, მარტოობისათვის მიუცია თავი. თურმე ჭავ-რითა და სირცხვილით იწვოდა. ზოლოს რამდენიმე ამხანაგისათვის გაუნდვია ეს საიღუმლო ციებ-ცხელება. მათ ჯერ სიცილი დაუყრიათ, ხოლო შემდეგ ურჩევიათ: „სადაც ნებაყოფლობა არ არის, იქ ძალა უნდაო... წავიდეთ, დაე-ცეთ თავზე იმ გლეხსო. დაემა და აკლება ხომ ჩვენს ხელთ არისო? ჩვენც და-ვეცემით იმ გლეხს თავზე, ვითომ დასაწვავად და ასაკლებად, შენ კი გამო-ესარჩლე, გადაარჩინე და ისინი მადლიერი დაგრჩებიან და შენ სიძვირასაც სელს ჩაჰკიდებენო!.. და თუ არა და მერე მართლა მოვიტაცოთო!“

ეს რჩევა ჰქუთაში დასჯდომია და საღამო ხანს მისდგომიან ნიშანში ამო-ღებულ გლეხს. აქ კი ასეთი ტრაგედია დატრიალებულა: „დედაბერმა კარი გააღო, გამოიხედა და რომ დაგვიანხა, დაიყვირა: — „ვაიმე, მოდიანო!“ და წამოხურა ისევ კარები. აქედან ჩვენ მივაშურეთ, შევამტერიეთ კარი, შევედით სახლში, მაგრამ ცოლ-ქმარი უკანა კარებში გავარდნილიყვენ და შინ მხო-ლოდ ჩემი მოწონებული გოგო იყო. დაკაპიწებულს გობში ჩაეყო ხელები და ცომსა ჰხელდა. — „რა გნებაეთო?“ — მოგვაძახა და წამოდგა ზეზე. კახაკი მივარდა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. გაფთრებულმა ქალმა ისეთი სილა გაარტყა, რომ „პრისტავს“ შეეხარებოდა. ერთ შუბის ტარზე „გადააფურ-ცუნა“. ვალახულს მეორე მიეშველა, მაგრამ ქალი ორივეს გაუძალდა. ღმერ-თო ჩემო, რა კარგი სანახავი იყო იმ დროს ის დალოცვილი: სახეანთებული, ცხვირის ნესტოებგაბერილი, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა და ორივეს იგე-რიებდა. იმ ორს მესამეც მიემატა, წააულო ფეხებში ხელი და დაცა. მე კარებ-თან ვიყავ ატუზული. ქალმა ერთი შემომხედა და შემომძახა, — ქრისტიანი არა ხარო?! შეგირცხვეს ქართველობა და ეყუკობაო და დააპირა დამორჩი-ლება. მაშინ კი მივხედი, რომ ის მართლა ძალთაპირები, ჩემთვის არ სცდილობ-დნენ. მომეკიდა ცეცხლი და მივევარი გამხეცებულებს; ვსტაცე მათ ხელი, მიეწი-მოეწიე, აქეთ-იქით და გავაშვებინე. ქალიც წამოვარდა და გავარდა უკანა კარში!..

მაშინ გამწარებული კახაკები ლანძღვა-გინებით მომიბრუნდნენ. იშიშვლეს ხანჯლები და წამაშინეს თავპირში. მალე დაეკარგე გონება და მერე აღარა მახ-

¹⁹ „ნამდელი ამბავი“, ტ. VIII, გვ. 232.

²⁰ იქვე, გვ. 233—234.

სოვს რა! საავადმყოფოში გამოვერკვიე, ხუთი თვე ვიწექი, და რომ მოვჯობინდლი, გამოვეარდი აქეთკენ: ყველაფერი მივატოვე“²¹.

— არ გიჩვილიაო, — ჰკითხა მწერალმა. გლახამ უპასუხა:

— ეიზე? მე ვინ დამიჯერებდა... ქართველს? ეტყობა, პირიქით, იმათვე მიჩვილეს, რომ დამეძებენ დასაქერად.

— რატომ არ იცოდი, რომ არ გაგიტანდნენ? ისინი, სანამ ეპირებები, დაგიყვავებენ და თავისას რომ გაიტანენ, მერე აღარც შენ დაგზოგავენ. ასე იციან საზოგადოდ. — მიუგო პოეტმა.

აი, რეალისტური სურათები იმ ძალშომრეობის, არაადამიანურობის, მხეცობისა და სისაძაგლისა, რასაც ჩადიოდნენ საქართველოში მეფის რუსეთის გადაგვარებული მოხელეები და დამსჯელი რაზმები. ისინი ყოველთვის ზემოდან დასცქეროდნენ ჩვენს ხალხს, მოითხოვდნენ მათგან ყურმოჭრილ სამსახურს, ერთგულებას, მონა-მორჩილებას, დაუზოგავად და უსირცხვილოდ აფათურებდნენ ხელს მშრომელი ხალხის სულის სიღრმეში და არაფრად აგდებდნენ მის შერყვნასა და წაბილწვას. არ იცოდნენ დანდობა, შედრალეობა, ანგარიშის გაწევა, დიდისა და პატარას გარჩევა, მართალ-მტყუანის განსხვავება. მამაპაპური წესისა და ადათის ფასი, მშობლიური, დამძური, ცოლქმრული სიყვარულისა და ოჯახის სიწმინდის განუზომელი მნიშვნელობა ქართველი კაცის თვალში. ქართველისათვის არც სამართალი არსებობდა და არც ნდობა, ყოველთვის ეპკით უყურებდნენ. ამცირებდნენ, თავიანთ ბინძურ საქმეებში ითრევდნენ, წინ გაიგდებდნენ ბოროტი საქმის აღსრულების ეამს და შემდეგ ცივად ჰკრავდნენ ხელს. ყოველივე ეს კი იწვევდა ეროვნულ შეუღლსა და მტრობას, ხალხთა ურთიერთ გადაკიდებას, რაც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პუნქტს შეადგენდა.

გლახას სახით აკაკიმ დახატა სწორედ ამგვარი რეჟიმის შედეგად სწორ გზას ამცდარი და თავისი ხალხის მოღალატედ ქცეული ქართველი, რომელმაც დაგვიანებით შეიგნო მისი დიდი დანაშაული, მისი სიბრმავე იმ პოლიტიკის მიმართ, რომელიც ალატაკებდა, ოჯახებს უქცევდა და სულს ხდიდა ჩვენს ხალხს. როცა გლახა ყველაფერში გაერკვა და გონს მოეგო, დაუფარავად აღიარა: «წუხელის ძილი რომ გამიტყდა, გაეთვალისწინე, რაც ჩემი თანდასწრებით მომხდარა, და შიშმა ამიტანა. გავუსვი ლოცვას ხელი. პირჯვარი დავიწერე და სამჭერ ვსთქვი: — „წმინდაო გიორგი, დამიფარე-მეთქი“»²².

აკაკი მარტო გადაგვარებულ გლახასა და ყაზახ-რუსებზე როდი აჩერებს ყურადღებას ამ მოთხრობაში. იგი ცარიზმის სამსახურში „გამოსუქისინებულ“ სხვა ქართველებსაც ამათრახებს, რომლებმაც დაივიწყეს მამული, ხალხი, ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, ყველაფერი ანაცვალეს და დაუქვემდებარეს მტრის ნება-სურვილსა და პირადი „ღირსებების“ ამღლებების საქმიანობას.

მწერალი აღნიშნავს, რომ ეს მერყევი და „გამოსუქისინებული“ ელემენტი, რომელიც უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი გახდა, თანდათან ხდებოდა მტრის დასაყრდენი ძალა. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი რეაქციის პერიოდში. მოძრაობის დროს ბევრი მათგანი ტერორისტად იყო გასული და ვინ იცის, რა უღირს საქმეებს არ ჩადიოდნენ. „იმ დროს, როცა ნამდვილი სოციალის-

²¹ „ნამდვილი ამბავი“, ტ. VIII, გვ. 234—235.

²² იქვე, გვ. 235.

ტები ციხეებში იყვნენ გამომწყვდეული, ისინი ხალხს ატყუებდნენ და სძარცვავდნენ. მათი სახელით ბევრ რამეს ცუდს ჩადიდდნენ და ნამდვილ სოციალისტებს სახელს უტეხდნენ. სანამ დრო ჰქონდათ, იქით იყვნენ და რეაქცია რომ დადგა, აქეთ ვაღმოვიდნენ. მთავრობას მიმართეს: ზოგი სამსახურში შევიდა ზოგმაც ჭაშუშობას მიჰყო ხელი, რომ რამე შეეძინათ²³.

მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისისა, ზოგიერთ პრინციპულ საკითხში ა. წერეთლის სიმართლები და თანაგრძნობა ქვემარტივ სოციალისტებისადმი ექვს არ იწვევს. მწერალი ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ ესენი არიან თანმიმდევრულნი, შეუპოვარი მებრძოლნი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და ამიტომაც ხვდათ წილად მათ ციხე და გადასახლება. ზოლო ვინც ხალხსა და სამშობლოს ინტერესებს ყოველთვის ივიწყებდა და მტერს უჭიციებდა კუდს, ახლა, ამ მძიმე მომენტში, რისხვად მოვევლინა თავისიანს, გადაწვა და გადაბუჯა მათი სახლ-კარი, ტყვია ჰკრა გულში თავის მოძმეს. ყოველივე ეს მგოსანს გულს უწყულულებს, რადგანაც ქართველთა ასეთი გამყიდველური პოლიტიკა დიდი უბედურების მომასწავებლად მიაჩნია. ის კარგად ხედავს, რომ ციხე არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც ტყდება და იქცევა. ამიტომ არის, რომ მწერალი, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს ამ ფრიად საშიშ მოვლენას, ხმაშაღლა უყიყინებს მტრის ალერსით მოხიბულ ფარისევლებს, საქვეყნო-სახალხო ინტერესებზე ზედღებულ ლაქიებს, კიცხავს და მწარედ დასცინის მათ. საზოგადოებას კი მოუწოდებს სიმტკიცისაკენ, ძმობისა და ერთობისაკენ, ერის სადარაჯოზე ფხიზლად დგომისაკენ. მან ჩინებულად იცის, რომ ერთსულოვნების, მაღალი შეგნებულობისა და გაბედული შეტევის გარეშე მტერი არ დათმობს პოზიციებს. იგი ქადაგებს, რომ ზოგჯერ დროებითმა უკან დახევამ და წარუმატებლობამ არ უნდა შეგვაშინოს, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაზე ხელი არ უნდა ავიღოთ. მაგრამ, აკაკის აზრით, მიზანი მიუღწეველი იქნება, თუ არ გავიჯავალისწინეთ ორი რამ მაინც: ერთი, აუცილებელია ყველა ქართველის, მაღალი წოდების წარმომადგენელია იგი თუ დაბალის, საეროა თუ სამღვდელო, ერთ მთლიან ძალად ქცევა, ხოლო მეორე — სოციალური თანასწორობის დამკვიდრება.

ა. წერეთლის კონცეფციით, მხოლოდ ამ გზით უნდა მოხდეს ერის კონსოლიდაცია, მისი ერთ მონოლითურ ძალად შეკვრა ცარიზმის წინააღმდეგ მმართველ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

აღამიანთა ეკონომიურ-უფლებრივი თანასწორობა, შეუპოვარი ბრძოლა მეფის ხელისუფლებისა და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული, მასების შეგნებულობისა და კულტურული დონის ამაღლება, ეროვნულად თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო, ჰუმანიზმი, მგზნებარე პატრიოტიზმი, — აი ა. წერეთლის მაღალ-მხატვრული პროზის წარმმართველი იდეები, რაც, მსგავსად სხვა ეანრის თხზულებათა, ყოველთვის უნარჩუნებს მათ დიდ ეთიკურ-აღმზრდელობისა და ესთეტიკურ-შემეცნებითს ღირებულებას.

²³ „ნამდვილი ამბავი“, ტ. VIII, გვ. 231.

ჯეჰალ ზელიძე

ჰენრიკ სენკევიჩი და ქართული საზოგადოებრიობა

ჰენრიკ სენკევიჩი (1846—1916) სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა პოლონური ლიტერატურის განვითარების გარდატეხის პერიოდში. ამ დროს კრიტიკულმა რეალიზმმა დაამარცხა რომანტიზმის ეპიკონები და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. ჰ. სენკევიჩი თავიდანვე მიემხრო ახალ მიმართულებას და მისი აქტიური დამცველი გახდა, ყოველგვარი გადახვევა კრიტიკული რეალიზმისაგან მხატვრული ნორმების დარღვევად მიაჩნდა. ჰ. სენკევიჩი რეალისტურ პოზიციებზე შემთხვევით არ დამდგარა. იგი გრძნობდა, რომ ახალ ისტორიულ სინამდვილეს ახალი თვალი და ახლებური შეფასება ესაჭიროებოდა. ჰ. სენკევიჩმა სწორად განსკვრიტა, რომ ახალი რეალისტური მიმართულება მყარად იკიდებდა ფეხს ლიტერატურაში.

მწერლის მხატვრული სამყარო ძალზე დიდი და მრავალფეროვანია. იგი ერთნაირი ოსტატობით ხატავს, როგორც მცირე ფორმის ნაწარმოებს, ისე ფართო ტილოებს. მისი წერის სტილი ნათელი და გასაგებია. ამასთანავე ჰ. სენკევიჩს ახასიათებს ღრმა ფსიქოლოგიზმი. პოლონელი კრიტიკოსი ს. ეერომსკი სენკევიჩის მხატვრული თავისებურების გამო წერდა: „ჰ. სენკევიჩს არ შეუძლია აღწეროს ჩვენი წინაპრების ცხოვრება არქეოლოგიური სიზუსტით, როგორც ამას ი. კრაშევსკი ხატავს — იგი გადმოგვცემს იმ გრძნობას, რასაც ჩვენი წინაპრები გრძნობდნენ“¹.

ჰ. სენკევიჩის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდს წინ უსწრებდა ორი დიდი ისტორიული მოვლენა, რომელმაც ღრმა სულიერი ტრავმა მიაყენა პოლონეთის ერს: ჩახშობილია ორი რევოლუცია, პოლონელი ერი გათიშულია და დეპრესირებულია. და აი, სენკევიჩი ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებითაც მიზნად ისახავს გამოაცოცხლოს და სული შთაბეროს დასუსტებულ ერს. ამ განწყობილების ისტორიული რომანებია: „ცეცხლითა და მახვილით“ (1883), „წარღვნა“ (1886), „პან ელოდიევსკი“ (1887) და „ვიდრე ზეალ“ (1896).

თავის რომანებში ისტორიული მასალის შემოტანისას, გმირთა დახასიათებისა და გამოძერწვისას სენკევიჩს, როგორც წესი, ისტორიული პირი შემოჰყავს უცუელად, როგორცაა აღნიშნული ისტორიულ წყაროებში². ასეა დახატული ნერონის ფიგურა რომანში „ვიდრე ზეალ“³. მწერალი ეყრდნობა დიდძალ ისტორიულ მასალას. ზედმიწევნით კარგად იცნობს არამცთუ საკუთარი ერის ისტორიას, არამედ ანტიკურ ხანასაც. გარდა ამისა, ზოგჯერ სენკევიჩი ავსებს და უმატებს ისტორიული პერსონაჟის ისეთ მხარეებს, რომლის

¹ И. К. Горский, Польский исторический роман, М., 1963, стр. 115.

² И. К. Горский, Исторический роман Г. Сенкевича «Камо Грядеше», Учен. записки инст. славяноведения, 1960, т. XXI.

შესახებაც სათანადო ფაქტობრივი მასალა ნაკლებად მოეპოვება, კერძოდ, პეტრონიუსის სახე ამ გზითაა შექმნილი.

ხშირად სენეციუსის რომანში შემოჰყავს არაისტორიული პირი. რომელიც წარმოადგენს მხოლოდ შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფს. ამას იგი ისეთი ოსტატობით აკეთებს, რომ ექვიც არ შეგეპარებათ იმაში, რომ ეს პირი არ არის იმ ეპოქის შვილი, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს; პერსონაჟთა გაღერება ერთ ეპოქაში არსებულ პირებად გვევლინება (გლაკი, ხილონი და სხვ.). ყველა ეს პერსონაჟი პ. სენეციუსის დიდი ისტორიული ალლოს შედეგია. მაგრამ აღსანიშნავია პ. სენეციუსის ისტორიული კონცეფციის მცდარობა. ზოგიერთ რომანში, კერძოდ „ცეცხლითა და მახვილით“, მწერალი შლიახტურ ყოფას შლიახტური თვლით ხატავს. გარდა ამისა პ. სენეციუსი ზოგჯერ ვერ იცავს სათანადო ობიექტურობას პოლონეთის მოწინააღმდეგეთა ჩვენებისას.

ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, რუსეთშიც დიდად პოპულარული იყო პ. სენეციუსის შემოქმედება. ერთ-ერთი იმდროინდელი კრიტიკოსი პიოტრ ბიკოვი, იმასაც კი ამბობს, რომ სენეციუსი „კონკურენციას უწევს გრაფ ლევ ტოლსტოის, რომელთანაც მას ბევრი საერთო აკავშირებს და აქვს ერთი საერთო ნიშანი — დაუტყობელი ლტოლვა სიმართლისადმი“³.

თვით ლევ ტოლსტოი დიდად აფასებდა პ. სენეციუსს: „გუშინ ვკითხულობდი „უდოგმატოს“, ძალიან ზუსტად, სინატიფით არის აღწერილი ქალი-სადმი სიყვარული, უფრო ფაქიზად, ვიდრე აქვთ ფრანგებს, უფრო მგრძნობიარედ, ვიდრე ინგლისელებს“⁴. მაღალი აზრის იყო ჩეხოვი პ. სენეციუსის შესახებ: „დიდი სიამოვნებით წაიკითხე „უდოგმატო“, ძალიან ჰკვიანური და საინტერესოა“⁵.

პ. სენეციუსის ნაწარმოებებში მეტ-ნაკლებად ყოველთვის ჩანს ოპტიმიზმი და ბრძოლის პათოსი. მაგალითად, მოთხრობაში „ნახშირით ნახატი სურათები“ გმირი მებატონის სახლს გადაწევას, რადგან მასში იფეთქებს ამბოზი სული. სულ სხვა საქმეა, რომ ეს მხოლოდ სტიქიური ბრძოლაა არსებობისათვის და პიროვნული დამოუკიდებლობისათვის, ვიდრე გააზრებული და შეგნებული.

ზოგმა იმდროინდელმა კრიტიკოსმა სენეციუსი უბრალო სათავადასავლო რომანების ავტორად გამოაცხადა. პოლონეთში კი მწერალს შექსპირის, დანტესა და გოეთეს გვერდით აყენებდნენ, რა თქმა უნდა, ასეთი შეფასება გადკარბებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მაშინ ეს ჰენრიკ სენეციუსის დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა.

რუსულმა პროგრესულმა საზოგადოებამ პ. სენეციუსის თავისი მიუზღა და მსოფლიო ლიტერატურის სფეროში სათანადო ადგილიც მიუჩინა. მწერლის შემოქმედებაზე თავისი აზრი გამოთქვეს კრიტიკოსებმა: ა. წ. პიპინმა, ე. ს. ანტონოვიჩმა, ფ. გ. მისჩენკომ და სხვებმა. შეპელოვიჩმა ღრმად განიხილა პ. სენეციუსის რომანი „ვიდრე ხვალ?“ და სწორად შენიშნა, რომ იგი უფრო მეტ ისტორიულ მასალას იყენებს ძველი რომისა და კეისრის დახასიათებისას, ვიდრე ისტორიკოსი ტაციტუსიო⁶.

³ Г. Сенквич, Камо Грядеше, Петербург, 1902, гл. 5.

⁴ Л. Толстой, Дневник, 1890, 24 июня, т. 51, гл. 53.

⁵ А. Чехов, Письмо Лаврову, т. 12, гл. 38.

⁶ Г. Сенквич, Камо Грядеше, Вступ., Петербург, 1902, гл. 4.

რა სიმაღლეზე დგას ქართული ლიტერატურის სამყაროში პოლონელი ხალხის შვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰენრიკ სენკევიჩი? პოლონელი კლასიკოსის პ. სენკევიჩის სახელს საქართველოში უკვე 80-იანი წლებიდან იცნობდნენ; არა მარტო იცნობდნენ, არამედ თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს. ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები მისი შემოქმედების შესახებ. პ. სენკევიჩი იმდენად საყვარელი მწერალი იყო ქართველებსათვის. რომ ზოგჯერ მისი მოთხრობები რამდენჯერმე ითარგმნებოდა სხვადასხვა მთარგმნელის მიერ.

გასულ საუკუნეში როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში ეროვნული შეგნების გაღრმავება ხელს უწყობდა ისტორიულ-მხატვრული პროზის განვითარებას. ბუნებრივია, რომ XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მძლავრად აისახა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები და იმ ხანის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა მის ძირითად ასპექტად იქცა. გასული საუკუნის ისტორიული ხასიათის ქართული მხატვრული მწერლობა არ იცნობდა სხვაგვარ კონცეფციას, თუ არა ეროვნულს. ისტორია ეროვნულ თვითმყოფობის დამკვიდრების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ცოცხალი პროცესია; ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული ი. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, აკაკის, ნ. ბარათაშვილის, ვაჟასა და ალ. ყაზბეგის შემოქმედება. ამ მწერალთა თვალსაზრისით ისტორიული თემატიკისადმი მიმართვა ორმაგად მნიშვნელოვანი და სასარგებლო უნდა ყოფილიყო: ჯერ ერთი, თავისი წარსულის დიდების სურათთა ჩვენება შემატებდა ხალხს საკუთარი ღირსების გრძნობას, შეახსენებდა მათი წარსულის გმირულ ფურცლებს; მეორეც, ნაწარმოებში აღძრულ იდეურ-თემატურ შინაარსს დიდი ზეგავლენის ძალა ექნებოდა, რადგან მკითხველს საშუალება ეძლეოდა გაეცლო პარალელ სადღეისო ამოცანებსა და წარსულის ისტორიულ საკითხებს შორის⁷.

თუ დავაკვირდებით პოლონეთის მდგომარეობას, რომელიც საქართველოს მსგავსად რუსეთის იმპერიის ქვეშ გმინავდა, ენახავთ, რომ ქართველებსა და პოლონელებს ერთი ტყვილი ჰკლავდათ და იცოდნენ რა ნესტარითაც იყვნენ დაქრილები. ერთმა და იმავე ფიზიკურმა და სულიერმა ტყვილმა ამ ორ ერში მსგავსი ფსიქოლოგიური მოვლენები გამოიწვია. მშობლიური ენის დაბრუნებისათვის ბრძოლა პოლონეთსა და საქართველოში ერთდროულად მიმდინარეობდა. იაკობ გოგებაშვილი საქართველოში მშობლიურ ენაზე პირველი დაწეებითი სწავლების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს პოლონეთის მდგომარეობის დამოწმებით ანალიზებდა: „პოლონეთმა ისევ დაიბრუნა თავისი მშობლიური ენა, ქართული კი ისევ შავს მანარაშია გამოხვეული, რომელიც მას რამდენიმე წლის წინათ წამოასხეს“⁸. ამავე საკითხებს ეხება ს. მესხისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა წერილები. პოლონეთში მშობლიური ენის აკრძალვის საქმესთან დაკავშირებით ჩვენი პრესა წერდა, რომ ეს არის საშინელი ფაქტი და, რომ მხოლოდ სამშობლო ენა აღზრდის რიგიანად ახალ თაობას და არა რომელიმე სხვა ენა⁹.

ბევრი პოლონელი გადმოსასლეს საქართველოში, ამ „სამხრეთ ციმბირში“, და ბევრ ქართველ საზოგადო მოღვაწეს მოუწია პოლონეთში იძულებითი

⁷ გ. კ ა ნ ვ ა ვ ა, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ., 1969.

⁸ ი. გოგებაშვილი, თხზ., სრ. კრებული, ტ. III, გვ. 336.

⁹ „ღრობა“, 1884, № 5, გვ. 5.

ცხოვრება. ერთ-ერთი მათგანი გიორგი ერისთავი იყო. ერისთავისათვის პოლონეთში ყოფნამ უქმად არ ჩაიარა. აი, როგორ შეაფასა აკაკიმ გ. ერისთავის ეს პერიოდი: „იგი მოხვდა ისეთ ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდა პოეტის ნორჩი ბუნება თავისუფლად შესარგებ და გამოსაფხიზლებელ საზრდოს იშოვნოდა ჭკუა-გონებისათვის. დაპყრობამდენიმე წანი ვარშავაში და იქ, გამოჩენილის მიცქევიჩისა და სხვა მოწინავე იტაურ მამულისშვილების გავლენით გაიკვლია გზა: მიხვდა, რომ ციური ნიჭი ქვეყნის სამსახურად და არა საპირადო რამედ ეძლევა კაცსა და რომ მწერლობა არის უძლიერესი იარაღი, რომელიც სი-მართლით უნდა ილესებოდეს და უზუსტად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ... რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემო-მოყვანილ პირობებს, რასაკვირველია, რომ გ. ერისთავიც ამგვარი იყო“¹⁰. გ. ერისთავმა დიდი ღვაწლი დასდო ქართველ ერს. პოლონეთში მიღებულმა ცოდნამ დიდი ბიძგი მისცა მის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა გ. ერისთავმა პოლონურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პროზად თარგმნის საქმეში.

შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ პოლონეთში იქმნება ე. წ. „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“¹¹. ეს ფაქტიც მნიშვნელოვან ნააეღს ჰყენს იმდროინდელ ქართულ და პოლონურ პროგრესულ საზოგადოებას შორის არსებულ სულიერ კავშირებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პოლონელი მკითხველები სენკევიჩს ხშირად მიმართავდნენ, არ მოეკლა ამა თუ იმ ისტორიული საწარმოებების რომელიმე გმირი. უნებლიეთ ვკახსენდება ალ. ყაზბეგის მოთხრობის „ელგუჯას“ ბედი. ალ. ყაზბეგმაც ამ მოთხრობის მთავარი გმირი ელგუჯაც მკითხველთა თხოვნით „გააცოცხლა“.

მე-19 საუკუნის ევროპული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის მრავალი მოვლენა რუსეთის გზით შემოდის საქართველოში. ეს მოვლენები ქართულმა ლიტერატურამ თავის თვალთახედვის პრიზმაში გადატეხა და გადაამუშავა.

3. სენკევიჩის შემოქმედებით ქართველი მოწინავე საზოგადოების დაინტერესებისათვის ნიადაგი მზად იყო. კრიტიკული რეალიზმი გაბატონებულ ლიტერატურული მიმდინარეობა იყო, რომლის სათავეებიც 40—50-იანი წლებიდან იწყება და თერგდალეულთა მიერ მკვიდრდება და ვითარდება.

XIX საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში უცხოელი მწერლებიდან საქართველოში 3. სენკევიჩი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შემოქმედია. 1901 წელს გაზეთი „კვალი“ წერდა: „ოდესიდან გვწერენ, იტაურმა ქართველმა სტუდენტებმა დეპეშით მიულოცეს სენკევიჩს 25 წლის ბელეტრისტული მოღვაწეობის იუბილზე“¹². 3. სენკევიჩისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა აკაკი წერეთელი. რომელმაც სენკევიჩის რომანი „ეიდრე ჰხვალ, უფალო?“ პიესად თარგმნა. ეს პიესა ქართულ სცენაზე წარმატებით იდგმებოდა¹³.

1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც პოლონელი ხალხის მიწა-წყალსაც შეეხო, პოლონელები საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა. 3. სენკევიჩი მღელვარე მოწოდებით გამოეხმაურა ამ ამბებს. ეს მოწოდება დაიბეჭდა

¹⁰ გ. ერისთავი, თხზულება, შესავალი, თბილისი, 1884.

¹¹ გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია, გვ. 100.

¹² „კვალი“, 1901, № 2, გვ. 23.

¹³ ტურნ. „ნიშადური“, 1808, № 43.

„თემის“ ფურცლებზე სათაურით „პოლონეთის გოდება“¹⁴. ჰ. სენკევიჩი მოუწოდებდა მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას აღემაღლათ ხმა პოლონეთის დასაცავად. აი, რას სწერს ჰ. სენკევიჩი: „ჩვენი მხარე გადაიქცა ბრძოლის ველად ევროპისათვის, ჩვენი ახალგაზრდობის მილიონის სამი მეოთხედი რუსეთის არმიასა, დანარჩენი მილიონის სამი მეოთხედი გერმანიისა და ავსტრიის არმიაში იბრძვიან. როცა ბრძანება გაისმის ხიშტით იერიშის მიტანის შესახებ და ჭართა რაზმები მიიბიძგებიან წინ იმ მიზნით, რომ დახოცონ ერთმანეთი, ჩვენ ძმებს ესმით მოპირდაპირე მხრიდან ძახილი პოლონურ, მშობლიურ ენაზე. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ წითელი ჯვარი დაქრილთა შეგროვების დროს ბრძოლის ველზე ერთად აწვევენ გვერდით ერთ ჯარისკაცს გერმანულ ფორმაში, მეორეს ავსტრიულის, მესამეს კი რუსულში... და აი, ამ დროს ყველანი ამოწმებენ, რომ სამივენი პოლონელები არიან“. ამ ამბავს ძალიან აუღელვებია ჩვენი აკაკი წერეთელი¹⁵ და განუზრახავს პირადად მიეწერა წერილი ჰ. სენკევიჩისათვის. მაგრამ იმ დროს ხმა დარხეულა, რომ სენკევიჩი რუსეთში აღარ იმყოფებოდა და აკაკისაც ხელი აუღია ამ განზრახვას.

1916 წელს ჰ. სენკევიჩი გარდაიცვალა. ქართული პრესა ორი თვის განმავლობაში ბეჭდავდა სენკევიჩისადმი მიძღვნილ სტატიებსა და წერილებს. იმავე წელს 22 ნოემბერს თბილისში მოეწყო სენკევიჩის დილა, ხოლო ორი დღით ადრე კი თბილისში მიძინების ტაძარში სენკევიჩის პარაკლისი გადაუხადეს.

1880 წლის „დროების“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა მოთხრობა „პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან“ (მთარგმნელი ილია ქუონია). 1883 წელს „ქართბ“-ში დაიბეჭდა მოთხრობა „ბარტეჟ-ძღვეამოსილი“ (მთარგმნელები ივ. და ან. თ. ლორთქიფანიძის ქალები). 1883 წელს ნატა ნაკვალაძის მიერ ითარგმნა „შეცდომათა კომედია“. ეს მოთხრობა ათი წლის შემდეგ კვლავ ითარგმნა ვასილ ბიბილაიშვილის მიერ, რომელიც „კვალში“ დაიბეჭდა. მას თან ერთვის ჰ. სენკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე დახასიათება

ჰ. სენკევიჩის ნაწარმოებები მოკლე დროში რამდენჯერმე ითარგმნა და გამოქვეყნდა. მაგალითად, მოთხრობა „იყავ კურთხეულ“ გაზეთმა „ივერიამ“ ორჯერ გამოაქვეყნა — 1893 წ. და 1899 წ. მესამედ იგი დაიბეჭდა 1902 წ. გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ასევე მოთხრობა „იანქო მემუსიკე“ 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა, ხოლო 1915 წელს ი. ჟვანიამ თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა. მოთხრობები: „შეუდგეთ“, „წეროები“ და „ოლიმპზე“ სხვადასხვა დროს დაბეჭდილია „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“ და „მოამბეში“. დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომანი „ცეცხლითა და მახვილით“, რომელიც 1894—1896 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში“, ხოლო 1897 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა.

ჰ. სენკევიჩის პოპულარიზაციას ხელს უწყობდა ჩვენი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები თუ შენიშვნები. მაგალითად, როგორ აფასებს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ პროფ. შეპელოვიჩის მიერ წაკითხულ ლექციას, ჰ. სენკევიჩის შემოქმედების შესახებ: „შეპელოვიჩმა გვიჩვენა, თურა დიდი დამოკიდებულება ჰქონდა სენკევიჩს ი. კრაშევსკისთან, ო. ბალზა-

¹⁴ „თემი“, 1915, 30 მარტი.

¹⁵ „თემი“, 1915, 30 მარტი, სენკევიჩის წერილის ბოლოში რედაქციის შენიშვნა.

თან... გვიჩვენა, თუ რა სულიერი ნათესაობა არსებობს ამ პოლონელი რომანისტი და რუსეთის საუკეთესო რომანისტა შორის¹⁶. იგივე ცნობის ფურცელი ხოტბას ასხამს სენკევიჩის და წერს, რომ: „იგი საქვეყნოდ ცნობილი მწერალია“¹⁷.

3. სენკევიჩის ყველა მოთხრობა, რომელიც კი ქართულად ითარგმნა, აღწერს დაბალი კლასის დუხჭირ და უიმედო მდგომარეობას, რომელიც, სენკევიჩის აზრით, გამოწვეულია მაღალი ფენის სულიერი სილატაკით, კერძოდ, პატრიოტული გრძნობის უქონლობით, გულგრილი დამოკიდებულებით სამშობლოსა და მშობლიური ერისადმი.

ქართულმა კრიტიკამ ძირითადად სწორად შეაფასა პოლონელი კლასიკოსი. მეტად საყურადღებოა ი. ალღაძის წერილი, რომელიც გამოირჩევა პოლონელი მწერლის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნით: „სენკევიჩის დღეს მთელი განათლებული ქვეყანა იცნობს. მისი რომანები თარგმნილია ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, რუსულად, იტალიურად, ესპანურად, ფინურად, ნორვეგიულად და სხვ. ენებზე... ვერ იპოვით დღეს ისეთ ცოტად თუ ბევრად კულტურულ ერს, რომლის შვილთაც საკუთარს ენაზედ სენკევიჩის ორი ან სამი თხზულება მაინც არ წაეკითხოთ“¹⁸. კრიტიკოსი სწორედ ხსნის სენკევიჩის პოპულარობის მიზეზს და ამბობს: „საკვირველი არ არის, რომ სენკევიჩმა ასე გაითქვა სახელი და იმისმა ნიჟმა ამდენი თაყვანისმცემელი მოიპოვა, სენკევიჩი პირველხარისხოვანი მწერალია, პენიოსი. რომლისმა დიადმა ნიჟმაც მსოფლიო ტიპები დაგვიხატა, ღრმად გადაგვიშალა კაცის გული და სული და თავისი კალმით ისეთი საიდუმლოებანი დაგვანახა ადამიანური ბუნებისა, რომელიც მარტო პოლონელთა ეროვნულ თვისებას არ შეადგენს. მისი თხზულება, იქ დახატული ცხოვრება, ყველას გულს ერთნაირად ხვდება და ერთნაირად უჩენს საზრდოს, როგორც პოლონელის, ისე ინგლისელის. ფრანგის, ქართველის, გონებას“¹⁹. ქართველი კრიტიკოსი ი. ალღაძე სენკევიჩის ნაწარმოებებს, სრულიად სამართლიანად, ორ ნაწილადა ყოფს: წმინდა ისტორიული ხასიათისა და ფსიქოლოგიურ-საზოგადოებრივ რომანებად.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდმა პოლონელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ბოლესლავ პრუსმა თავის დროზე 3. სენკევიჩის უსაყვედურა ზოგიერთი რომანის, განსაკუთრებით „ცეცხლითა და მახვილით“, ნაკლოვან მხარეებზე²⁰. აღნიშნა მწერლის ნაციონალისტური და ტენდენციური მიმართება. სხვათა შორის, ამავე აზრისაა ქართველი კრიტიკოსი ილია ალღაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს რომანი ნაციონალისტურია და ტენდენციურია, რომ შეიძლება არ დავეთანხმეთ ავტორის ისტორიულ თვალთახედვის ისარს, დიდ ყურადღეებას უთმობს ომებს, არ ხსნის მათ მიზეზებსა და საბაბს, მაგრამ ისტორიული ფაქტები სწორია და ძირითადად ნამდვილ წყაროებს ეყრდნობათ²¹. ამავე აზრის არიან 3. სენკევიჩის შესახებ ლორთქიფანიძის ქალებიც²². ისინი ძირითადად ყველა საკითხში ეთანხმებიან ი. ალღაძეს 3. სენკევიჩის შემოქმედების შეფასებაში.

¹⁶ ო. ფ., 1897, № 203, „სასარგებლო ცნობა“.

¹⁷ ო. ფ., 1899, № 838, „სენკევიჩის ავადმყოფობა“.

¹⁸ „ივერია“, 1900, № 279: ი. ა. ძე, 3. სენკევიჩის იუბილე.

¹⁹ იქვე.

²⁰ История Польской литературы, М., 1968, т. 1, გვ. 569.

²¹ „ივერია“, 1900, № 279: ი. ა. ძე, 3. სენკევიჩი.

²² 3. სენკევიჩი, ბარტყ-ძღვეამოსილი, შესავალი, 1903.

ქართულმა კრიტიკამ სწორი პოზიცია დაიკავა სენკევიჩის მიერ თავისი გმირების, კერძოდ პოლონელ გმირთა, გაზვიადებული ქებათა-ქებების მიმართ. ამ ფაქტს მან შესაფერისი ახსნა მოუძებნა. ილია აღლაძე სავესებით ეთანხმება ერთ-ერთ რუს კრიტიკოსს და ავითარებს იმ აზრს, რომ პოლონელთა გადაჭარბებული ქებათა-ქებით ჰ. სენკევიჩის სურდა „სიცოცხლე შთაებერა ღონემიხდილ, სულით დაცემული საზოგადოებისათვის, რომელსაც მეტად ძნელი ხანა დაუდგა. მწერალმა განგებ ამოიჩინა თავისი ხალხის წარსულიდან ისეთი დრო, როდესაც პოლონეთს გარედან უთვალავი მტერი ესხმოდა თავს, ხოლო შიგნით უთანხმოება ხელს უწყობდა სახელმწიფოს საძირკვლის გამოზგრევას“. შესაძლებელია ყველაფერში არ დაეთანხმო მწერალს, „მაგრამ, — განაგრძობს კრიტიკოსი, — უსამართლობა იქნებოდა თვალი ავარიდოთ დიდი მხატვრულ-ოცნით დაწერილ და მარგალიტებივით გაბნეულ სურათებს, ხოლო მთლად ეს აწერილობით, რომანები ერთ შესანიშნავ ეპოპეად არ ჩაეთვლით“²³.

ქართული კრიტიკული აზროვნება ზომიერი იყო ჰ. სენკევიჩის შემოქმედების შეფასებაში, არ აზვიადებდა მას: „სენკევიჩის სახელი მოუხვეჭა ისტორიულმა რომანებმა, სადაც პოლონელთა წარსულია აღწერილი, მაგრამ ეს რომანები უფრო ნაკლებ საყურადღებოა“²⁴. მაგრამ არც მწერლის დიდ ღირსებას უარყოფდა და აღიარებდა, რომ სენკევიჩი „ჰენიოსია“ და სხვ.²⁵ ქართული კრიტიკული აზროვნება, რა თქმა უნდა, ყურად იღებდა რუსული კრიტიკის აზრს, მაგრამ იგი ბრმად არ იზიარებდა მას, თავისი თვალთახედვის პრიზმაში გაატარებდა, გაცხრილავდა და ისე მიიღებდა.

სწორი პოზიცია დაიკავა ქართულმა კრიტიკამ მწერლის პესიმიზმობისა და ოპტიმიზმობის საკითხთან დაკავშირებით. კრიტიკოსი ი. აღლაძე აღნიშნავდა: „თუმცა მის რომანებში მრავალ უნუგეშო სურათს და ტიპს შევხვდებით, მაგრამ თვით სენკევიჩის სწამს ცხოვრების განახლება, სჭერა, რომ ყველა ეს წარმავალია და საზოგადოების მომავალი ბედნიერია. ავტორი პესიმიზმს არ ეძლევა, იგი მხოლოდ აღნიშნავს ღრუბანდელ დაქვეითებას და უნუგეშობას“²⁶. აღსანიშნავია კრიტიკოსის ალლო, სენკევიჩის დიდი მხატვრული თვალის შეფასებაში, როდესაც წერს: „იგი ერთნაირად ანციფრებს მკითხველთ თავისი იუმორით, ისე ღრმა ტრაგიზმით და მწვავე სარკაზმით, საოცარი მხატვრობით აგვიწერს სენკევიჩი, როგორც პოლონეთის ბუნებას, ისე ამერიკის თვალუწვდენელ მინდვრებს, აფრიკის მზისაგან გადაბუფულ უდაბნოებს“²⁷.

ჰ. სენკევიჩის დიდმა პიროვნებამ, როგორც მწერლისამ, განაპირობა დიდი პატივი და აღიარება საქართველოში. ალბათ, ამანვე განაპირობა ის ფაქტი, რომ ელენე წერეთლის მოთხრობის გმირები მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს პირას კითხულობენ ჰ. სენკევიჩის რომანს: „ვიდრე ჰხვალ?“²⁸. პოლონელი კლასიკოსის სიყვარულმა ათქმევეინა შიო არაგვისპირელს ეს სიტყვები, რომელიც თურმე მიმართა ალექსანდრე მიქაბერიძეს: „განა სირცხვილი არ არის რომ მიცუვეიჩის, სენკევიჩის, კრამევესკის და სხვა მწერლების ნაწარმოებები კაცმა თვით პოლონურ ენაზე არ წაიკითხოსო“²⁹.

²³ „ივერია“, 1900, № 279: ი. აღლაძე, ჰ. სენკევიჩი.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ „ქალი“, 1900: ელენე წერეთელი, ხსოვნა, გვ. 831.

²⁹ „კომუნისუმის გზა“, 1967, № 78, 29 იენისი: შ. არაგვისპირელი პოლონეთში.

საყოველთაოდ ცნობილია მხატვრული თარგმანის დიდი როლი ეროვნული ლიტერატურის გამდიდრების საქმეში. სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავდა: „როდესაც ქართველი პოეტები მიაპყრობდნენ თვალს დასავლეთის პოეტური კულტურისაკენ, ეზიარებოდნენ ევროპულ აზროვნებას, საქართველოშიც იქმნებოდა მაღალი შინაარსით სავსე პოეტური კულტურა“³⁰. გ. ერისთავმა ად. მიცკევიჩის სონეტების ერთი ნაწილის თარგმნით ქართულ ლექსს მანამდე არ არსებული სონეტური ფორმა დაუმკვიდრა. თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა პოლონურმა ლიტერატურამ, კერძოდ, მიცკევიჩის შემოქმედებამ, ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, ამას თავისებურად მოწმობს აკაკი წერეთლის ცნობილი სიტყვები: „თორმეტი წლისა ვიყავი, როცა პოეზიისადმი სიყვარული ჩამინერგა ჭადოქარმა და ეს ჭადოქარი აღამ მიცკევიჩი იყო“³¹.

კარგი თარგმანი გულისხმობს ფორმისა და შინაარსის გადღეპას მთლიანობაში, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს სათარგმნი მასალის შერჩევასაც, ილია ჭავჭავაძე თავის წერილში: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმანზედ“ სასტიკად აკრიტიკებს რევაზ ერისთავის მიერ თარგმნილ მხატვრულად სუსტ ნაწარმოებს. იმ ეპოქაში, როცა ქართული ლიტერატურა აგრძელებდა პროგრესული რომანტიზმის ტრადიციებს და კრიტიკული რეალიზმის გზას ადგა, ილიას შეუფერებლად ბრანდა სენტამენტალური მიმდინარეობის მიმბაძველობის ნაწარმოებთა თარგმნა. ასევე ძლიერ ეწინააღმდეგებოდა სენკევიჩი ცრუ-სენტიმენტალიზმის სიმპტომების შემოქრას თავის სამშობლოში³². სენკევიჩს მიაჩნდა, რომ ისედაც სულით დაცემულ პოლონელ ხალხს, ცრუ-სენტიმენტალური ნაწარმოებები კი არ ესაჭიროებოდა, არამედ ისეთი, რომელიც ძალას შემატებდა და ბრძოლის სურვილით აღანთებდა.

3. სენკევიჩის მოთხრობები, ზოგიერთის გამოკლებით, ძირითადად სოფლის ყოფა-ცხოვრებას ეხება. შესანიშნავად არის დახატული სოფლელი კაცის პიროვნება, გახსნილია მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარე. სენკევიჩი განსაკუთრებული თვლით და თავის წინამორბედ მწერლებისაგან განსხვავებით თავისებურად გადმოგვცემს სოფლური ყოფის სურათებს, მის ადამიანებს თავისი მიზნებით და ამოცანებით, სიხარულითა და მწუხარებით.

ერთ-ერთ საინტერესო მოთხრობას წარმოადგენს „ნახშირით ნახატი სურათები“ (მთარგმნელი ნატა ნაცვალაძე, 1983 წ., ქართ., № 9—10). მოთხრობილია ლარიბი გლეხის ტრაგედია, რომლის ბედი გაქსუებული კანცელარიის მოხელის ზოლზიკევიჩის მავკარი ადამიანების ხელშია. მოთხრობის სათაურა სიმბოლურია და კარგად ასახავს ნაწარმოების მიზანდასახულობას. მოთხრობაში აღნიშნული სოფლის სახელიც — „ცხვრის თავა“ მიგვანიშნებს სოფლის მკვიდრთა უპატრონობას, რომელთა პიროვნება შელახული და შეგინებულია. ამ მოთხრობაში მთარგმნელი ხშირად იყენებს ხალხურ კაზმულსიტყვაობას და იდიომატურ გამოთქმებს, რომლებითაც მდიდარია სენკევიჩისეული ლექსიკა. თარგმანი ესიტყვება დედანს და თითქმის მთლიანად ინარჩუნებს დედნის სახეს: აი, კვეიანი თავიან, რომ იტყვიან ეს არის, აფერუმ ზოლზიკევიჩი, აფერუმ! შენ რომ რევიზორი ყოფილიყავი, რევიზორი კი არა, ღვთის რისხვა იქ-

³⁰ ურბ. „ჩვენი თაობა“, 1937, № 5—6, გვ. 109.

³¹ გაზ. „ჩვენი ხმა“, 1909, № 1.

³² История Польской литературы, М., 1968, т. I, გვ. 568.

ნებოდი?“ ქართულად კარგად იკითხება დედნის შესატყვისი რიტმული წყობა, რომელიც ასე ეღერს: „უჰ როგორც იქნა, ღვთის მადლით, გაეთათე! — წაიკითხე რაც დაჯღაბნეთ! — რაო, დაჯღაბნეთო! ყველაფერი როგორც წესია ისე მივწერე“.

პ. სენკევიჩი ამ მოთხრობის გმირებს სხვადასხვა ენით ალაპარაკებს. ამით ავტორი მიგვანიშნებს ამ პიროვნებათა განსხვავებულ განათლებასა და შინაგან სამყაროზე. ეს გარემოება თარგმანში შენარჩუნებულია და იგრძნობა დედნისეული სახე. აი პირველი მათგანი: „უფროსმა გვიბრძანა, რომ რეკრუტის სია მზად იყვეს საღვთისმშობლოდ. და თქვენს სამრევლოში მეტრიკები გაქვთ, და აქაური ბიჭები თქვენსკენ ქირაჯად არიან და ხომ იცი, რომ უნდა იქმნენ ამოწერილნი და ჩვენი მუშებიც გამოგზავნეთ, როგორც კი ცხრამეტის წლის შეიქმნებიან და თუ არ გამოგზავნით იმ შემთხვევაში, ცხვირ-პირს დაგიმტკრევენ“. მეორე მოქმედი პირის მიერ დაწერილი ზემოთ აღნიშნული ტექსტი განსხვავებული სტილით არის დაწერილი: „ვინაითგან გამოსაწვევი სიები უმადლესის მთავრობის ბრძანებისამებრ, მზად უნდა იქნენ ამა და ამ წლის ამა და ამ დღისათვის, ამისთვის თქვენ, სოფლის ვეეცენდზის ვოიტს, გაუწყებთ, სოფელ ცხვრის-თავას. გლეხების მეტრიკები, რომელნიც სამრევლოს კანცელარიაში არიან, გამოგზავნით დაუყოვნებლივ სოფელსა ცხვრის-თავას გთხოვთ წარმოადგინოთ იმ დღისათვის, სოფლის ცხვრის-თავას გლეხები, რომელნიც ვეეცენდზში მუშებად არიან დამდგარნი“.

მრავლად არის ხატოვანი თქმანი: „პურში ამოწებილის ჭაგრიანის ჩხირით დაჯღაბნით წიგნებს“. „ზოდზიკევიჩმა ამგვარი სიტყვები წყალივით იცოლა“. „მიწა გაგისკდეს, შენა“. „თვალში ეკლად ესობოლა“ და სხვ.

ამ მოთხრობაში აღწერილი გლეხკაცის ტრაგედია ნაცნობი და აქტუალური იყო ქართული სინამდვილისათვის.

ასეთივე განწყობილებით არის დაწერილი მოთხრობა „იანკო მემუსიკე“ (მთარგმნელი ნ. ა.-სი, 1894, № 2), რომელიც ერთი ნიჭიერი გლეხის ბიჭის ტრაგიკული ისტორიაა. ავტორი დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ავიწერს დაბალი ფენის ღუხჭირ ცხოვრებას და მემამულეთა უსულგულო დამოკიდებულებას თავისი ხალხისა და კულტურის მიმართ. ამ მოთხრობაში აღწერილი სურათი გამიზნულია, რათა აღიქვას და გააღვიძოს ხალხში სურვილი და სიყვარული სამშობლოსა და ერისადმი. მოთხრობაში ნაჩვენებია მიზეზები იმ ტრაგიზმისა, რომელიც საწყალი ადამიანების ხვედრია.

თარგმანში გვხვდება ქართულისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები: დედაკაცი, ნათლიდედა და სხვ. იდიომატური გამოთქმებიც თავის ადგილას კარგად გამოიყურება: „საიჭიოსათვის უნდა მოიროთო და მღვდელიც უნდა დაიბარო, რომ შეგინდოს შეცოდებანი შენნი!“ კარგად არის გადმოტანილი ბიბლიური გამოთქმები: კურთხეულ იყოს ხსენება შენი იანკო!“ და სხვ.

მოთხრობაში „ბარტეჟ-ძლევაჟოსილი“ გამოთქმულია პროტესტი პრუსიელთა მიერ პოლონელთა დევნის მიმართ. ეს მოთხრობა ცალკე წიგნადაც გამოვიდა და თან ერთვის მთარგმნელთა დიდი წინასიტყვაობა, რომელშიაც იგრძნობა მთარგმნელთა სიყვარული პ. სენკევიჩისადმი, ღრმა ცოდნა მწერლის შემოქმედებისა და კრიტიკული თვალი. ლორთქიფანიძის ქალები გვაწვდიან საკმაოდ ზუსტ ცნობებს მწერლის ლიტერატურული საქმიანობის შესა-

ხებ. განალიზებულია ჰ. სენკევიჩის შემოქმედება მოკლედ, მაგრამ ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხებია გაცემული. მთარგმნელები გამოთქამენ რწმენას, რომ მიუხედავად იმისა, რომ „პოლონელ ბავშვებს აიძულებენ დაივიწყონ დედა-ენა. მოსყიდვით, ქრთამით, დევნით — ყველაფრით ცდილობენ — აიძულონ უარპყონ თავისი ენა და ეროვნება და გაგერმანელდნენ, მაგრამ ყოველივე ეს დღემდის სრულიად უნაყოფოდ დარჩა“³³.

თუ გავანალიზებთ ცარისტული რუსეთის კლანჭებში მყოფ საქართველოს ისტორიულ და სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას; გავიხსენებთ, თუ რა დიდი სულიერი ტკივილი მიაყენა მეფის რუსეთის „მეგობრულმა“ პოლიტიკამ, რომელმაც ქართველ ერს დამოუკიდებლობის ყოველგვარი შანსი წაართვა, როგორ ცდილობდა ცარისტული რუსეთი ჩაეკლა ქართველ ერში, ყოველგვარი ეროვნული, მაშინ ადვილად მივხვდებით მთარგმნელთა იმედის ნაპერწკლით გამთბარ ამ სიტყვებს, რომელიც ქართველთათვისაც იყო ნათქვამი: „ყოველს პოლონელს კარგათ შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა, ნედგარს წინააღმდეგობას უწევს პრუსიელს და არ აჩაგვრინებს თავს“³⁴.

ეს მოთხრობა ორიგინალში დაწერილია ხალხური, უბრალო და სადა ენით. მოთხრობის გმირის ლექსიკა ამართლებს მის ზედმეტ სახელს „ბარტეჟ-ბრიყვი“, რადგან იგი მდაბიო ენით და ბრიყვულად მსჯელობს. გარდა ამისა, მწერალს აქცენტები გადატანილი აქვს გმირის სახელზე, რომლითაც მიგვიანიშნებს, რომ ბრიყველია ბარტეჟის ყველა მოქმედება, რადგან იგი თავისი საქციელით ეჩმარება პოლონელი ხალხის მტრებს თავისი შეუგნებლობითა და უტოლინარობით, ხელს უშარბავს მათ.

ამ მოთხრობაში პოლონური სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები ხატოვანი თქმანი და სხვ. თარგმანს უნარჩუნებენ ორიგინალის ელფერს, მაგრამ ზოგჯერ მთარგმნელს არ გადმოაქვს გეოგრაფიული სახელები; მოთხრობაში ჩართულ პოეტურ სტროფებს, რომლებიც ორიგინალს თავისებურ ელფერს მატებს, პროზაულად თარგმნის. ერთგან გვხვდება რუსიციზმები: „ნემცები“ და სხვ.

მოთხრობა „შედომათა კომედია“ (მთარგმნელი ლორთქიფანიძის ქალეზი, ქართბ., 1883, № 9—10) სატირულ-იუმორისტულ პლანშია გადაწყვეტილი და გადმოგვცემს ამერიკის საქმოსანთა ცხოვრებას. აშიშვლებს კაპიტალისტურ სამყაროს ბუნებას. ქართული თარგმანი უპასუხებს მხატვრული თარგმანის თითქმის ყველა მოთხოვნას.

მოთხრობაში „პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან“ (მთარგმნელი ილია ჭყონია) აღწერილია პრუსიულ სასწავლებელში გამეფებული არაპედაგოგიური მეთოდების შედეგად პატარა პოლონელი ბავშვის ტრაგედია. ეს მოთხრობა მწერლის პედაგოგიურ შეხედულებათა და სისტემათა თავისებური კრედიოა: „პედაგოგი, — წერს ავტორი, — მაშინ ასრულებს კარგად თავის დანიშნულებას, როდესაც ბავშვი გრძნობს, რომ სწავლა გზის მაჩვენებელი ხელია და არა ფეხი, რომელიც გულზე ადგია და მუსრს ავლებს ყველა იმას, რისიც სიყვარული და პატივისცემა უღვივის ყმაწვილს“. ან კიდევ: „სწავლა არ უნდა შეადგენდეს ყმაწვილისათვის ტანჯვას და ლათინური ანუ გერმანული ენა — ჰაერსა და ჭანმრთელობას“. ამ მოთხრობაში პოლონური სახელი „მიხასი“

³³ ჰ. სენკევიჩი, ბარტეჟ-ძლევაძისილი, შესავალი, თბ., 1903.

³⁴ იქვე.

ქართულად „მიხაკოდ“ არის თარგმნილი. იგრძნობა გაქართულების კვალი: „მარია“ გადმოთარგმნილია როგორც „მარიამი“. ამით მთარგმნელი ცდილობდა დაეახლოებინა ნაწარმოები ქართველი მკითხველისათვის.

3. სენკევიჩის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი მისმა რომანმა „ცეცხლითა და მახვილით“ (მთარგმნელი ვრ. ყიფშიძე), რომელშიც აღწერილია პოლონელი პანების ბრძოლა უკრაინელებთან. ეს რომანი დიდად პოპულარული იყო საქართველოშიც. ვასილ ბიბილაიშვილი ამ რომანის შესახებ წერდა: «პ. სენკევიჩი ერთ-ერთ ნიჭიერ რომანისტად ითვლება მთელ ევროპაში. გამოჩენილი მისი ნაწარმოებებიდან არის „ცეცხლითა და მახვილით“»³⁵.

ამ რომანის შესახებ შესანიშნავ მოკლე ანოტაცია-ცნობას ვკითხულობთ „ცნობის ფურცელში“: „ჩვენ მივიღეთ ქართველთა ამხანაგობის მიერ მეორე მოცე გამოცემა... ცნობილი რომანი „ცეცხლითა და მახვილით“... პ. სენკევიჩი გვარტომობით პოლონელია და ამჟამად ერთს საუკეთესო მწერლად ითვლება, არამტუ მის სამშობლოში, არამედ სხვა სახელმწიფოშიაც... რომანი „ცეცხლითა და მახვილით“ საინტერესო წასაკითხია და საკმარისია კაცმა ორიოდ გვერდი გადაიკითხოს, რომ მერე აღარ მოშორდეს, ისე წარმტაცია და ძლიერი მისი გავლენა მკითხველზე... სიამოვნებით ეურჩევთ ყველა ქართველ ოჯახს... ამ ფრიად საინტერესო და საგულისხმო რომანის შეძენას და გულდასმით გადაკითხვას»³⁶.

ამ რომანის თარგმანში შენარჩუნებულია პოლონური სურნელი და კოლორიტი. ისეთ სპეციფიკურ სიტყვებს და გამოთქმებს, რაც დამახასიათებელია პოლონურისათვის, უცვლელად ტოვებს მთარგმნელი, რათა მკითხველს მისცეს საშუალება თავი იგრძნოს იმ გარემოში, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს. მაგალითად: პან, სტანიცა, გეტმანი, ატამანი, გუსარი, პორუჩიკი, სუჩი და სხე. უცვლელადაა გადმოტანილი თარგმანში, მაგრამ მთარგმნელი არ არის ბოლომდე თანმიმდევრული. ზოგჯერ ამავე სიტყვებს უნაცვლებს შესაბამის ქართულ შესატყვისებს: თავადი, მოურავი, მოურავ-ერისთავი და სხვ. ზოგჯერ გვხვდება რუსიციზმებიც: „სტოლი, კნიჟა და სხვ. ამავე დროს თარგმანში შესამჩნევია წინადადების ინვერსიული წყობის ხშირი გამოყენება. მაგალითად: „ძნელი არ იყო ბინა ეპოვა სხვადასხვა ნადირისა“ (გვ. 35), „ის-მოდა ფრუტუნი ცხენებისა“. „უნდა წახვიდე სეჩსა, გააუქმეთ ბრძანება ხმელნიკისა“. „რაზმი ჩვენი დესპანისა გაემართა ღუბნისაკენ“ და სხვ. მთარგმნელი ხმარობს ნართანთან ფორმებს და არქაიზმებს, თუმცა იშვიათად: „გარნა მოხუცი ნუგეშისცემას არ საჭიროებდა?“ (გვ. 87). „ხმელნიკი ცდილობდა განეკერიტა მერმისი, გარნა მერმისი იგი ბნელი იყო, როგორც სამარე“ (გვ. 229). „დასაფლავებას დაესწრნენ ყველა რაზმნი“ (გვ. 87). „მალა მოსხანდნენ სამკუთხედად დაწყობილნი გარეულნი ბატნი, ბაწარივით გაშლილნი წერონი“ (გვ. 115).

დედანი ხალხური ენით არის დაწერილი, მასში უხვად არის გაბნეული ზატოვანი და იდიომატური თქმანი და ეს თარგმანშიაც არის შენარჩუნებული: მაგალითად: „აზნაური აზნაურს წაეკინკლავს, ან ერთმა გადაიგდოს კისერზე მეორე, ან მეორემ პირველი“ (გვ. 18). „მიზეზ-მიზეზ დოს მარული აკლიაო“ (გვ. 18). „იმ მელამ როგორ მომალორა“ (გვ. 19). „რა ჭურისა და მილეთის ხალ-

³⁵ „კვალი“, 1893, № 14, გვ. 13.

³⁶ ც. ფ., 1897, № 116; „ახალი წიგნი“.

ხი არ ირეოდა“ (გვ. 31). „ცხრათვალა მზე“ (გვ. 39). „ნელ-ნელა გაშორდა მის სახეს ბეჭედი ნაღვლისა და მწუხარებისა“ (გვ. 69). „სალახანაე! უღუდამშორავ!“ (გვ. 73). „აი ხათაბალა კაცი“ (გვ. 92). „დიდი ოინაბზი ხარ“ (გვ. 103). „საჰრო აღარ იყო კეკემაღულობა“ (გვ. 103). „სისხამი დილა იყო“ (გვ. 116) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის საუკეთესო მონაპოვართაგანი სენკევიჩის თარგმანებთანაც არის დაკავშირებული. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ჰ. სენკევიჩის რომანი „ვიდრე ზვალ?“ (მთარგმნელი ნიკო ავალიშვილი). ეს თარგმანი მართალია რუსულ თარგმანს ემყარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანაც მალად დონეზე გადმოგვეყვამს დედნის იდეურ ჩანაფიქრს და მხატვრული ქსოვილის თავისებურებას. რა თქმა უნდა, ამას თავისებურად ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სენკევიჩის რუსული თარგმანები უაღრესად ახლოს ღვანან დედანთან. ეს პოლონური და რუსული ენების ნათესაობითაც არის გაპირობებული. გარდა ამისა, იმ დროის ქართული რეალისტური პროზისა და სალიტერატურო ენის განვითარების მალალი დონე წარმოადგენდნენ იმ ნიადაგს, რომელიც ხელს უწყობდა სენკევიჩის რომანების ქართული შესატყვისის შექმნას.

თარგმნა რომანისა „ვიდრე ჰზვალ?“ სპეციფიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. როგორც ვიცით, ეს რომანი ანტიკურ ხანას — ნერონის ეპოქას ეძღვნება. სენკევიჩი სათანადო სიტყვიერი ქსოვილით და დამახასიათებელი ინტონაციით ახერხებს შექმნას ანტიკურობისათვის შესაფერისი განწყობილება, რომლის შენარჩუნება აუცილებელია თარგმანში. ამ მიზნით ნიკო ავალიშვილი სხვადასხვა ხერხს მიმართავს. ჭერ ერთი, უცვლელად გადმოაქვს ქართულ თარგმანში რომაული ყოფის ისეთი დამახასიათებელი რეალიების აღმნიშვნელი სიტყვები, როგორცაა: რიტორი, ნომენკლატორი, ინკუბაციო, სიკა, სიმპოსიონი და სხვ. მრავალი. ნ. ავალიშვილი არსად არ ცდილობს მოახდინოს ასეთი სიტყვების გაქართულება, არ ცდილობს ასეთ სიტყვებს მოუძებნოს ქართული შესატყვისები, თუმცა მრავალ მათგანს ქართული შესატყვისი აქვს (მაგალითად: სიკა — ხანჯალია, სიმპოსიონი — ნადიმს, ლხინს ნიშნავს), ვინაიდან ასეთ სიტყვებს თან მოაქვთ ანტიკურობის სპეციფიკური სურნელი.

თუ რაოდენ დაკვირვებული და თანმიმდევრულია ამ მხრივ ქართველი მთარგმნელი, ეს ჩანს შემდეგ მაგალითიდან. როგორც ვიცით, სიტყვა „ფორტუნა“, რომელიც დამკვიდრებულია მრავალ ევროპულ ენაში, ქართულად ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც „სეე“, „ბედი“ და ა. შ. XIX საუკუნის თარგმანებში, მაგალითად შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებში, „ფორტუნა“ ყველგან თარგმნილია როგორც „ბედი“, მაგრამ სენკევიჩის რომანში „ფორტუნა“, რომაულ სამყაროსთანაა დაკავშირებული. რომაულ მითოლოგიაში „ფორტუნა“ ბედისა და ბედის ღმერთისა აღმნიშვნელია. ამიტომ ნ. ავალიშვილმა სრულიად სამართლიანად შეინარჩუნა „ფორტუნა“ ქართულ ტექსტშიც: „თუ მოკვდავი ხარ და ფორტუნას ემორჩილები“ (გვ. 35). „ფორტუნა იყოს შენი მწყალობელი“ (გვ. 42).

ჰ. სენკევიჩი ზოგჯერ მიმართავს ამაღლებულ პათეტიკურ ტონს, რითაც ერთგვარად სურს თავისი რომანი ანტიკური ხანის შესახებ დაუახლოვოს ანტიკური ხანის მწერალთა ნაწარმოებებს, რომელთაც ამაღლებული და პათეტიკური ტონი ახასიათებდათ. აი, ეს ადგილები: „ჰოი შენ, ცხოვრების ხის საგაზაფხულო კვირტო, შენ, ვაზზე ამოსახეთქო ყლორტო პირველი!“ (გვ. 25).

სენკევიჩის რომანში ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრებთან დაკავშირებული პასაჟები დაწერილია რამდენადმე განსხვავებული სტილით. ქრისტიანთა მეტყველებაში, რომელიც სისადავით გამოირჩევა. ზოგჯერ ორგანულად არის ჩართული ბიბლიური ლექსიკა, რაც თითქოს უპირისპირდება რომაული წარმართული სარწმუნოების მიმდევართა რამდენადმე პათეტიკურ ტონალობას. ეს ორი სტილისტური შრე არა მარტო მხატვრული მოკლენაა, არამედ ორგანულად უკავშირდება რომანის იდეურ მიზანს — ნათელჰყოს სარწმუნოებათა და იდეოლოგიათა შეჭახება ნერონის ეპოქაში. ნ. ავალიშვილს არ გამოპარვია მხედველობიდან ზოგიერთ პერსონაჟთა ლექსიკაში მიმოხილული ბიბლიური ლექსიკა და ზუსტად გადმოუტანია იგი ქართულ თარგმანში: „შვილებო, აღავსენით გულნი ჩვენი მაცხოვართან და მოუტანეთ მას მსხვერპლად ცრემლი თქვენი“ (გვ. 421). „ლომბიერი ქრისტე, გადმოხედე ამ მუუხარე გულსა და ანუგეშე იგი! მოწყალო ქრისტე, განრიდე მწუხარების თასი მონისა შენისაგან. ამინ!“ (გვ. 426). „ნათელს გცემ სახელითა მამისათა და ძმისათა და სულისა წმინდისათა, ამინ!“ (გვ. 498). „გუარეიდეს და გიხსნას ქრისტემ“ (გვ. 486). „თვითონ ქრისტემ შელალადა მამა ღმერთს, განრიდე ჩემგან თასი ესეო“ (გვ. 487).

სპეციალური რუსული სიტყვები და გამოთქმების გადმოტანა ხშირად მთარგმნელის ალღოზეა დამოკიდებული³⁷. მაგალითად: „Вискочки“ (გვ. 16). თარგმნილია როგორც „მეტიჩრები“ (გვ. 27). კარგად გადმოაქვს ილიომატური, ხატოვანი თქმები. მთარგმნელი ასეთ შემთხვევაში სიტყვასიტყვით. დედნის ლექსიკით კი არ თარგმნის, არამედ აზრს უნარჩუნებს, მაგრამ ქართული იდიომით გადმოაქვს; მაგალითად: „Любовью она насмылилась при первых двух мужах“ (გვ. 25), თარგმანი: „ორი ქმრის ხელში სიყვარული საკმაოდ მოიშვებინლა“ (გვ. 15). „То был человек уже приближающийся к вечерней поре жизни с головой посеребренной сединою“ (გვ. 10). თარგმანი: „ეს იყო კაცი სიციხის დაისს უკვე მიახლოებული, თმაშვეერცხლილი“ (გვ. 31). „Светский человек“ (სტ. 43). თარგმანი: „ბატონაკური“ (გვ. 35). ზოგჯერ მთარგმნელი დედნის გამოთქმას ცვლის ქართული ხატოვანი თქმით. მაგალითად: „Строшная шея“ (გვ. 44), თარგმანი: „ყარყატი ყელი“ (გვ. 36), ან კიდევ: Не прельщал (გვ. 47), თარგმანი: „არ ეპიტნავებოდა“ (გვ. 40). ზოგჯერ მთარგმნელი დედნის ფრაზას სცვლის ქართულისათვის დამახასიათებელი ფრაზით. მაგალითად: „Скромная птичка“ (გვ. 10), თარგმანი: „მშვიდი მტრელი“ და სხვ. მთარგმნელი ზოგჯერ სიტყვასიტყვით თარგმანსაც მიმართავს: „То их добродетел зазвонела бы, как медный шит“ (გვ. 48) თარგმანი: „მათი სათნოება ჭობდარტყმული ფარივით დაჟღერიალებდა“ (გვ. 41). ან კიდევ „Такою можно представляться только утренняя заря“, თარგმანი: „მხოლოდ დღის ცისკარი თუ შეედრებოდა“ (გვ. 36)...

3. სენკევიჩის შემოქმედებით ქართული საზოგადოების დაინტერესება საქართველოსა და პოლონეთის ბედის მსგავსებამ განსაზღვრა. ამასთანავე რომანტიზმის მონოპოლიის დასასრული და კრიტიკული რეალიზმის აღმოცენება თითქმის ერთდროულად ვითარდებოდა ორივე ქვეყნის ლიტერატურაში.

³⁷ Г. Сенкевич, Камо Грядеши? Петербург, 1902.

რიმა ფირცხალაიშვილი

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ ხელნაწერული მემკვიდრეობისათვის

იოსებ ტფილელი აღორძინების ხანის ქართული პოეზიის ერთ-ერთი დიდოსტატია. მისი შემოქმედების ღრმა და ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლა მრავალ მეტად მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის აღორძინების ხანის ქართული პოეზიის განვითარების, ქართული ისტორიული პოემის თავისებურებათა გამოკვეთის თვალსაზრისით. დიდია „დიდმოურავიანის“ მნიშვნელობა მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარების წარმოსახვისთვის, საქართველოს ძნელბედობის ეპის მძაფრ ეპიზოდთა გათვალისწინებისათვის. ამ პოემით იოსებ ტფილელი გვევლინება მამულიშვილად, რომლის ფიქრი და განცდა მთლიანად მოუცავს ქვეყნის საფიქრალს, ეს საფიქრალი წარმოადგენს მისი პოეტური სიტყვის შთაგონებასაც.

ლექსი „დიდმოურავიანისა“ მსუბუქია და ძლიერ გამომსახველი. მას შესისხლხორციებული აქვს ძველი ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციება, მაგრამ ეს არაა რუსთველურ ტრადიციათა მხოლოდ წიგნიერი აღქმა. თექვსმეტმარცვლოვანი შაირი „დიდმოურავიანისა“ ხალხური პოეზიის სიმსუბუქით ეღერს და საკუთარი პოეტური მგზნებარებითაც გამოირჩევა. აქ საკმაოდ ძლიერია ტენდენცია ქართული ლექსის ბუნებრივი განვითარებისა, ტრადიციულობის საზღვართა გადალახვისა, რისი ჩანასახები ჯერ კიდევ ვეფხისტყაოსნის გავრძელებათა ზოგიერთ ტექსტშიც შეიმჩნეოდა.

„დიდმოურავიანის“ შესახებ ბევრი დაწერილა და მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი საკმაო სისრულითაც არის შესწავლილი. მაგრამ მის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთაგან ჯერ კიდევ ბევრი რამ კვლევასა და ძიებას საჭიროებს, მათ შორის — „დიდმოურავიანის“ ხელნაწერული მემკვიდრეობის მონაცემები და მათდამი გამოცემათა ტექსტების მიმართების, „დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების საკითხიც, რაც ამჟერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ სწორედ ტექსტის ისტორიის შესწავლა ქმნის ობიექტურ საფუძველს ნაწარმოების შინაარსის, იდეური გამიზნულების, მხატვრული ფორმის თავისებურებათა მთლიანობაში გათვალისწინებისათვის (და ეს მით უმეტეს, როცა საქმე შეეხება ძველი მწერლობის ძეგლებს). ცხადია, „დიდმოურავიანის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა კვლევისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია პოემის ხელნაწერული მემკვიდრეობის დეტალური შესწავლა და იმ ტექსტოლოგიურ პრობლემათა წარმოჩენა, რომლებიც ამ შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთება. წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ იოსებ ტფილელის პოემის ხელნაწერული მემკვიდრეობის მონაცემებს, ვა-

ნაარსს შორის იგრძნობა. ან. ფურცელაძემ მართლაც წარმოაჩინა ზოგიერთი ქვესათაურის შინაგანი წინააღმდეგობანი. თანახმად ან. ფურცელაძის გამოკვლევისა. „დიდმოურავიანის“ ი. იმედაშვილისა და სპ. ჭელიძის გამოცემაშიც ეპეის ქვეშა დაყენებული ქვესათაურთა ის ტექსტები, რომლებიც პ. იოსელიანის გამოცემას შემოუნახავს. ამიტომაც ცალკეულ კართა სათაურები 1897 წლის გამოცემაში მეტისმეტად შემოკლებულია, მაგრამ ეს ასახავს არა ხელნაწერულ ტრადიციას, არამედ გამოცემის რედაქტორთა თვალსაზრისს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1897 წლის გამოცემა პ. იოსელიანისეული გამოცემის ტექსტს შორდება გაცილებით მეტად, ვიდრე სარედაქციო წერილის მიხედვითაა მოსალოდნელი. როგორც ჩანს, წინასიტყვაობაში მთლად ზუსტად როდია წარმოდგენილი გამოცემის ტექსტის ხელნაწერებთან მიმართების საკითხი. მიუხედავად სპ. ჭელიძის აღნიშვნისა, რომ რედაქციას ხელნაწერებისთვის არ მიუშრატავსო, ტექსტის შესწავლით ირკვევა, რომ ცალკეულ შემთხვევებში მაინც ადგილი ჰქონია ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებას. 1897 წლის გამოცემაში წარმოდგენილია ისეთი წაკითხვებიც, რომლებიც არ გვხვდება პ. იოსელიანის მიერ გამოცემულ ტექსტში, მაგრამ დასტურდება მე-19 საუკუნის ზოგიერთ ხელნაწერში. მათი ჩამოთვლის შესაძლებლობა ამჟამად არა გვაქვს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 1897 წლის გამოცემის ეს განსხვავებული წაკითხვანი ზოგჯერ წარმოდგენილია H—612, S—4629, H—1757 და S—101 ხელნაწერებშიც. გარდა ამისა, 1897 წლის გამოცემაში არც თუ იშვიათია კონიექტურებიც. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არა ქმნის მნიშვნელოვან სხვაობას პ. იოსელიანის გამოცემასთან შედარებით. იოსებ ტფილელის პოემის მეორე გამოცემა არსებითად მაინც პირველის განმეორებაა. „დიდმოურავიანის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა შესწავლისას მეტად დიდია მნიშვნელობა პოემის შესახებ გამოცემისა (გ. ლეონიძის რედაქციით)⁵, რომელიც ეყრდნობა ერთ-ერთ ძველ, კალიგრაფიული ხელით გადაწერილ და დაუზიანებლად მოღწეულ ხელნაწერს — S—15-ს. გამოცემას წინ უძღვის გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა ავტორისა და თხზულების შესახებ და დაერთვის მის მიერვე შედგენილი ლექსიკონი და საძიებელი.

S—15 „დიდმოურავიანი“ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ ამოწურავს „დიდმოურავიანის“ ტექსტოლოგიურ პრობლემებს და მრავალი ნაკლიც გააჩნია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაინც დიდად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ხელნაწერისათვის ბეჭდური სახის მინიჭება. S—15 ხელნაწერი საყრდენად „დიდმოურავიანის“ ტექსტის ბეჭდვისას 1939 წლის გამოცემაზე ადრეც იყო გამოყენებული. კერძოდ, ნაწყვეტი პოემისა აღნიშნული ხელნაწერიდან გამოქვეყნდა 1928 წ. „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიაშიც“, ხოლო წერილში „ტექსტისათვის“, რომელიც წინ უძღვის ანთოლოგიას, ა. ბარამიძე აღნიშნავდა, რომ გადაწერა S—15 ხელნაწერისა „ავტორის დროს დიდად არ უნდა იყოს დაშორებული“⁶.

⁵ იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1939.

⁶ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტომი მეორე, XVI—XVIII საუკ. (აღორძინების პერიოდი), რედაქტორი ია ვეალაძე, 1928, გვ. X.

„დიდმოურავიანის“ მეოთხე გამოცემა („ჩვენი საუნჯე“, 1960) 1939 წლის გამოცემის განმეორებაა. აღნიშნული გამოცემის ტექსტი შეჯერებულია S—15 და S—101 ხელნაწერებთან.

ცხადია, განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რას წარმოადგენდა ხელნაწერებთან მიმართების თვალსაზრისით „დიდმოურავიანის“ პირველი გამოცემა. ეს ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხთაგანია „დიდმოურავიანის“ ტექსტის ისტორიის კვლევისას. მასზე პასუხის გაცემა მოითხოვს პოემის მთელი ხელნაწერილი მეკვიდრობის მონაცემთა გათვალისწინებას. თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში პ. იოსელიანს აღნიშნული აქვს, რომ უცვლელად ბეჭდავს 1823 წ. დავით რექტორის მიერ გადაწერილ ხელნაწერს: „აქა ჭერ არს მოვიხსენო, რომელ თხზულება ესე მისი დიდ-მოურავიანი დაჰბეჭდვდეს უმეტესაკლებოდ იმა დედანზედ, რომელიცა ვჰპოვე გადაწერილი კარგისა და გარკვეულის კელით თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსიევისაგან მისართმევად თავადის სტატისკის სოვეტნიკის გიორგი ეგნატის-ძის თუმანოვისა, წელსა 1823-სა“⁷. დავით რექტორის მიერ გადაწერილ „დიდმოურავიანის“ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო თუ ვიწმუნებთ პ. იოსელიანის ცნობას, რომ მას უცვლელად, „უმეტესაკლებოდ“ დაუბეჭდავს აღნიშნული ხელნაწერი, მაშინ „დიდმოურავიანის“ პ. იოსელიანისეულ გამოცემას ჩვენთვის ხელნაწერის უფლებები ენიჭება. პ. იოსელიანის ცნობა თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ „დიდმოურავიანის“ მისი გამოცემის ხელნაწერებთან დეტალურად შეჯერების გარეშე უფლება არა გვაქვს დავეყრდნოთ ამ ცნობას. აღნიშნული ცნობის სიზუსტე ეჭვის ქვეშ დააყენა ჭერ კიდევ ან. ფურცელაძემ, რომელმაც სწორედ „დიდმოურავიანთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ პ. იოსელიანის „ნაწერებსა და გამოცემებში სიფრთხილედ უნდა იქონიოს შეისტორიებ და არ ენდოს იმისის თვით დაბეჭდულის სინამდვილეს ხელნაწერებთანა“⁸. იმ შემთხვევაში, თუ პ. იოსელიანის ცნობის სიზუსტე დამტკიცდება, 1851 წლის გამოცემა თავისი მნიშვნელობით 1823 წელს დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ტოლფასი ხდება. ასეთ შემთხვევაში პ. იოსელიანის გამოცემის ხელნაწერებთან დეტალურად შეჯერებამ უნდა ნათელყოს რას წარმოადგენდა სხვა ხელნაწერებთან მიმართების თვალსაზრისით თვით დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერი. უცვლელად გადაწერა დავით რექტორმა ერთი რომელიღაც ხელნაწერი თუ ცალკეულ ადგილთა გასწორებისთვის სხვადასხვა ხელნაწერთა ვარიანტებიც მოიშველია?

პ. იოსელიანის გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტის თავისებური წაკითხვანი, განსხვავებული S—15-ისა და მისი ჭგუფის სხვა ხელნაწერთა წაკითხვებისაგან, დასტურდება მე-18 საუკუნის სხვადასხვა ხელნაწერში. ამდენად ისინი არ შეიძლება იყოს გადამწერის, ე. ი. დავით რექტორის, კონიექტურები. მე-18 საუკუნის ხელნაწერებშივე დასტურდება ცალკეულ კართა ის სათაურებიც, რომლებიც ან. ფურცელაძემ პ. იოსელიანისა თუ დავით რექტორის სახელს დაუკავშირა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ეს თავისებური წაკითხვანი არ შეიძლება მივიჩნიოთ გადამწერის, ე. ი. დავით რექტორის მიერ სხვადასხვა ხელნაწერიდან ამოკრებილადაც, რადგან ისინი

⁷ დიდი მოურავიანი თქმული საყაჰის-ძის იოსებ თფილელისაგან, დამატებით სხვათაგან მის-თა თხზულებათა, 1851, წინასიტყვაობა.

⁸ დასახ. ნაშრომი, 1892, გვ. 47, სქ.

დასტურდებიან, არსებობდა, ერთი გარკვეული რედაქციული ჯგუფის ხელნაწერებში. რა თქმა უნდა, სავსებით უსაფუძვლოა იმის დაშვება, რომ დავით რექტორი იოსებ ტფილელის პოემის ხელნაწერებს არჩევდა რედაქციული ჯგუფების მიხედვით. დავით რექტორის წყარო რომ ერთი რომელიღაც ხელნაწერი იყო, ამაზე უცილობლად მეტყველებს ერთი ფაქტიც. პ. იოსელიანის გამოცემაში (ე. ი. დავით რექტორის მიერ გადაწერილ ტექსტშიც) ზოგჯერ აშკარად მცდარი წაკითხვებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიცავს უხეშ დარღვევებს რითმისა თუ რიტმის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, უცვლელადაა გადმოწერილი დედნის შეცდომებიც, თორემ სხვა ხელნაწერებთან ტექსტის შეჭერებას რომ ადგილი ჰქონოდა, ეს მცდარი წაკითხვები უცილოდ გასწორდებოდა. ასე, მაგალითად: პ. იოსელიანის გამოცემის (ე. ი. დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერის) 94-ე სტროფის პირველ ტაქში დარღვეულია რითმა (მუდარობით, ნებით, მცნებით, ხლებით), ყველა დანარჩენ ხელნაწერში აქ მართებული რითმებია. მაშასადამე, გადამწერს — დავით რექტორს სწორი წაკითხვა სხვა ხელნაწერებში არ უძებნია, თორემ ადვილად იპოვიდა მას. დავით რექტორის მიერ გადაწერილ ხელნაწერში წარმოდგენილი ყოფილა მე-18 საუკუნის ხელნაწერთა არა მხოლოდ თავისებური წაკითხვები, არამედ აშკარა შეცდომებიც. მართალია, დღეისთვის არ შემონახულა „დიდმოურავიანის“ ერთი ისეთი ხელნაწერი, რომელსაც ზუსტად ემთხვეოდეს პ. იოსელიანის გამოცემა (ე. ი. დავით რექტორის მიერ გადაწერილი ტექსტიც), მაგრამ, ვფიქრობთ, არსებობს სარწმუნო საბუთი იმისა, რომ დავით რექტორის წყარო იყო სწორედ ერთი რომელიღაც ხელნაწერი. ამგვარი დასკვნა შესაძლებელი ხდება „დიდმოურავიანის“ რედაქციული ჯგუფების გამოკვეთის შემდეგ. იმ ორი რედაქციული ჯგუფისაგან, რომლებიც გამოიკვეთა „დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა შესწავლის შემდეგ და რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, პ. იოსელიანის გამოცემა მთლიანად თავსდება ერთ-ერთ რედაქციაში, ამქვანებს მის ყველა არსებით თვისებას. თუ დავით რექტორი სხვადასხვა ხელნაწერთა მონაცემებით სარგებლობდა, მათ შორის, საფიქრებელია, იქნებოდა ორივე რედაქციის ხელნაწერები და როგორღა უნდა მომხდარიყო, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში უპირატესობა ერთი რედაქციის ხელნაწერთა წაკითხვებს მინიჭებოდა? დაუფშვთ თუნდაც ისიც, რომ შემთხვევით მის ხელთ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი რედაქციის ხელნაწერები. მაგრამ მაშინ რით უნდა აიხსნას მთელი რიგი ისეთი წაკითხვები პ. იოსელიანის გამოცემაში (ე. ი. დავით რექტორის მიერ გადაწერილ ტექსტშიც), რომლებიც ამავე რედაქციის სხვა ხელნაწერებში არ დასტურდება? თუ მათ გადამწერის კონიექტურებად ჩავთვლით, საკითხავია, კონიექტურების გზითვე რატომღა არ გასწორდა რითმის უხეში დარღვევის თუ მარცვალმეტობის ცალკეული შემთხვევები, რომლებიც პ. იოსელიანის გამოცემაში გვხვდება და ე. ი. დასტურდებოდა დავით რექტორის მიერ გადაწერილ ხელნაწერში? ან როგორღა უნდა აიხსნას ისეთი შემთხვევები, როცა პ. იოსელიანის გამოცემაში აშკარად მცდარი წაკითხვებია წარმოდგენილი, ხოლო ამავე რედაქციის ხელნაწერებში — მართებული? რატომღა არ გაასწორა ისინი გადამწერმა დავით რექტორმა, თუ ამავე რედაქციის ხელნაწერთა ვარიანტებს იცნობდა და უმჯობეს წაკითხვებსაც ეძიებდა? ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დავით რექტორს უცვლელად (მხედველობაში არა გვაქვს ენობრივი სტილი-

ზაია, რომელიც შესაძლოა მოეხდინა) უნდა გადაეწერა ერთი რომელიღაც ხელნაწერი; პ. იოსელიანსაც, თავის მხრივ, უცვლელად გადაუბეჭდავს იგი. ამგვარად მოჩანს „დიდმოურავიანის“ პირველი გამოცემის ხელნაწერულ მემკვიდრეობასთან მიმართების ზოგადი სურათი.

ყოველივე ამის შემდეგ განვიხილოთ „დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების საკითხი.

ხელნაწერებს „დიდმოურავიანის“ ტექსტი მრავალგვარი სხვაობით შემოუნახავს. ზემოთ აღნიშნული 15 ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინების შემდეგ ეს განსხვავებანი, რომელთაც აუსახავთ შეგნებული მიდგომა ტექსტისადმი, თავსდება ორ ძირითად ჯგუფში. განსხვავებანი ვლინდება შინაარსის, მხატვრული ფორმის, სტილის, იდეური გამიზნულებისა თუ პოემის შედგენილობის ცალკეულ მხარეებში, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოყოფილ იქნეს ორი რედაქცია. რედაქციათა გამოყოფა ამ შემთხვევაში ე. წ. კომპლექსურ ჩანაფიქრს ექვემდებარება.

ერთი რედაქცია წარმოდგენილია ხელნაწერებში — S—15, S—5233, S—101, H—1757, A—1125. ამავე რედაქციის ხელნაწერული ტექსტი დაუცავს S—2392-საც. ამ უკანასკნელში დასაწყისი და ბოლო ნაწილი ტექსტისა ხელოთ ნაწერია, გადაწერილი დავით ამირიძის მიერ მე-19 საუკუნეში, შუა ნაწილში კი წარმოდგენილია ნაბეჭდი ტექსტი პ. იოსელიანის გამოცემისა. ცხადია, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა საკუთრივ ხელნაწერული ტექსტი. როგორც გამოირკვა, ხელნაწერული ნაწილი შეიცავს ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერთა რედაქციას. ეს რედაქციაა წარმოდგენილი „დიდმოურავიანის“ გ. ლეონიძისეულ და, მასზე დაყრდნობით, „ჩვენი საუნჯის“ გამოცემებშიც. აღნიშნულ რედაქციას A რედაქციას ვუწოდებთ.

განსხვავებული რედაქცია შემოუნახავს ხელნაწერებს: H—123, S—1536, A—1378, S—951, S—2536, H—612, S—4629, H—3222, H—124. ეს რედაქცია (რომელსაც B რედაქციას ვუწოდებთ) წარმოდგენილია პირველ ნაბეჭდ ტექსტშიც — პ. იოსელიანის გამოცემაში, ხოლო ამ უკანასკნელზე დაყრდნობით (თუმცა რამდენიმე შეცვლილი სახით) — ი. იმედაშვილისა და ს. ჭელიძის გამოცემაშიც.

A რედაქციას განეკუთვნება „დიდმოურავიანის“ დღეს ცნობილ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველად მიჩნეული S—15 ხელნაწერი, მაგრამ წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სრულიადაც არ მიუთითებს ამ რედაქციის უფრო ადრეულ წარმოშობაზე B რედაქციასთან შედარებით. „დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ მკვეთრი გამოიჭვნა აღნიშნულ რედაქციათა წარმოშობის დროისა გამართლებული არ უნდა იყოს. ორივე რედაქციის შიგნით გამოიყოფა ხელნაწერთა ქვეჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ. ასე, A რედაქციის შიგნით S—101, H—1757 და A—1125 ხელნაწერები ერთმანეთთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ, ვიდრე საკუთრივ S—15 ხელნაწერთან. სავარაუდებელია, აღნიშნულ სამ ხელნაწერს ერთი არქეტიპი ჰქონოდა.

B რედაქციაში მეტად თვალსაჩინო ქვეჯგუფს ქმნის H—612 და S—4629 ხელნაწერები. მათ სიახლოვეს აღნიშნავდა გ. ლეონიძეც 1939 წლის გამოცემას დართულ გამოკვლევაში⁹. ამ ქვეჯგუფს მრავალი საინტერესო ვარიანტი შემო-

⁹ „დიდმოურავიანის“ გ. ლეონიძისეული გამოცემა, 1939; იოსებ ტფილელი და „დიდმოურავიანი“, გვ. XVI.

უნახავს, რომელთა გათვალისწინება „დიდმოურავიანის“ ტექსტის დადგენისას აუცილებელია.

„დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა უმრავლესობას, მათ შორის მე-18 საუკუნის ხელნაწერებს, სწორედ B რედაქციის ტექსტი დაუცავთ. სანამ რედაქციითა განმასხვავებელ ნიშნებს შეეცვებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე ცნობა მივაწოდოთ მკითხველს ზოგიერთი ხელნაწერის შესახებ. გარდა S—15-ისა, პოემის ძველი (მე-19 საუკუნეზე ადრინდელი) ხელნაწერები ყველა ნაკლულია. სწორედ ეს გარემოებაც უცილოდ ამართლებს ძირითად საყრდენად აღნიშნული ხელნაწერის გამოყენებას „დიდმოურავიანის“ ტექსტის ბეჭდვისას. S—15-ის რედაქცია დაუცავს S—5233 ხელნაწერსაც, რომელიც მე-17—18 საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს გადაწერილი¹⁰. ეს ხელნაწერი შეიცავს პოემის მხოლოდ 66 სტროფს. როგორც ჩანს, დანარჩენი ნაწილი პოემისა არც გადაწერილა. მომდევნო სტროფთა მხოლოდ დასაწყისი სიტყვები ჩაუწერიათ სინგურით, მთელი ტექსტის გადაწერა კი ვეღარ მოუხერხებიათ. საგრძნობლად ნაკლულია B რედაქციის ხელნაწერები A—1378, H—123, S—1536. ორიოდ სიტყვით შევჩერდებით ამ უკანასკნელში წარმოდგენილი „დიდმოურავიანის“ ტექსტის მოცულობაზე. S—1536 წარმოადგენს კრებულს. იმ ნაწილში, რომელიც ჩვენს პოემას შეიცავს, გვერდები აკინძულია დიდი არეუ-დარევეთ. ეს გარემოება გამხდარა მიზეზი შეცდომისა აღნიშნული ხელნაწერის ტექსტის (გველისხმობთ „დიდმოურავიანის“ ტექსტს ამ კრებულში) მოცულობის განსაზღვრაში. ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ხელნაწერს ბოლოში 18 სტროფი აკლია და უკანასკნელი სტროფი იწყება ტაქთით: „მან მისწერა სიჯანბნითა ვერ აპირებ მორევნასა“ (პ. იოსელიანის გამოც.).¹¹ სინამდვილეში აღნიშნული ხელნაწერის ტექსტს დასასრულის ნაწილში აკლია არა 18, არამედ ბოლო ორი სტროფი მხოლოდ. პოემის ტექსტი ამ ხელნაწერში სრულდება არა 464-ე, არამედ 480-ე სტროფზე. ხელნაწერს მოეპოვება სტროფები: 1—153, 167—195, 212—480. გვერდები აკინძულია სტროფთა შემდეგი თანმიმდევრობით: 1—153, 212—259, 353—400, 465—480, 260—291, 321—352, 167—195, 292—320, 401—464.

ხელნაწერ S—4629-ის შესახებ გ. ლეონიძე აღნიშნავდა, რომ იგი გადაწერილია 1854 წ. იოანე ბესარიონის ძის ხიმშიევის მიერ, ხოლო ამ ხელნაწერის გადანაღები პირია № 612 ხელნაწერი. მსგავსება აღნიშნულ ხელნაწერთა ტექსტებისა მართლაც აშკარაა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ერთი მეორის პირად მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ. მათ დაუცავთ თვალსაჩინოდ განსხვავებული წაკითხვანიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელნაწერები შესაძლოა ერთი პროტოგრაფიდან მომდინარეობდნენ. იოანე ბესარიონის ძე ხიმშიევი 1854 წელს გადაუწერია არა S—4629 ხელნაწერი, როგორც 1939 წლის გამოცემაშია აღნიშნული, არამედ H—612. ამას ვვამცნობს ამ უკანასკნელის წარწერა, რომელიც არ მოეპოვება S—4629 ხელნაწერს: „და შემდეგ გარდავწერე წიგნი ესე კურთხეულ მიტრაპოლიტის შეთხზულისაგან მე იოანე ბესა-

¹⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, VII, ვლ. მეტრეველის რედაქციით, 1973.

¹¹ Е. Т а к а и ш в и л и, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. I—4, 1906—1912, გვ. 515—516. იხ. აგრეთვე ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1961.

რიონის ძემ ხიმშიევა ჩყნდ-სა წელსა ენკენისთვის პირველსა დღესა წამკითხველნო ღირს მყავთ შენდობის თქმა ამინ“ (H—612), ხოლო 27-ე გვერდზე: „ეს დაწერილ არს 1854 წ.“. H—612 ხელნაწერი რომ არ შეიძლება S—4629-ისაგან გადანაღებ პირად ჩაითვალოს, ამას აშკარად ადასტურებს ერთი გარემოება: H—612 ხელნაწერში მოიპოვება სტროფი, რომელსაც არ იცნობს S—4629 ხელნაწერი. ესაა 475-ე სტროფი („ნათესავ მოდგამ გვარ ტომან...“). H—612 ხელნაწერი რომ უშუალოდ S—4629-ისაგან გადანაღები პირი იყოს, ცხადია, ეს დანაკლისი მასშიც პოვებდა ასახვას. S—4629 ხელნაწერში წარმოდგენილია ცალკეულ სიტყვათა განმარტებანი, რაც „დიდმოურავიანის“ სხვა არც ერთ ხელნაწერში არ შეგვხვედრია. განმარტებანი გადამწერისავე ხელით მიწერილია არშიებზე. ზოგიერთი მათგანი ხელნაწერის ფურცლის დაზიანების გამო სანახევროდაა შემორჩენილი. რამდენიმე განმარტების წყაროდ საბას ლექსიკონი ჩანს. მაგალითად, საბას მიხედვით არის განმარტებული — კვიპაროზი, ლაშქარი, ფაფარუქობა და სხვ. ამავე ხელნაწერში წარმოდგენილია მარტივი ჩანახატებიც პოემის სიუჟეტის მიხედვით. ერთ-ერთი მათგანის წარწერაში მკვეთრად გამოვლენილა გაურკვეველობა პოემის პერსონაჟთა ვინაობისა, კერძოდ, ხელნაწერს შემოუნახავს წითელ და შავ ფერებში შესრულებული მარტივი ჩანახატი — ცხენებზე შემსხდარი ქალი და მამაკაცი, რომლის ქვეშ მიწერილია: „სვიმონ მეფე დედოფლითურთ თვისით, რომელ დაე მოურავისა“. ხელნაწერთა გავრცობილ ქვესათურებში გვხვდება თეიმურაზ მეფისა და სვიმონ მეფის აღრევა, აქ კი ლუარსაბ მეფისა და სვიმონის აღრევის აქვს ადგილი. B რედაქციის ხელნაწერთა შორის რამდენადმე თავისებური სახე უნდა ჰქონოდა H—124-საც. სამწუხაროდ, ხელნაწერი ძალზე ნაკლებია, მაგრამ შემორჩენილ ნაწილებშიც მას დაუტავს ზოგიერთი ისეთი წაკითხვა, რომლებიც არც ერთ სხვა ხელნაწერში არ დასტურდება.

„დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა რედაქციული სხვაობანი მკვეთრად ვლინდება ცალკეულ ადგილთა წაკითხვებში, პოემის კარებად დაყოფასა და დასათაურებაში, აგრეთვე სტროფულ შედგენილობაშიც. ჭერ ამ უკანასკნელის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ „დიდმოურავიანის“ ხელნაწერებს შემოუნახავთ ერთნაირი შედგენილობის ტექსტი, ცხადია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დეფექტურ ხელნაწერებთან გვაქვს საქმე. სტროფთა დაკლება პოემაში, როგორც ერთ-ერთი რედაქციული თავისებურება, აღნიშნული არ ყოფილა. „დიდმოურავიანის“ 1939 წლის გამოცემას დართულ გამოკვლევაში (გვ. X) ვკითხულობთ: „დიდმოურავიანის“ ხელნაწერები ჩვენი ტექსტის (ივთლისხმება S—15. — რ. ფ.) გარდა გადამწერლების მიერ საშინლად შერყვნილია, ტექსტში სიტყვები და ფრაზები მრავალგან გადამახინჯებულია. თუმცა სტროფული მოცულობა კი ყველგან ერთი და იგივეა“. მაგრამ „დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა დეტალური შესწავლა რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა. ორივე რედაქციის ხელნაწერებში ადგილი აქვს სტროფთა დაკლებას. შესაბამისად რედაქციული სახისა, საქმე შეეხება სხვადასხვა სტროფებს. B რედაქციის ხელნაწერთაგან სტროფის დაკლებას ადგილი აქვს H—612 და S—4629 ხელნაწერებში. რომლებიც, როგორც ითქვა, თავისებურ ქვეჯგუფს ქმნიან. აღნიშნულ ხელნაწერებს არ შემოუნახავთ 127-ე სტროფი (უთხარს: „წავიდეთ, ახლავ სჯობს“...), რომელიც თავის ადგილზეა წარმოდგენილი A რედაქციის ყველა ხელნაწერში. ეს სტრო-

ფი შინაარსობრივად ეპიზოდის აუცილებელ ნაწილად მოჩანს. მიზეზი მისი ჩაეარდნისა გარკვეულად არ გვესახება. გამორიცხული არაა, რომ იგი შემთხვევით ჩაეარდა გადაწერის რომელიღაც საფეხურზე, მაგრამ დროთა ვითარებაში. გადამწერთა კალმის ქვეშ, ამ სტროფის დაკლება აუცილებელ დამახასიათებელ მხარედ ქცეულა, მის გარეშე ჩამოყალიბებულა ეპიზოდი, როგორც შინაარსობრივი მონაკვეთი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, S—4629 ხელნაწერში დაკლებულია 475-ე სტროფიც. A რედაქციის ხელნაწერებში შემჩნევა სამი სტროფის დაკლება პოემის დასასრულს. კერძოდ, ამ ხელნაწერებს არ შემოუნახავს 480, 481, 482 სტროფები. აქ ხელნაწერთა დეფექტურობასთან არა გვაქვს საქმე. ირკვევა, რომ დასასრულის სამი სტროფის დაკლება A რედაქციის ხელნაწერებისათვის (A—1125, S—101, H—1757, S—2392) თვისობრივი მხარე ყოფილა. ასე, მაგალითად, S—2392 ხელნაწერში აშკარად ჩანს, რომ პოემის ტექსტი 479-ე სტროფზე წყდება. ხელნაწერის ბოლო გვერდზე ერთი სტროფია (479) წარმოდგენილი, ქვეშ ხაზია გასმული და იკითხება გადამწერისავე მინაწერი: „ეს წიგნი დიმოურიანი ეკუთვნის დავითს ივანეს ძეს ამირიძეს მოურავს“. ჭერჭერობით ძნელია იმის გარკვევა, ამ სტროფთა დაკლება გადაწერის რომელიღაც საფეხურზე გარკვეული პირის რედაქტორული მუშაობის ნაყოფია თუ პროტოგრაფის დეფექტურობის შედეგი. ასეა თუ ისე, A რედაქციის ხელნაწერებში დასასრულის ეპიზოდი ამ სტროფთა გარეშე ჩამოყალიბებულა.

B რედაქციის ხელნაწერებს შემოუნახავს ტექსტის ისეთა მონაკვეთიც, რომელსაც არ იცნობს S—15 ხელნაწერი და არც გამოცემებში უპოვია მთლიანი ასახვა, კერძოდ, ერთი პოეტური ხელწერით გამოკვეთილი. ერთ შინაარსობრივ მდინარებაში წარმოდგენილი ოთხი ტაეპი, რომლებიც ვვსახება ერთ ე. წ. ჩაეარდნილ მონაკვეთად, ეამთა სიავის მანძილზე ვარიანტულ შრეებში ნაწყვეტების სახით მიჩქმალულად, რომელთა გამოშვებულება და კუთვნილ ადგილზე წარმოჩენა აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია. „დიდმოურავიანის“ პირველ გამოცემაში წარმოდგენილი იყო ამ ოთხი ტაეპიდან ორი, მაგრამ სამაგიეროდ დაკლებული იყო სხვა ორი ტაეპი, ე. ი. მთლიანობაში ყველა გამოცემის ტექსტს აკლია ოთხი ტაეპი, რომლებიც იოსებ ტფილელისეულ ტექსტს უნდა წარმოადგენდეს. ამ ტაეპთა აღდგენა „დიდმოურავიანის“ ტრადიციულ ტექსტს ერთი სტროფით ზრდის. საქმე შეეხება ეპიზოდს, როდესაც ლურსაბ მეფისაგან შერისხული სააკაძე ოჯახის წევრებითა და რამდენიმე მხლებლითურთ უმძიმეს დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ მოახერხებს ხიფათისაგან თავის დაღწევას და სიმამრს — ნუგზარ ერისთავს ეახლება. პირველი შეგვიძრა მისაქციელში მოხდა. ნუგზარი უღრმესი განცლით შეხვდა ასულისა და სიძის უბედურებას. „მითხრა თუ: „ჩემს თავს რას ვაქნევ, ქვეყანა მისაქციელსა, ჩემის ქვეყნიდამ, თუ მეტყვი, აღარ გყოფ მისაქციელსა!“ (138, 3—4). შემდეგ დუშეთში გაემგზავრნენ, სადაც უფრო საგულდაგულო თათბირი შექმნეს. ნუგზარამ ურყევად გვერდში ამოდგომა აღუთქვა სააკაძეს:

წაველით, დუშეთს მიველით, ვიჩილუ ჩემი ჳირები,
ნუგზარ ერისთავს უამბე, როგორც მითავეს პირები,
მან მისი ქალი რა ნახა ცრემლითა ანატირები,

და მითხრა თუ: „საქმე ვაუხლო მეც შენთან ვასაჳირები!“
მითხრა თუ: „უმისგან პატრონის მოყვრობა არის აუვები,
ბეზლობას ვერ ასცილდება, საქმე არს ვასათაუვები,

შენ ხომ ზედ უნდა წააკვე, მისთვის მოიქრა თავები,
და ან ეგრე მოვა გულისა სეველითა დასაწევებში
თეარე მეც შენთან მოვკვდები, რასაც იქ, მეც ვარ მქნელია,
„სჯობს საყვარელსა მოყვარე“ — ესე ნათქვამად ძველია,
დასდგები აქა — გახლავარ, წახვალ, — ვარ წამომსვლია,
და შენთან სიყვილის და გვერც ხლებას არეინ მყავს მე დამშლელია“ (140—142).

ამგვარადაა ეს ეპიზოდი წარმოდგენილი A რედაქციის ხელნაწერებში. B რედაქციის ხელნაწერებს აქ გარდა ზემოთ მოტანილი ტექსტისა, დამატებით დაუცავთ ოთხი ტაეპი. დამატებითი ტაეპები წარმოდგენილია A რედაქციის ტექსტის ტაეპთა დაკლების ხარჯზე. კერძოდ, დაკლებულია 142-ე სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპები (დასდგები აქა-გახლავარ...). მათ ნაცვლად B რედაქციის ხელნაწერებში წარმოდგენილია განსხვავებული ტექსტი. კერძოდ, ორი განსხვავებული ტაეპი დაუცავთ H—123 და H—3222 ხელნაწერებს, ორი სხვა ტაეპი კი — H—612 და S—4629 ხელნაწერებს, აგრეთვე — პ. იოსელიანის გამოცემას, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერის უფლებები ენიჭება.

თუ ორივე რედაქციის ხელნაწერთა მემკვიდრეობას აქ მთლიანობაში წარმოვადგენთ, ეპიზოდი შემდეგ სახეს მიიღებს (აღდგენილი ტექსტი მოგვყავს კვადრატულ ფრჩხილებში):

თეარე მეც შენთან მოვკვდები, რასაც იქ, მეც ვარ მქნელია,
„სჯობს საყვარელსა მოყვარე“ — ესე ნათქვამად ძველია;
[შენთვის მწუხარეს შედების, ცეცხლი მწეავს მოუნელია,
და რადგან შენ გხედავ უბედოდ, დღე მე¹² შემქმნია ბნელია!
გულის სისრულით ისმინე ეს სიტყვა ჩემი მთელია,
არა დავხოვო სასისხლად მკერდი¹³ და უბე-ყელია),
დასდგები აქა-გახლავარ, წახვალ, — ვარ წამომსვლია,
და შენთან სიყვილის და გვერც ხლებას არეინ მყავს მე დამშლელია!

აღდგენილი ოთხი ტაეპი თვალსაჩინოდ მნიშვნელოვანია როგორც შინა-არსობრივი, ისე მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით. ამიტომაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გარკვევა იმისა, ავტორისეულ ტექსტთან გვაქვს მათი სახით საქმე თუ არა. უფრო ზუსტად, აქ ტაეპთა ჩაგდება A რედაქციის ხელნაწერებში თუ ტაეპთა შემატება B რედაქციის ხელნაწერებში. აღდგენილი ტექსტი საკვებით ეხამება ეპიზოდის შინაარსობრივ-ემოციურ მთლიანობას და, ვფიქრობთ, B რედაქციის ხელნაწერებმა ამ ეპიზოდში გადაგვიჩინეს ავტორისეული ოთხი ტაეპი. ამ ტაეპთა გვიანი დროის ჩამატებებზედ მიჩნევა გაუმართლებლად ჩანს. ჭერ ერთი, ისინი უკვე წარმოდგენილია მე-18 საუკუნის ხელნაწერებში, მეორეც, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, „დიდმოურავიანის“ ხელნაწერებში საკუთრივ პოემის ტექსტის გავრცობის ტენდენცია არ იგრძნობა (მხედველობაში არა გვაქვს ცალკეულ კართა სათაურები). სხვაობანი პოემის სტროფული შედგენილობის თვალსაზრისით (127, 480, 481, 482 სტროფები), როგორც უკვე ითქვა, სტროფთა ჩაგდების შედეგად მოჩანს, და არა შემატებისა¹⁴. მაშ, რატომ უნდა გამხდარიყო გამონაკლისი ზე-

¹² H—612; მეც დღე.

¹³ S—3222; გვერდი.

¹⁴ ტექსტის გავრცობის შემთხვევად არ ჩაითვლება S—5233 ხელნაწერში წარმოდგენილი ერთი სტროფი (მეფე გულგანის ხეებულ...). როგორც უკვე ითქვა, ამ ხელნაწერში გადაწერილი ყოფილა მხოლოდ 66 სტროფი, შემდეგ კი — სტროფთა დასაწყისი სიტყვები. 67-ე სტროფის დასაწყისი სიტყვაზე ვიღაცის შეუთხოვან შინაარსობრივ-მხატვრული თვალსაზრისით უსუსური სტროფი. ეს სრულიად შემთხვევითი მოვლენაა, რომელსაც არც ერთ ხელნაწერში არ უპოვია ასახვა.

მთ აღნიშნული ეპიზოდი? ვფიქრობთ, გამონაკლისისათვის საფუძველი არც ამ შემთხვევაში არსებობს. ტაეპთა დაკლება ამ ეპიზოდში გარკვეული პირის რედაქტორული მუშაობის ნაყოფი უნდა იყოს. საფიქრებელია, ეს პროცესი სათანადო იდეური მოსაზრებითაც ყოფილიყო შეპირობებული. ამ ეპიზოდში მძაფრად გამოვლენილა ერთი მხრივ ერთგულება სააკაძისადმი და მეორე მხრივ — არცთუ ორაზროვანი უქმაყოფილება პატრონის (იგულისხმება ლუარსაბ მეორე) მიმართ (პატრონის მოყვრობა არის ავები, ბეზლობას ვერ ასცილდება... შენ ხომ ზედ უნდა წააკედე... და სხვ.). ერთგულება სააკაძისადმი განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება აღდგენილ ტაეპებში, სადაც ერთგულების ფიცი სისხლის დაღვრის მუქარამდეც მიდის. სავსებით შესაძლებელია, ამგვარი გააზრების მქონე ტაეპთა დაკლება გარკვეული წრის ტენდენციას ასახავდეს. როგორც ჩანს, ტექსტის შეცვლა აქ მოხდა გადაწყვეტისადმი აღრეულ საფეხურზე, უფრო აღრე, ვიდრე რედაქციები გამოიკვეთებოდა. ორივე რედაქციამ შემოგვინახა ამ ცვლილების შედეგები¹⁵.

ყველაზე მკვეთრად „დიდმოურავიანის“ რედაქციული თავისებურებანი მელანდება ცალკეულ კართა დასათურებაში. A რედაქციის ხელნაწერები (S—15, S—5233, S—101, H—1757, A—1125) არ იცავს კართა სათაურებს. პოემის ტექსტი A რედაქციის ხელნაწერებში წარმოდგენილია არათუ ქვესათაურების, არამედ საერთოდ კარებად დაყოფის გარეშეც. ბუნებრივია, ქვესათაურები წარმოდგენილი არ არის არც 1939 წლის გამოცემაში, რომელიც ამ რედაქციის ზირითად ხელნაწერს — S—15-ს ეყრდნობა. მაგრამ 1939 წლის გამოცემაში ამ მხრივ დიდი კომპრომისია დაშვებული. გამოცემა თვალსაჩინოდ გასცდა A რედაქციის, ეყრდნობა, S—15-ის ჩარჩოებს და დაესესხა B რედაქციას. საქმე ისაა, რომ 1939 წლის გამოცემის ტექსტი დაყოფილია კარებად, თუმცა კართა სათაურები არ არის წარმოდგენილი. მაგრამ S—15 ხელნაწერს და, საერთოდ, ამ რედაქციის არც ერთ ხელნაწერს შემონახული არა აქვს კარებად დაყოფილი ტექსტი. პოემის ხელნაწერული შემკვიდრება ერთმანეთისგან არ თიშავს კარებად დაყოფასა და ქვესათაურებს. იმ ხელნაწერებში, სადაც კარებად დაყოფას აქვს ადგილი, წარმოდგენილია ქვესათაურებიც. „დიდმოურავიანის“ ტექსტის დაყოფა კარებად ქვესათაურთა გარეშე ხელნაწერულ ტრადიციას ეწინააღმდეგება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1939 წლის გამოცემაში გამოყოფილია ხელნაწერთა მონაცემებთან შედარებით ერთი ზედმეტი კარიც (კარი მეათე).

ცალკეულ კართა სათაურები სხვადასხვა ხელნაწერში წარმოდგენილია ზოგიერთი ცვლილებით, მაგრამ არა არსებითი განსხვავებებით. ამ მხრივ შედარებით მნიშვნელოვან თავისებურებას ამჟღავნებს H—612 და S—4629 ხელნაწერები. ამ უქანასკნელთ ქვესათაურები შედარებით მეტი ოდენობითაც შემოუნახავთ, ვიდრე B რედაქციის სხვა ხელნაწერებს. ეს „ზედმეტი“ ქვესათაურები, რა თქმა უნდა, კარებად დაყოფას არ ემთხვევა. შესაბამისად რედაქციული სახისა, ხელნაწერებში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი თვით

¹⁵ რამდენადც სტროფულ შედგენილობაზეა საუბარი, აქვე უნდა შეინიშნოს, რომ 1939 წლის გამოცემაში ამ მხრივ დაშვებული იყო ერთი უზუსტობა. 372-ე სტროფი პოემისა (პ. იოსელიანის გამოცემის მიხედვით), რომელიც ამავე ადგილზეა ხელნაწერებში, მათ შორის S—15-შიც, 1939 წლის გამოცემაში წარმოდგენილი იყო 382-ე სტროფად. ეს უზუსტობა გასწორდა „ჩვენი საუწყის“ 1960 წლის გამოცემაში.

თავსათაურიც პოემისა. A რედაქციის ხელნაწერებში თავსათაური შედარებით მოკლეა: „ქ. წიგნი და ქება დიდის მოურავის გიორგის თქმული ლექსად ტფილელის იოსებისაგან. ღმერთო წარმართე ქმნული ხელთა ჩემთანი და ხელი მოუმართე მწერალსა“ (S—101, H—1757, A—1125, S—2392). B რედაქციის ზოგიერთ ხელნაწერს ნაკლებობის გამო თავსათური არ შემოუნახავს. ამ რედაქციის ხელნაწერთაგან მხოლოდ H—612 და S—4629 იცავენ თავსათურს, რომელიც შედარებით ვრცელია და სააკაძის ხოტბას წარმოადგენს: „ამბავი გალექსით გადათარგმნილი დიდის მოურავის გიორგის ძისა ძისა შაუშისა, რომელი იყო ტფილისის, ქ ც ხ ი ნ უ ა ლ ის ა და კავკასიის მთისა მდავლეთისა მოურავი კაცი, ძლიერი, სახელოვანი, პაეროვანი და ომისა ფ ღ შემმართველი, რომელიცა დაშვრა დიდითა შრომითა საქართველოსა ზ ა ქართლსა და კახეთს: რომელმანცა მრავალგზის განათავისუფლნა საქართველო ყიზილბაშისა მეორის შაჰაბაზისაგან აოხრებასა და იყო მთავარი ქართლის სამეფოსა შინა მდიდარი ფ ღ“ (S—4629).

კართა სათაურებს მრავალი ცნობა დაუცავთ პოემის პერსონაჟთა თუ პოემაში მოთხრობილი ამბის ირგვლივ. სათაურთა არაავთენტურობა უუპეკოც რომ გამხდარიყო, მათში დაცულ ცნობებს, ცალკეულ უზუსტობათა მიუხედავად, მაინც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგანაც მოგვაწვდიდნენ მე-18 საუკუნეში (თუ ცოტათი უფრო ადრეც არა) მცხოვრებ პირთა ცოდნას პოემაში მოთხრობილი ამბის ირგვლივ. მაგრამ ხელნაწერთა შესწავლის შემდეგ ქვესათაურთა მთლიანად ყალბად მიჩნევა საფუძვლიანად არ გვეჩვენება. ამჟერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქვესათაურებში დაცულ ცნობათა ყოველმხრივი განხილვა; გვინტერესებს მხოლოდ რა სურათს იძლევა ქვესათაურები პოემის რედაქციულ თავისებურებათა თვალსაზრისით და გვაქვს თუ არა მათი სახით იოსებ ტფილელისეული ტექსტი.

გ. ლეონიძე ცალკეულ კართა სათაურებს გვიანი დროის ჩამატებებად მიიჩნევდა. მისი აზრით, მათი ავტორი უნდა ყოფილიყო ვინმე „მჩხაბავი თომა“. ეს თომა მოხსენებულია ხელნაწერ S—1536-ის ერთ-ერთი კარის (კარი O) სათაურში: „ქ: ამისი მჩხაბავი (...?) თომა. დაიწერა: სეკლენბერსა: იგ: ქქსა: უნგ:“ S—1536 მე-18 საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი, უფრო ზუსტად, იგი თარიღდება 1765—1775 წლებით¹⁶. მაგრამ კართა სათაურები დასტურდება მე-18 საუკუნის სხვა ხელნაწერებშიც (სადაც ტექსტი ნაკლები არ არის). საკითხავია, როგორღა მოხერხდა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მჩხაბავი თომას მიერ შეთხზული სათაურები გავრცელდა მე-18 საუკუნის სხვა ხელნაწერებშიც? ვანა დამტკიცებულია, რომ S—1536 უფრო ადრინდელია, ვიდრე მე-18 საუკუნის დანარჩენი ხელნაწერები? ამის დამტკიცება კი აუცილებელია, თუმცა სრულიადაც არასაკმარისი იმისათვის, რომ სათაურთა ავტორობა მჩხაბავ თომას მივაკუთვნოთ. მჩხაბავ თომა შეიძლება გადაწერად მივიჩნიოთ, მაგრამ არ მტკიცდება, რომ იგი ქვესათაურთა ავტორიც იყოს. არც ის მტკიცდება, რომ „დიდმოურავიანის“ მე-18 საუკუნის ჩვე-

¹⁶ Е. Такашвили, Описание рукописей... т. II, вып. 1—4, 1906—1912, гг. 515—516. იხ. აგრეთვე: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II, შედგენილი და დასაბუქვად დამზადებული ა. ბაქრაძის, ი. ბრეგვაძის, ე. მეტრეველის და მ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, 1961.

ნამდებ მოღწეული რომელიმე ხელნაწერი უშუალოდ S—1536-იდან იყოს გადაწერილი. ხელნაწერ S—1536-ს შემოუნახავს სპეციფიკური წაკითხვები, სათაურებშივე ჩართული ისეთი გავრცობა-განმარტებანი, რომლებიც არც ერთ სხვა ხელნაწერში არ დასტურდება. თუ S—1536 გადაწერის წყარო იყო და სათაურებიც მისგან გავრცელდა, ცხადია, ეს სპეციფიკური ჩანართებიც კპოვებდა ასახვას სხვა ხელნაწერებში. მაგალითად, მე-7 კარის სათაური ხელნაწერებს შემდეგი სახით შემოუნახავთ: „პოურავისაგან ყაენთან წასვლა ცოლ-შვილითა და ყურყუთას ფონზედ კოლატურის მიბნედა“. განსხვავებით ყველა სხვა ხელნაწერისაგან S—1536-ს ამ სათაურში დაუცავს ემოციური ხასიათის დანართიც: „თუ გიჟი არ იყო მოურავს როგორ დაიჭირებდა!“ დანართი წარმოდგენილია ვადამწერისავე ხელით, როგორც ქვესათაურის უცილობელი ნაწილი. არც ერთ სხვა ხელნაწერში ეს დანართი არ გადასულა. მე-18 საუკუნის ხელნაწერებში წარმოდგენილი ქვესათაურები უკვე ატარებს ე. წ. ეამთა სიავის ნიშნებს. მათში უკვე საგრძნობია ტექსტის გავრცობა, სტილიზაცია, ფრაზათა თუ ცალკეულ სიტყვათა დამახინჯება და სხვ. ეს ნიშნები ცხადად ეტყობა S—1536 ხელნაწერსაც. აშკარაა, რომ ეს ხელნაწერი არაა პირველი წყარო ქვესათაურებისა. მით უმეტეს გამორიცხულია, რომ მათი ავტორი დავით რექტორი იყო. აზრი დავით რექტორის ავტორობის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიბადოს, თუ მე-18 საუკუნის ხელნაწერებს არ გავითვალისწინებთ და მხოლოდ პ. იოსელიანის გამოცემას დავეყრდნობით. მაგრამ გაოცებას იწვევს, რომ ასეთი შეცდომა მოუვიდა ან. ფურცელაძეს, რომელმაც, მისივე მოწმობის თანახმად, გასინჯა ამ თვალსაზრისით პოემის შვიდი ხელნაწერი, მათ შორის ოთხი — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, თუმცა ვერც ერთ მათგანში ვერ აღმოაჩინა კართა სათაურები¹⁷. როგორც ჩანს, ან. ფურცელაძის ხელთ შემთხვევით სწორედ A რედაქციის ხელნაწერები აღმოჩენილა. ან. ფურცელაძეს გათვალისწინებული არა აქვს იოსებ ტფილელის პოემის სხვა ხელნაწერები, მათ შორის — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაც. რომელთაც კარებად დაყოფილი და დასათაურებული ტექსტი დაუცავთ. თავის დროზე ეს შენიშნა მ. ჭანაშვილმაც¹⁸.

„დიდმოურავიანის“ ქვესათაურებს აშკარად ეტყობა გავრცობის ნიშნები, შინაგანი წინააღმდეგობანი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ავტორისეულ ტექსტში პოემა უცილობლად ქვესათაურებისა და, მით უმეტეს, კარებად დაყოფის გარეშე ყოფილიყო წარმოდგენილი. „დიდმოურავიანი“ მძაფრი ეპიზოდებით მდიდარი პოემაა. შინაარსი პოემისა ვითარდება სხვადასხვა ქვეყანაში: საქართველოში, სპარსეთში, თურქეთში. თხრობის დროს არაერთგზის გამოიკვეთება მძაფრი სიტუაციები, რომელთაც პოემის ვრცელი მონაკვეთები ეძღვნება: ომების სურათები, ლუარსაბ მეორისა და სააკაძის დის საბედისწერო ქორწინება, მეფის რისხვა, სააკაძის ვადახვეწა, სააკაძე შაჰ-აბასის წინაშე, ქართლში დაბრუნება, სააკაძისა და ზურაბის შეთქმულება, მტრის ლაშქრის განადგურება, შაჰ-აბასის დამსჯელი ლაშქრობა, მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში, კონფლიქტი სააკაძესა და თეიმურაზ პირველს შორის, ვრცელი ელეგიური მონოლოგი სააკაძისა, თურქეთში გადახვეწა, წარჩინება სულთნის კარზე, კონფლიქტი ვეზირთან.

¹⁷ ან. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47, სქ. 1.

¹⁸ მ. ჭანაშვილი, ვიორჯი სააკაძე და მისი დრო, 1914, გვ. 18.

სიუჟეტი, განსაკუთრებით დასაწყის ნაწილში, მოფიქრებულია საკმაოდ რთულად, რასაც ზოგჯერ მკვლევარნიც კი შეცდომაში შეჰყავდა. კერძოდ, თეიმურაზ მეფესთან მოციქულობის ისტორია, რითაც იწყება პოემა, ხშირად იწვევდა გაუგებრობას იმის შესახებ, თუ რომელი მეფე იგულისხმებოდა აქ. ასახელებდნენ ლუარსაბს, ხოლო ზოგჯერ სვიმონ მეფესაც. ეს კი ხდებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეპიზოდში მოხსენიებული არ არის მეფის სახელი, არამედ უფრო იმიტომაც, რომ პოეტი მიმართავს ე. წ. შეკავებულ ექსპოზიციას. დასაწყისი პოემაში მოთხრობილი ამბისა წარმოდგენილია საკმაოდ ქვემოთ, მას შემდეგ, როცა გავეცნობით გაცილებით გვიან მომხდარ ამბებს. დაუჭვრებლად გვეჩვენება სიუჟეტური ეპიზოდებითა და ელემენტური მონაკვეთებით ასე უხვად შემკობილი პოემა ერთ გაბმულ, განუკვეთელ მთლიანობად წარმოდგინა პოეტს. კარებად დაყოფის აუცილებლობა თვით შინაარსით არის შეპირობებული და ძველი ხელნაწერებითაც დადასტურებულია. ხოლო ხელნაწერებში ტექსტის კარებად დაყოფას ყველა შემთხვევაში თან ახლავს დასათაურებაც. ამ მხრივ, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია არჩილის „გაბაასების“ ანალოგია. როგორც გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „დიდმოურავიანის“ შექმნისას არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ უკვე დაწერილია. მაგრამ თარიღობრივი სხვაობა ამ ორ თხზულებას შორის სულ რამდენიმე წელს გულისხმობს მხოლოდ. პოეტური სტილის თვალსაზრისით აქ ერთ ეპოქასთან გვაქვს საქმე. არჩილის პოემასაც შემოუნახავს დაახლოებით იმავე ტიპის ქვესათაურები, როგორსაც „დიდმოურავიანში“ ვხვდებით. არჩილის ქვესათაურებიც, მსგავსად „დიდმოურავიანის“ ქვესათაურებისა, ზოგჯერ ეპიზოდთა შინაარსის მოკლე ანოტირებაა, მათთვისაც უტყბო არაა ავტორის ემოციათა გამოხატველი წინადადებანი, მკითხველისადმი მიმართვანი („უყურეთ მანქანებას ბელიარისასა!“, „და აწ უყურეთ“, „ყური მიუპყართ სიტყვის მსმენელნო“ და სხვ.). რა თქმა უნდა, „დიდმოურავიანის“ ქვესათაურებში იგარძნობა დანართთა ფენაც, რომელთაც აუსახავს განსხვავებული სტილი და წინააღმდეგობანიც პოემის შინაარსთან. მათი გამოყოფა აუცილებელია. სამწუხაროდ, ამჟამად შესაძლებლობა არა გვაქვს ქვესათაურთა დანართი ფენების შესახებ ვრცლად მსჯელობისა. ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „დიდმოურავიანის“ ხელნაწერი მემკვიდრეობის მონაცემთა დეტალური გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა, გასწორებული იქნეს პოემის ქვესათაურთა ზოგიერთი, მკვლევართაგან არაერთგზის აღნიშნული შინაგანი წინააღმდეგობა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია H—612 და S—4629 ხელნაწერთა მონაცემები, განსაკუთრებით — H—612-ისა. როგორც ჩანს, ამ გვიანდელ ხელნაწერში შემონახულია ქვესათაურთა შედარებით ძველი სახე, უფრო ძველი, ვიდრე მე-18 საუკუნის ხელნაწერებს დაუცავთ. ეს კარგად ჩანს მე-10 კარის სათაურის მიხედვით. პ. იოსელიანის გამოცემას, ისევე, როგორც S—1536 (მე-18 ს.) ხელნაწერს¹⁹, აღნიშნული კარის სათაურში შემოუნახავს სრულიად შეუსაბამო ცნობა, რომელიც გულისხმობს პოემის პერსონაჟთა ვინაობის გაურკვეველობასაც და ისტორიულ რეალათა დამახინჯებასაც. ქვესათაურის ტექსტში (პ. იოსელიანის გამოცემისა და ხელნაწერ S—1536-ის მიხედვით) საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სამშობლოდან გადახვეწის წინ თავისი

¹⁹ მე-18 საუკუნის სხვა ხელნაწერები ამ ნაწილში ნაკლებია.

აღსარებით (რომელიც შეიცავს თავგადასავლის მბობასაც, საჩივარსაც, ელე-
გიურ მონოლოგსაც და სხვ.) გიორგი სააკაძე მიმართავდეს სვიმონ მეფეს:
„კარი: ი: წასვლა მოურავისაგან ხვანთქართაგან. რაც ქართველთ ხელმწიფე-
თათვის გარდაეხადა იმ საჩივრებს მოჰყვა. და ყველა მეფეს სვიმონს უამბო.
და რა რომ შერიგება აღარ იქნა. ერთმანეთს ემდუროდენ და ერთმანეთს გუ-
ლი ველარ შეაჭერეს“... და სხვ. (S—1535). ქვესათაურის რედაქტორისათვის,
რომელსაც განეკუთვნება ამ სახით დამუშავება ქვესათაურის ტექსტისა, გა-
ურკვეველი ყოფილა, რომ მეფე. რომელსაც მიმართავს სააკაძე, თეიმურაზ
პირველია. ეს გაურკვეველობა გადაწერის აღრეულ საფეხურზე წარმოშობი-
ლა, რადგან მან ასახვა პოვა მე-18 საუკუნის ხელნაწერშიც. ჩვენთვის ცნობილ
ხელნაწერთაგან ამ მხრივ მხოლოდ H—612 ხელნაწერს შემოუნახავს თავდა-
პირველი ტექსტის მიახლოებითი სახე. აღნიშნული კარის სათაური ამ ხელ-
ნაწერში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „წასვლა მოურავისა ხვანთქართან.
რაც ქართველთ ხელმწიფესთან თავისი გარდახედოდა, იმ საჩივრის მოხსენება,
რა რომ ველარ მოხდა მათი შერიგებაჲ. და მოურავისაგან ხონთქრის დიდი სამ-
სახური“. აქ აზრი საესებით ლოგიკურია. უცხოეთში გადახვეწის წინ პომის
გმირი მიმართავს მოხსენებას (მოქსენება, მოგონება) მთელი თავისი ქარტე-
ხილიანი ცხოვრებისა. შემდეგ ამისა კი კარში მოთხრობილია სააკაძისაგან
„ხონთქრის დიდი სამსახური“.

„დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა რედაქციული სხვაობა მკვეთრად ასა-
ხულა ცალკეულ ეპიზოდთა წაკითხვებშიც. ვარიანტულ სხვაობებში ზოგჯერ
იკრძნობა გარკვეული პოზიციიდან მიდგომა ეპიზოდში მოთხრობილი ამბი-
სადმი. მაგ., S—15 ხელნაწერის ტექსტი — „ჩემს მოყვრებს მწვე უხაროდათ,
სხვანი ჩურჩურით მჩხებედეს“ (102,1) B რედაქციის ხელნაწერებში წარ-
მოდგენილია შემდეგნაირად: „ჩემს მოყვრებს მწვე უხაროდათ, სხვანი ჩურ-
ჩურით ჩმახედეს“. აქ აშკარად ერთი სიტყვით (ჩმახედეს) გამოხატულია და-
მოკიდებულება იმ ბანაკის საქმიანობის მიმართ, რომელიც სააკაძის ირგვლივ
მტრობის ქსელს ქსოვდა. შინაარსობრივი მიზანდასახულობის გამო რედაქტო-
რი არ მორიდებია რითმის შეცვლასაც (სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა
გვაქვს მოვიტანოთ რედაქციითა მრავალრიცხოვანი განსხვავებული წაკითხ-
ვების ტექსტი, მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე: 8,3; 24,2; 75,3;
80,2; 83,3, 138,2; 148,4; 207,3; და მრ. სხვ.).

S—15 ხელნაწერს ე. თაყაიშვილი 3ე-18 საუკუნით ათარიღებდა²⁰, შემ-
დეგ ხელნაწერის გადაწერის თარიღად 3ე-17 საუკუნე იქნა მიჩნეული. აღ-
ნიშნული ხელნაწერი გ. ლეონიძეს „დიდმოურავიანის“ ავტოგრაფად მიაჩნდა²¹
როგორც ა. ბაქრაძემაც აღნიშნა. „ავტოგრაფის დასასაბუთებლად ხელნაწერის
სიძველის გარდა, მკვლევარს არავითარი სხვა საბუთი არ მოაქვს“²². ამ სა-
კითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, არამკირედი მნიშვნელობა აქვს საკუ-
თრივ S—15 ხელნაწერის ტექსტის მონაცემთა დეტალურ შესწავლას. ირკვევა,
რომ S—15 ხელნაწერს ტექსტის ზოგიერთი ეპიზოდი დაუცავს იმ სახით, რა
სახითაც არ შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო ავტოგრაფში. კერძოდ,

²⁰ E. Та х а й ш в и л и, Описание рукописей..., т. I, вып. 1—4, 1902—1904, გვ. 121.

²¹ იხ. „დიდმოურავიანის“ გ. ლეონიძისული გამოცემის (1939 წ.) წინასიტყვაობა, იოსებ ტფი-
ლული და „დიდმოურავიანი“, გვ. X.

²² ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის გადაწერნი; კრებული „შოთა რუსთველი“, ისტო-
რიულ-ლიტერატურული ძიებანი, 1966, გვ. 89.

ხელნაწერში შემონახულა ტექსტის ისეთი დამახინჯებანი, რომლებიც აშკარად გადამწერის კალმის ნიშნებს ატარებს. გარდა ამისა, S—15-ში შესულა ზოგიერთი სპეციფიკური წაკითხვა B რედაქციისა. S—15-ის გადაწერის ეამს უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა B რედაქციაც, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ S—15 არ შეიძლება იყოს ავტოგრაფი.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან მასალას იძლევა 170-ე სტროფი. S—15 ხელნაწერში აღნიშნული სტროფი წარმოდგენილია ღია რიითებით:

დღეს ერთს ლხინად ჯდა ჯემწოფე. უხეს თავი ჰქონდა ლაღება,
 მიზნანა: „გამხიარული, გულს ცეცხლი ნუ გწვავს დაღება!
 თეთრს მოგემ ამდენს, კარამლი ვერ შესძლო მიტან-წაღება,
 და სხვის წყალობითაც დაგმართო სევდათა კარის გაღება.“

პ. იოსელიანის გამოცემას, რომელსაც ხელნაწერის უფლებები ენიჭება, სტროფში დაუტაცეს დახურული რიითმები (ლაღებად, დაღებად, წაღებად, გაღებად), რომელთაც დღეს ხელნაწერებში ვერ ვპოულობთ. ისმის კითხვა, რას ემყარებოდა პ. იოსელიანის გამოცემის წყარო, ე. ი. დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერი? ხომ არა გვაქვს აქ საქმე გადამწერის კონიექტურებთან? ირკვევა, რომ არა. როგორც ჩანს, თვით S—15 ხელნაწერის გადაწერის პერიოდში უკვე არსებულა აღნიშნული სტროფის დახურულრიითიანი სახე, იმგვარი, როგორც პ. იოსელიანის გამოცემაშია წარმოდგენილი, და იგი ნაცნობი ყოფილა S—15 ხელნაწერის გადამწერისთვისაც. თავდაპირველად მას სწორედ დახურული რიითმებით გადაუწერია სტროფი, ისე, როგორც პ. იოსელიანის გამოცემაშია. როგორც ჩანს, დახურული რიითმებით იყო ეს სტროფი წარმოდგენილი S—15 ხელნაწერის წყაროში. მაგრამ შემდეგ გადამწერსავე შეუცვლია და გადაუკეთებია ღია რიითმებად, ისე, როგორც დღეს ხელნაწერებშია. ამ სწორების კვალი S—15 ხელნაწერში დღესაც შესამჩნევია (სტროფის პირველ სამ ტაეპში). ტაეპთა ბოლო ასო ყოფილა დ, რომელიც გადამწერს გადაუსწორებია ა-დ, ხოლო წინა ა ამოუშლია. სარიტმო სიტყვები ნასწორებია გადამწერისავე ხელით. რათა არ დარღვეულიყო ტაეპთა სიგრძის თანაზომიერება, ამოუშლიათ შიგა ასო, ხოლო ბოლო ასო — გადაუკეთებიათ.

თუ S—15 ხელნაწერს ავტოგრაფად მივიჩნევთ და მასში წარმოდგენილ სწორებასაც ავტორისავე კალამს დაუვკავშირებთ, მაშინ სრულიად გაუგებარია როგორღა უნდა შემოენახა ავტორისგანვე ამომშლილი და გადასწორებული წაკითხვები პირენადელი სახით (იმ სახით, როგორითაც გადასწორებამდე იყო) შედარებით გვიან გადაწერილ ხელნაწერს (იგულისხმება დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერი, რომელსაც 1851 წლის გამოცემა ეყრდნობა). ცხადია, ის თავდაპირველი წაკითხვები, რომლებიც ამომშლალ-გადასწორებულია S—15-ში და შემონახულია პ. იოსელიანის გამოცემაში, თავის დროზე წარმოდგენილი ყოფილა სხვა ხელნაწერებშიც, მათ შორის S—15-ის წყაროშიც. მაშასადამე, S—15-ის გადაწერისას უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა იმგვარი წაკითხვები, როგორც B რედაქციის ერთ ტექსტშია წარმოდგენილი.

ორივე რედაქციას შემოუნახავს სტილისტურ სწორებათა ფენა ყველა ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერის ვარიანტულ სხვაობათა ერთმანეთთან შეპირისპირებისას ეს ფენა აშკარა, თვალსაჩინოდ გამოკვეთილი ხდება. სტილისტუ-

რი სწორებანი სხვადასხვა მიმართულებით წარმართულა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა რითმისა და პოეტური სინტაქსის თვალსაზრისით სწორება. შედარებით ძველ ხელნაწერებში სტილისტური სწორებანი ნაკლებია, მე-19 საუკუნის ხელნაწერებში — მეტი. ეს გასაგებია, დროთა სვლას თან ახლდა სწორებათა ოდენობრივი ზრდაც, განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ ხელნაწერთა ჯგუფები სტილისტურ სწორებათა თვალსაზრისით ემთხვევა ზემოთ აღნიშნულ რედაქციულ ჯგუფებს. სტილისტურ სწორებათა ფენა, მართალია, შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც საგრძნობლად წარმოდგენილია თვით ყველაზე ძველ S—15 ხელნაწერშიც. ეს ნათლად მოჩანს ზემოთ აღნიშნული 170-ე სტროფის მაგალითზეც, სადაც, როგორც ითქვა, თვით ხელნაწერშივე შემორჩენილია თვალთ შესამჩნევი კვალი ამ სწორებისა. ამავე ხელნაწერში სტილისტური სწორება აუსახავს 343-ე სტროფსაც (მიღგაისო). გადამწერის კალმის ქვეშ სარიტმო დაჯგუფების სრული თანხედენის ინერციას უმძლავრია. ფორმალური სიზუსტე თვითმიზანი გამხდარა. რასაც მსხვერპლად შეწირვია სარიტმო დაჯგუფების პირველი სიტყვა, როგორც სემასიოლოგიური ერთეული (მიღ). ის პირი, რომელსაც განეკუთვნება რედაქტორული მუშაობა ამ სტროფზე, ფორმალური მხარის ტყვეობაში ყოფილა, მაგრამ მისთვის უცნობი დარჩენილა, რომ წარმოების ადგილის მიხედვით მსგავს თანხმოვანთა მონაცვლეობა თვით ზუსტი რითმის ფარგლებშიც დასაშვებია. ვეფხისტყაოსანშიც კი, რომლის რითმული წყობა ზუსტი რითმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, იძებნება ისეთი შემთხვევები, როცა წარმოების ადგილის მიხედვით მსგავსი თანხმოვნებია გართმული. ამგვარი რამ განსაკუთრებით მოსალოდნელია მაჭაბურ სტროფებში, რადგანაც ომონიმური ლექსიკის შერჩევა, როგორც ცნობილია, დიდ პოეტურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამ სტროფის სარიტმო ლექსიკა შედარებით სწორი სახით შემონახულია B რედაქციის ხელნაწერებში.

ზემოთ აღნიშნეთ A რედაქციის შიგნით S—101, H—1757 და A—1125 ხელნაწერთა განსაკუთრებული ურთიერთსიახლოვე. ეს სიახლოვე მეტად თვალსაჩინოდ ვლინდება სწორედ სტილისტურ სწორებათა ფენაში. სწორებანი პოეტური სინტაქსის სფეროში აღნიშნულ ხელნაწერთა თვისობრივი მხარეა. ამ ხელნაწერებში მკვეთრად გამოკვეთილია უცნობი რედაქტორის ხელწერა — სიტყვათა თუ ფრაზათა გადაჯგუფება ცალკეულ ეპიზოდთა გამოკვეთის, მსჯელობათა ხაზგასმის, შინაარსის გამძაფრების მიზნით.

სტილისტური სწორებანი აუსახავს B რედაქციის S—4629 და H—612 ხელნაწერებსაც. სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა გვაქვს მათ შესახებ ვრცლად მსჯელობისა.

როგორც ცნობილია, S—15 ხელნაწერი აუცინძავი სახით მოპოვებულ იქნა ქ. ასტრახანში. ამას გვამცნობს ხელნაწერის წარწერა: „ქნიაზ იაგორ ავალისშვილისა ვარ. ასტრახანს ნაყიდი ხუთ აბაზად შეუქრავი და შესაქრავათ მისცა სამი აბაზი“. S—15-ის ავტოგრაფობა რომ დამტკიცებულიყო, მაშინ შესაძლებელი და სარწმუნოც ვახდებოდა ასტრახანში მისი აღმოჩენის არჩილის გზასთან დაკავშირება. მაგრამ როცა ირკვევა, რომ S—15-ის აუსახავს ტექსტზე რედაქციული მუშაობის შედეგები, რაც მოუთითებს, რომ იგი შედარებით გვიან გადაწერილი ხელნაწერია, ცხადია, საეჭვო ხდება ასტრახანში მისი არსებობის არჩილის გზასთან დაკავშირებაც. როგორც ცნობილია,

კ. კეკელიძის დათარიღებით „დიდმოურავიანი“ დაწერილია 1684—1887 წლებში²³. იოსებ ტფილელი გარდაიცვალა 1688 წელს. იმავე წელს არჩილი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა. თუ S—15 ხელნაწერი ავტოგრაფი არ არის და შედარებით გვიან გადაწერილი ხელნაწერია, ხოლო 1688 წელს არჩილი საქართველოში დაბრუნდა, ცხადია, S—15 ხელნაწერი არჩილის მისამართით ვერ გაიგზავნებოდა ასტრახანში. ასეა თუ ისე, ვიდრე ეს ხელნაწერი ასტრახანში იმყოფებოდა, საქართველოში ინტენსიურად გრძელდებოდა გადაწერა „დიდმოურავიანისა“ და ჩვენამდეც მოაღწია პოემის არაერთმა ძველმა ხელნაწერმა, გადაწერილმა მე-17—18 საუკუნეთა მიჯნაზე თუ მე-18 საუკუნეში. საკუთრივ S—15 ჩვენ გვესახება ერთ მეტად მნიშვნელოვან ძველ ხელნაწერად, თუმცა არა ავტოგრაფად, რომლის გადაწერა უფრო მე-17 საუკუნის დასასრულსაა სავარაუდებელი (შესაძლოა, საუკუნეთა მიჯნაზეც). საქართველოდან S—15 ხელნაწერის გატანა, ვფიქრობთ, ვახტანგ მეექვსის გზასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

A რედაქციის ხელნაწერები S—15-ის გარდა პოემის ტექსტის დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევენ. ამ რედაქციის ყველა საუკეთესო მხარე წარმოდგენილია S—15 ხელნაწერში. ცხადია, თუ გამოცემისას საყრდენად მივიღებთ ამ უკანასკნელს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სწორედ მეორე, B რედაქციის ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებას, S—15-ის ტექსტის B რედაქციის ხელნაწერებთან შეჭერებას.

ბევრ შემთხვევაში A რედაქციას დაუცავს ძველი და მართებული წაკითხვები, რომელთა შესაბამისი B რედაქციის ტექსტი გვიანდელად და რედაქტირებულად გვესახება (მაგ., ჩმახევედეს — 102), მაგრამ არაიშვიათად B რედაქციის ხელნაწერთა ცალკეული წაკითხვანი უფრო აღრინდელი და სწორი ჩანს, ვიდრე A რედაქციის ყველაზე ძველი ხელნაწერის — S—15-ისა. შეუსაბამო ადგილები, გადაწერათა საფეხურებზე ტექსტის დამახინჯებათა ფენა, S—15 ხელნაწერშიც არამცირედია. მათ შესახებ მსჯელობა სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს.

²³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 421.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსმა ა. ბარამიძემ)

შოთა ჩიჯავაძე

ვეფხისტყაოსნის კომედიკიდან

(რუბი, სისხლის ცრემლები, ლიტოტესი)

რუბი. ვეფხისტყაოსანში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრწყინვალე მეტაფორული სტროფი:

შინა შევიდი, მას წინა ეღვის ცრემლისა გუბები,
 შიგან მელნისა მორევას ეყრდნის გიშრისა შუბები,
 მელნისა ტბათათ იღვრების სავეს სათისა რუბები,
 შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები (1146)¹.

მკვლევართა ცილობის საგნად იქცა სტროფის მესამე ტაეპის მეტაფორები — „რუბი“ და „სათი“. ამ სტროფს პირველად ყურადღება მიაქცია თეიმურაზ ბაგრატიონმა. მისი ახსნით მესამე ტაეპი ასე უნდა გვესმოდეს: „მელნის ტბად სახვევ მშვენიერსა თვალებსა მესტიხენი. იღვრების სავეს სათისა რუბები — სათი შავი გიშერი არის. რუბი გრგვალი სასმელი თასსავითა, რომელიცა თვალთა ჭურჭელსა მიამსგავსა. სათისა რუბი, საიდგანაც ცრემლი იღვრებოდა, ესე იგი ჭურჭლისა მისგან გრგვალისა, რომელიცა არს გიშრისა, ესე იგი რუბი, მას ამსგავსა თვალნი. რუბი არაბულად მეოთხედი არის, მაგრამ სასმელს გრგვალს თასს ანუ ფიალასაცა ეწოდება“².

აღ. სარაჯიშვილი ზემომოყვანილ სტროფს მესამე ტაეპის შინაარსის ბუნდოვნად მიჩნევის გამო ყალბად თვლიდა³. აკად. ნ. მარმა ეს ტაეპი ასე თარგმნა: „Из черных озер по насыщенным коралловым копьям лились потоки“⁴.

ამ დიდი მეცნიერის თანახმად, სათი არის ძოწი, მარჯანი. ნ. მარი აქ შესაძლებლად თვლიდა, რომ დედანში ყოფილიყო არა „რუბი“, არამედ „რუვი“ ანუ სპარსული „რუ“. ეს სიტყვა მრავლობითში იქნებოდა „რუვები“, მაგრამ ფინის ბანად ქცევით მივიღეთ რუებიო.

თ. ბატონიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის განმარტებისამებრ, დ. კარიჭაშვილი რუბს თელის სასმისად, რომელიც თასს ჰგავს⁵. ს. კაკაბაძის ახსნით, რუბი არის ექსტრაქტი ანუ სქელი წვენი, სითხე⁶. იუსტინე აბულაძეც რუბს

¹ სტროფს ეუთითებ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით 1966 წლის გამოცემიდან, სხვა შემთხვევაში კი 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

² თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლოთ, 1960, გვ. 219.

³ აღ. სარაჯიშვილი, ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, ჟურნ. „მოამბე“ 1899, № 1, გვ. 14—16.

⁴ Н. М а р р, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XII, СПб., გვ. 25.

⁵ დ. კარიჭაშვილი, ვეფხისტყაოსანი, 1903, გვ. 338.

⁶ ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. 202.

მრგვალ სასმისად, თასად მიიჩნევს⁷. ა. შანიძე აღნიშნავს: „რუბი ჩარეჟი (ერთი მეოთხედი სითხის გარკვეული საწყაოსი), მაგრამ ეს აქ არ გამოდგება, თემურაზი და დ. ჩუბინაშვილი ხსნიან: მრგვალი სასმისი თასსავეთ“⁸.

ჩვენთვის საინტერესო ტაქვს ს. ცაიშვილი ასე განმარტავს: „მელნის ტბა თვალებს ღიშნავს, საიდანაც ღვარად მოედინება ცრემლები (რუბი სათისა — სათის ანუ შავი ფერის სქელი სითხე, რუბის მნიშვნელობას ასე ხსნის აკად. გ. წერეთელი)“⁹. ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემაში ვკითხულობთ: „რუბი — 1. რუბი, 2. სქელი წვენი. მაშინ სათისა რუბებში მეტაფორული აღნიშვნაა სისხლისაგან მუქი და სქელი ცრემლებისა (გ. წერეთელი)“¹⁰.

საკითხის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის ახსნას, თუ რა ფერის ძვირფასი ქვაა სათი.

ნ. მარი განმარტავდა, რომ სათი არის მოწითალო მარჯანი¹¹. თემურაზ ბაგრატიონი¹², დ. კარიჭაშვილი¹³ და იუსტ. აბულაძე¹⁴ სათს შავ ქარვად, გიშრად მიიჩნევენ. ა. შანიძე ზოგად განმარტებას გვთავაზობს, ძვირფასი თვალთა¹⁵. ნ. ქოიავას დაკვირვებით კი სათი არაა გიშერი, რუსთველი სათს ყველა შემთხვევაში შავი ფერის გამოსახატავად ხმარობს. მისი აზრით, ნ. მარი მართალია, როცა სათს მარჯნად თვლის, მაგრამ სათი არ არის შავ-მოწითალო მარჯანი, ის შავი ფერის მარჯანია. მკვლევარი იმოწმებს ს.-ს. ორბელიანის განმარტებას. რომ მარჯანი ანუ ძოწი „შავი და თეთრი იპოების“. ბოლოს კი დასძენს, რომ რუსთველი აქ ლაპარაკობს შავ მარჯანზე¹⁶. მართლაც, ის ფაქტი, რომ პოემაში სათი შავი ფერის ქვაა და არა წითელი ან შავ-მოწითალო, დასტურდება 1280-ე სტროფში: „ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წწელითა“.

სათი შავი ფერის ძვირფას ქვას ეწოდება „ვისრამიანშიც“. ძიძა ვისს ეუბნება: „შენ მეტისა შეჰირებვისაგან გაგულშავებულხარ და სათსა სიშავე არა წაეღების“¹⁷. გასაგებია, რომ ვეფხისტყაოსანში სათი არსად არ დასტურდება წითელი ფერის მარჯნად (იხ. 837, 867, 1011, 1074, 1146, 1275—1280, 1433-ე სტროფები).

ამრიგად, უდავოა, რომ „სათის რუბები“¹⁸ შავი ფერის რუბებია და არა წითელი ფერისა; ამიტომ უნდა მოიხსნას მოსაზრება რუბების ნაკადულების ან მდინარეების მეტაფორად მიჩნევისა, ვინაიდან შავი ფერის (სათის რუბები)

⁷ იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსანი, 1951, გვ. 377.

⁸ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1957, გვ. 379.

⁹ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის პოეტიკა, წიგნი: ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 129. შტრ. გ. წერეთელი: „მანე“, 1966, № 5, გვ. 62.

¹⁰ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, 1974, გვ. 378.

¹¹ H. M a p p, TP, კი. XII, გვ. 25.

¹² თემურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, 1969, გვ. 123.

¹³ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1903, გვ. 333.

¹⁴ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951, გვ. 378.

¹⁵ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1957, გვ. 373.

¹⁶ ნ. ქოიავა, ძვირფასი ქვები ვეფხისტყაოსანში, საუბოლო კრებული, ენიჭის შოამ. ბე, III, 1938, გვ. 65—66.

¹⁷ ეისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიონი დაურთეს ალ. გახარიაძე და მაგალი თოდუაძე, 1962, გვ. 70.

¹⁸ „რუბის“ შესახებ იხ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 345.

ნაკადულები ანუ რუები შეუძლებელია. რუების მიჩნევას ნაკადულების ან მდინარეების გამომხატველ მეტაფორად ისიც აბრკოლებს, რომ ტაეპში — „მელნისა ტბათთ იღვრების სავსე სათისა რუები“ — გვაქვს ზედსართავი სახელი „სავსე“, რომელიც „რუების“ მსაზღვრელია. სავსე ნაკადულები ან სავსე მდინარეებით — პოეტს არ შეეძლო ეთქვა.

ახლა გასარკვევია, თუ რას უნდა აღნიშნავდეს „რუები“? ეს ლექსიკური ერთეული ძველ და საშუალო ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება. „მოიტანა გადასახურავი მამუკა ნემსაძემ და ოტიამ ორი ასლანი თეთრი... სამი რუბი კი დათუნა გოლეთიანმა“¹⁹. „გლახუნას და ზალიკას მართებს სამნახევარი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი კოდი ქერი, ხუთი რუბის ხორცი“²⁰. ამ მაგალითებით დასტურდება, რომ რუბი ფულის გარკვეული რაოდენობის სახელია. რუბის მეორე მნიშვნელობაა — ხილის სქელი წვენი, ექსტრაქტი: „რომელ სტომაქი ზაფრისაგან გაწმდეს, მაშინ ვაშლისა რუბი იხმაროს“²¹. „და თუ იცოდეს, რომელ სტომაქი გაწმენდილ არს, ბროწეულის რუბი ჰამოს“²². „ბიისა და თურინჯის რუბი გულსა და სტომაქსა ორივეს არგებს და ძალას მისცემს“²³. ხილის ამ სქელ სითხეს ს.-ს. ორბელიანი „მურაკს“ უწოდებს: „მურაკი (თათრულად რუბი) დუღილით მკვავეს შეასქელებენ შესანახავად, მის დროს საქმელად“.

რუბი მარცვლეულის საწყაოს ეწოდებოდა სამხრეთ საქართველოში. იგი კოდის მეოთხედს, ე. ი. 4,5 კგ მარცვალს იტევდა²⁴. „რუბი“ წონის ერთეულიც იყო და „მუტყალის (1,414 გრამი) მეოთხედს“²⁵, ანუ დაახლოებით 353 გრამს უდრიდა.

ადვილი მისახვედრია, რომ ზედსართავი სახელი „სავსე“ გამორიცხავს სიტყვა „რუბის“ ექსტრაქტის, სქელი წვენის აღმნიშვნელობას, ვინაიდან არ შეიძლება ითქვას „სავსე სქელი წვენი“. „სავსე“, როგორც „რუბების“ მსაზღვრელი, აშკარად მიგვანიშნებს, რომ აქ „რუბი“ ჭურჭელია, რომლის გავსებაა შესაძლებელი. აგრეთვე იმ გარემოებას, რომ „რუბი“ სითხეთა ჭურჭელია და არა მყარი საგნებისა (მარცვლეულის ან მისთანათა), მოწმობს ტაეპის ზმნა „იღვრების“ („იღვრების სავსე სათისა რუები“). ამის გამო, ერთი შეხედვით, ახლოსაა სიმართლესთან თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტება რუბის და თასის იგივეობის შესახებ. მაგრამ ასეთ ახსნას ენერგიულად ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოება: ქართულ სალიტერატურო ენაში და ქართული ენის დიალექტებშიც არსად არ გვხვდება „რუბი“ თასის ან რომელიმე სასმისის აღმნიშვნელად. სულხან-საბა ორბელიანი²⁶ ჩამოთვლის სითხეთა ანუ „ნო-

¹⁹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 1708.

²⁰ საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 52.

²¹ წიგნი სააქიშობა, ლადო კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, 1936, გვ. 73.

²² იქვე, გვ. 174.

²³ იაღიგარ და უღი, ლადო კოტეტიშვილის გამოც., 1938, გვ. 376.

²⁴ Х а н к о в И., О весах и мерах Закавказского края, Кавказский календарь

на 1852 год, Тб., 1951, გვ. 559.

²⁵ შტრ. გ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973, გვ. 109.

²⁶ თ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ზ ა ზ ა, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა გამოსცემად, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მიხეილ შენგელიამ, 1958, თბ., გვ. 303, 306.

²⁷ სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. IV, ილ. აბულაძის გამოც., იხ. ჭურჭელი და წედა.

ტიოთა“ და სხვა საგნების რამდენიმე ათეულ ჭურჭელს, მაგრამ რუბს არსად არ ახსენებს.

რუბის სასმისად ანუ თასად გაგებას ისიც აბრკოლებს, რომ რუსთველი მტირალი პერსონაჟების (ნესტანი, ტარიელი, ავთანდილი, და ასმათი) დიდ-ძალი ცრემლების ჰიპერბოლურად გამოსახვისათვის იყენებს შეუღარებლად დიდ საგნებს. მაგ., ავთანდილს „მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჭლისა (მდ. ტიგროსი. — შ. ჩ.) დენისად“; „ასნაკეცი წყარო ვნახე ცრემლთა ზისთა მონაწილონი“ (1139), — ამბობს ნესტანის გამო ფატმანი. ტარიელსა და ავთანდილს „თვალთათ ვითა წყაროს თვალნი ცრემლი ველთა მოედინეს“ (949); „რუ ვანხმა ცრემლთა დენისა“ (945). „აღვასა წყარო ცრემლისა მორწყავს ნაკადი ბევრები“ (1336). (მრავალი ან ათიათასი ნაკადული. — შ. ჩ.). ყოველივე ამის გამო, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ პოეტს სიტყვა „რუბი“ ეხმარა, თუ ის ისე პატარა ჭურჭლის აღმნიშვნელი იყო, როგორც არის თასი; უფრო სავარაუდოა, რომ პოეტს მისთვის ჩვეული ჰიპერბოლიზაციისას გაეაზრებინა სიტყვების ფრიალ დიდი ჭურჭელი და არა თასი.

ამასთან დაისმის კანონიერი კითხვა: რუსთველი სიტყვაში „რუბი“ ხომ არ გულისხმობს იმ ძლიერ დიდ ჭურჭელს, რომელსაც „რუმბი“ ეწოდება? ამ კითხვაზე დადებითი პასუხია მართებული, ვინაიდან: ა) სულხან საბა ორბელიანი ვეფხისტყაოსანზე მითითებით ამბობს: „რუბი — ქართულად რუმბია, რუმბი ზროხის დიდი ტიკი“. ბ) ნ. ჩუბინაშვილის განმარტებითაც „რუმბი“ არის „დიდი ტიკი ძროხისა ან კამბეჩისა“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, რუმბი არის „ძროხას, მოზერის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი“. გ) სიტყვა „რუმბი“ ანუ „რუბი“ პოეტს უნდა სცოდნოდა, ვინაიდან ამჟამადაც სალიტერატურო ენასა და დიალექტებში „რუმბი“ საკმაოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულია. გავიხსენოთ ანდაზა: „ეშმაკები რუმბებს აღობდნენ და ღვინო არსად იყო“. „სიბრძნე-სიცრუისაში“ ნათქვამია: „ერთ კაცს ერთი რუმბი ღვინო ჰკიდებია“, „რუმბი სიტყვა გვხვდება სხვაგანაც: ხარი ღროზე შეიძლება დაკლან, „ტყავი რუმბათ გახადონ და ხორცი შაშხად მოიხმარონ“²⁷. „მეთულუჩხეებს თბილისის მოსახლეობის წყლით მოსამარაგებლად „ცხენზე გადაკიდებული ორი რუმბით კარდაკარ დაჰქონდათ წყალი“²⁸.

რით აიხსნება ბევრათა მზ კომპლექსის გამარტივება, ე. ი. რუმბების მაგიერ ტაეპში რუმბების გაჩენა? ეს გარემოება ქართულისათვის სრულიად ბუნებრივი და ნორმალურია. ცნობილია, რომ „მბრწყინვალე“ სიტყვამ მოგვეცა ბრწყინვალე (მ დაიკარგა); გვექონდა მფრინველი, გვაქვს ფრინველი; უფრო მეტიც იყო: „კამბეჩი“, გვაქვს „კამეჩი“ (ძველი ფორმა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში შემორჩა კანტიკუნტად). ესეც არ იყოს რუსთველისათვის ფრიალ დამახასიათებელია ზუსტი რითმების შედგენისას საჭირო ბევრების დამატება-დაკლება (პოეტური ლიცენცია).

დამატების ნიმუშია: 691. მოუთმინამან — მინამან, მინამან — მონასმინამან (689). მინამან აქ ნიშნავს „მინამა“, დანამა სიტყვას. პოეტმა დაუმატა ნ ბგერა, რომ ზუსტად შერითმებოდა მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელებს (ამ ბრუნვაში პოეტი ჩვეულებრივ მ ა ნ დაბოლოებას იყენებს).

²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლოძემ, 1965, გვ. 261.

²⁸ დ. ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებათა ფურცლები, 1971, გვ. 52.

1061: მკვერითა — ტევრითა — ბევრითა — მევ რითა; 1336: მკვერები — ტევრები — ბევრები — ძევ-რები. ორივე შემთხვევაში მე ნაცეალსახელს დამატებული აქვს ვ, ზუსტი რითმა რომ გამოვიდეს. სარიტმო სიტყვები ორივეგან ერთი და იგივეა; ერთი და იგივეა აგრეთვე მათი რივიც.

ბ) ბგერის დაკლების ნიმუშებია: 147: მრავალი — მრავალი — და ვალი-სწვავ ალი, ამ ტაეპის ბოლოსიტყვაში ს ბგერა ამოგდებულია, რადგან ის ხელს უშლიდა რუსთველურ შერითმვას ცხადია „სწვავს ალი“ არ ივარგებდა.

170. სიტყვა-ნაზმა — მოეკაზმა — დაერაზმა — არა დაზმა. აქ პირველ სიტყვას ჩამოცილებული აქვს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ბოლო თანხმოვანი ნ (უნდა ყოფილიყო „სიტყვა-ნაზმან“). რუსთველი საზოგადო სახელების მოთხრობითში ჩვეულებრივ იყენებს მ ა ნ სუფიქსს (იხ. ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, 1952, გვ. 187—193).

341. საღინოსა — სირინოსა — აბანოსა — ოქსინოსა. „სირინოსა“ სიტყვას პოეტმა ერთი ს მოაცილა, რომ სიტყვა ზუსტად შერითმებოდა სხვა ტაეპებს და ნ ო ს ა... არ დარღვეულიყო (იხ. ამის შესახებ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სირინოსი თუ სირინო, რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1966; გვ. 364—373).

514. მთხოელი — ყოელი — გასათხოელი — მოელი. პირველ სამ სიტყვაში უკუგდებულია ვ ბგერა, რადგან ის არაა მეოთხე ტაეპის რითმაში — მოელი (ელოდები). შეიძლება იკითხონ: რაღა სამ სიტყვას აკლებდა ვ-ს, არ აჯობებდა იმ ერთისათვის დაემატებინა? არა, არ შეიძლებოდა, რადგან მაშინ გვექნებოდა „მოველი“, ეს კი პირველი სუბიექტური პირის ფორმაა და აზრი სრულიად შეიცვლებოდა (მოველი — ველოდებით). მაგრამ სხვაგან სადაც სწორედ ეს პირველი პირის ფორმა გვაქვს (მოველი), ჩამოკლებული ვ აღდგენილია: მოველი — მთხოველი — მოერწყო — ველი — ყოველი (644). აი სად არის რითმებში ბგერის ჩამოცილების ნამდვილი აზრი. მაგალითების (ბგერების დაკლება-მომატების) გამრავლება კიდევ შეგვეძლო პროფ. ი. იმნაიშვილის საინტერესო წიგნიდან (ქართული პოეტური ენის საკითხები, 1966, გვ. 99—105).

ამგვარად, ეფენისტყაოსნის 1146-ე სტროფის რითმაში ნახმარი „რუბი“ (მხოლობითში — რუბი) უეჭველად არის ქართულში გავრცელებული სიტყვა რუმბის მრავლობითის ფორმა, რომელსაც სხვა სიტყვებთან (გუბები, შუბები, ტყუბები) ზუსტად შერითმვის მიზნით ჩამოსცილებია ამ რითმებისათვის ზედმეტი მ (აქაც პოეტური ლიცენცია). მ ბგერის გამეტებით მივიღეთ ბრწყინვალე რითმა. პირველი სამი ტაეპის რითმებს დიდი ეფფონიური ძალით შეუერთდა „რუბები“. აბა რად ივარგებდა, რომ მშვენიერი სამეულის (გუბები, — შუბები — ტყუბები) გვერდით გექონდა „რუმები“.

რაც შეეხება სტროფის პირველ ტაეპში ე ხმოვნის გაუჩინარება-დაკარგვას (გუბები — გუბები). ის და მისი მსგავსი მაგალითები სახელთა კვეცის ძველ ქართულ წესს განეკუთვნება და სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ახსნილი (იხ. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული პოეტური ენის საკითხები, გვ. 103—105).

არის მეორე საინტერესო გარემოებაც, შესაძლოა რუსთველის დროს იხმარებოდა უმანო ფორმა „რუბი“ და არა „რუმბი“, ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ, როგორც მ. ოძელაშვილმა გვაცნობა, წყნეთში ხარის ან კამეჩის ტყავის ტყის ეწოდება არა „რუმბი“, არამედ „რუბი“.

ზემონათქვამის გამო უნდა დავასკვნათ: მოცემულ ტაეპში („მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები“) „რუბი“ რუმბის ეკვივალენტი უნდა იყოს და ტაეპი ასე უნდა გვესმოდეს: ნესტანის შავი თვალებიდან იღვრებოდა ხოლმე ცრემლით სავსე შავი ფერის (საათის) რუმბები.

„სისხლის ცრემლები“. მრავალ ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ საერო ხასიათის ძეგლში მწუხარების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმად გვხვდება „სისხლის ცრემლებით“ ტირილი. სულხან-საბა ორბელიანი ჩამოთვლის ათნაირ ტირილს (უხმო ტირილი ცრემლით, ვაება, გოდება, ზრუნი, ქვითინი, კოკოცება, სლუკ-სლუკი. წუწუნი, ბღურიალი და ჩუხჩუხი), მაგრამ „სისხლის ცრემლით“ ტირილზე არაფერს ამბობს. იგი ასეთ ტირილს უნდა გულისხმობდეს სიტყვა „შორშოფის“ ახსნისას („შორშოფი გიჟური ტყეა ტირილი“). ცრემლს ის უწოდებს „თვალის წყალს“.

სენი მიზანია გავარკვიოთ რა კონკრეტულ საგანს აღნიშნავდა „სისხლის ცრემლები“ ძველ საქართველოში, სახელდობრ ვეფხისტყაოსანში. ამკამად მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი მწუხარების გამოხატველი მეტაფორაა. შ. რუსთველის პოემასა და სხვა თხზულებებში გვაქვს: ცრემლებით ტირილი, „სისხლით ფრქვეული“ ცრემლით ტირილი. „მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაყა მეტისმეტითა“ (712); „სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად“ (714). ტარიელთან მეორედ გამგზავრებისას ავთანდილმა შერმადინს ანდერძი მისცა, „მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლის ფერითა“ (808); პოეტი თამარს აქვებს: „სისხლსა ცრემლ-დათხეული“ (4). კლდის ოთახში დამალული ავთანდილი სატრფოს გახსენების გამო სისხლის ცრემლით ტირის (267). „სისხლის ცრემლი“²⁹ არაა ნახსენები, მაგრამ ასეთი ტირილი იგულისხმება 568-ე და 570-ე სტროფებში. დავარის ბრძანებით მონებმა ნესტანი წაიყვანეს დასაკარგავად. ამ ზარდამცემი ამბის სათქმელად ტარიელთან მოვიდა ერთი მონის თანხლებით „თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირს სისხლი ჩამომდინარე“ (568); „მკერდსა წითლად უღებვიდა სისხლი ღაწვთა ნაწვეთალი“ (570). ტარიელის დაბნელის გამო, „ასმათს სდის ღვარი სისხლისა ღაწვთაგან ნახოკარისა“ (498), ტარიელის ავადმყოფობით შეშინებულ-დამწუხარებული ფარსადანი და მისი მეუღლე სისხლს იღენდენ: „პირსა იხოკდეს ხელითა, ღაწვისა გამპობელითა“ (349). ზღვათა სამეფოდან ტარიელის წამოსვლისას მასპინძელი „თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა“ (1447). ომში დაკოდილი ფრიდონი ქალაქში რომ შევიდა, მეომრები გამოეგებნენ და „პირსა იხოკდეს, გაპყრიდეს ნახოკსა, ვით ნაფოტასა“ (611). ცნობადაკარგულ ტარიელთან ავთანდილი „პირსა იხოკს, ღაწვთა სისხლი ჩასდის“ (1343). ამ დროს სისხლის ფერი „წყარონი გამოჩნდეს“ (1342). „სისხლის ცრემლით“ ტირილი ნაგულისხმევია აგრეთვე 222, 223, 269, 349, 498, 672, 825, 842, 1447-ე სტროფებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ რუსთველი მწუხარების ცრემლს ამკობს მრავალი მარტივი და რთული ეპითეტით. მაგ., „შუეშრობილი“ ცრემლი (7), მღუღარე ცრემლი (888), მარგალიტის ცრემლი (1176), ცხელი (174, 178), ქვისმხვრეტი (489) და მჩქეფრად მდინარი (1158). აქვეა ცრემლისგან ნაწარმოები

²⁹ „სისხლის ცრემლის“ შესახებ იხ. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე. პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი, „კრიტიკა“, I, 1972, გვ. 114.

მეტაფორები: ცხელი ცრემლის წყარო (1230), ცრემლთა ფონი (242, 590), ცრემლთა მილი (290), ცრემლის გუბები (1146), ცრემლთა ღვარი (495), ცრემლთა რუ (946), ცრემლთა ტბა (962) და ცრემლების „ასანაკეცი წყარო“ (1139).

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, სატრფოსაგან განშორებული ოინათინი არ ტირის „სისხლის ცრემლებით“. საინტერესოა, რომ „სისხლის ცრემლებით“ ტირილი უცნობია ჰავიოგრაფიული თხზულებების პერსონაჟებისათვის, თუმცა ისინი ლოცვის აღვლენისას ძალიან ხშირად აფრქვევენ მხურვალე ცრემლებს ეფრემ ასურის (IV ს.) თხზულებაში „ცრემლთათვის“ ხსენებულია „ტკბილი ცრემლი“ (საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, 1968, გვ. 51). მიუხედავად პერსონაჟთა ხშირი ტირილისა, „სისხლის ცრემლით“ მწუხარების გამოხატვა არ გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“.

დიდი წუხილისა და ვარამის გამოხატვის ფორმად „სისხლის ცრემლი“ გვხვდება „ვისრამიანში“, როცა ლალატის გამო მოაბადმა ცოლს მარანხით სცემა, საყანში ჩავდო, ხოლო სიღედთან სიკვდილით დაემუქრა, შაპრო (ვისის დედა) „მიწასა ზედა დაეარდა, თავსა და პირსა ცემა დაიწყო... და ცრემლთა მისთაგან სისხლისა ტბა დააყენა“ (ვისრამიანი. 1962, გვ. 159), ე. ი. სისხლი იდინა თავებიდან. რამინი „ეზომისა სისხლისა ცრემლითა ტიროდის, რომელ მუხლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის“ (გვ. 72). „რუსუდანიანში“ ვკითხულობთ: მეფეს „დარბაისელნი გარეშემო ეხვეოდენ, ყველა სისხლის ცრემლითა მტირალი, პირდაბდნეჭილი“ (გვ. 147). ამავე ძეგლით მისრეთის დედოფალი მეუღლის სიკვდილის გამო, საქირისუფლოში „საწარელად გამხდარი იქდა. თავედაგლეჯილი, ტანისამოს გარშემოხეული, სამჯან სისხლის წყარო მდინარი. ორი თვალთაგან და ერთი მკერდისაგან — ძოწის წყარო ვითა ჩქარად მჩქეფელი“ (გვ. 150). „სისხლის ცრემლებით“ ტირილი გვხვდება „თიმსარიანში“, აღორძინების ხანის პოეტების (თეიმურაზ პირველი, არჩილი, იოსებ თბილელი და სხვ.) თხზულებებში, აგრეთვე „ხოსროვ-შირინიანში“, „ყარამანიანსა“³⁰ და სხვაგან. „გაგლეჯით ტირილს“, ანუ სისხლდენით გლოვას, კახეთის მაღალი წრეებისათვის დამახასიათებლად თვლის თეიმურაზ მეორე „სარკეთქმელთაში“. აქ ნათქვამია: ქმრის გარდაცვალებისას მეუღლე „შევა, ცხედარზე ტირილსა, რაც მართებს, გაასრულებსა, გაიგლიჯება დიდათა, ქვრივი თავს მოიძღულებსა“ (თეიმურაზ მეორე, გ. ჭაკობიას გამოცემა, გვ. 136).

აქ იბადება კითხვა: მეტაფორა „სისხლის ცრემლები“ თავისი წარმოშობის მიხედვით ხომ არ არის ისეთივე რეალური საყოფაცხოვრებო ფაქტის აღმნიშვნელი, როგორც ეპითეტები „თავლადფასხმული“, „ტყუავამძვრალი“ (გაპირებული ძლიერ ღარიბი ადამიანის ეპითეტია), „ყურებზე ხახვდაჭრილი“ (დიდად შეურაცხყოფილი) და მისთ. ცნობილია, რომ მოღალატე ცოლს თავზე ლაფს დაასხამდნენ და ურმით ან ქვეითად ჩამოატარებდნენ ხალხის დასანახავად. აგრეთვე რაიმე დანაშაულისათვის სასამართლო ადამიანს უსჯი-

³⁰ „ყარამანიანში“ ნათქვამია: „დედოფალმა“ ქვეან-ბახტის სიკვდილი გაიგონა, თავს მოხადა, თანინ გარდაიშალა, პირსა ხელი იცა და ლყათაგან სისხლი უხეად სდიოდა.“ (ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიანს და სარგის ცაიშილმა 1965, გვ. 503).

და ტყავის გაძრობით სიკვდილს³¹. ნამდვილად ხდებოდა ადამიანის ყურებზე ხახვის დაჭრა. როცა სასჯელის ეს ფორმები მოისპო, მათი გამომხატველი სიტყვები თუ თქმები ეპითეტებად ან მეტაფორებად იქცნენ.

ჩვენი აზრით, მსგავსი გარემოება უნდა გვექონდეს „სისხლის ცრემლების“ შემთხვევაშიც. ეს მეტაფორა წარმოშობით კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი ჩანს, ე. ი. „სისხლის ცრემლი“ მწუხარე ადამიანის სხეულიდან თვითგვემის გზით გამოდენილი სისხლის წვეთებს უნდა რქმეოდა. შემდეგ კი ის მწუხარების გამომხატველ მეტაფორად იქცა. ამ მოსაზრებას ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონი. იგი წერს: „ძველად ჩვეულება იყო, დიდს მწუხარებაში ტანის სამოსის საყულოს ჩამოიხევენ და ისე იგლოვდნენ, მკერდსა გამოიჩენდნენ, მას ზედა ხელითა იცემდნენ და ფრჩხილთა სისხლსა გამოიდინებდნენ მკერდით“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება... გვ. 140). უფრო ადრე ვახუშტი ბატონიშვილი (1676—1740) აღნიშნავდა, რომ ძველ საქართველოში მიცალაბულის უახლოესი ნათესაეები „ტიროდიან და სიბნელესა სხლიან (გვ. 40), დღე, აღიპირსიან თავნი, წვერ-ულუაშნი, წარბნი, წამწაშნი და ჩიხ-ლიდიან წელთამდე სამოსელთა მამრნი და მდედრნი, იცემდიან ვიდრე სისხლ-დინებისამდე“ (იხ. მისი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 18).

„სისხლის ცრემლები“, ანუ დიდი მწუხარებისას თვითგვემის გზით სისხლის დენა, საზოგადოების უმაღლეს ფენებში მწუხარების გამომხატველი ყოფაცხოვრებითი ხასიათის რეალური ფაქტი რომ იყო, ჩანს აგრეთვე ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის (17 ს.) ცნობითაც. როცა მარიამ დედოფლის ერთადერთი შვილი ოტია გორს გარდაიცვალა, თორმეტ დღეს დიდი გლოვა და ზარით ტირილი იყო. „ქართველნი ჯალაბობით, თავიანთი ჯარითა და შეძლებითა და ზარის თქმით მოვიდნენ, უწინ მკვდარს მიმსგავსებულს, სახედახეულს, თმადაგლეჯილს, შვენება-შეშლილს, ტანისამოს სისხლით ვასვრილს, მიწაზე მკდომს, ღონე იმედ-დაკარგულს ბატონ დედოფალს მიუტირიან, მერმე გამძლეს და ჩარიგებით მათ მხლებლებსა“ (ციტირებულია კ. კეკელიძის წიგნიდან: ეტიუდები, I, 1956, გვ. 226).

მეთერთმეტე საუკუნის საეკლესიო მწერალი-ისტორიკოსი გიორგი ხუცეს-მონაზონი გიორგი ათონელის გარდაცვალების გამო გვაუწყებს: განსვენებულის გაზრდილი მღვდელ-დიაკონნი „რომელნიმე ცრემლთა წილ სისხლთა დასთხვედეს გუამსა მისსა ზედა წმიდასა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. II, XI—XV სს., დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ და სხვ., 1967, გვ. 187), როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, „ცრემლთა წილ სისხლთა დათხევა“ უფრო დიდი მწუხარების გამომხატველი ყოფილა, ვიდრე ცრემლით ტირილი.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, კიორგი მესამის ვარდაცვალებისას ბნელში ჩაკეტილ მეფე თამარს „უსწროვდა წყარო სისხლისა წყაროსა ცრემლისისა“, სასახლეში კი სხვადასხვა თანამდებობის პირნი ტიროდნენ „სისხლ-არეულისა ცრემლთა ნაკადით“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 24—25).

³¹ მეთხუთმეტე საუკუნის თურქი პოეტი ნესიმი პანთეისტური იდეების ქადაგებისათვის ტყავის გაძრობით მოკლეს (ე. ჯ ა ვ ე ლ ი ძ ე, თურქული სატირის ჩასახვისათვის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1970, № 1, გვ. 137).

აქ „ერემლთა ნაკადი“ ჰიპერბოლაა, „სისხლარეული ერემლი“, ე. ი. სისხლის და ერემლის ღერა, სიმაართლე. ლაშა გიორგის გარდაცვალების გამო ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ მწუხარებით ერემლგამშრალნი მკერდიდან სისხლს იდენდნენო. (იქვე, გვ. 167).

ისტორიკოსთა და მწერალთა ყოფაცხოვრებითი ხასიათის ცნობები მწუხარებისას სხეულიდან სისხლის დენის შესახებ რომ სინამდვილეს შეეფერება, ჩანს არქანჯელი ლამბერტის (XVII ს.), როგორც თეთმხილველის, სიტყვებიდან. იგი წერს: აუადმყოფი გარდაიცვლება თუ არა, „ყველა იქ მყოფი მეგობრები და პეზობლები ღიდის კივილ-ყივილით და ტირილით მივიარდებიან, მათი კივილი შორს გაისმის. ყველა არამც თუ ყვირის, პირის სახესაც იკაწრავს, რომ სისხლი ღვარად მოსდის და საცმაოდ სამწუხარო სანახავს წარმოადგენს“ (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, 1938, გვ. 62).

სისხლის დენით ანუ „სისხლის ერემლით“ გლოვა ცოდნით ყაბარდო-შიც. 1790 წელს მეფე ერეკლემ მოიყვანა ალექსანდრეს საცოლედ ყაბარდოს მთავრის ქალი, რომელსაც მოჰყვანა ძიძა და ორი თავადი. მეფემ სარძლო მიაბარა სალომე ამილახვარს, რომ „სალმერთო წიგნი“ და სამეფო ქტევა ესწავლებინა. ქალი მონათლეს. და ნინო დაარქვეს, შავარდ ის ქორწინებამდე გარდაიცვალა. „ამის მოსამსახურეთ ჰქონიათ სამაგალითო ხელვნა და მხარჩახლით მთარახით ცემა და სისხლის დენა“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 1635ბ, გვ. 2).

აღსანიშნავია, რომ „სისხლის დენით ტირილის ჩვეულება არა მარტო შუა საუკუნეებში, მეცხრამეტე საუკუნეშიც ცოდნიათ. მაგ., ანტონ ფურცელაძე, რომელსაც „მაიცი ხეიტია“ პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით შეუქმნია, წერს: „მომაკვდავი მაიცი ლოგინთან სისხლი თქრიალით გადმოდიოდათ დედას, დებს და ძიძას ცემისა და კაწვრისაგან დახეთქილს თავ-პირიდან“ (ა. ფურცელაძე, მაიცი ხეიტია, 1958, გვ. 48)³².

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით სისხლის დენა³³ ანუ „სისხლის ერემლები“, როგორც გლოვის ერთ-ერთი ფორმა, ქართლში მოსპო მეფე გიორგიმ (91-ე მეფემ). როცა იერუსალიმის პატრიარქი მოვიდა, მან დატოვა გლოვის

³² „სისხლის ერემლებით“ ტირილის ადამი ჰქონიათ მოხვევბსაც, ალექსიევი-მესხიევი გაზეთ „ივერიაში“ (1904, № 66) წერს: „მწუხარებისას ღღესაც მთამი მოხვევენი წელთამდისინ ტრეტველ ტანზედ იყემენ მთარახს (მხოლოდ კაცნი) „სისხლიდნებისად“, ქალნი იკაწრვენ ლოყებს და სისხლი თქრიალით ვადშოსდით მუნიდან. ესრეთ იტირა მამა ალექსანდრე ყაბზეგმა (მოჩხუბარიძემ). ასეთივე გლოვის წესი ყოფილა მუსულმანურ ქვეყნებშიც: „ათასერთ ღამეში“ კვითხულობთ; „ჩემი ნათქვამის გამო, ჩემმა ბატონმა ტანსაქმელი შემოიხიხა, წვერი დაიგვიჯა... პირსახეში ხელს იცქობა, სანამ სისხლი არ წასკვდა“ (ათას ერთი ღამე, ტ. I, 1967, გვ. 340).

საყურადღებოა, რომ გუსტავ ფლობერის „სალამბოში“, სადაც მესამე საუკუნის (ძვ. წ. ა.) ამბებია (პენიუერი ომები) აღწერილი, ნათქვამია: ომში დაღუპულთა პატრონი დედაკაცები შავად იფერადნენ ღაწვებს. თმებს იკვეცდნენ, სამარეში იღვრებოდა მათი დათხეული სისხლი. ათვის ისახიჩრებდნენ, გარდაცვლილთა კრილობების მსგავსად ისერადნენ სხეულს“ (გუსტავ ფლობერი, სალამბო, ფრანგულიდან თარგმნეს მანანა გიგინეიშვილმა და კარლო ქილარჩიაშვილმა, 1967, გვ. 235, 236).

³³ სისხლის ღერა და თავის დასახიჩრება წყნარი ოკეანის კუნძულებზე მცხოვრებლებშიც აღნიშნული აქვს ცნობილი ინგლისელ ჩემს ექვს. ამ კუნძულებზე ტომის მეთაურის ან რომელიმე გავლენანი პირის შიშივე აუადმყოფობისას მისი ნათესავები იყვეთენ თითო თის შლოკეის მიზნით. ბუმბუნები კი გარდაცვლილი ნათესავის გლოვის ნიშნად კაიის ნიშნად დათმებს იჭრიდნენ (ე. ნიკოლსკი, რელიგიის წარმოშობა, 1950, გვ. 23).

წესებში მხოლოდ შავის ჩაცმა, ხორცის უქმელობა და ტყეებით (თავში ხელის ცემით) ტირილი (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, I, გვ. 222).

ამ უხვად მოყვანილი მხატვრული, ისტორიულ-მემორიული და სხვა მასალებით ნათლად ჩანს, რომ შ. რუსთველი კარგად იცნობს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებულ გლოვა-მწუხარების ფორმებს და შესაფერ სიტუაციებში მათ სათანადო მხატვრულ სამოსელში ხვევს. აღნიშნულის გამო შეუძლებელ გამოგონებად ან მეტისმეტ გაზვიადებად (არარეალობის გამოხატვად) არ უნდა მივიჩნიოთ, როცა ტარიელი, ასმათა და ავთანდილი მეგობრის, ძვირფასი ადამიანის განშორების გამო თმებს იგლეჯენ, სასეს იხოკავენ და თავ-პირში ცემით ცრემლთან ერთად, ან უცრემლოდ, სისხლს იღენენ. ყოველივე ეს ცხოვრებისეული ქვეშარიტების მხატვრული გამოხატულებაა.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვეფხისტყაოსანში „სისხლის ცრემლები“ არასად არ აღნიშნავს მეტაფორას. არა, რუსთველის პოემის მხოლოდ ზოგიერთ სტროფში ჩანს ის კონკრეტული საგნის, თვითგვემით გამოღენილი სისხლის აღმნიშვნელი, ხშირად კი ის მეტაფორაა. მაგალითად, მეტაფორად ვერ ჩავთვლით ნესტანის დაკარგვის გამო ასმათის მიერ სისხლის დენას ანუ „სისხლის ცრემლით“ ტირილს (568), ტარიელისაგან „პირის დაბღენჯას“, გონდაკარგულ ტარიელთან ავთანდილის მიერ სისხლის დენას (1342, 1343) და სხვ.; აგრეთვე რეალური საგნის აღმნიშვნელი ჩანს სისხლის ცრემლი „ვისრამიანისა“ და „რუსუდანიანის“ ზოგიერთ ეპიზოდში. ამის გამო ძნელია სიმართლედ მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ თითქოს სისხლის ცრემლები არაა ბუნებრივი მოვლენა, ეს თქმა მხოლოდ პოეტურია, რომლითაც გმირთა უძმობა ხასიათდება მთელი სიძლიერითა და სიმწვავეთ, დაძაბულობით. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება: ვეფხისტყაოსნის ფორმალური მონაცემებით ჩანს, რომ ავთანდილი უფრო ხშირად ტირის სისხლის ცრემლით (267, 672, 712—714, 808, 950, 953, 1022, 1342), ვიდრე ტარიელი (222, 629, 659, 868, 950, 1336), მაგრამ პოემის შინაარსის კარგად გათვალისწინება ამის საწინააღმდეგოს გვაფიქრებინებს. ტარიელი ათი წლის განმავლობაში დასტირის დაკარგულ სატრფოს. დევთა გამოქვაბულში ცხოვრების დაწყებიდან მიჯნურის პოვნის იმედი მთლიანად წარკვეთილი აქვს. ამის გამო ტარიელისაგან სისხლის ცრემლით ტირილი ქვეტექსტით უნდა ვივალისხმოთ იმ დროსაც, როცა პოეტი ამის შესახებ კონკრეტულად არ მიუთითებს. ამას გვაფიქრებინებს გულმოკლეული რაინდის სიტყვებიც:

ოგ, ვინ ხელ-შემა, მოველი მისგან აროდეს ღენასა,
ვისგან შეუცავე სედათა, სისხლსა ღვართა დენასა (310).

და მართლაც ეს ბუნებრივია, ვინაიდან ტარიელს შეუდარებლად მეტი საფუძველი ჰქონდა სისხლის დენით ტირილისა, ვიდრე ავთანდილს, რომლის სატრფო არც სხვაზე გათხოვების მოლოდინს შეუფოთებია და არც უიმედოდ დაკარგულა. ძნელი დასაჯერებელი ჩანს აგრეთვე ის შეხედულება, რომ ტარიელმა ერთხელ სისხლის ცრემლით იტირა სიხარულის გამოც, როცა გულანშაროდან მობრუნებულთ ავთანდილს შეეყარა.

ჩვენი აზრით, ამ დროს ტარიელის ასეთი ტირილი („სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა ტევრები“. 1336) საგულვებელია უიმედოდ დაკარგული სატრფოს გახსენებით, ვიდრე ავთანდილთან შეხვედრის სიხარულით. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი: 1. თუ ტარიელს შეეძლო სისხ-

ლის ცრემლით ტირილი სიხარულის ან დიდი სიხარულის გამო, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო, როცა „ხელქმნილს“ ნესტანმა მისწერა: „მე შენი ვარ, ნუ მოკვდები“, შენი ქმრობის სურვილი ადრეც მქონდაო, ანდა მაშინ, როცა გულან-შაროდან მოსულმა ავთანდილმა უთხრა: „ეცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა“, ანდა მაშინ, როცა ქაჭეთიდან გამოგზავნილი რიდე იცნო, გაშალა და პირზე დაიდვა (1340), ან-ნესტანის ქაჭეთიდან გათავისუფლებისას. როგორც ვიცით, ამ დიდი სიხარულის მომენტებში ტარიელს არასოდეს არ უტირია სისხლის ცრემლით.

2. ცნობილია, რომ „ვისრამიანში“, ფირდოუსის „შაჰ-ნამესა“ (ირაქის მოკვლის გამო, მეფე პირს იხოკს, დიდებულნი კი მკლავებიდან ხორცს იგლეჩენ; ფერიდუნის სიკვდილის გამო ღელამისი ვულმეკრდს ივსებდა სისხლის ცრემლით) და „იოსებზილიხანიანში“ (იოსები დედის საფლავზე სისხლის ცრემლით ტირის და სისხლის ღვარი მეწამულის ზღვისაყენ მიექანება), ნიზამი განჯელის „ხოსროვშირინიანსა“ და „ბარამ-გურიანში“, ალიშერ ნავოის თხზულებაში „ფარხადი და შირინი“, „რუსუდანიანში“, „ყარამანიანში“, „თიმსარიანსა“ და სხვა თხზულებებში, რომლებშიც სისხლის ცრემლით ტირიან, არსად არ გვხვდება ერთი შემთხვევაც კი სიხარულის გამო მსგავსი ტირილისა. დასახელებულ თხზულებებში სისხლით ტირილი მიჩნურის განშორებით ან ახლო ნათესავეის სიკვდილით შექმნილი მწუხარების შედეგია.

ნათქვამის გამო, სადავო არ უნდა იყოს, რომ კლასიკური და გვიანფეოდალური ხანის ძეგლებში გამოყენებული მეტაფორა „სისხლის ცრემლები“ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მწუხარების შედეგად თვითგვემით სხეულიდან გამოდენილი სისხლის აღმნიშვნელი. ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ძველ საქართველოსა და რიგ სხვა ქვეყნებში გლოვა-მწუხარებისას დამახასიათებელია არა მარტო ცრემლი ანუ „თვალის წყალი“ (საბა), არამედ თვითგვემით გამოდენილი „სისხლი“, ანუ „სისხლის ცრემლი“³⁴.

ვეფხისტყაოსნის მრავალ სტროფში „სისხლის ცრემლი“ ძვირფასი ადამიანის (მეგობრის ან მიჩნურის) განშორებით შექმნილი მწუხარების გამომხატველი მეტაფორაა, ზოგიერთ სტროფში კი ის მწუხარების ფაქტის გამომხატველი კონკრეტული საგანი, სხეულიდან გამოდენილი სისხლია³⁵.

³⁴ დასაჯელთ საქართველოში ამჟამად მეტაფორა „სისხლის ცრემლის“ მაგიერ გვხვდება „შავი ცრემლი“. როცა იტყვიან ვინმეზე „შავი ცრემლით ტირისო“, ეს ნიშნავს ძლიერ შეწუხებულობა. მსგავსი შემთხვევა გვაქვს თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც: „ნეკროლოგში ისე თბილად და გულისხმიერად დახასიათებულია მიცვალებულის პიროვნება, რომ შავი ცრემლით იტირებდი“ (მ. შიქაძე, სამკლოვიარო განცხადება, გაზ. „კომუნისტი“, 1972 წლის 23 იანვარი). ანდა: „ავად იყავ, შავი ცრემლით ტირიდა, უმეგობროდ ობოლივით ჩიოდა“ (ოთ. კანელიძე, ალექსი ბარნოეს, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1973, 31 დეკემბერი).

³⁵ ცნობილია, რომ შოშის განცდის თუ თავდაციის ინსტინქტის გამო ზოგიერთი ცხოველი ფრის „სისხლის ცრემლებს“. მაგ., ჩრდილო ამერიკაში გავრცელებულია ერთგვარი ხელოი—ფრინოსომა, რომელიც გომბეშოს ჩამოგაგას. თუ მას ხელში აიყვანენ, თვალებიდან „სისხლის წვეთები“ გადმოსცივა და მხეფივით ისერის წინ. სისხლი ივრუნება თვალის ირგვლივ არსებულ სისხლძარღვოვანი კაპილარებიდან. ფრინოსომას სისხლი მწვავე რეაქციისაა, ნაზ ქსოვილზე მოხედრისას სხეულის კანს ალიზიანებს და იწვევს ანთებით პროცესს. გამოუცდელი ხელოიკამია ფრინველი პირში ჩაიდებს თუ არა, ფრინოსომა უშვებს რამდენიმე წვეთ „სისხლის ცრემლს“, რომელიც პირის ღრუს აწვას იწვევს, რის გამო ფრინველი პირიდან აგდებს ნადავლს. ფრინოსომა „სისხლის ცრემლებით“ მტრის მოგერიებასაც ახერხებს: მტერს თვალეში ამუხეფებს მას, რის

ლიტოტესი. როგორც ცნობილია, აზრის გადმოცემის თვალსაზრისით, სალიტერატურო ენა უფრო ზუსტია, ვიდრე მხატვრული თხზულების ენა. ამ უკანასკნელში უპირატესად მოცემულია ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის კონკრეტული ფორმები³⁶. სწორედ ამ ურთიერთობის ფორმებში (ხალხურ მითყველებაში) პოულობს სათავეს ლიტოტესი. იგი ისეთი სტილისტური ხერხია, როცა შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით გვაქვს საგნის ან მოვლენის შემცირება-დაკნინება³⁷, ზომა, სიდიდე, მოცულობა, მანძილი³⁸ (დროის მონაკვეთი) — აი, მონაკვეთები, რომელთაც ემყარება ლიტოტესი.

ვეფხისტყაოსანში მრავალი პოეტოკური ხერხი (ეპიფორა, მონორიმი, ალუზია, ლექსიცია, პარცელაცია, ოქსიმორონი, რეტარდაცია...) ლიტოტესის ჩათვლით პირველად შეისწავლა აკად. გ. ჯიბლაძემ³⁹.

საგნის ან მოვლენის შემცირება-დაკნინების სტილისტური ხერხის ანუ ლიტოტესის ფორმები პირობითად შეიძლება გავყოთ ოთხ ჯგუფად:

1. საგნის სიდიდის შემცირებულად ჩვენება არაპირდაპირი გზით ანუ შერქმეული სახელებით: „გამხდარი მუშა, მეტსახელად „ჰაპიროსის ქალაქად“ რომ ეძახდნენ, მეზობელი მაგიდიდან წამოვდა“⁴⁰; „ეჰ, ძმობილო-ამოიოხრა „ლიმონის ნაფტკვენმა“, ძალ-ღონე რა შუაშია, ყველაფერი ჰამა-სამაზეა დამოკიდებული“⁴¹, „დაბალი ტანის გამო, ბავშვობიდანვე შერქმეული მეტსახელი „კურკა“ გრიგოლ ორბელიანს ბოლომდე შერჩა“⁴², „პაი, შე გოქისკუდავ, აღერსობდნენ ქიმუნჯისა და წიპურტის წაყვრით“...“⁴³ (ლიტოტესური მეტსახელების პარალელურად არსებობდა ხალხში ჰიპერბოლური მეტსახელებიც: ვეშაპა, დევა და მისთ.). „ძმაო, ლუკიანე, რაისაგან შეშინდი ერთისა ჳიისა“⁴⁴, — ამბობს დავით გარეჯელი ერთი დიდი და საზარელი ვეშაპის შესახებ.

2. პირდაპირ დასახელებული საგნის შემცირებულად ჩვენება:

შირინის სიგამხდრისა და ტანალობის გამო ნიშაში წერს: „მის თმაზე ბევრად მისი წელი უწვრილესია“⁴⁵.

3. საკუთარი ან სხვისი ღირსების ვითომდა (quasi) დამაკნინებელი, რაც უმეტეს წილად არავის ღირსების შელახვას არ იწვევს: „პა, ესე რა ვარ მე, უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთა“⁴⁶. „ამას მე გლახაკი ეფთვიმე გაუწყებ, მონანო ღმრთისანო, შეშინდღევით და ლოცვა ყავთ!“⁴⁷.

გამოც აგრესორი თვლების აწეის გამო გაურბის (არჩილ ჟ ა ნ ა შ ე ი ლ ი, სისხლის ცრფმლები, 1958, გვ. 32).

არც ჳიამის ეშინია მწერიჳამია ფრინელებისა, ის შიშისა თუ სხვა მიზეზით სხეულიდან გამოყოფს რამდენიმე წვეთ სისხლს, რომელიც მეტად მწვევე რუაქციისაა. „პირადმწერი“ ფრინველი ნადავლს მყისვე პირიდან ავდებს (ი.ქე, გვ. 31).

³⁶ Л. Т и м о ф е в. О прищипках анализа языка литературного произведения, сб. «Литература в школе», 1933, № 3.

³⁷ Литературная энциклопедия, т. 6, 1932.

³⁸ Краткая литературная энциклопедия, т. IV, 1967.

³⁹ გ. ჳიბლაძე, რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, 1966, გვ. 163—285.

⁴⁰ რობერტ მერლი, სიყვლილი ჩემი ხელობაა, თარგმანა ზ. ლეშაშელმა, 1967, გვ. 112.

⁴¹ ი.ქე, გვ. 129.

⁴² ე. შ ა ღ რ ა ძ ე, გრიგოლ ორბელიანი, 1967, გვ. 28.

⁴³ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ნატვრის ხე, 1962, გვ. 133.

⁴⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ჳრესტომათია, I, 1946, გვ. 165.

⁴⁵ ნიშაში გ ა ნ ჳ ე ლ ი, ზოსროეი და შირინი, თარგმანი ამბაკო ჳელიძისა, 1964, გვ. 121.

⁴⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ჳრესტომათია, I, 1946, გვ. 202.

⁴⁷ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, A 1369. ფ. 162; კ. კეკელიძის, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 455.

4. დროის შემცირებულად გამომხატველი ლიტოტესი: „ერთს გასასყიდად მიმოჰქონდა შაქრის ლერწამი, ეძებდა მუშტარს, არ ღებებოდა არც ერთი წამით“⁴⁸. „მართლაც წამიერია წუთის ქვეყანა, დამთქნარებას ვერ მოასწრებ“⁴⁹, „თუმცა წიგნების საკითხავად დრო არ მრჩება, მაგრამ სულმოუთქმელად წავიკითხე თქვენი „სპარტაკი“ და „დიდად აღტაცებული ვარ“⁵⁰.

ხშირია შემთხვევა, როცა ლიტოტესი და ჰიპერბოლური შედარება ერთად გვხვდება: „იმის ისრის წინ თეთრი დევი თუ დადგებოდა, ისიც ტირიფის ფოთოლივით ათრთოლდებოდა“⁵¹. „გაწვრილდა გული მისი, როგორც ჭინჭელის თვალი“⁵². „თავი იყო დიდი როგორც კამეჩისა, თვალები ვიწრო როგორც წიწილისა, ცხვირი მოკლე, როგორც კატისა... წელი ვიწრო როგორც ჭიანჭველისა“⁵³.

შოთა რუსთველი ხშირად იყენებს ლიტოტესს როგორც მხატვრული ეფექტის გაძლიერებისა და, აკად. გ. ჯიბლაძის სიტყვით, „გამოთქმის მრავალფეროვნებათა მიღწევის საშუალებას“⁵⁴. ვეფხისტყაოსანში რამდენიმეჯერ გვხვდება ღირსების ქუაზი დამამცირებელი ლიტოტესი. ავთანდილი ტარიელს ეუბნება: „ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი“ (1476). ამ სტილისტური ხერხით პოეტი ხელს უწყობს უფრო რელიეფურად გვაგაძნობინოს არაბი რაინდის ტარიელისადმი ერთგულება და სიყვარული. ანდა ავიღოთ როსტევეანის ტარიელისადმი სიტყვები: „თუ შეგერთო (თინათინისათვის. — შ. ჩ.) ერთი მონა, თქვენთვის არცა მაშინ მშურდა, / ვინმცა გყარა შეცილება, უშმაგომცა ვინ მოგმდურდა“ (1527). აქ პოეტი ოდნავადაც არ ამცირებს როსტევეანის, თინათინისა და ავთანდილის პიროვნულ სიდიადეს. როსტევეანი იმასაც კი ეუბნება ძვირფას სტუმარს (ტარიელს), თუ ისურვებს, დასატყვევებლად და მოსაკლავადაც კი გაიმეტებს თინათინს: „ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს, / ანუ მშურდეს ქალი ჩემი, საკლავად და ტყვედცა გინდეს; / გებრძანამცა სახლით თქვენით, ცრემლი არცა მაშინ მდინდეს“ (1525).

როგორც ვხედავთ, როსტევეანის მიერ საკუთარი თავისა და თინათინის quasi დამცირება მხოლოდ და მხოლოდ თავმდაბლობისა და ტარიელისადმი დიდი მოკრძალება-პატივისცემის გამომხატველია. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ღირსების ვითომდა დამცირება ყოველთვის არ ხდება სხვისი პატივისცემა-ერთგულების გამოხატვისათვის. მაგ., სიმონას დედა ქეთევანი მხოლოდ შიშით და სიმონასადმი მოთმინება-სიფრთხილის შთავონების მიზნით ამბობს

⁴⁸ საადი შ ი რ ა ზ ე ლ ი, ბუსთანი, სპარსულიდან თარგმნა დავით კობიძემ, 1964, გვ. 199.

⁴⁹ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ნატურის ხე, 1962, გვ. 136.

⁵⁰ ქუზუბე გ ა რ ი ბ ა ლ ო ი წ ი გ ნ ი: რადჯლო ქიოვანოლი, სპარტაკი, თარგმანი ნინო ყიფიანისა, 1956, გვ. 3.

⁵¹ ნიზამი გ ა ნ ქ ე ლ ი, ხოსროვი და შირინი, თარგმანი ამბაკო ქელიძისა, 1964, გვ. 66.

⁵² იქვე, გვ. 181.

⁵³ გრიგოლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისარათ ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარით გამოსცა ნოდარ შოშიაშვილმა, 1961, გვ. 101.

⁵⁴ გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, 1966, გვ. 188.

⁵⁵ თვითდამცირების ლიტოტესი გვხვდება ხოსროვისადმი შირინის სიტყვებში: „მე ის მტვერი ვარ, შენი ვზოდან რომ წამოსდგება (ნიზამი გ ა ნ ქ ე ლ ი, ხოსროვი და შირინი, 1964, გვ. 301); ანდა: „ვარ ნაწილაკი, რაღაც მცირე შეუმჩნეველი, ჩემთვის ერთი ყოფნა ცხადი, არყოფნა ძნელი“ (საადი შ ი რ ა ზ ე ლ ი, ბუსთანი, სპარსულიდან თარგმნა დავით კობიძემ, 1964, გვ. 275).

დ. დროიძის შესახებ: „შვილო, ნეფის ტოლი კაცია, ჩვენისთანა მწერს. ნეკი რომ გაანძროს, იმით გასრესს“ (ე. ნ. ი. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი., სიმონა).

ვეფხისტყაოსანში გვხვდება საგნის ან მოვლენის ისეთი შემცირება, რომელიც პერსონაჟის ძალ-ღონის თუ მამაცობა-გმირობის გაძლიერებულ ეფექტს ქმნის. ფრიდონი ტარიელს ეუბნება: „ყოვლი მტერი ჩალად გიჩანს. ვინმეცა იყო ვითა კეტი“ (150), ანდა: „თაენი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშლეს, ითხეს“ (1424) პოეტი ხაზს უსვამს ქალის დიდ სულიერ მხნეობას, სიკედილის შიშვეუვალობას, როცა ავთანდილთან ასმათს ათქმევენებს: „ჩემი სიკედილი შენ ჩემად პატიყად ნურად გგონია... / ჩალად მიჩნეს ყოვლი სოფელი, მისთვისეე შემეწონია“ (242).

რუსთველის პოემაში საკმაო ადგილი ეთმობა დროის შემამკირებელ ლიტოტესს. როცა ფატმანმა გულანშაროდან ბარათი გაატანა ნესტან-დარეჯანთან მალემსრობოლს, ეს უქანასკნელი საპასუხო ბარათის გამორთმევის შემდეგ „წამ ერთ მიხდა ფატმანისსა“ (1311. ე. ი. ქაჭეთიდან გულანშაროში „ერთ წამში“ მოვიდა ფატმანთან). „წამ ერთ მიხდა“ ლიტოტესით პოეტი გვამცნობს, რომ ფატმანის მალემსრობოლი ისე სწრაფად დაბრუნდა ქაჭეთიდან, რომ მას სხვა ვერაფერს შეეძრებოდა. აქ რუსთველი ამ პერსონაჟის მოქმედებას უფრო დინამიკურს ხდის. მართლაც, ა. გაწერელის თქმისა არ იყოს ვეფხისტყაოსანი „უადრესად დინამიკური თხზულებაა“⁵⁶. ეს მზავრავი მონაწინა დღის საღამოს წასული მეორე საღამოს ეახლა ფატმანს (ე. ი. ერთი დღე-ღამის განმავლობაში მივიდ-მოვიდა ქაჭეთსა და გულანშაროში), უფრო ადრე კი (ავთანდილის გულანშაროში მისვლამდე) იგივე მალემსრობოლი სამ დღეს მოუხდა ამხვე მანძილის გავლას. საგულისხმოა, რომ ამ მალემსრობოლის სწრაფ რბოლას პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, როცა მის უმაღეს სელას ისრის სისწრაფეს აღარებს: „წავიდა ვითა ისარი კაცისა შვილ-ფიცხელისა“ (1277).

აქვე უნდა გავიხსენოთ: „წამ ერთ მიხდა ფატმანისსა“ ლიტოტესის უგულებელყოფით, ე. ი. ნათქვამის სიტყვასიტყვითი გაგების გამო, მრავალი მკვლევარი შეცდა. ფატმანის ეს მონა ფრენის უნარის მქონედ, ზღაპრულ ფანტასტიკურ პერსონაჟად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ დროის შემამკირებელი ლიტოტესი ვეფხისტყაოსანის სხვა სტროფებშიც გვხვდება. ტარიელი „იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი“ (269);

„გასრულდა მათი აზბავი, ვითა სიზმარი ღამისა,

„ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა“ (1665);

„თუ ვერას ვარგებ, ვიქმნებ ვერ-დამყოფელი წამისად“ (635);

„წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“ (1668).

„სიკედილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად“ (885) და ნისთ.

⁵⁶ ა. გაწერელია, ლიტერატურული ნარკვევები, 1948, გვ. 30.

მიხეილ ქავთარია

XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

5. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში¹ XVIII საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის დასახელებულია ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთაველი. დაწერილებითაა გადმოცემული მისი ბიოგრაფია, ხოლო ზოგადადაა ნათქვამი მისი ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ. თანამედროვე მკვლევართა შეხედულება ძირითადად ქართული საეკლესიო პოეზიის პირველ დამფასებლისა და მეისტორიე ანტონ კათალიკოსის ცნობებზეა დამყარებული. ანტონი წიგნში „წყობილისიტყვაობა“ წერს:

„თვს შამისა ნიკოლას რუსთაველისა ჩერქეზისა
ნიკოლასის მესმნეს ქადაგებანი
სახლსა რა ჩემსას დროსა სიკვამლისასა,
განაყვრულმდა მალაღუბნობა მსმენთა,
აქებდეს, ჰრაცხდეს მის დროთა შინათა
ყოველთა თქმულთა, უმაღლეს, უმჭობესად
უბრძანეს შეაწყვ სისტემა მოკიდულთა
სიტყუათა, ბრძენო, შუშნიერ, უხუ და მალაღ
სატრფოდ აღმიჩნდეს შენნი ნაუბნი ტყბილნი.
აქოლოთას გიქებ, რაიყა ჰქმენი,
მზე დაჰქედ, წარხუშდ წმიდათა გუნდთა თანა“².

ანტონის ამ ცნობას ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა დაუერთო განმარტება-სქოლიოები, სადაც ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის კუთვნილად გამოაცხადა საგალობელი დოდო გარეჯელის შესახებ. პლ. იოსელიანი წერს: „ამან აღჰსწერა საგალობელი დლისათვის დღესასწაულისა წმინდისა დოდოსსა, რომელიცა დაიბეჭდა სადღესასწაულში (იხ. გუტრ. 539—544)“³. ლევან მენაბდემ გაიზიარა პლ. იოსელიანის ეს დებულება და თავისი წიგნის სათანადოდ ადგილას მიუთითა კიდევ ხელნაწერი A—386 (373r—376v), რომელშიც დაცულია ნ. ჩერქეზიშვილის ჰიმნი დოდო გარეჯელზე⁴.

¹ კ. ა. ე. ე. ლ. ი. ძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 319—322; ლ. მ. ე. ნ. ა. ბ. ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი პირველი, 1962, გვ. 349. ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა რ. ბ. ა. რ. ა. მ. ი. ს. წერილი — მასალები ნიკოლოზ რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, რომელშიც მხოლოდ ნიკოლოზის ბიოგრაფიის ზოგიერთ საკითხზეა საუბარი იხ. საიუბილეო კრებული ა. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავეზე, თბილისი, 1974, გვ. 15—20.

² წყობილისიტყვაობა, პ. ი. ი. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი. ს. გამოცემა, 1853, სტრ. 679—680. ანტონ კათალიკოსის წიგნის გავლენით ნ. ჩერქეზიშვილზე ცნობები შეუტანია ი. ო. ა. ნ. ე. ბ. ა. ტ. ო. ნ. ი. შ. ე. ი. ლ. ს. „კალმასობაში“, ტ. II, გვ. 168.

³ წყობილისიტყვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, სქოლიო 680 სტროფთან.

⁴ ლ. მ. ე. ნ. ა. ბ. ე, დასახ. წიგნი, გვ. 349.

კ. კეკელიძემ გაითვალისწინა რა XVIII ს. ქართული ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული მწერლობის მონაცემები, ვარაუდის სახით 'ნ. ჩერქეზიშვილს მიაკუთვნა კანონი ანტონ მარტყოფელზე. ძირითადი ამოსავალი ამ ვარაუდისათვის არის ანტონ კათალიკოსისავე ცნობა მისივე სადღესასწაულოდან: „ახალი იყო განწესება დღესა მას იჴ იანურისასა“⁵. რა თქმა უნდა, მოულოდნელი სრულებითაც არ იქნებოდა, რომ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს, თავის დროისათვის კარვად განათლებულ ადამიანს, ცნობილ მწიგნობარს, კალიგრაფს, მკერმეტყველსა და პოეტს ჰიმნოგრაფიული კანონებიც დაეწერა. ცნობილია მისი ლექსები: „ანბანთქება“, მიძღვნა მეფე ალექსანდრესადმი (იმერეთის):

„ნებროთიანი თარგამოს ქართლოს ჯდა პირველ ძეგობით.
მერმე ფარნავაზ ტახტოსნად იღვა ზიკველით, მხნეობით,
არშაკუნთანც იმეფეს, მიერ ხეასროვანთ სეგობით,
და აწ ვსუფევთ ბაგრატოვანი, ვვეთ ღმრთის მესათნოვებით.
ეს წიგნი მრავალ ნათესავთ მომთხრობი, ყველას ხსენებით,
ქართლს, კახეთს, მცხეთას, რანს, ხუნანს, იმერეთს გეტყვის ენებით,
აფხაზეთს, ქიქეთს, გურიას, სამცხელთ და კლარჯელთ ხვეწებით,
და ეს ყველა ჩვენ გემორჩილობდნენ მდაბლათ და ყმურათ ქენებით“⁶.

მიუხედავად ასეთი მონაცემებისა, არსაიდან არ ჩანს, რომ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს ეკუთვნოდეს ანტონ მარტყოფელზე კანონი. არსად, არც ერთ ხელნაწერში არაა დამოწმებული ამ საგალობელზე მისი ავტორობა.

პლატონ იოსელიანი თავის დებულების საფუძვლად იღებდა ანტონის სიტყვებს — „აკოლოთიას გიქება“ — და ანტონისავე ცნობას დოდოს საგალობელთან დაკავშირებით სადღესასწაულოდან: „ნიკოლოზ ჩერქეზისა“. ანტონი ამა თუ იმ მოღვაწის დახასიათებისას ისეთ რამეს თითქმის არასოდეს არ ამბობს, რის საფუძველი არ ჰქონდეს⁷. ამიტომ ანტონის მითითება ანგარიშგასაწვეიცაა და დამაფიქრებელიც. რაც შეეხება ანტონ მარტყოფელის კანონს, მართლაც. თუ რომელიმე ვარაუდისათვის არსებობდა რაიმე საფუძველი, ყველაზე მეტად კ. კეკელიძის ვარაუდისათვის. ცნობილია, რომ დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის პრინციპული მოთხოვნით ქართველ წმინდანთა მოღვაწეობის შეფასება ახლებურად მოხდა. ამავე ცენტრის მითითებით, XVII—XVIII სს. საეკლესიო კალენდარში შეიტანეს დღეები იმ ქართველ წმინდანთა, რომელთა საქმიანობა ზოგადქართულ პატრიოტულ მოთხოვნებს ესადაგებოდა. ამიტომ მოხდა სწორედ, რომ XVII ს. დამდგეს დავით გარეჯის მონასტრის მოღვაწეთა ინსტიტუციით და მათივე უშუალო მონაწილეობით ჩატარდა საეკლესიო რეფორმა, რომლის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის მეტი წარმოჩენა იყო. ამ რეფორმაში მონაწილეობდა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (გრიგოლ დოდორქელთან და სხვებთან ერთად) და ეს რეფორმა შეეხო ანტონ მარტყოფელსაც. დავით გარეჯის ლიტერატურული კერის მესვეურთა გადაწყვეტილებით, ახლად აღიწერა მოღვაწეობა იმ

⁵ კ. კეკელიძე, ეტუდები, ტ. IV, გვ. 182, ამ ციტატას ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით ქვემოთ.

⁶ იხ. ქუთაისის მუზეუმის № 46 ხელნაწერის (1828 წლის) მინაწერი თავმურცელზე. გამოკვეთებულია: ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია და დასაბუქდა მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, 1953, თბილისი, გვ. 169—170.

⁷ ცნობილია თუ რამდენი საკითხი გაირკვა ჩვენი მწერლობის ისტორიაში ანტონის საგულისხმო ცნობების წყალობით.

ქართველ წმინდანთა, რომლებსაც ქართველ წმინდანთა ცხოვრებათა კრებულში დამოუკიდებელი დღე და საკუთარი განგება არ ჰქონდათ. მიუჩინეს საგანგებო დღე, ხოლო განგების შედგენა დაევაღათ ისეთ პირებს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ წმინდანის მოღვაწეობის გარემოსთან. ასე მაგ., იოსებ ალავერდელის განგება მაკრინამ შეადგინა, მაკრინა კი ალავერდში ცხოვრობდა; იესე ერისთავმა გააქეთა თავისი წინაპრების — 1657 წლის კახეთის აჯანყების ბელადების აკულოთია და სხვა. ამიტომ მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს — რუსთავის ეპარქიის საკეთმპყრობელს (რომელიც მარტყოფში იჯდა) გაეკეთებინა ანტონ მარტყოფელის აკულოთია. ამ მოსაზრებით კ. კეკელიძის ვარაუდი მისაღები ჩანს, მაგრამ როგორც ვნახავთ, ამ ვარაუდის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

ანტონ მარტყოფელის ხსენება ქართულ კალენდარში ძველად 16 აგვისტოს იყო განკუთვნილი. მართალია, ანტონის სახელი ე. წ. ათცამეტ ასურელ მამათა რიცხვში იხსენიება, მაგრამ მისი ღვაწლი ქართული ეკლესიის მესვეურების თვალსაზრისით, ძირითადად, ჩვენში ხელთუქმნელი ხატის ჩამოტანით განისაზღვრებოდა და ფასდებოდა. ამიტომ ხელთუქმნელი ხატის საგალობელში იყო ჩართული ანტონის სახელი და ხსენების დღეც დადებული იყო (XIII საუკუნის ხელნაწერის A—85-ის მიხედვით) 16 აგვისტოს, თუმცა იქვე ხელნაწერში ნათქვამია, რომ „ხოლო ვინაჲთგან ღირსისა ანტონის მიუტალებაცა ათჲლმეტსავე იანვარსა იქმნა, დღესა დღისა ანტონი მეგვტელისასა, ამისთვისა დაჲმცა ვგალობთ და ვიტყვით“ (A—85, 284v—285r).

ვინაიდან ანტონ მარტყოფელის ღვთისმშობელი ცალკე არ იყო დაწესებული (როგორც ასურელ მამათა უმრავლესობის, არამედ მისი მოხსენება ედესიიდან ხელთუქმნელი ხატის ღვთისმშობელთან იყო დაკავშირებული), ამიტომ მისთვის ძველად სვინაქსარი არ შეუდგენიათ. ანტონის სვინაქსარული ცხოვრების დამოუკიდებელი რედაქცია მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულში შეიქმნა⁸.

XVII—XVIII საუკუნეებში ქართული ეკლესიის მამამთავართა ინიციატივით, როდესაც ქართველ მოწამეთა საქმიანობის ახალი თვალსაზრისით დაფასება დაიწყო, ახლებურად შეფასდა ანტონის როლიც მშობლიური ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე. ამიტომ საეკლესიო კალენდარში მისი ხსენება ცალკე, ხელთუქმნელი ხატისაგან დამოუკიდებლად შეიტანეს. ეს მოხდა XVII ს. მიწურულსა თუ XVIII ს. დამდეგს, როდესაც, ანტონ კათალიკოსის ცნობით, ქართლ-კახეთის გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწეებმა საეკლესიო რეფორმა ჩაატარეს და ბევრი ქართველი წმინდანის დღე გარკვეული მოსაზრებით გადაადგილეს. ანტონ მარტყოფელის ხსენება ამ დროს სპეციალურად გამოუცალკევებიათ ხელთუქმნელი ხატის ხსენებისაგან ჯა დაუწესებიათ 17 იანვარს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილსა და გრიგოლ დოდორქელს. „ახალი იყო განწესება დღესა იზიანუარსა თთუსასა ანტონი მარტყოფელისა, ვითარმედ ნიკოლოზ ჩერქეზმან რუსთუჭლმან და გრიგორი ხუცესმონაზონმან დოდორქელმან განაწესა დღესა მას იზიანურისა“, — ვკითხულობთ ანტონ პირველის სადღესასწაულოს წინასიტყვაობაში. მაგრამ 17 იანვარი ჭერ კიდევ XIII ს. ხელნაწერშია დამოწმებული როგორც

⁸ ე. ვაბიძაშვილი, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 222.

მარტყოფელის გარდაცვალების დღე. მამ როგორ უნდა გავიგოთ ანტონ კათალიკოსის ცნობა: „ახალი იყო განწესება...“ ჩვენ ვფიქრობთ, ანტონ კათალიკოსის მიერ ხმარებული სიტყვა „ახალი“ გულისხმობს მარტყოფელის დამოუკიდებელი ხსენების დაწესებას, ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულისაგან მისი ხსენების გამოყოფას⁹. 17 იანვარი, როგორც ვთქვი, ჭერ კიდევ XIII ს. ხელნაწერშია დამოწმებული როგორც მარტყოფელის გარდაცვალების დღე: „ვინაჲთჳან ღირსისა ანტონის მოცვალებადჳა ათჳუღმეტსაჲე იანვარსა იქმნა... ამისთჳს მაშინცა ვგალობთ და ვიტყუთ...“. მართალია, A—85-ის მიხედვით ანტონ მარტყოფელის რამდენიმე გალობა 17 იანვარზეც იგალობდა, სოლო ხელთუქმნელი ხატის განგება, რომელშიც ანტონზეცაა საუბარი, მაინც აგვისტოს თვეში იყო. არის ერთი უეჭველი ფაქტი, რომელიც აშკარად არ ეთანხმება და მხარს არ უჭერს ანტონ კათალიკოსის ცნობას. ხელნაწერ A—1582ბ, რომელიც XVII საუკუნის 70-იანი წლებისაა, 17 იანვარზე შეტანილია ანტონ მარტყოფელის სვინაქსარული ცხოვრება და, მამასადამე, ხსენებაც (ამ ხელნაწერში 15 აგვისტოზე საერთოდ არაა მისი ხსენება შეტანილი). „ამასვე დღესა (იგულისხმება 17 იანვარი) ანტონი შუამღინარელისა, რომელი იყო მოწაფე იოანესი...“ და ამას მოჰყვება ტექსტი სვინაქსარული ცხოვრების ე. წ. ვრცელი რედაქციისა¹⁰. აქ აღსანიშნავია ორი გარემოება. პირველი ანტონის სვინაქსარული ცხოვრების გამოცემაში მითითებული ხელნაწერების მიხედვით ეს ტექსტი სხვა ხელნაწერებში 16 აგვისტოს საკითხავადაა განკუთვნილი. ეს ხელნაწერი კარგად ცნობილი და დიდმნიშვნელოვანი ნუსხებია — A—425 (1718 წ.), A—220 (1726 წ.), S—3269 (1720-იანი წლები). ეს უთუოდ საგულისხმო ფაქტია. მეორე A—1582ბ ხელნაწერში ჰიმნოგრაფიული მასალა, თუნდაც ის, რომელიც A—85-ის მიხედვით უნდა იგალობებოდეს, წარმოდგენილი არაა. ამ ხელნაწერში ჰიმნოგრაფიული მასალა მხოლოდ და მხოლოდ ანტონ მეგვიბტელს შეეხება და ასეთი რიგითაა მოყვანილი: ა. სტიქარონი: „ხატება და მსგავსება ღმრთისა მიიღე...“, ბ. სტიქარონი: „ნეტარო, ბრენო, დიდებულო ანტონი, დიდთა მათ სიმხნეთა და მოღუაწებულთა სიცხე თავს იღე...“, გ. დიდება: „სიმრავლე მონაზონთა ანტონს წინამძღურად აღვიარებს“. დ. ოხითა: „მოშურნისა ელიას საქმეთა მიემსგავსე...“, ე. წარდგომა: შფოთნი სოფლისანი დაუტევენ და ჭუარი შენი მკართა შენთა ზედა აღიღე...“, ვ. კანონი: უგალობდითსა „უკუღაჲსა ცხოვრებასა მკვდრ ხარ...“.

მამასადამე, წყაროების მონაცემების მიხედვით აშკარა წინააღმდეგობა გვაქვს. XVII საუკუნის 70-იანი წლების ხელნაწერი 17 იანვარზე იძლევა მარტყოფელის სვინაქსარს, ანტონ კათალიკოსი კი კატეგორიულად აცხადებს, რომ 17 იანვარი მარტყოფელის ხსენების დღედ განაწესეს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა და გრიგოლ დოდორქელმა. არ შეიძლება ანტონ კათალიკოსის ცნობის უგულვებელყოფა და უბრალოდ შეცდომად ან გაუგებრობად მიჩნევა. ამიტომ როგორღაც უნდა მოხდეს ფაქტების მორიგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიუხედავად A—1582ბ არსებობისა, ანტონ კათალიკოსის ცნობა მართალია. XVII ს. მიწურულში თუ XVIII ს. დამდეგს მართლაც ჩატარდა ჩვენში გარკვეული საეკლესიო რეფორმა; ბევრი ქართველი მოღვაწის ხსენების დღე

⁹ ე. ვაბიანაშვილი ამ ფაქტს რამდენადმე სხვანაირად ხსნის, იხ. გვ. 225. შემდეგში ანტონ კათალიკოსმა კვლავ გადაანაცვლა მარტყოფელის ხსენება 19 იანვარზე.

¹⁰ ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 393—398.

მართლაც შეიცვალა. ამ რეფორმის შესახებ დანერგვებით ცნობებს იძლევა თვით ანტონი. ანტონ კათალიკოსის ცნობები თითქმის ყველა დასტურდება სხვა მონაცემებითა და ხელნაწერებით. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონ კათალიკოსის ცნობა ამ პუნქტში ჭეშმარიტია. მეორეც, ჩვენ ზემოთ საგანგებოდ დავიმოწმეთ ის ხელნაწერები (რომლებიც ქრონოლოგიურად A—1582ბ-ზე გვიანდელია), რომლებიც იმავე სვინაქსარს შეიცავენ, რაც A—1582ბ-შია, მაგრამ იქ ყველგან მარტყოფელის ხსენება 16 აგვისტოსაა დადებული. ესეც არაა შემთხვევითი ფაქტი. ვფიქრობთ, ანტონი გულისხმობს 17 იანვარს ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულიდან ანტონ მარტყოფელის დღესასწაულის გამოცალკეების დაკანონებას, რისთვისაც გარკვეული თვალსაზრისი ჯერ კიდევ XVII ს. მიწურულში შეიქმნა, მაგრამ XVIII ს. პირველი მეოთხედის ხელნაწერებში ჯერ კიდევ არ არის გატარებული. ამას თუ დაუვამატებთ იმასაც, რომ ჰიმნოგრაფიული კანონი მხოლოდ XVIII საუკუნიდან ჩნდება და იგი არაა A—1582ბ-ში, მეტი დამაჯერებლობა მიეცემა ანტონის ცნობას.

XVIII ს. დამდეგამდე არც ერთ ხელნაწერს არ დაუცავს ჰიმნოგრაფიული მასალა ანტონ მარტყოფელზე¹¹. XVIII ს. დამდეგიდან კი ჩნდება მისი დამოუკიდებელი ხსენება 17 იანვარს. ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელშიც ერთად არის წარმოდგენილი ანტონის ხსენება, ჰიმნოგრაფიული მასალა და სვინაქსარიც, არის A—111 და S—3269 (სამეცნიერო ლიტერატურაში ბესარიონ კათალიკოსის ჰაგიოგრაფიული კრებულის სახელითაა ცნობილი). S—3269 ხელნაწერის შემდგენლები სპეციალურად ეძებდნენ სათანადო მასალას და ისე ადგენდნენ თავის კრებულს. ამ ხელნაწერში, რომელიც დასახელებული საეკლესიო რეფორმის შემდგომ პერიოდს ასახავს და ამავე დროს ითვალისწინებს რეფორმის შედეგებსაც (მაგ. ქეთევან დედოფლის განგება), ანტონზე კანონი შეტანილი არ არის. არამედ არის მხოლოდ სამი მცირე ზომის საგალობელი და სვინაქსარის პირველი რედაქცია¹². ეს საგალობლებია: 1. „ოხითა: „ხატად ღმრთისა შექმნილმან, წმიდაო, არა უდევ ყავ პატივი ხატისა ქრისტისი, თვნიერ ჭელითა კაცთასა გამოსახულისა...“. 2. „ანტონის არსების ხატი. არსება უხილავისა ხატისა ესახა რა ტილოსაგან კეცსა მას და თიხისა კეცსა ეტვრთა კეცი მიწისა, ხოლო მომხმელმან მისმან ჩუენდა ღირსმან ანტონიმ მოგვსუენა პირი იგი საუფლოა მფარველად ჩუენდა“ 3. „იბაკო. მნათობად მზეებერ ბრწყინვალედ მოეცნეს ქართველთა ერსა ათორმეტნი რიცხუნი მამათანი...“.

S—3269 ხელნაწერის მნიშვნელობა სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი და შეფასებული. ამიტომ ამ ხელნაწერის მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს. S—3269 ასახავს ე. წ. საეკლესიო რეფორმის შემდეგ დროინდელ ვითარებას. ამიტომ ნიკოლოზ ჩერქეზი-შვილს რომ დაწერილი ჰქონოდა საგალობელი ანტონ მარტყოფელზე, იგი

¹¹ ამ დებულებას არ ეწინააღმდეგება A—85-ის მონაცემები. A—85-ში არის საგალობელი ხელთუქმნელი ხატის შესახებ: „ხატისა უხილავისა ამავე ვალობითა, თქმული არსენი ბულშაის ძისაგან ქართლისა კათალიკოსისა“. ამ საგალობელში ანტონზე მხოლოდ იმდენადაა საუბარი, რამდენადაც მან ჩამოიტანა ხატი საქართველოში, A—85 არ არის განცალკევებული ანტონის საგალობელი. ამიტომ A—85 საგალობელი არ უნდა მივიჩნიოთ ანტონის შესახებ დამოუკიდებელ საგალობლად.

¹² ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. IV, გვ. 393.

უცილებლად მოხვდებოდა A—425, S—3269 სხვა ხელნაწერებში. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ჰიმნოგრაფიული კანონი ანტონ მარტყოფელზე ჯერ კიდევ არაა დაწერილი. ამ დასკვნის შემდეგ ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, როგორაა საერთოდ სადღესასწაულოებში ანტონის ხსენება წარმოდგენილი და და რა დროიდან ჩნდება ჰიმნოგრაფიული კანონი მის შესახებ.

პირველი ცნობა და ჰიმნოგრაფიული მასალა ანტონ მარტყოფელის შესახებ მე-13 საუკუნის ხელნაწერში გვხვდება. ესაა არსენ ბულმაისიმის ძის¹³ კანონი ხელთუქმნელი ხატის შესახებ, რომელიც 16 აგვისტოს დღეზეა დადებული. „ხატისა უხილაისა, თქმული არსენი ბულმაისძისაგან, ქაროლისა კათალიკოზისა“. არსენს გაუყეთებია მთელი კანონი, რომელსაც ერთვის მეტად საყურადღებო და საინტერესო განმარტება. არსენი წერს: „თუესა აგვისტოსა ივ, თაყუანისცემა ცხოველსყოფელისა საუფლომასა ხატისა კელითუქმნელისაჲ, ოდეს მოყვანებულ იქმნა ედესიაჲთ კონსტანტინეზოულედ, ხოლო მეორედ ვინაჲთჲან მოემადლა ნათესავსა ჩუენსა მოწყალებითა ღმრთისაჲსა ღირსისა ნეტარისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტოდმოფელისა მიერ და დღესა ფერისცვალებასა ვემთხუჭვით კეცსა ზედა, გარდამოტუფრულსა ტილომასა მიერ. ამისთვის ესე უფალო ღაღადყაიი“ ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა. ესე რომელი ამას ზემოთ წერილი არს კჲად გუჭრდას გალობითა და მეორენი თვთღისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყუსა შემდგომად წერილ არიან მეორის გუჭრდას, რომელნია ქეცეანიცა მუკლ-მუკლისა თავსა წარწერილ არიან, ხოლო მესამის გუჭრდისნი ითქუნეს საბაჲსა ს მიერ ს ლ გ ე ლ ო ზ ის აკაცისა ღმერთემომოსილისა, კარისა ებისკოპოსისა და ვიტყვთ ზ აგვისტოსსა. ხოლო ვინაჲთჲან ღირსისა ანტონის მიცვალებაჲცა ათწოდმეტსავე იანუარსა იქმნა, დღესა დიდისა ანტონისა მეგვკტელისსა, ამისთვის მაშინცა ვგალობთ და ვიტყვთ, პირუელად რომელი მქნეონთა ზედა სწერია და მოურთავთ¹⁴ მაშინდა, რაჲ დიდისა ანტონისი, ხოლო ულუ(!) ითქუას და მოურთავთ დიდებად მჯდომარესა ამას, ვითარმედ შუამდინარითი. უფალო ღაღადყაიი, კმაჲ მეორის გუჭრდი ამით ზემოთა გალობითა თავსა სწერია და რაჲცა აკლია ზემოთეე გალობათა, ქუჭმოთ სწერია აქებდითსა თანა. თვთ ძლისპირნი ზესთ გამოთქუმისა კელითუქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანეე თქუმულნი კათალიკოზისა“¹⁵.

ეს განმარტება მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს, გარკვეულად გამოპყოფს ერთმანეთისაგან არსენისა და საბა სვინგელოზის პოეტურ ნაწერებს. გამოდის: საგალობელი დაწერა არსენ ქართლის კათალიკოსმა, მაგრამ

¹³ არსენის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 306—309. გ. შიქაძე, არსენ ბულმაისიმისძე, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XV, 1963, გვ. 115—140; გამოკვლევაში ავტორი ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულიდან ანტონის დღესასწაულის გამოყოფის შესახებ არაფერს ამბობს და არც ხელთუქმნელი ხატის საგალობელს აქვეყნებს.

¹⁴ მისართათთან დაკავშირებით იხ. ე. მეტრეველი, ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფართონისა“ და „მოსართაის“ გაგებვისათვის, დაბეჭდილია: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, 1973, გვ. 144—153.

¹⁵ ანდერძის ფრაგმენტი გამოკვეთებული აქვს ნ. ბერძენიშვილს. იხ. საეპოპო ფოლადურ საქართველოში, ენიშის მოამბე ტ. V—VI, 1940, გვ. 402. ამ უქანასწულ ხანს ანდერძი მთლიანად დაცემამა, იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია, ტ. I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს, მ. ბრეგვაძემ, მ. ქაუთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ე. მეტრეველის რედაქციით, 1973, გვ. 288.

რადგანაც ანტონის გარდაცვალების დღე — 17 იანვარი დიდი ანტონი მეგვიპტელის ხსენების დღეა, მაშინ მიეუბრათ, „ვგალობთ და ვიტყვი“ საგალობელს, „რომელი მკნეონსა ზედა სწერია“ ე. ი. „გინხაროდენ, მამაო, ღმერთმე-მოსულო მამაო ანტონი“. ხოლო როცა ღად ანტონზე ვგალობთ — გარკვეულ საგალობელს, რომლის სათანადო ადგილი ტექსტში არ იკითხება, მაშინ ვიტყვი „მკდომარე“ (ძლისპირია) საგალობლიდან ადგილს, რომელიც იწყება „შუამდინარეთი“. ეს დასაწყისი კი ემთხვევა მეორე ტროპარს „შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰქედ დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად, მამაო ანტონი“. მაშასადამე, 17 იანვარს დიდი ანტონის ხსენების დღეს კანონიდან რამდენიმე ტროპარი ანტონ მარტმყოფელზეც ითქმოდა.

ქართულ სადღესასწაულოთა ე. წ. ძველ რედაქციებში მეტ-ნაკლებად, როგორც წესი, არაენ ბულმაისიმიდის საგალობელია წარმოდგენილი.

მოგვიანო ხანის სადღესასწაულოებში მდგომარეობა შეიცვალა, გაბუნდოვანდა საკითხი იმდენად, რომ ანტონ კათალიკოსს, XVIII ს. ქართული ლიტურგიკული მწერლობის უდიდეს ავტორიტეტსაც კი ეშლება და ანტონ დიდის საგალობელში ურთავს რამდენიმე სტრიქონს, რომელიც მარტმყოფელზეა დაწერილი, და მთელ კანონს მარტმყოფელისად აცხადებს. ეს აღრევა გამოიწვია ანტონ მარტმყოფელის ხსენების გადმოტანამ 17 იანვარზე, როდესაც დიდი ანტონის ხსენებაა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, თუ რომელი კანონი ეკუთვნის დიდ ანტონს. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდება ანტონ დიდისა და მარტმყოფელის კანონთა გამოჩენა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მოგვიანო ხანის სადღესასწაულოებში, რომლებშიც წარმოდგენილია ჰიმნოგრაფიული მასალა, 17 და 19 იანვრის განგებანი აღრეულია. ზოგჯერ ერთი და იგივე საგალობელი ორჯერაც კია გამეორებული. საქმე იმითაც რთულდება რომ 17, 18, 19 იანვარს ხელნაწერებში არის ანტონ რაევანის ხსენებაც და საგალობელიც. მაშასადამე, ერთდროულად თავი მოიყარა სამმა ანტონმა. ამიტომ საგალობლების გამოჩენა აუცილებელია.

დიდი ანტონის ხსენება არის 17 იანვარს. თვენის ე. წ. პირველ რედაქციაში 16 იანვარსაა დადებული¹⁶. გიორგი მთაწმინდლის თვენში დიდ ანტონი ორი კანონი და რამდენიმე მცირე ზომის საგალობელია წარმოდგენილი. ამჯერად ჩვენ მხოლოდ მთლიან კანონებს ვეხებით.

I კანონი: უგალობდითსა — „უკუდავსა ცხოვებასა მკვდრ ხარ, ანტონი დიდებულო, და სამებისა ნათელითა განჰბრწყინებულნი ჰსუფევე, ბნელიწყვიდიანი სულსა ჩემსა მოსძარცუენ...“

II კანონი: უგალობდითსა — „მონაზონთა სიქადულსა, მოღუაწესა ანტონის, უდაბნოთა ქალაქ მყოფელსა, საცთურისა განმდევნელსა მორღუმენნი უგალობთ...“¹⁷.

პირველი კანონის ავტორად გიორგი მთაწმინდელი ასახელებს თეოფანეს. ანტონ კათალიკოსის სადღესასწაულოს (S—1464-ის) მიხედვით (ავტორი აქაც დასახელებულია) საგალობელი ყოფილა აკროსტიქიანი (ალბათ რუსულში),

¹⁶ Dumbarton Oaks-ის ხელნაწერი, ფოტოპირი დატულია ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

¹⁷ ეს საგალობელი გამოქვეყნებულია მ. საბინინთან (იხ. საქართველოს სამოთხე) სათაურით: პარაკლისი ანტონ მარტმყოფელისა, გვ. 296—300. აქედან ცხადია, რომ მ. საბინინმა არ იცის, რომ ეს საგალობელი ანტონი მეგვიპტელის კუთვნილებაა და არა მარტმყოფელის.

რომელიც იკითხება: „ანტონის საღმრთოსა ვაქებდეთ შუჭნიერად“ ქართულ სინამდვილეში ეს საგალობელი კიდურწერილობის გარეშე გადმოსულა, აკროტიკის გარეშე უთარგმნია გიორგისაც და ანტონ პირველსაც¹⁸.

მეორე კანონის ავტორად გიორგი მთაწმინდელის „თვენი“ ასახელებს იოანეს.

ქართულ საღმრთოსწავულობებში, გარსაკუთრებით კი მოგვიანო ხანისა, მღვდმარეობა ერთგვარი არაა. ე. წ. ძველი რედაქციები მეტ-ნაკლები სისრულით იმეორებს გიორგი მთაწმინდელის შედგენილობას. მაგ., ერთ-ერთი მართალია მოგვიანო, მაგრამ ძველი რედაქციის ხელნაწერი — A—152, თითქმის მთლიანად, უცვლელად იმეორებს გიორგისეულ განგებას, ზოგიერთი მცირე გამონაკლისის გარდა. A—152 არ იცნობს მხოლოდ 4 „სხეანს“ და 1 სტიქარონს გიორგი მთაწმინდელის „თვენისას“.

მოგვიანო ხანის ყველა ძირითადი საღმრთოსწავულო, რომლებიც ქართული ლიტურგიკული მწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს ჩვენში, ასეთ სურათს იძლევა:

ა. A—111₂ — გულანში — დიდი ანტონის განგება არის 17 იანვარს და მოცემულია კანონი: „მონაზონთა სიქადულსა მოღუაწეს ანტონის...“ (37r). ეგვე კანონია A—151 ხელნაწერში, რომელიც ანტონ კათალიკოსის საღმრთოსწავულოზე მუშაობის პირველ ეტაპს ასახავს. აქაც მხოლოდ ერთი კანონია. ამ კანონს იმეორებს A—104 (XVII ს), A—409, A—220 და ა. შ.

ბ. ხელნაწერი A—379-ში 17 იანვარს დიდი ანტონის საგალობელია: „უკუდავსა ცხოვრებასა მკვდრ ხარ, ანტონი დიდებულო...“ (49r). ამავე კანონს იძლევა დომენტი კათალიკოსის რედაქციის საღმრთოსწავულო A—425 (1718 წ.).

გ. ალექსი მესხიშვილის რედაქციის საღმრთოსწავულოში (A—1093) დიდ ანტონზე არის ორი კანონი:

I კანონი: უგალობდითსა — „უნიეთმან კიბემან და უცხომან წიაღსლვამან ზღვსამან შობა შენი მოასწავა, უსძლო ღმრთისმშობელო, რომელსა უგალობთ ჩუენ, რამეთუ დიდებულს არს...“.

II კანონი: უგალობდითსა — „მონაზონთა სიქადულსა მოღუაწესა ანტონის...“ საღმრთოსწავულოს ერთ-ერთ ნუსხაში (H—2335), რომელიც საგრძნობლად სხვაობას A—1093-ისაგან, დიდ ანტონზე არის ასევე ორი კანონი: I. „მონაზონთა სიქადულსა...“ და II. „უკუდავსა ცხოვრებასა მკვდრ ხარ...“.

დ. ანტონ კათალიკოსის საღმრთოსწავულოში ერთი საგალობელია: „კანონი ღირსისა, ქმნილი თეოფანესი, რომლისა კიდურწერილობაა — ანტონის სამღმრთოსა ვაქებდეთ შუჭნიერად.“

უგალობდითსა — „უკუდავებისა და ცხოვრებისა მიმართ საუკუნოსა ცხადად მოსურნე იყავ და სამნათობიერისა მიერ ცისკრისა განძლომოდ იქმენ განათლებისა მადლითა დაბნელებულისა სულისა ჩუენისა აღცისკროვნებად ევედრე, რათა ღირსებით გიგალობდე შენ“ (432v).

ე. A—515-ში — იესე ბარათაშვილის საღმრთოსწავულო — ორი კანონია: I. „მონაზონთა სიქადულსა...“ და II. „უკუდავსა ცხოვრებასა მკვდრ ხარ...“.

მამასადამე, თუ ყველა ძირითადი ხელნაწერის მონაცემებს გაეითვალისწინებთ, დიდ ანტონის საგალობლებად ხელნაწერები იძლევა: I. „მონაზონთა

¹⁸ საინტერესოა, რომ ანტონის საგალობლის კიდურწერილობის ფრაზა კი უთარგმნია და წაშლდვარება საგალობლისათვის.

სიქადულსა მოლუაწესა ანტონის...“, II. „უკუდაესა ცხოვრებასა მკვდრ ხარ...“, III. „უნივთოან კიბეან და უცხოან წილსღვამან...“, IV. „უკუდაეებისა და ცხოვრებისა მიმართ...“.

პირველი ორი საგალობელი, დამოწმებულია უძველეს ქართულ ხელნაწერებში. მართალია, მესამე საგალობელს ჩვენ ადრეულ (და ვერც მოგვიანო) ხელნაწერებში ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ მას იძლევა ისეთი მნიშვნელობის კრებული, როგორც ალექსი მესხიშვილის სადღესასწაულოა (A—1093). მეოთხე გალობა არის მეორე გალობის რუსული ვარიანტის ანტონისეული თარგმანი. საგალობლის ავტორს — თეოფანეს თვით ასახელებს ანტონი

როცა დადგინდა დიდი ანტონის საგალობლები, ახლა შეიძლება ანტონი მარტყოფელის საგალობლის გამოყოფა-გამორჩევა, თუმცაღა, როგორც ვნახავთ, სიძნელეები აქაც დიდია. შედარებით მოკრძალებულადაა ხელნაწერებში წარმოდგენილი ანტონ რაეახი. მისი განგება სულ სამიოდე ხელნაწერშია. ანტონ რაეახის საგალობელი დამოწმებულია Dumbarton Oaks ხელნაწერში: უგალობდითსა: „მოვედით დღეს ყოველნი ღმერთშემოსილნი და სარწმუნოებით უგალობდეთ ანტონის...“ (242r). ამავე საგალობელს იმეორებს გიორგი მთაწმინდელის „თვენიც“ (და ზოგიერთი სხვა მოგვიანო ნუსხები), თუმცაღა „უფალო ღლადღაყვისა“ და სხვა მცირე ზომის საგალობლები გიორგისთან განსხვავებულია.

მაშასადამე, დიდ ანტონზე — მეგვიბტელზე 4 საგალობელია ხელნაწერებში წარმოდგენილი, ხოლო ანტონ რაეახზე კი ერთი. ეს ხუთივე საგალობელი ხელნაწერებში ძირითადად 16 და 17 იანვარზეა გაწყობილი.

17 იანვარს ანტონ მარტყოფელის ხსენების გადმოტანამ გარკვეული გაუგებრობა შექმნა. ამიტომ იყო, რომ ანტონ კათალიკოსმა „ახალი განწესება“ ეკლავ შეცვალა და მისი ხსენება 19 იანვარს გადაიტანა შემდეგი მოსარებით: „ხოლო ჰქსენება ღირსისა მამისა ანტონი მარტყოფელისა, ვინაღან ჭერ იყო დღესასწაულობა წმიდისა ჰქსენებისა მისისა ქართუშლოთაგან, არა ეგებოდა დღესასწაულსა ანტონი დიდისასა, მით რამეთუ, უკეთუ დღესასწაულსა თანა ანტონი დიდისასა უკან შეუდგინებდით, ყოვლად უჭერო იყო, ვითარმედ პირუშლად, მთაერად მონაზონთა უწოდა მას ეკლესიამან. მეორედ, დიდთა მიერ მსოფლიოთა კრებათა განაწესა ჰქსენება მისი... ხოლო მეოთხედ, უკეთუ დიდისა ანტონის თანა ვიდღესასწაულეთმცა, დაჰშთა უდღესასწაულოდ ჰქსენება ანტონი მარტყოფელისა“.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ხელნაწერები, რომლებიც ქრონოლოგიურად ამ გადატანის შემდგომია, მაგრამ ძველი რედაქციისა არის, ანტონის ხსენებას ან 16 აგვისტოს იძლევა იშვიათად, ან, როგორც წესი, 17 იანვარს. მაგ. A—152-ში განგება 16 აგვისტოსაა, თუმცაღა შემდგენელმა იცის, რომ ანტონის ხსენება 17 იანვარსაც არის. ამიტომ იგი 17 იანვრის გასწვრივ წერს: „ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტყოფელისა, ათორმეტთაგანისა. ამისი საგალობელი ივ აგვისტოს იძიე“ (216v). ალექსი მესხიშვილის სადღესასწაულოში (A—1093) ანტონის ხსენება 19 იანვარსაა — „ამასვე დღესა ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტყოფელისა“ (404v). ამის შემდეგ მოდის საგალობლები. იგულისხმება, რომ ამ სათაურის ქვეშ მოთავსებული ჰიმნები უნდა ეკუთვნოდეს მარტყოფელს.

I კანონი: უგალობდითსა — „უნივთომან კიბემან და უცხომან და უქმმან წიასლვამან ზღვსამან შობა შენი მოასწავა...“.

II კანონი: უგალობდითსა — „ვაქებდეთ ყოველნი ღმრთივეშუენიერად დღესასწაულსა ამას ბრწყინულესა ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონისა...“.

პირველი საგალობელი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გადის როგორც ძი-
ჩითადი საგალობელი, ხოლო მეორე კი „სხუა ძლისპირის“ რუბრიკის ქვეშ,
სხვა ძლისპირია გამოყენებული.

თუ ამ საგალობლებს დიდი ანტონის საგალობლებს შეეადარებთ, ვნა-
ხავთ, რომ პირველი საგალობელი განკუთვნილია როგორც დიდი ანტონისად-
მი, ასევე მარტყოფელისადმი. ეს საგალობელი გიორგი მთაწმინდელის თვენ-
ში არ არის; არ არის ძველი რედაქციის ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერებში,
ამიტომ ძნელი სათქმელია საიდან აიღო მესხიშვილმა ეს საგალობელი. სხვათა
შორის, ეს კანონი არაა ამავე ავტორის მიერ შედგენილ სხვა საღვთისმეტყველო-
შიც S—535-ში, სადაც მარტყოფელზე შეტანილია კანონები: „მონაზონთა
სიქადულსა“ და „ვაქებდეთ ყოველნი ღმრთივეშუენიერად“. მაშასადამე, მეს-
ხიშვილის მიერ გაკეთებულ ორ ერთისა და იმავე ხასიათის ლიტურგიკულ კრე-
ბულში, რომლებიც, მართალია, ერთმანეთისაგან საერთოდ საგრძნობლად გან-
სხვავდება, ერთისა და იმავე ქართველი წმინდანის განგებაში მოტანილია
3 სხვადასხვა კანონი: 1. „მონაზონთა სიქადულსა...“, 2. „უნივთომან კიბემან...“
და 3. „ვაქებდეთ ყოველნი...“ ეს სამივე აკულოთია ანტონ მარტყოფელის
საკუთრებადაა გამოცხადებული, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, პირველი
ორი კანონის შესახებ გაუგებრობის შედეგია.

ანტონ კათალიკოსის საღვთისმეტყველოში, ამა თუ იმ ქართველი მოწამის
განგებაში, როგორც წესი, მოცემულია რომელიმე ძველი ქართველი ავტორის
ჰიმნი და შემდეგაა დამატებული მისი საკუთარი პოეტური შემოქმედების ნი-
შეში. ეს პრინციპი დაკუთვნილია გატარებულია ყველგან, სადაც კი ამის შესა-
ძლებლობა არის. ამავე მეთოდითაა შედგენილი მარტყოფელის განგება 19
იანვარზე. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ანტონის საგალობელს ყოველთვის
უწერს ავტორს, თუ კი მისთვის იგი ცნობილია. საკუთარი შემოქმედების ნი-
შეშებს იგი ყოველთვის უწერს თავის სახელს.

S—1464-ში (S—400-ში) ორი კანონია: I. მონაზონთა სიქადულსა...“,
II. კანონი საკუთარი (ანტონის), პირველი კანონის ძლისპირზე გაკეთებული:
„აბრამ ახალი ანტონი, მორჩილი წოდებისა მოწოდებულისა შენისა...“, მეორე
საგალობლის კიდურწერილობა იძლევა: „ანტონის ღიდებულებას უგალობ
ანტონი“. მაშასადამე, ანტონ კათალიკოსსაც პირველი გალობა მიაჩნია მარტ-
ყოფელის საკუთრებად, მხოლოდ ძველი ავტორის კუთვნილებად და შეაქვს
მის განგებაში. იგიც, ირკვევა, იმავე შეცდომას უშვებს, რასაც მესხიშვილი
S—535 შედგენისას.

დასახელებული საგალობელი ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელის „თვენ-
შია“. მაშ რაშია საქმე? ანტონ კათალიკოსის გასამართლებლად ვერ გამოდგე-
ბა ისიც, რომ ერთ-ერთ მუხლში მასთან ვკითხულობთ: „ეკლესია ქართლისა
აღასრულებს დღესა საკსენებელსა შენსა და აგრეთვე მეფე ქრისტეს მოყუა-
რე, მოღუაწეო ანტონი, გვთხოვე ღმრთისაგან დიდი წყალობა“. ამ ციტატაში
„ეკლესია ქართლისა“ უადგილოა და იგი ჩვენი ფიქრით რომელიღაც ქარ-
თველმა რედაქტორმა საგალობლის გაქართულებისათვის შეიტანა. სხვა ხელ-

ნაწერები სათანადო ადგილას იძლევა: „კრებული მამათა აღასრულებს დღეს ყოველსა ქვეყანასა...“. ასევე ქართველი ავტორის ჩამატებულია ფრაზა: „მეფე ქრისტეს მოუყარე“. სხვა ხელნაწერები მას არ იცნობენ. ასევე ანტონმა შეიტანა კანონში იკოსი, სადაც იოანეს შოწაფეობაზეა ლაპარაკი და კონდაციკმა ბ. — „მნათობად მზეებერ ბრწყინულად მოეცნეს ქართულთა ერსა ათორმეტ რიცხვინი...“. ეს სტიქარონი S—3269-ში წარმოდგენილია მესამე ხმის იბაკოდ. ანტონი გრძნობს უხერხულობას, რომ კანონი, რომელიც მისი აზრით ანტონ მარტყოფელზეა განკუთვნილი, არაფერს არ შეიცავს მისი ცხოვრებიდან და ამიტომ აქართულებს იგი კანონს, ცვლის ფრაზებს, ურთავს ზემოთ ნახსენებ მცირე ზომის საგალობლებს. მაშასადამე, მესხიშვილისა და ანტონის სადღესასწაულოთა მონაცემების ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ ორივე ავტორი ერთნაირად სცოდავს და შეცდომით მარტყოფელს მიაწერენ ისეთ ჰიმნს, რომელიც ფაქტობრივად მას არ ეკუთვნის. მეორე მხრივ, ანტონი თავის კრებულში იძლევა საკუთარ ჰიმნს, ხოლო მესხიშვილის სადღესასწაულოში კი დამოწმებული ჰიმნის ავტორი ხელნაწერების მიხედვით არ ჩანს. ავტორის მიერ დაშვებული ნებისითი თუ უნებლიე შეცდომა გადასულია გამოქვეყნებულ ქართულ სადღესასწაულოშიც.

ახლა დაუბრუნდეთ საკითხს, რომელი საგალობელი შეიძლება ეკუთვნოდეს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს. ანტონ მარტყოფელის ზემოთ ჩამოთვლილი საგალობლები არაა A—425-ში (არის არსენის საგალობელი), S—3269-ში (არის სამი იბაკო მხოლოდ), A—152-ში საერთოდ არაა მარტყოფელის ხსენება; A—220-ში არის სვინაქსარი, საგალობელი კი საერთოდ არაა, რადგანაც 17 და 19 იანვრის დღეების განგება ხელნაწერში არაა. ამავე დროს A—425, A—220 და S—3269 ხელნაწერები ზუსტად ისინია, რომელშიც ანტონ მარტყოფელის სვინაქსარული ცხოვრებებია მოთავსებული¹⁹. A—379-ში 17 იანვარს სათაურში მარტყოფელი მითითებული არ არის, მხოლოდ არშიაზეა: „ოხით ანტონი ქართველისა. ხატად ღმრთისა გექმნა წმიდაო...“ (49r). ეს ოხითა არის S—3269-შიც. A—409-ში საერთოდ არაა ანტონ მარტყოფელის ხსენება.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ A—111 ხელნაწერი. ეს ხელნაწერი იესე ბარათაშვილის მიერაა გადაწერილი 1705—1715 წლებში. მისი გამართვისათვის გადაწერს ბევრი შრომა გაუწევია. მას მრავალი წყარო გამოუყენებია, როგორც თვით აღნიშნავს: „რაოდენ ძალა მედვა ანუ ვიპოვნე უდაბნოსა ამას მრავალმთის ნათლისმცემლისასა“. მას გამოუყენებია აგრეთვე ისეთი ხელნაწერები, რომლებიც ყოფილან გიორგი მთაწმინდელის ნუსხისაგან დაწერილი. A—111-ში ორივე ანტონის განგება ერთადაა წარმოდგენილი. ამ ხელნაწერით დიდ ანტონზე იგალობება: „მონაზონთა სიქადულსა...“, ხოლო მარტყოფელზე კი „ვკაქბდეთ ყოველნი ღმერთშუენიერად დღესასწაულსა მას...“ ეს კანონი მესხიშვილთან დასათაურებულია „ორთავე ანტონისა“ (A—1093). მაშასადამე, მესხიშვილისათვის იგი დამოუკიდებელი საგალობელი არ არის. ამ ხელნაწერში ჩნდება ანტონ მარტყოფელის კანონი ჰირველად 17 იანვარზე. ქრონოლოგიურად მეორე ხელნაწერი, რომელიც ამავე კანონს იმეორებს, არის ისევე იესე ბარათაშვილის ე. წ. შერეული ტიპის სადღესასწაულო A—515, რომელიც

¹⁹ იხ. ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 222.

1733 წელს გადაწერა მანვე ახალგორს. ჩვენ არაფერს ვამბობთ იცევ ბარათა-შვილის ავტორობაზე, მაგრამ მოყვანილი მასალა ხელნაწერებიდან ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის სასარგებლოდ არაფერს არ ამბობს.

ახლა ვნახოთ თვით საგალობელი. ავტორი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ძალზე დავალებულია როგორც ანტონ მარტყოფელის სვინაქსარისაგან, ასევე დიდი ანტონის საგალობლებისა და არსენ ბულმაისიმისძის საგალობლისაგან. წოვიყვანთ სათანადო საილუსტრაციო ნიმუშებს. ე. გაბიძაშვილმა გაარკვია, რომ ანტონის სვინაქსარის ვრცელი ვარიანტი ჭერ კიდევ XVII საუკუნის მიწურულში არსებობდა. სწორედ ვრცელ ვარიანტს იღებს საგალობლის ავტორი წყაროდ:

სვინაქსარი

„მას ანტონის ეღვნეს საზრდელად გუამისა თვისისა ირემნი და იყო მთა უღლი და სერტყიანი, და იყო ქალაქი ვითარ ერთ მილიონ მცირე, და ესე ირემნი წარვიდიან ევლს და, ვითარ ეამო მოვიდის, შინა მოვიდიან წუელად და ვითარ მწყემსიანი მოვიდოდეს ეამეულად. ხოლო ერთსა ოდენ ეამსა მოიწიენეს უეამოდ დამფრთხალნი, და უკანა წუკრი მოსდევდა კორც-შეკუთილი. და ესე დაუკვრდა წმინდასა მის და თქუა გულსა შინა თვისსა, თუ: სადა ვინ შეემთხვა? „რამეთუ არა უწყოდა სიახლე მის ქალაქისა. და მყის ვითარცა კაცთა თულმრუმედ ხედვასა თანა ჰქქუა: რაჲ არს ეგე? და მთ ვითარცა ჰირმეტყუელთა თამიზიღიეთ ჰქქუეს: შემომიდეგ და გიჩუენოთ. და შეუდგა კულასა მათსა და მიიწია მას აღ-გილსა, სადა იგი შემთხუელ იყო მთდა. და აჰა, მთავარი მის და-ბისა მოვიდოდა ნადირობად და წინა შეემთხვა და ჰქქუა: ვინა ხარ? ხოლო წმიდა იგი ქელითა უჩუენებდა სა-და იყოფოდა და ყველსავე საქმესა, რამეთუ ენა არა ესმოდა. მაშინ მთავარმან ჰქქუა: მე ენა შენი არა მესმის და რომელი ეგე ქელითა მეუბნები, ეგეცა მოგუეთო. და ჰქქუა: წარიყვანეთ მკედელსა თანა“. და ვითარცა მიიყვანეს, მკედელმან შანთი განაქურა და გამოიღო, რათა ქელი მოკ-უეთოს, და დაეარდა ქუე და ქელნი, ვითარცა შეშანი შეეკმნეს. მაშინ წმიდ-ამან მოჰყო ქელი და, ვითარცა ნაკუერცხალი ქელითა აღებული, მიუბყრა და ჰქქუა: ყავ ადრე ბრძანებული შენდა. და იგი განკრთა საშინელსა მას ზედა ხილვასა“ (გვ. 396—397).

ღამითგანისა

„მამო, ყოვლად სანატრელო ანტონი, შემსგავსებულად დავით გარესჯელისა, ირემთა მიერ იზრდებოდე, უფლისა მიერ. და არას ზრუნედე საზრდელისათჳს ამის სოფლისა, არამედ გსუროდა საშუებელისათჳს საუკუნეთა და მშვიდობით მოიგე. ოდეს მოვიდეს ირემნი შენ წინაშე დამფრთხალნი, შეძრწუნებულნი და შეშინებულნი და უკმოდ მოგითხრობდეს შემთხუშულთა მათ განსადელთა, და მიგინიღიედეს შენ მთავრისა მიმართ, რომლისგან იყ-ვენეს ესრეთ, ხოლო შენ შეუდეგ კულთა მისთა და იხილე იგი. მთავარი იგი უსამართლოდ მბრძანებელი, შენთვის. წარყუანებად, სატანჯელთა მათ სასტიკთა, ქელთა მოკუშთად და მოქმედნი სატანჯელთანი მრჩობილ ქელგანკმელ იქმნეს და შეიციდომეს სასწაულთა შენთაგან, მამო ღირსო, ანტონი. და მშუდობა მოგუმაღლეს“.

მეორე ადგილი

კურთხეულარსა

„იოვანეს ახლვიდა ვითარ ხუთ მილიონ და შიოს ცხრა მილიონ, დაეთს და დოდოს ათცამეტ მილიონ (გვ. 396).

„დაეთს და დოდოს გუამთა შორავს შენზედა ათცამეტ მილიონით, ხოლო სულითა იყვენით ერთად შეკრებულნი“.

ავტორი იყენებს ანტონი მეგვიპტელის საგალობლებსაც. ზოგიერთ გალობას აშკარად ეტყობა მისი გავლენა.

დიდი ანტონის საგალობელი
(მონაზონთა სიქადულსა)

აკურთხედილთსა

გალობა დ

„გესმა რა, ღირსო, სიტყუა სახარებისა, მუნთქუსხე დაუტყვევ ზრუნეა სოფლისა, აღილე ჭუარი შენი და შეუდეგ შენ ქრისტესა ღმერთსა და სათნო უყავ...“

„საკრეელი გესმა ქმა უფლისა სიკრპით შენითგან, ნეტარო, აღილე ჭუარი და შეუდეგ მას და აღასრულე შენ სრბა კეთილ ტრედო...“

დიდი ანტონის საგალობელი

დაღატყავსა

წარწლუნენ ყოველნიე და კიბედ საღმრთოდ და რჩეულად ცათა მიმართ აღმყავანებულად ყოველთა ეცნობა ღმრთიეშუენიერი ცხოვრება შენი...“ (S—535,35v)

„... სათნობათა კიბ აღდგი ცად მიმართ მამაო, ყოვლად სანატრელო ანტონი, და გექმნა იგი გზა აღმყავანებულ ცათა შინა წმიდათა თანა...“

დიდი ანტონის გალობას („მონაზონთა სიქადულსა“) S—535-ში წინ უძღვის სტიქარონი, რომელიც ქართველი ავტორის დაწერილი უნდა იყოს. ეს ჩანს იქიდან, რომ მესამე ტროპარში შექებულია ერთდროულად დიდი ანტონიც და მარტყოფელი ანტონიც. „ანტონის და ანტონის ორთავე მკნედ მოღვაწეთა, მრჩობლთა გვრგვინოსანთა, ღირსთა ყოვლად ქებულთა...“ და სხვ. ამ სტიქარონის მეორე სტროფი გამოყენებულია კანონის მესამასას გალობის მესამე სტროფისათვის.

S—586

მესმასა

„რომელი გარემოვადგეთ ლარნაკსა შენსა, ბრძენო, და აღმოვიესებთ მდიდრად მადლსა კურნებათასა, სარწმუნოებით შენნი მედრებულნი და ქების მერტულნი, ყოვლად ქებულო ღირსო ანტონი, რათა მოტეება ცოდეთა ჩვენთა კულად მოგემადლო, რომელნი სურვილით ვლდესასწაულობთ ქსენებასა შენსა, ღმრთიე სანატრელო, სანატრელო მამაო, ყოვლად ბრძენო...“.

„რომელი გარემოვადგეთ წმიდასა ლარნაკსა შენსა, და მის მიერ აღმოვიესებთ მადლსა კურნებათასა და სურვილით ამბორს უყოფ და პატიესკემთ ნაწილთა შენთა და ღლესასწაულსა შეცნიერსა და ერთხმობით გილადადებთ შენ“.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს უცვლელად გადმოაქვს წინა ხელნაწერებიდან იბაკო, რომელიც ანტონ კათალიკოსის მიერ როგორც კონ-

დაცი ჩართული იყო დიდი ანტონის საგალობლის მისსავე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რედაქციაში. ესაა:

„მნათობად მზეებ ბრწყინულად მოეცნეს ქართველსა ერსა
ათორმეტნი რიცხუნი მამანი...“.

ეს სტროფი დამოწმებულია S—3269-ში, S—535-ში არშიაზეა მიწერილი და სხვ. ეს სტიქარონი არსენის კანონში არ არის.

აქ უნდა დავუმატოთ შემდეგი. ხელნაწერებში, რომლებშიც მარტყოფელის საგალობელი დამოუკიდებელი არ არის, მაგრამ სათაურის მიხედვით მისი ხსენება კი ივარაუდება, არის ცალკეული სტროფები მის შესახებ. ეს გული-სხმობს, რომ ისინი სხვადასხვა დრას და, მოსალოდნელია, სხვადასხვა ავტორის მიერაა შეთხზული. ასეთია უკვე დამოწმებული სტროფი „მნათობად მზეებ...“. ასეთია მესამე სტროფი სტიქარონისა, რომელიც S—535-შია შეტანილი:

„ანტონის და ანტონის,
ორთვე მკნედ მოღვაწეთა.
ბრჩობლთა გვრგუნოსანთა,
ღირსთა ყოველდებულთა,
ღმერთშემოსილთა,
ღიდად იღვაწეს მათ
საწუთოსა თანა
და სახე ექმნეს ყოველთა კაცთა
ხოლო აწ, იშვებენ

უკორცოთა თანა
და ქრისტესა, მკსენელსა
ჩვენსა, ევედრებთან,
რათა მოტევება ცოლეთა ჩვენთა
მოგუმაღლოს მეუფემან;
რომელნი ღირსად ვადიდებთ
ორთა სწორთა მათ მამათა
ზეცისა მოკარეთა“.

ამ გალობის მეორე სტროფი („რომელი გარემოვადგეთ ლარნაკსა“), როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, გამოუყენებია კანონის ავტორის ერთი გალობისათვის. ზემოთ დამოწმებულ სტროფში პირდაპირ ნახსენებია მარტყოფელი. ცხადია, რომ ეს სამსტროფიანი სტიქარონი ქართველი ავტორის მიერაა დაწერილი.

ასევე მარტყოფელის სახელზეა დაწერილი ოხითა:

„ღმერთშემოსილი მამაო,
წმიდაო და უბიწოო სულითა,
კათა შინა ბრწყინვალედ იხარებ ანგელოზთა კრებულსა თანა,
და გადიდებს ღიღებულ მღვდელთმომღვართა და მღვდელთა საღმთო ბანაკი,
და ყოველნი ქართველთა ერნი, რამეთუ მღგომარე ხარ წინაშე მაცხოვრისა,
მეოხ გვეყავ, სამგზის სანატრელო
მამაო, წმიდაო ანტონი, სულთა ჩვენთათს“.

ანტონ მარტყოფელის სახელზეა წარდგომა მეორესა კანონსა ზედა:

„ცხოვრება შენი, ნეტარო,
კეთილმსახურებით აღასრულე
ქვეყანასა ზედა და
მსახურად სამებისა წმიდისა გამოსჩნდი,
და მიემგავავე ყოვლითურთ
ყოველთა სახითა დიდსა ანტონის,
ვითარცა სახელითა, ეგრეთვე სახითაცა,
სწორი სრბა მისთანა აღასრულე
და ჩვენ შემოკრებულნი ესე
ყოვლითურთ ვაქებთ სიმკნეთა შენთა
და სურვილით პატივისცევით დღესასწაულთა

ქსენებისა შენისასა, ღმერთშემოსილო ანტონი,
ანგელოზთა მობაძაყო,
ევედრე ქრისტესა ღმერთსა სასილო.

ეს სტროფები, რომლებიც ჩვენ დაეიმოვნეთ, მიძღვნილია ანტონ მარტყოფელისადმი და ხართულია ანტონ დიდის — მეგვიპტელის განგებაში. იშვიათად ეს წარდგომა ცალკე არის ხელნაწერებში წარმოდგენილი (როგორც მაგალითად S—3269-ში). თავისთავად ის ფაქტი, რომ ქართველ მოწამის სტიქარონები არა ქართველი მოწამის კანონში მოხედნენ XVIII ს. ხელნაწერებში, დამატებით კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამდენად გაუმიჯნავი და აღრეული იყო ორი ანტონის საგალობლის საკითხი XVII—XVIII საუკუნეში ჩვენში. რა თქმა უნდა, ყველა საგალობელი, როგორც ხელნაწერთა შესწავლამ დაგვანახა, XVIII ს. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ნიმუშებია და ერთიანდება ანტონ მარტყოფელისადმი განკუთვნილ საგალობელთა ციკლში, მაგრამ დაბეჭდვებით ძალიან ძნელია იმის მტკიცება, თუ ვის კალამს ეკუთვნის ისინი. ერთი ფაქტია, ვინაიდან ზემოთ მოყვანილი სტიქარონები არ დასტურდება უძველეს ხელნაწერებში, არც A—85-ში, და საერთოდ XVIII ს. დამდგამდე საერთოდ ჰიმნოგრაფიული მასალა ანტონ მარტყოფელზე არ არსებობდა, ამიტომ მათი ავტორი ე. წ. აღორძინების პერიოდის შემოქმედთა შორის უნდა ვეძიოთ. ხელნაწერთა ტრადიციის მიხედვით ჰიკოს ავტორზე გუმანით ლაპარაკიც კი, რადგან მესხიშვილის კრებული (S—535 და ამბროსი ნეკრესელის კრებული H—2335) სხვადასხვა სტიქარონებს იძლევა, მაგრამ ამავე დროს მესხიშვილის ყველაზე მეტად გავრცელებული და განმარტებული სადღესასწაულო A—1093 აღნიშნულ მცირე ფორმის გალობებს არ იცნობს. ეს ფაქტი საგულისხმოა, ერთი და იგივე პიროვნება ერთი ხასიათის წიგნებში არ იცავს საგალობელთა შერჩევის და გამოყენების ერთ პრინციპს.

კანონს ანტონ მარტყოფელზე ერთი თავისებურება აქვს XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის თვალსაზრისით. ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რომ თითოეულ გალობათა სტროფული შედგენილობა თანაბარი არაა — ზოგან 4 და ზოგან 3 ტროპარია. საყურადღებო და საინტერესოა ის, რომ კანონის ყოველ გალობას სამ-სამი ძლისპირი აქვს. XVII—XVIII სს. ჰიმნოგრაფიაში ასეთი რამ იშვიათია. დანიშნულება ძლისპირთა სიმრავლისა მხოლოდ ტექნიკური მითითებით შეიძლება აიხსნას. კანონი ან ერთ ძლისპირზე (ხმაზე), ან მეორეზე და ან მესამე შეიძლება შესრულდეს.

ძლისპირისა და საგალობელთა მეტრული მიმართება აღორძინების ხანის ჰიმნოგრაფიაში, როგორც წესი, დარღვეულია. თითქმის არასოდეს საგალობელი ზუსტად არ იცავს თავის თარგის — ძლისპირის მარცვალთა სიზუსტეს. ამ პერიოდის ჰიმნოგრაფიამ შესამჩნევად დაკარგა ის აღმაფრენა და პოეტურობა, რაც ასე ძალუმად ჩანს კლასიკური ხანის ჰიმნოგრაფიაში: დაკარგა სტროფთა შედგენის ძირითადი და აუცილებელი კომპონენტი — სტრიქონთა და მარცვალთა განსაზღვრულობა. ამ დროისათვის საგალობელი იქცა რიტმულ პოზად, ხოლო ცალკეულ გალობაში ტროპარი აბზაცებით გამოიყოფა მხოლოდ.

სამი ძლისპირი, რომელიც საგალობელს უძღვის (ერთი-მეოთხე ხმის, მეორე-მეორე ხმის, ხოლო მესამე — ვერ დაეადგინეთ) მარცვალთა შედგენილო-

ბით ერთი და იგივეა. მოსალოდნელი იყო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მინც ყოფილიყო სტრიქონ-მარცვალთა თანაფარდობა დაცული, მაგრამ მოლოდინი არც აქ გამოტოლდა.

ანტონ მარტყოფელზე კანონი მაღალ მხატვრულობით არ გამოირჩევა. ავტორი ქარბად იყენებს ჰიმნოგრაფიაში არც თუ იშვიათად ხმარებულ შედარებებს, გამოთქმებს, პოეტურ არსენალს, ხოლო საკუთარი, ავტორისეული პოეტური ორიგინალობის ნიმუშები თითქმის არ არის საგალობელში.

ერთი სიტყვით, ჩვენი კვლევის შედეგები შეიძლება ასე შეჯამდეს: 1. ანტონ მარტყოფელის საგალობელი არსაიდან არ ჩანს, რომ ეკუთვნოდეს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს — რუსთაველს. 2. XVII—XVIII სს. ხელნაწერებში აღრეულია ანტონ მარტყოფელისა და ანტონ მეგვიპტელის საგალობლები. 3. ანტონ მარტყოფელზე სულ არსებობდა სამი კანონი: ა. ნაწილობრივ არსენ ბულმაისიძისის, ხელთუქმნელი ხატის საგალობელი; ბ. უცნობი ავტორის „ვაქებდეთ ყოველნი ღმერთშუენიერად...“; გ. ანტონ კათალიკოსისა და რამდენიმე მცირე ზომის საგალობელი.

მაშასადამე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ავტორობა მხოლოდ ერთ საგალობელზე — დოდო გარეჯელის — დასტურდება.

დოდო გარეჯელი, რომელიც გარეჯის სამონასტრო კომპლექსში ერთ-ერთი მონასტრის ფუძემდებელია, ე. წ. ათცამეტ ასურელ მამათა რიცხვს არ ეკუთვნის, მაგრამ მისი მოღვაწეობა უშუალოდ მათ საქმიანობას უკავშირდება. მისი ხსენება და განგება, როგორც ბევრი ასურელი მამისა, თავდაპირველად დამოუკიდებლად გამოყოფილი არ იყო. დოდოს ხსენება დავით გარეჯელს და მის მოწაფე-თანამოღვაწეთა შორის იყო „აღვსებითიან მეშვიდესა ოთხშაბათსა“ ან „აღვსებითიან მეშვიდესა ხუთშაბათსა“. დაინტერესებული საზოგადოება, პირველ რიგში ეკლესია, დოდოს შესახებ ეკაყოფილებოდა იმ ცნობებით, რაც გაზნებულია დავით გარეჯელის მეტაფრასულ ცხოვრებაში.

XVII—XVIII სს., როდესაც დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ინიციატივით ჩვენში დაიწყო ეროვნულ წმინდანთა მოღვაწეობის ახლებური შეფასება და სათანადო პატიოგრაფიულ-ლიტურგიკული მასალის თავმოყრა-შედგენა, დღის წესრიგში დადგა დოდო გარეჯელის ადგილის განსაზღვრა. ჩვენი ეკლესიის ისტორიაში. გაფორმდა საგანგებო ლიტურგიკული მასალა, შედგა ჰიმნოგრაფიული კანონი (კანონები), გაიმართა სვინაქსარული საკითხავი. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი რომ აღნიშნული კანონის ავტორია, ამას ანტონი ადასტურებს. იგი პირდაპირ წერს: „თქმული ნიკოლოზ რუსთაველისა“.

როდის არის დაწერილი საგალობელი დოდოზე. ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელშიც ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის პოეტური ძეგლია წარმოდგენილი, არის ხელნაწერი A—220. ეს კრებული გადაწერილია მოსკოვში დომენტი ჭანდიერისშვილის მიერ 1726 წელს. დომენტი და მისი დამხმარე კოლეგები (დოდოსადმი მიძღვნილი მასალის ერთი ნაწილი, საფიქრებელია, რომანოზ ერისთავის ხელითაა გადაწერილი) კრებულის შედგენის დროს იყენებდნენ საქართველოში არსებულ მასალას. და რადგანაც A—425, A—111-ში ნიკოლოზის ჰიმნი წარმოდგენილი არაა და არის A—220-ში, ამიტომ ვფიქრობთ, რომ საგალობელი დოდოზე ნიკოლოზს დაუწერია XVIII ს. 20-იან წლებში, ყოველ შემთხვევაში 1726 წლამდე.

კანონს წინ უძღვის მცირე ფორმის გალობები, ზოგი მათგანი თვით კანონშია ჩართული. ეს ტექსტებიც წარმოდგენილია A—220-ში, რომელშიც დაცულია დოდოზე დღემდე უცნობი სხვა საგალობელიც, რომლის ავტორად ჩვენ რომანოზ ერისთავს ვეარაუდობთ (ამის შესახებ სხვაგან ცალკე გვაქვს საუბარი). ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ A—220-ის ის მონაკვეთი, სადაც დოდოს განგებაა წარმოდგენილი, შეიძლება რომანოზის ხელით იყოს გადაწერილი. ამიტომ თითქოს მოულოდნელი არ იქნებოდა რომანოზის ავტორობა მათზეც გაგვევსრულებინა, მაგრამ ამ შესაძლებლობას გამოვრიცხავთ. გამოვრიცხავთ, რადგანაც ყველა სხვა ხელნაწერში, სადაც ნიკოლოზის საგალობელია წარმოდგენილი, საგალობელს დართული აქვს მცირე ზომის გალობები, როგორც მისი განუყოფელი და ორგანული ნაწილი. თვით A—220-შიც ნიკოლოზის კანონთანაა წარმოდგენილი ისინი. რომანოზის საგალობელთან მხოლოდ ორი „წარდგომა“. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს უნდა ეკუთვნოდეს დოდოზე არსებული ყველა მცირე ფორმის საგალობელი.

საგალობელი დაწერილია ა გუჭრდი-ს ხმაზე. ძლისპირის რიტმი და შინაგანი დინამიკა საგალობელში კარგადაა გადმოცემული, თუმცა მხატვრული არსენალი საგალობლისა (შედარებები, მხატვრული სახეები, მეტაფორები) დიდ მოწონებას არ იმსახურებს.

საგალობელში ფაქტები დოდოს ცხოვრებიდან ძალზე ძუნწადაა შეტანილი. გამოყენებულია მხოლოდ ისეთი ეპიზოდები, რომლებიც დოდოს ღმრთისმოსავეობაზე დადაბებს. ამავე დროს ოსტატურად იყენებს ავტორი დოდოს მაგალითს პატრიოტულ თელსაზარისის პროპაგანდისათვის:

„ყოველი განსუჭნება
 უვარ ჰყავ, ღირსო მამო“,
 და „ცხოვრება შენი, მამო,
 დაუკვრდა ყოველთა კაცთა...“
 „ლოცვათა შენთა ცეცხლმან
 ცეცხლი წინა დაუდგომელი
 დაშრიტა, ღირსო დოდოს,
 და დაიცვა ეკლესია
 ღმრთისა, შენ მიერ აშენებული...“
 „და დასცენ მტერნი უხილავნი...“

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი თავისი საგალობლით პასუხობს ქართული სასულიერო მწერლობის იმ დიდ მოთხოვნებს, რომელსაც უყენებდა იმ დროინდელი ქართული საზოგადოებრიობა ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულსა და ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ლია კობახილი

ბერნარდოსეული კოლექციის (XVII ს.) ზღაპრები

„მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები“ ითვლება ყველაზე ადრინდელ დათარიღებულ კრებულად, ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მისი ხელნაწერი ინახება პატრი ბერნარდოს არქივში.

პატრი ბერნარდო საქართველოში ჩამოვიდა როგორც მისიონერი (1670—1679 წწ.)¹. იგი დიდი ინტერესით სწავლობდა ქართულ კულტურას. მას გარკვეული ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე, „რადგან, იმან, რა შეისწავლა ქართული. ბევრი წიგნი სთარგმნა ქართულად, ზოგი თვითვე შეადგინა ამავე ენაზე და ზოგიც ძველი წიგნებიდან გადმოსწერა თუ საკუთრივ კათოლიკებისათვის და თუ საზოგადოდ ქართველების სასარგებლოდ“². პატრი ბერნარდოს მოღვაწეობა მხოლოდ ამ მისიით არ შემოიფარგლებოდა. მისი ინტერესები, გარდა სასულიერო ლიტერატურისა, საეროსაც სწვდებოდა. მასალები, რომლებიც პატრი ბერნარდოს საქართველოში მოღვაწეობის დროს შეუსწავლია, გადმოუწერია, შეუდგენია თუ გადმოუთარგმნია, თავმოყრილია ნეაპოლის „ტორე დელ გრეკოს“ კაპუცინების მონასტრის არქივში.

პირველი ცნობები „ტორე დელ გრეკოს“ ქართული ხელნაწერების შესახებ ეკუთვნის გრაფელ ენათმეცნიერს, ქართველოლოგს ჰუგო შუხარდტს. „1896 წ. ჰუგო შუხარდტმა გამოაქვეყნა ნაკვლევი „ტორე დელ გრეკოს“ ქართული ხელნაწერების შესახებ“³, იგი გაეცნო პატრი ბერნარდოს არქივის ხელნაწერებს. მკვლევარი გადმოგვცემს მის მიერ ამ ხელნაწერების მიგნებისა და შესწავლის ისტორიას. 1896 წელს გამოქვეყნდა პ. შუხარდტის ინფორმაციული ხასიათის წერილი, რომელიც შეეხება „ტორე დელ გრეკოს“ ქართულ ხელნაწერებს⁴. ამ წერილში ზოგადაა აღწერილი, როგორ მიაკვლია მან ამ ხელნაწერებს. მისი აზრით, მან განსაკუთრებით საგულისხმო ცნობები მოიძია XVII ს. ბერნარდოსეული ხელნაწერების შესახებ. ამასთან დაკავშირებით პ. შუხარდტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც განსხვავებულია სამეცნი-

¹ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის, საბუთების შემოტანითა და განმარტებით მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე, 1902, გვ. 683. აქვე გვინდა აღვნიშნოთ შ. ბერიძის აზრი პ. ბერნარდოს საქართველოში ყოფნის შესახებ. იგი თავის სტატიაში იძლევა თარიღს 1670—80 წწ. (C. B e r i d z e. Bernardo Maria da Napoli, Pompei, 1937, გვ. 9.

² მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 256.

³ ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 8.

⁴ H. S c h u c h a r d t, Georg'sche Handschriften in Torre del Greco. Beilage zur Allgemeinen Zeitung, Augsburg - München, 1896, გვ. 4, 5. (ამ წერილს უთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ დაწერილებით მას არავინ შეხებია).

ერო ლიტერატურაში დადგენილი ვერსიისაგან, პატრი ბერნარდოს საქართველოში ყოფნის თარიღის შესახებ. შუხარდტის აზრით, პატრი ბერნარდო საქართველოში იყო უკვე 1670 წლამდე. საინტერესოა სხვა ცნობაც: „ტორე დელ გრეკოს“ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ყოფილა აგრეთვე აღმოსავლური ხასიათის ხელნაწერები. ქართულ ხელნაწერებს შორის პ. შუხარდტი იხსენიებს სახარებას და ქართულ-იტალიურ ლექსიკონს⁵. პ. შუხარდტმა შეადგინა ქართული ხელნაწერების ნუსხა მათი იტალიური დასათაურების მიზნით. მისი დასკვნით, ეს ხელნაწერები ამტკიცებს პატრი ბერნარდოს არაჩვეულებრივ დაინტერესებას ქართული ენით, რომელიც შორს სცილდება მისიონერულ მიზნებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელნაწერების მეცნიერული მნიშვნელობა სხვადასხვანაირია. მკვლევარი გულისტკივალს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ტორე დელ გრეკოს“ მონასტრის ძვირფასი ხელნაწერები არსებითად მიუწვდომელია მეცნიერთა ფართო წრისათვის. ანალოგიური ცნობა მკვლევარმა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“⁶: „წერილი რედაქციის მიმართ“⁶. ამ ცნობაში აღნუსხულია თოთხმეტამდე ქართული ხელნაწერი მათი შინაარსის მიხედვით. ამ ხელნაწერებს ჰუგო შუხარდტი პატრი ბერნარდოს მიაწერს. თუმცა „Zeitung“-ში გამოქვეყნებულ წერილში პატრი როკოზე დაყრდნობით მის ავტორობას სადავოდ მიიჩნევს⁷.

1898 წელს „ტორე დელ გრეკოს“ ქართულ ხელნაწერებს შეეხო ა. ცაგარელიც. მ. თამარაშვილის თქმით: «„ტორე დელ გრეკოს“ ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც აღწერით, რიგითი ნომრით მეთერთმეტეა, „ბჭობა კათოლიკე სარწმუნოებაზედ“, პატრი ბერნარდოს თვითონ შეუდგენია და იტალიანური თარგმანიც შიგვე ჩაურთავს, შესავალ წერილში წერს: „რადგან ქართველები, თუმცა კი ძრიელ გონიერს, კაცთმწივარენი არიან, ხოლო სულიერ საგნებში იქ უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოებაზედ ბრუდეთ ჩაგონებულნი (ბერძენებისაგან) და არც უყუარსთ მოსმენა სწავლადარიებისა; არამედ მიზიდულნი არიან ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზე: ამისათვის მოთხრობასავით დაუწერე ეს წიგნი, რათა მის კითხვაზე შეხალისიანდნენო“⁸ (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.).

პატრი ბერნარდო გვევლინება აგრეთვე გადამწერადაც: მაგ., ქართულ ხელნაწერში, რომელიც მ. თამარაშვილის აღწერით, რიგითი ნომრით პირველია⁹, «„რომანცი ან ქართული ზღაპარი „ბაბაშა“ ერანის დიდი მეფის თავდადასავალი გადმოუწერია ერთი ძველი წიგნიდან, რომელიც უთხოვებია მეფე შაჰ-ნავაზის შვილს გიორგის, როდესაც ჯერ გამეფებული არ ყოფილა. წიგნი in folio, შეიცავს 113 გვერდს“¹⁰ (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.).

⁵ ეს ლექსიკონი დაამუშავა ნ. ორლოვსკიამ იხ.:

Н. Я. Орловская, Грузинские словари Бернардо Неаполитанского, «Литературные взаимосвязи», Сборник, III, Тб., 1972, გვ. 27—39.

⁶ პ. შუხარდტი, წერილი რედაქციის მიმართ, ნეაპოლი, 13/25 აპრილი, „ივერია“, 1896, № 90.

⁷ H. Schuchardt, დასახ. შრ., გვ. 4, 5.

⁸ ა. ცაგარელი, პირადი სარქიეო ფონდი, № 8 (კ. კვეცილის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

⁹ მ. თამარაშვილი დასახ. შრ., გვ. 682—83.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

ასევე ახასიათებს ჰუგო შუხარდტი პატრი ბერნარდოს, როგორც ქართული ყოფით, ქართული ხელოვნებითა და ისტორიით უზომოდ დაინტერესებულ პიროვნებას. იგი სპეციალურად ჩერდება წერილებზე, რომელიც პატრი ბერნარდოსათვის მიუწერიათ მის ქართველ კოლეგებს. ამასვე მოწმობს მ. თამარაშვილის მონოგრაფია, სადაც დაწვრილებითაა შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი¹².

მ. თამარაშვილს „ტორე დელ გრეკოს“ კაპუცინების ძველი მონასტრის პატრი მარია ბერნარდო ნეაპოლელის არქივის ქართულ ხელნაწერებში უპოვია და გადმოუწერია ორი ზღაპარი (Favella giorgiana — ქართული ზღაპარი), რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მ. თამარაშვილის საარქივო ფონდში (№ 10—1125) ინახება. ეს ორი ზღაპარი შეისწავლა და გამოსცა ე. ვირსალაძემ¹³. ამავე არქივში მითითებული დანარჩენი ათი ზღაპარი ზემოხსენებულებთან ერთად ნეაპოლის ცენტრალური ბიბლიოთეკის მეშვეობით მოიძია, დაამუშავა და მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახადა მ. ჩიქოვანმა¹⁴.

ორივე მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აღნიშნულ ზღაპრებს ბევრი რამ აახლოებს აღმოსავლურ ფოლკლორთან. პირველი ზღაპრის შესახებ ე. ვირსალაძე წერს: „მისი არსებობა აღმოსავლურ კრებულებში, მასობრივი გავრცელება აღმოსავლეთის ქვეყნებში და რთული სიუჟეტის ყველა ელემენტის სრული იგივეობა აღმოსავლეთსა, რუსეთსა და ევროპაში — გეაფიქრებინებს, რომ იგი აღმოსავლეთიდან გავრცელდა როგორც რუსეთში, ასევე ევროპაში. საქართველოში ამგვარი გავრცელების გზა ლიტერატურულიც იყო და ზეპირიც. აღმოსავლურ სამყაროზე მიგვივითებს ჩვენი ზღაპრის ზოგი რეალები (ხოჯა, ჩადრი, ფლარი და სხვა)“¹⁵. მეორე ზღაპრის შესახებ მკვლევარი აღნიშნავს: „პირველი შეხედვით ჩვენი ტექსტი თითქოს მოტივთა შემთხვევით შეხამებას, კომპილაციას წარმოადგენს. მაგრამ ტექსტის გაანალიზება გვიჩვენებს, რომ ჩვენ წინ არის ტიპური აღმოსავლური, რგოლებად აკინძული სიუჟეტი, რომელსაც ერთი შემაერთებელი ძაფი გააჩნია“¹⁶. ოდნავ ქვემოთ მკვლევარი თითქოს ეწინააღმდეგება თავისთავს, როდესაც აცხადებს: „თუმცა ორივე ზღაპარი მოკლებულია ზღაპრის ე. წ. გარეგნულ, ფორმალურ ნიშნებს (გალექსილი საწყისი, ბოლო) მაგრამ ორივე ტიპიურსა და დასრულებულ ქართულ ზღაპარს წარმოადგენს“¹⁷ (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.).

აღმოსავლურთან სიახლოვეს არც მ. ჩიქოვანი გამოირიცხავს. მისი აზრით, „სრულიად დასაშვებია. რომ ბერნარდეს კრებულში შესულ რომელიმე მოთხრობას აღმოსავლური ძირები აღმოაჩნდეს“¹⁸, „ზოგი მათგანი აშკარად აღმოსავლურ იერს ატარებს“¹⁹. მიუხედავად ამ სიფრთხილისა, მ. ჩიქოვანი მთლი-

¹² ი. ქ. ვ. გვ. 682—665.

¹³ ე. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IV, 1948, გვ. 363—383.

¹⁴ მ. ჩიქოვანი, მე-17 საუკ. ჩაწერილი ქართული ზღაპრები, „მრავალთავი“, თბ., I, 1964, გვ. 64—205.

¹⁵ ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 375.

¹⁶ ი. ქ. ვ. გვ. 377.

¹⁷ ი. ქ. ვ. გვ. 381 (იგივე აზრია გამოთქმული 367, 370 და 382 გვერდებზე).

¹⁸ მ. ჩიქოვანი, დასახ. შრ., გვ. 138.

¹⁹ ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 377; მ. ჩიქოვანი, დასახ. შრ., გვ. 121.

ანად კრებულს „ქართულ ზღაპრებს უწოდებს“²⁰. ასევე „ქართულ ზღაპრების პირველდელ ჩანაწერებად“ მიიჩნევენ მათ ა. ლონტი²¹ და შ. ძიძიგური²².

ე. ვირსალაძისა და მ. ჩიქოვანის შრომებში ცალკეული ზღაპრის სიუჟეტური ანალიზის ცდაა წარმოდგენილი მაგ. („უკვდავების მძივებელი ჭაბუკი“), მაგრამ ეს არ ეხება ზღაპართა უმრავლესობას. რაც მთავარია, დეტალურად არ არის შესწავლილი ამ ზღაპრებში დაცული, აღმოსავლური სამყაროსათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი რეალიები, რასაც ე. ვირსალაძემ (ორი ზღაპრის მაგალითზე) მიაქცია ყურადღება. ამ ზღაპართა რეალიების დეტალურმა აღნუსხვამ და, რაც მთავარია, მათი განაწილების ხარისხმა სხვადასხვა ზღაპარში შესაძლებელია, დასვას აღმოსავლური სიუჟეტური პარალელისა და უშუალოდ წყაროს საკითხი.

ამ ზღაპრების წარმომავლობის საკითხს მათი სიუჟეტების გენეზისის გარკვევა ვერ გადაწყვეტს (თუნდაც რომ ეს შესაძლებელი იყოს), ამიტომ იძულებული ვხდებით ამ მიზნით მათი ზოგადი ანალიზით დავკმაყოფილდეთ. ზღაპრებში დაცული აღმოსავლური რეალიების სიჭარბეს (განსაკუთრებით იგარძნობა ეს VII, VIII, IX, XII ზღაპრებში) იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ეს ძეგლები ლიტერატურული წარმომავლობისა უნდა იყოს. ზღაპრების სიუჟეტურ იდენტურობას სპარსულთან შეიძლება იმის უფლებაც მოეცა, რომ ეს ზღაპრები სპარსულიდან თარგმნილად მიგვეჩნია, ასეთი შთაბეჭდილება შეეკმნათ ამ ზღაპრების ადრინდელ მკვლევარებს. მაგ.: „არაკი ქიშპარის ხელმწიფის ქალის“ შესახებ, რომელიც სხვებისაგან განსხვავებით დასათურებულა, იმდენად გამოირჩევა სხვა ზღაპრებისაგან, რომ მ. ჩიქოვანმა, მართალია, დიდი სიფრთხილით, მაგრამ მაინც შესაძლებლად სცნო ეთქვა: „არაკი ქიშპარის კელმწიფის ქალისა“ ავანტიურული ტიპის მოთხრობაა. მას მრავალი რამ საერთო მოეძებნება სპარსულ-ინდურ და არაბული წარმოშობის ზღაპრულ კრებულებთან, თუკი იგი პირდაპირ თარგმანს არ წარმოადგენს“ (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.)²³. ამავე აზრისაა ა. გვახარია: „არაკის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში გაბნეული ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური სპარსიზმები, ჩვენი აზრით, უეჭველს ხდის მის ნათარგმნე ხასიათს“ (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.)²⁴. მაგრამ არც ერთ ზემოთ დასახელებულ მკვლევარს არ მოუცია მათი ჰიპოთეზის დამადასტურებელი მასალა, არ გაუკეთებია ბერძნულ-სლავური ტექსტების სათანადო ანალიზი, რომელსაც ჩვენ წინამდებარე შრომაში მივმართავთ²⁵.

²⁰ მ. ჩიქოვანი, დასახ. შრ., გვ. 62, 116, 117. ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 367, 370, 382.

²¹ ა. ლონტი, ქართული ხალხური ნოველა, სტალინირი, 1956, გვ. 92. ა. ლონტი არ იზიარებს ე. ვირსალაძის მოსაზრებას ზღაპრის წარმომავლობის შესახებ. ეანრობრივი თვალსაზრისით ზღაპრებს ალ. ლონტი ქართულ ხალხურ ნოველად თვლის: „ეპოპოზიცი, სტრუქტურა, დასაწყის-დასასრული, შინაგანი რიტმი, დიალოგები, ენობრივი ქსოვილი, პერსონაჟთა სულიერი სამყარო პარაფრაზითა საერთოდ ხალხურ ნოველებთან“. იხ.: ა. ლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1966, გვ. 10.

²² შ. ძიძიგური ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მასალები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 30—37.

²³ მ. ჩიქოვანი, დასახ. შრ., გვ. 170.

²⁴ ა. გვახარია, სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 125.

²⁵ ყველა საკითხის საილუსტრაციოდ მოგვყავს მხოლოდ თითო მაგალითი.

I. საკუთარი სახელები. ზღაპრებში ადამიანის საკუთარ სახელებად მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული საკუთარი სახელები გვხვდება: ბეჰრუზ; სეიდა // საედა // სეიდან; მელიქ მაჰმად; მელიქ ჭუთუ // ფუთუ // ფაუთუ; მირეაქ, ალი; მაგ.: 1. „სახელად ბეჰრუზ ჭჭუიან“ (XII, 104)²⁶. بهروز — (Behrūz) 1. მამაკაცის საყ. სახელი. 2. ბედნიერი. 2. „სახელად ხოჯა სეიდანის შვილი სეიდა ჭჭუიან“ (VII, 83). سعيد — (Sa'īd) 1. მამაკაცის საყ. სახელი. 2. ბედნიერი. 3. „მელიქ მაჰმად თავისი სახელი ეწერა“ (VII, 87). محمد — (Mahmad) 1. მამაკაცის საყ. სახელია. 4. „მოვიდა ხოჯა ალი დედაბერთან“ (VII, 82). علی — (Ali) 1. მამაკაცის საყ. სახელი. და სხვ.

II. გეოგრაფიული გარემო. ზღაპართა პერსონაჟების სამოქმედო გეოგრაფიული გარემო აღმოსავლურია. არეალი ვრცელია (დაწყებული არაბეთიდან დამთავრებული ჩინეთით). ზოგან ზღაპრის პერსონაჟები დასავლეთში ხვდებიან (მაგ., ათინაში), მაგრამ მოქმედება ძირითადად მუსლიმურ აღმოსავლეთში მიმდინარეობს (ხორასანი, მაქა, ქიშმარი, ბალდადი). მაგ.: 1. „შეიტყო და გარდაიხვეწა ყმაწვილი ათინას. აქ ისეთი მხატვრობა და მცოდინარობა ისწავლა, რომ ქვეყანაზე მისთანა არ იყო“ (XI, 100) (მხოლოდ ერთხელ გვხვდება). 2. „დალევი ქალაქს მივიდა და მოეწონა ეს ქალაქი“ (XII, 106). ეს მაგალითი ერთხელ გვხვდება. لهستان (Ichesān) — პოლონეთი(?). მ. თამარაშვილის შრომაში გვხვდება სხვა ფორმებით²⁷. 3. „იმ ხოჯამ უთხრა, რომ ასეთი მუახლე მყავსო, რომ იმის ლამაზი არც ხათაის არის და არც ხუთაის“ (XII, 105). خطای — ختای (X'tāi — Xatai) — ჩინეთი. 4. „წუთღვა და მოასხა ინდოეთს. ინდოეთის კელმწიფემა მრავალი საქონელი მისცა“ (XI, 101). هند — (Hend) — ინდოეთი. 5. „მოვიდა იმ პინდუსტანელს ვაჟართან ნახეს, ერთმანეთს სალამი მისცეს (XII, 105). هندوستان — (Hendūstān) — ინდოეთი. 6. „მოვიდა ჩინეთს. ქალაქს გარეთ ასეთი ქარვასლა ააშენებინა ორმოც დღესა და დაასატყინა ოქროს ვარაყითა და ლაქუარლითა, რომე ჩინეთის კელმწიფესა არა ჰქონდა“ (VII, 83). چین (Čin) — ჩინეთი. 7. „ადგაო და ჭუთუს კელმწიფის შვილი ჩემის ეშყითაო ქიშმარს მოვიდაო“ (XII, 106). کشمیر — (Kašmīr) — ქაშმირი. 8. „იმ ვაჟრის შვილმა მოინდომა, რომ მაქას წაეღო და ვილოცავო“ (XII, 104). مكة — (Makka). 9. ხორასნის ქალაქში ერთი ვაჟრის შვილი იყო“ (XII, 104). خراسان — (Xorasān). 10. „გამოესალმა ჩინეთის კელმწიფესა და წამოვიდა ბალდადისაკენ“ (XII, 85). بغداد — (Bağdād).

III. მუსულმანური ადათ-წესები. ამკარად სპეციფიკური, მუსულმანური ჩანს ზღაპრებში ფიქსირებული ადათ-წესები: პირბადის ჩამოფარება, ჩადრის ტარება, მაქას მოლოცვა, ღვინის არ სმა, და სხვა. მაგ.: 1. „მოახლეს ღიბის

²⁶ რომელი ციფრი ზღაპრის ნომერს აღნიშნავს, არაბული — გვერდს.

²⁷ „რა გავიგონეთ ფრანგზისის ელჩი ბანდარაბაზის მოსულაო და ლევის ხელმწიფე მომკედარაო და ამ ელჩის წასვლა არ უნდა ლევისაო, მმა გავუგზავნია ყუინის კარს თუ რუხსათი უყონ და გამოუშვან მანდ საქართველოს წამოედესო“. მ. თამარაშვილი, დასახ. შრ., გვ. 248.

კაბა ჩააცვა, პირს საბურავი ჩამოხურა, მოიყუნა. პირს საბურავი აჭხადა და ნახა ბეჭრუბ, რომ თხუთმეტის დღის მთვარესა ჰკუნადა“ (XII, 105). „თუ არ დაიშლითო, ჩადრი წამოისხითო, ქალაქში ჩაირეთო და, რომელიც მოგეწონოსო, თქვენ მოიყუნეთ“ (I, 68). ააჯ — (Căder) — ჩადრი. 2. „იმ ვაჟის შვილმან მოინდომა, რომ მაქას წაეღო და ვილოკავო“ (XII, 105). 3. „ხადა სეიდის შვილი და სადღვინოს სმა! აღარც კელმწიფემ დალივა“ (VII, 84). სეიდი — ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ტერმინია (ასე უწოდებენ მუჰამადის კემბარიტ ან ცრუ შთამომავალთ, რომელიც იხმარება საკუთარი სახელის წინ). ღვინის არ სმა — შარიათის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მუსულმანისათვის.

IV. სოციალური ურთიერთობანი. ყურადღებას იპყრობს ქართული ყოფისათვის უცხო და აღმოსავლური ყოფისათვის ტიპური სოციალური ურთიერთობანი. პირველ რიგში აღსანიშნავია მრავალცოლიანობა. ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია მ. ჩიქოვანმა: „დასასრულ მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ზღაპრის ფინალზე, სადაც ქართული ეპოსისათვის უჩვეული დაზოლოებასთან გვაქვს საქმე. მელიქ მაჰმადი, როგორადაც იხსენება გმირი ტექსტში, მეორე ცოლს ირთავს: „ორს ღამეს ანგელოზის ქალთან დაწვება, ერთ ღამეს იმ სხუასთანაო“. სრულიად მოულოდნელად ქალბუმბერაზსთან თავისი ქმრის შერიგებას და საქორწილო განწყობას პირველი ცოლი აგვარებს. როცა მელიქ მაჰმადმა მეორედ იქორწინა..., აქ მოულოდნელი ისაა, რომ ქართულ ზღაპარში გმირი ორ ცოლს ირთავს და ეს გარეგნულად ლოგიკური ჩანს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სიუჟეტის გადაკეთებასთან, მის აღმოსავლურ, ქერძოლ, სპარსულ ყაიდაზე გაფორმებასთან უნდა გვქონდეს საქმე“²⁸. (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.) მიუფითებთ ასეთ მაგალითზე: „მეორე დღეს ვაჟმა ცოლი გამოუგზავნა: არ იქნება ცოლად შეგირთავ. ქალმა თქუა, მე რომ ბევრი უარი ვთქუა, შენი გაწბილებული საითყენ წავიდე, აღარას უშველი. და ქნეს ქორწილი. მივიდა ამ ვაჟის უფროსი ცოლი და მიიულოცა და მრავალი თვალს და მარგალიტი გაადააყარა, დასხდეს მუარასას ტახტზედა.

მამამთილმა და სრულ დარბაისელთა მიულოცეს. შვიდ დღესა და ღამეს ქორწილი იყო. დევებს უბრძანა: თქვენ იქვე წადით, ჩემი სახლი შეინახეთ, თუ დამეჭიროს, მზას იყავითო. გამოვიდა ხანი მრავალ ლხინსა და სიმხიარულეშია. ორს ღამეს ანგელოზის ქალთან დაწვება, ერთს ღამეს იმ სხუასთან იყუნებინა მხიარულად“ (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.) (VII, 90).

გარდა მრავალცოლიანობისა, ჩვენ ზღაპრებში დადასტურებულია ყმაწვილების, ტყვეების, მოახლეების ყიდვა-გაყიდვა, რაც ტიპური აღმოსავლურ-მუსულმანურ სოციალურ ურთიერთობად მიგვაჩნია და რაც აგრეთვე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი საქართველოსათვის. მაგ.: 1. „მოვიდა ერთი ვაჟარი. უცხოფერად მოეწონა ყმაწვილი და შეევაჟრა. ყმაწვილმა უთხრა: ნუ მიყიდო, ვიცი შენც გამყიდო. არ მოეშვა და იყიდა“ (II, 72). 2. „ერთ დღეს მოახსენა დალაღმან, რომ ჰინდუსტანიდამ ერთი ვაჟარი მოვიდა და დაიღბევრი ტყუები მოახსა გასასყიდლადო და ეგების თქვენ რომ გინდათ,

²⁸ მ. ჩიქოვანი დასახ. შრ., გვ. 143—144.

იმას ჰყუნადესო“ (X, 105). 3. „ჩვენს ვაჟრის შვილს, ერთი ლამაზი მუ ა ხ-
ლე უნდაო და თუ გყავს, რისიყ ფასისაყ იყოს, მოჰყიდეო“ (XII, 105).

V. აღმოსავლური ტერმინები. ზღაპრებში გვხვდება ქალაქის ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები: რომელთა ნაწილი შესაძლებელია ქართული სამყაროსათვის უცხო არ ყოფილიყო, მაგრამ უმეტესობა აშკარად სპეციფიკურ აღმოსავლურ ხასიათს ატარებს. ამთავან ზოგი დაკავშირებულია სარწმუნოებასთან (რელიგიური დაწესებულებანი, სასულიერო კორპორაციებით), ზოგი კი ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებასთან — ვაჭრობა-ხელოსნობასთან: „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს მკიდრო ეკონომიური ურთიერთობანი თავის გამოვლინებას პოულობდა საშინაო ვაჭრობის და ხელოსნობის ხასიათსა და სტრუქტურაშიც. ამას მოწმობენ ტერმინები: „რასტაბაზარი“, „ჩარსუ“, „დუქანი“; „ოსტატი“, „შეგირდი და სხვა“²⁹. მაგ.: 1. „მოვიდა ერთის მე ჩ ი ტ ი ს კარზედა და დაჭდა. წიგნის წერა გამოიჩინა. ვისცა დაუწერის, ფული მისციან“ (VII, 83). مسجد — (Masjed). 2. „გარდამიწყდა ღონე. დავმორჩილდი. მოიყვანა მოლა“ (XII, 111). Ҷ — Mullā).

კრებულში გვხვდება საინტერესო მაგალითი „ქრისტეს რჯულზედ მოქცევისა“: რაც, ვფიქრობთ, იმის დამამტკიცებელია, რომ ზღაპრის პერსონაჟები მუსულმანები არიან. მაგ.: „ქალმა უთხრა: რაც რჯული გაქუს, მეც იმ რჯულს დავიკერ. ადგა დედოფალი და მეფე. მოიხადეს გუირგუინი და თაყვანი სცეს და ქრისტიანად მოიქცეს“ (XI, 101).

ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებასთან — ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებული ტერმინებია: ქულბაქი, ქარვასლა, დუქანი, ბაზარი, და ჩარსუ ბაზარი. მაგ.: 1. „და ერთს ქულბაქზედ ერთი ურის შვილი იჭდა ასეთი, რომ კაცის თვალთ იმის უმშვენიერესი არ ინახებოდა რა“ (I, 68). كلبه — (Kolbe) — სავაჭრო ფარდული, ქულბაქი. 2. „ქალაქს გარეთ ისეთი ქარვასლა ააშენებინა ორმოცს დღესა და დაახატვინა ოქროს ვარაყითა და ლაყუარდითა, რომე ჩინეთის ქელმწიფეს არა ჰქონდა (VII, 83). كاروان سرا — (Karwān-sarā) — ქარვასლა. 3. „ნახა ერთს დუქანში ერთი კაი ვაჟი კაცი ბაზაზად იჭდა“ (XII, 104). دكان — (Dokkān) بازار — (Bāzār). 4. „და მასუკან ჩემს მოყვარეს რომ დავებრდი, იმას უშოვნიო, ყოველთვის გამოვიდოდის ბაზარში, ეძებდა და ვერ იპოვა (XII, 105). بازار (Bāzār). 5. „ჩარსუ ბაზარში, რომ შევიდა, ნახა ერთს დუქანში ერთი კაი ვაჟი კაცი“... (XII, 104). چارسو بازار — (Čārsū — Bāzār) — გზაჯვარედინი, სავაჭრო მოედანი, შუაგულ ბაზარში.

ა. სოციალური ტერმინები: ზღაპრებში მრავლადაა მუსულმანური სოციალური ტერმინები (ყული, შავი ყული, ხოჯა, მელიქი). მაგ.: 1. „ორმოცი ლამაზი ყული ახლავს“ (VII, 83). كوي (Kūl) — მონა, მსახური. XVIII ს. სპარსეთში ტერმინ ყულს ზოგჯერ დაქირავებული მეომრის მნიშვნელობა ჰქონდა. 2. „ერთი შავი ყული ახლდა“ (VII, 83). 3. „და იმ ხოჯამ ასრე უთხრა“ (I, 68). „ნახეთ ეს ხოჯის შვილიო“ (XII, 105). ხოჯა

²⁹ ვ. გაბაშვილი, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობის შუქზე (კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, 1966, გვ. 192; მისივე: მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII სს., იგივე კრებული, 1966, გვ. 16.

გვხვდება ცალკე და საკუთარ სახელთანაც მაგ.: „მოვიდა ხოჯა ალი დედაბერთანა“ (VII, 82). **خواجه** (Xajja) — პატრონი, ბატონი. ვაჟარი, ღიღავაჟარი, სოციალური ფენა — მსხვილი ღიღავაჟარი, რომელიც უმთავრესად საგარეო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობით დაკავებული მსხვილი ღიღავაჭრები სპარსულ წყაროებში ტერმინ „ხოჯათი“ აღინიშნებოდნენ ვრც. იხ.³⁰. 4. „თავისი სახელი ეწერა მელიქ მამზად“ (VIII, 87). „მივდეგ და დავხედე და ვიცან, რომ მელიქი ფაუთუს შვილი იყო“ (XII, 106). **ملك** — (Malik) აქ: ფეოდალი (გვხვდება საკ. სახელთან). 5. „მრავალი დევნი და ზანგი ქეშიქში უწევანან“ (VIII, 87). **زنگی** (Zangī) — ზანგი — ეთნიკური ტერმინი ნახმარია სოციალური მნიშვნელობით; შავი ყულისა ანუ შავი მონის შესატყვისია.

ბ. სამოხელეო ტერმინები: ქალანთარი, ვაზირი, ქეშიქი. „საყურადღებო ცნობები მოიპოვება „თაზქირათ ალ-მულუქში“ ქალაქის ქალანთარის უფლება მოვალეობის შესახებ... ქალანთარის სამოქმედო ასპარეზს, ძირითადად საქალაქო ცხოვრების ეკონომიური მხარე წარმოადგენდა. იგი ვალდებული იყო ყოველგვარი ზომები მიეღო, რათა მტკიცედ დაეცვა მოქალაქეთა „უფლებები და შეღავათები“... ქალანთარის მთავარ მოვალეობას შეადგენდა საერთო საქალაქო საქმეების მოგვარება-მოწესრიგება“³¹. მაგ.: 1. „ვეზირნი და კარის კაცნი გააკუიოდეს. ეს კაცი აქაური მემკვადრე არის, აქაურის ქალანთარის ქალი უთქს“ (VII, 85). **کالانتار** (Kalantar) — ქალაქის უხუცესი ირანის ქალაქებში. შეესიტყვება თბილისის მელიქ-მამასახლისის სამოხელეო ინსტიტუტი XVII—XVIII სს. 2. „მამაჩემმა, რომ გაიგონაო, მიწყინაო და ვეზირი გაუგზავნა ხელმწიფის შვილსაო“ (XII, 10ა). **وزیر** — (Wazir). „საქალაქო წყობილების ერთ-ერთი ყველაზე დამასასიათებელი მოხელე ქალანთართან ერთად ქალაქის ვეზირი იყო. რომელიც ზოგიერთ საქმეში დამოკიდებული იყო ქალანთარს დაკავშირებოდა და მისი დასტური მიეღო“³². 3. „მრავალი დევნი და ზანგი ქეშიქში უწევანან“ (VIII 81). **کشیک** (Kešik) — მორიგე, ყარაული, მცველი.

VI. ყოფითი რეალიები. ზღაპრებში ყოფითი რეალიები მუსულმანურია. მართალია, იშვიათად არის აღწერილი სუფრა, მაგრამ თუკი საღმე ნახსენებია სმა-ჰამა, ყველგან აღმოსავლურია საქმელიც და სასმელიც. აღსანიშნავია სხვა სახის რეალიაც, როგორცაა: სახელმწიფო ხალათის ჩუქება, აბანოს იარაღის წაღება, სიმღერით ცეკვა და სხვ.: 1. „მოატანინა ალვა და ჰამა“ (VII, 85). **حلوا** — (Halwā) — ჰალვა. „ერთი საპალნე ქიშმიში მიძღაო“ (V, 79). **کشمی** — (Kešmēš). „ფიცხლავ შარბათი ვარდის წყლით ვამიკეთა“ (XII, 111). „სადა სეიდი და სად ღვინოს სმა! აღარც კელმწიფემ დალივა. მოატანინა მრავალი მახ აჰ³³. დაუწყეს შარბათს სმა“ (VII, 84).

³⁰ ქ. კუციბა, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 57.

³¹ ქ. კუციბა, სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზქირათ ალ-მულუქის“ მიხედვით. კრებული: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 108—110.

³² იქვე, გვ. 112.

³³ ვფიქრობთ, ეს „მახა“ უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ „მახალს“ (სტრ. 1012), რომელიც ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „ტყბილი სასმელი“ (იუსტ. აბულაძე, ა. შანიძე, ა. ნეიმანი. იუსტ. აბულაძე ამ ტერმინს უკავშირებდა. არაბ. **مائل** იხ. იუსტ. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 345.

شرب — (Sārbāl). 2. „ერთი ხალვათხანა გააკეთა, ლამაზგუარათ მოჰფინა და მორთო, ერთი მაყალი დადგა“ (VII, 84). خلوت خانه — (Xalwat-Xana) — განმარტოებელი ადგილი, სენაქი. منقل — (Manqal). 3. „საკელმწიფო ხალათი მიართვი, ნახეთ რას ერიდებითო“ (IX, 94). „დამპატიებულსა კაცსა ერთი ხელი პატიოსანი ხალათი ჩააცვა“ (VII, 84). خلت — (Xal'al) — ხალათი, რომელსაც უბოძებდნენ ხოლმე. 4. „აბანოს იარაღი წაიღეთო. წაიღეს და წავიდა აბანოში“ (XII, 104). ფრაზა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა اسباب — (Asbab) — იარაღი; მოწყობილობა, ტანსაცმელი. 7. „დასხდნენ და ერთი ქალი სამას იქმოდა მეფისა და დედოფლის წინ“ (XI, 100). „მოვიდა ის მოსამავე ქალი და მოახსენა“ (XI, 101). „მოვიდა და თაყვანი სცა მოსამავემ“ (XI, 101). سماع — (Sama) — სიმღერით ცეკვა (შდრ. ქართული სამაია) მოსამავე — მოცეკვეთი.

VII. აღმოსავლური ფრაზები და ენობრივი კალკები. ზღაპრებში აღქმირებულია აღმოსავლური ენებიდან მომდინარე ფრაზები და ენობრივი კალკები. ეს ფრაზები ან არაბულია (ტექსტში: „სალამალეიქ“), ანდა არაბულიდანაა თარგმნილი, თანაც იქვეა ნათქვამი: „არაბულის ენით უთხრა: ღთმა მოგცეს ამისი პასუხი“. მაშინ როდესაც პერსონაჟი არაბი არაა, ე. ი. მის წყაროში არაბული ფრაზა იყო, მუსულმანისათვის კი იყო გასაგები, მაგრამ ქართველი წრისათვის — არა. მაგ.: 1. „სალამი მისცა — სალამალეიქ, ხელმწიფის შვილო“ (VIII, 87). „არაბულის ენით უთხრა: „ღთმა მოგცეს ამისი პასუხი!“ (XI, 100). „მე გავივონე. არაბულის ენით უთხრა: „ამისი პასუხი ღთმა გიყოსო“ ასრე დაემართა“ (XI, 101). سلام عليكم — (Salam'alai-kum) — მშვიდობა თქვენ. 2. ზღაპრებში გვხვდება ფრაზეოლოგიური სპარსიზმები, ენობრივი კალკები. ძირითადად კალკები აგებულია მეშველი ზმნის დახმარებით, რაც უშუალოდ სპარსულის გამომახილს უნდა წარმოადგენდეს. სპარსულად ეს ფრაზები მეშველი ზმნის გარეშე წარმოუდგენელია, მაშინ როდესაც ქართულად ეს მეშველი ზმნა საჭირო არაა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ზღაპრის მთარგმნელი კალკირებას სწორედ აღმოსავლურიდან ახდენს: მაგ.: „ზატი უყო“ (VII, 85). „მე იმ სიკეთის პასუხი მიქნია“ (III, 76). „შენის ავკაცობის პასუხს არ გიზამო“ (111,76). „სამართალი უყო ხელმწიფემ“ (V, 80). „ჩემს ყულობას ითქმევიანებდი“ (VII, 85). „მე საბრალოს რა დამიშავებია, რომ შენის თვალის ეკალი ვარო“ (XII, 105). „ასეთი აღთქმა ვქნა“ (XII, 105). „შენი ნაქმარია რაც გიქნეს“ (XII, 105).

VIII. ლექსიკა. ზღაპრებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მდიდარი აღმოსავლური ლექსიკა (კრებული ამ თვალსაზრისით სპეციალურ ლექსიკონის დართვას მოითხოვს). ჩვენ შევეხებით ზოგიერთ მათგანს: მაგ.: 1. „თუქეს ამ ძმებმა თავის გულში: ეს ჩუენი ძმა რომ ამ ხალათანათითა და ქორით მოვა, ჩვენ რა ვიქნებით მამაჩუენთანა? მოდი ერთი რამ უყოთ“ (VIII, 88). سلطنت — (Saltanat) — ბრწყინვალება, დიდება. 2. „რა თემი არის ასეთი, რომ კაცი არ ყოფილიყოს ან არ იყოს? რით არის ამათი ასალი და მოდგმოა?“ (IX, 93). اصل — (Aşl) — ძირი; შთამომავლობა. 3. „რაც გეპრიანებოდეს მიბრძანებდეთო. ან ხორასნული თურამ კაი საღუათი და ან იქაური უცხო რამ გეპრიანებოდეს, მიბრძანებდეთო“ (XII, 104). سوغاتی —

(Souǧālī) — მოგზაურობიდან ჩამოტანილი საჩუქარი. 4. „გაშალა ფიცხლავ ფეთანდაზი. შვიდი ყული მიაგება, შვიდი ხონი თვალი და მარგალიტი“ (VII, 84). *پيانداز* — (Peiandaz) — ფიანდაზი, ხალიჩა, რომელსაც მეტი პატივისცემის ნიშნად ფერხთ უგებენ ვინმეს. *خوان* — (Xvān) — ხონი, სუფრა; ტაბაკი (შდრ. ხონ-ჩა). 5. „სურით ღვინო და მახანულელი მოატანინა“ (XII, 111). *مزہ* — (Maza) — გემო. ტკბილეული. *نقہ* — (Nokūl — Nokl) — ტკბილეული, სასმისთან მისატანებელი. 6. „გარდამიწყდა ღონე. დავმორჩილდი. მოიყვანა მოლა. ქებინი. გამიჭრაო“ (XII, 111). *كابين* — (Kābīn) — მაჰმადიანთა ცოლის მიზდი, ურვადი. როგორც ვხედავთ, გამოცემაში არასწორადაა გაგებული სიტყვა „ქებინი“, რომელიც ტექსტში გვხვდება გამოყოფილი წერტილებითა და აბზაცით³⁴. ტექსტი ასე უნდა გაიმართოს: „მოიყვანა მოლა, ქებინი გამიჭრაო“. ასევე არასწორადაა გაგებული ზალუმი: 7. „ორი კელმწიფე იქდა: ერთი მოსამართლე და მოწყალე, ერთი უსამართლო და ზალუმი“ (II, 72).

ე. ვირსალაძე ამ სიტყვის შესახებ წერს: „ბგერათა სუბსტიტუცია გვაქვს სიტყვა ზალუმი-ძალუმი. როგორც ვიცით, ეს მოვლენა მესხური დიალექტის თავისებურებას წარმოადგენს. სიმპტომატურია, რომ ეს მოვლენა დადასტურებულია იმერხეულში და სწორედ ამავე სიტყვაში, ზალიან და ზალუან ფორმით — სხვა სიტყვებშია“³⁵. მკვლევარი დასძენს: „ჩვენ დავინახეთ, რომ ამ მესხურობაზე მიუთითებს მრავალი ნიშანი, განსაკუთრებით კი იმერხეულში დადასტურებული მოვლენები. ძ-ზ-ს მონაცვლეობა“³⁶. და თუმცა ძ-ზ ინგილოურშიც გვხვდება, მაგრამ ჩვენს ტექსტებს სხვა ნიშნებითა და მონაცემებით ინგილოურთან კავშირი არა აქვს“³⁷. აქ საქმე გვაქვს არა ბგერათა სუბსტიტუციასთან, არამედ უშუალოდ სპარსულიდან გადმოღებულ სიტყვასთან „ზალუმი“ — *زالوم* (Zalum), რაც ნიშნავს ტირანს, მჩაგვრელს, არასამართლიანს, დესპოტს და სხვ.

IX. სტილი, ზღაპრის ექსპოზიციის და დასასრული. მეტად საინტერესოა ზღაპრების სტილი. ხშირად ფრაზები ენობრივად გაუმართავი და სტილისტურად უცხოა ქართულისათვის, აღმოსავლური ზღაპრებისათვისა კი ნიშანდობლივი არის. ტექსტი მწიგნობრულია და აშკარად ნათარგმნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგ.:

1. „ადგა და ერთის მინით საწამლავე გააკეთა და ერთის მინით ღვინო და ხოჯას უბძანა: თუ წაასხიო ტყეშიაო და ღვინო შენ დალიეო და საწამლავე ამათ(ა) სუიო. და დაიკოცებიანო და გააქეო და კუჭი და თავი ამოართუი და მამიტანეო და წაასხა ყმაწვილები და და შეეცვალა საწამლავე და ღვინო ყმაწვილებს დააღვეინა და საწამლავე თუითან დალია და ხოჯა მოკუდა და დარჩნეს ორნი ყმაწვილნი და გზისა ველარა შეიტყეს

³⁴ შ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

³⁵ ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 368 (დამოწმებულია: შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა ეკლოებთან მიმართების თვალსაზრისით, „ენიმიკის მოამბე“ X, 1941, გვ. 243 და Н. Я. М а р р. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. VII, გვ. 37—49). იხ. აგრეთვე: შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მასალები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 33.

³⁶ ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 370.

³⁷ იქვე, გვ. 369.

რა და დაიძინეს და გამოეღვიძა უფროს ძმასა და სეირანს წავიდა და... (I, გვ. 69). აქ „და“—ს ნშირი ხმარება აღმოსავლური ენებისათვის დამახასიათებელი „ვ“ — „ვა“ კავშირის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს.

2. ზღაპრის ექსპოზიცია და ფინალი მოკლებულია ქართულისათვის დამახასიათებელ ე. წ. გარეგნულ ნიშნებს. ზღაპრის „ფინალი, სადაც ქართული ეპოსისათვის უჩვეული დაბოლოებასთან გვაქვს საქმე“³⁸, არაქართულია. მაგ.:

3. „და ქნეს ქორწილი. მივიდა ამ ვაჟის უფროსი ცოლი, მიულოცა და მრავალი თვალი და მარგალიტი გარდააყარა. დასხდეს მურასას ტახტზედა.

მამამთილმა და სრულ დარბაისელთა მიულოცეს. შეიდ დღესა და ღამესა ქორწილი იყო. დევებს უბრძანა: თქვენ ჩემ წადით, ჩემი სახლი შეინახეთ, თუ დამეპიროს, მზას იყავითო. გამოვიდა ხანი მრავალ ღზინსა და სიმჭარულეშია. ორს ღამეს ანგელოზის ქალთან დაწვება, ერთ ღამეს იმ სხუასთან. იყუნინან მხიარულად“ (VIII, 90).

X. ტექსტოლოგიური შენიშვნები. მასალის ტექსტოლოგიურმა შესწავლამ (ფოტოპირის შეჭერებამ გამოცემასთან) გვიჩვენა, რომ კრებულში კორექტურული შეცდომების გარდა გვაქვს ადგილები, სადაც გამოტოვებულია სიტყვები და ზოგჯერ მთელი წინადადება; რაც შემთხვევებში საჭირო წინადადების ნაცვლად სხვა წინადადება იკითხება. მაგ.: 1. დაბეჭდილია: „ის ჩვენი ბატონი არის, ანგელოზის ქალი, სულ დევნი ქაჭნი და ანგელოზნი იმისი ყმანი და მორჩინი არიან“ (VIII, 87). ხელნაწერშია: „ის ჩვენი ბატონი არის, ანგელოზის ქალი არის, სრულ დევნი ქაჭნი და ანგელოზნი იმისი ყმანი და მორჩილნი არიან“ (ფ. 31რ).

2. დაბეჭდილია: „ასეთს ალაგს ვეძებთ, სიკუდილო არ იყოსო. ვინც იარის მრავალი ხანი და დაეხოცა ორი-სამი კაცი“ (IX, 92). ხელნაწერშია:

„ასეთს ალაგს ვეძებთ სიკუდილი არ იყოსო. ვინც ნახის შორი დაიჭირის ასეთი ალაგისად არის სიკუდილი არ იყოსო იარის მრავალი ხანი და დაეკოცა ორი სამი კაცი“ (ფ. 39ვ).

3. დაბეჭდილია: „რომ ამდენ-ამდენი ხანი არისო რომ ვიარებო და ერთი უფროსი ძმა დაკარგეო და აქ არის თუ არაო?

და იმ ხოჯამ ასრე უთხრა, რომ არას ჩემი სიცოცხლის გულისათვისო მამა ხარო. და ადგა ის დიდვაჭარი კაცი თავის ქონებითა და იმ კაცისასს მივიდა და იქ დადგა“ (I, 68). ხელნაწერშია:

„რომ ამდენ ამდენი ხანი არისო, რომ ვიარებო და ერთი უფროსი ძმა დაკარგეო და აქ არის თუ არაო და მოიყვანეს ის კაცი იმ დიდვაჭართანა. დიდვაჭარმა უთხრა თუ ჩემი ძმა ხარო და ადგა ის დიდვაჭარი კაცი თავის ქონებითა და იმ კაცისასს მივიდა და იქ დადგა“ (ფ. 3რ).

4. დაბეჭდილია: „იარა და წავიდა. ნახა დაიწყოს სიარული და ამთონს სიარულში დაბერდა. ღზინი იმ ქუეყანასა. და ეყოლა ერთი ქალი და ერთი ვაჟი. ღზინობდა და გამოისვენებდა ამა ქუეყანასა“ (IX, 95). ხელნაწერშია:

„იარა მრავალი და მივიდა იმ ალაგსა. ნახეს და გაიხარეს შეექნა დიდი ღზინი იმ ქუეყანასა. და ეყოლა ერთი ქალი და

³⁸ მ. ჩიქოვანი, დასახ. გვ. 143.

ერთი ვაეი. ლხინობდა და გამოისეენებდა ამა ქუეყანასა“ (ფ. 45r). ამ შემთხვევაში წინადადება ფოტოპირის წინა გვერდიდანაა გადმოწერილი (ფ. 44v), ხოლო მის ნაცვლად გამოტოვებულია ფოტოპირის გვ. 45r-ზე მოთავსებული წინადადება, რაც ტექსტს გაუგებარს ხდის.

ამრიგად, „მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართულ ზღაპრებში“ დაძებნილ აღმოსავლურ რეალიათა (საკუთარი სახელები, გეოგრაფიული გარემო, სოციალური ურთიერთობანი, სოციალური და სამოხელეო ტერმინები, მუსლიმური ადათ-წესები, ყოფითი რეალიები, სტილი, ლექსიკა, ფრაზეოლოგიური სპარსიზმები, ზღაპრის ექსპოზიცია და დასასრული) სიუჟეტე გვაფიქრებინებს, რომ ესაა ქართულ მწერლობაში ცნობილი აღმოსავლური ენებიდან ქართულში ლიტერატურული გზით შემოსული, თარგმნილი ძეგლების „სირინოზიანისა“ და „ვარშაყიანის“ ტიპის ანალოგიური კრებული და არა ქართული ფოლკლორის ნიმუშები. ამდენად, უნდა გადაისინჯოს ქართულ ფოლკლორისტიკაში გამოთქმული სხვა დასკვნებიც, რომელიც ამ ძეგლის გენეზისის არასწორ გაგებაზეა დაფუძნებული.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

ელიზბარ ჯაველიძე

ჯეღალ ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობის ერთი საკითხის
გაბეჭვისათვის

ჯეღალ ედ-დინ რუმის არ შეუქმნია საკუთარი ორიგინალური და თვით-მყოფადი მსოფლმხედველობრივი სისტემა, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი¹. პოეტი ბევრითაა დაკლებული თავისი წინამორბედი მოაზროვნეებისაგან. მან აღმოსავლური პოეტური და კულტურული ცხოვრების საუკეთესო ტრადიციები შეისისხლხორცა. ამათ განაპირობა სწორედ მისი აზროვნების ეკლექტიკური ხასიათი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მხატვრული სამყარო და აზრთა წარმოჩინება ორიგინალური არ არის. ყოველივემ — წინამორბედთა ნააზრევმა თუ მთელმა ქვეყნიერებამ — თავის მორალურ-ეთიკური კანონებით მის „სულში გაიარა, როგორც პურმა მისსავე სხეულში და უკვე პურად კი არა, მის საკუთარ სისხლხორცად იქცა“². ჯეღალ ედ-დინ რუმის მხატვრული ორგანიზმი მთლიანობაში მძაფრად ორიგინალურია და საოცარი სიმკვეთრით გამოირჩევა მთელი აღმოსავლეთის კლასიკურ ლიტერატურაში.

ნეოპლატონური ფილოსოფიის ძირითადი ამოცანა იყო ადამიანის ღმერთთან შერიგება³. ეს აწუხებდა სუფიზმსაც და მის საუკეთესო წარმომადგენელს ჯეღალ ედ-დინ რუმის. მისი მხატვრული თუ ფილოსოფიური აზროვნების ქვაკუთხედს საფუძვლად უდევს ადამიანისა და ღმერთის ცნებათა ურთიერთმიმართება. რომელიც შემდგომ მრავალ საკითხში იზრდება. ყოველივე იწყება აბსოლუტური ქეშმარიტებისაგან და თავის განვითარებას პოეებს სრულყოფილ ადამიანში, რომლის ძირითადი მიზანია თავის პირველად სამშობლოში დაბრუნება. ამჯერად ჩვენ შევეხებით რუმის მოძღვრებაში აბსოლუტური ქეშმარიტების ცნების მოაზრებას.

ორთოლოქსალური ისლამის განსაზღვრით ღმერთი (ალაჰი) ერთია, მას არა აქვს დასაწყისი და დასასრული; ის არ არის შობილი, არც დამბადებელი. მას არა ჰყავს მსგავსი.

მაგრამ მუსლიმურ თეოლოგიაში აზრთა სხვადასხვაობა იყო ალაჰის ცნების წარმოსახვისას⁴, რაც ძირითადად ღმერთის დადებითი და უარყოფითი განსაზღვრით აიხსნება. ერთი მხრივ, ღმერთი წარმოდგენილი იყო აბსოლუ-

¹ Н. О д и л о в, Философские взгляды Джалалиддина Руми, М., 1965, гл. 18.

Н. О д и л о в, Ҷаҳонбинии Ҷалалиддин Руми, Душанбе, 1964, гл. 15.

² ეს არის პლატონის ემერსონისეული დახასიათება იხ. Сочинение Эмерсона, т. II, С.-Петербург, 1903, гл. 31.

³ Г. Э й к е и, История и система средневекового мирозозерцания (перевел с немецкого В. И. Линд) С.-Петербург, 1907, гл. 52.

⁴ А. М а с с э, Ислам, М., 1962, гл. 99.

ტურად ტრანსცენდენტალურად. მას არ მიესადაგება არავითარი განსაზღვრა და ის მიღმა და მაღლა დგას ყოველგვარ შედარებაზე (tauzih), ხოლო მეორე მხრივ ის ვლინდება თავის შემქმნელ ფორმებსა და საგნებში (taşihil)⁶. ეს იყო აბსოლუტური ტრანსცენდენტალურობისა და სიმბოლიზმის გზა. პირველს მიჰყვებოდნენ მუნაზზიპები, მეორეს კი — მუშაბბიპები⁷. ორივე კი თავის დამტკიცების საფუძველს ეძებდა ყურანში, სადაც, ერთი მხრივ, ალაჰი წარმოდგენილია როგორც „არა უშობი, არცა შობილი და სწორი არ ჰყვის რაშიაც უნდა იყოს“⁸. მაგრამ, მეორე მხრივ, მას ახასიათებს მრავალი ადამიანური თვისება; მას ესმის, ის ხედავს, იცინის, პრაზდება და ა. შ.⁹ ყურანის XLII სურის IX მუხლედში ნათქვამია: „არაფერი ჰგავს მას. ყველაფერი ესმის და ხედავს“⁹. ეს მუხლედი უკვე ერთად ასახავს ალაჰის ტრანსცენდენტალურობას და მის სიმბოლიზმსაც. ამ საკითხის გარშემო გაუთავებელი კამათი არსებობდა¹⁰. ჰანბალისტურ სკოლას, რომელმაც სიმბოლიზმისა და შედარების მეთოდის გზა უხეშ ანთროპომორფიზმამდე დაიყვანა, დაუპირისპირდნენ მუთაზილითები, რომლებიც ცდილობდნენ შეტაფორული მეთოდით აეხსნათ ყურანში მოცემული ალაჰის ადამიანური თვისებები. დაბოლოს, ანუ დაისვა საკითხი: შეიძლება თუ არა საერთოდ ღმერთს მივაწეროთ რაიმე თვისება? ეს ხომ ღმერთის მთლიანი არსების დანაწევრებას იწვევს. და თუკი ასეთი რამ შესაძლებელია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ის (თვისება) მარადიულად მისეული უნდა იყოს და არა გარედან შექმნილი, სხვანაირად წარმოუდგენელია. ეს კი მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მარადიულ ღმერთთან ერთად არსებობდა მარადიული თვისებები, რაც უკვე შირკია. ასეთმა მსჯელობამ გამოიწვია საერთოდ ატრიბუტთა უარყოფა. ღმერთი ყოვლისმცოდნეა არცოდნით, ის ყოვლისშემძლეა არაძალოვნებით, ის ცოცხლობს არა სიცოცხლით. არ არსებობს განსაჯუთრებული ცოდნა, ძალოვნება, სიცოცხლე ღმერთში. ყოველივე ის, რასაც ჩვენ მის თვისებად (ატრიბუტად) მივიჩნევთ, განუყოფელი მთლიანია და არ განსხვავდება ღმერთისაგან¹¹. ამგვარად უარყოფილი იყო ღმერთის არსის მოაზრება შედარებითი სიმბოლური გზით. ზილვად სამყაროში არსებულთა რიგი და მათი თვისებები წარმოდგენას ვერ გვიქმნიდნენ აბსოლუტურად ტრანსცენდენტალურ ღმერთზე. ეს კამათი შემდეგ მრავალი მიმართულებითა და კუთხით განვითარდა¹², მაგრამ საბოლოო ჯამში ის სხვა არაფერია, თუ არა თვისებური ასახვა ღმერთის მტკიცების კატაფატიკური (დადებითი) და აპოფატიკური (უარყოფითი) მეთოდისა, რომელიც რელიგიის ისტორიაში ოდითგანვე ცნობილი იყო და ადგილი ჰქონდა ჭერ კიდევ ინდურსა¹³ და ეგვიპტურ აზროვნებაში¹⁴.

⁶ R. Nicholson, *Studies in Islamic Mysticism*, Cambridge, 1921, გვ. 100, 140.

⁷ E. Meyerovitch, *Mystique et poesie en Islam*, Djâlâl-ud-Dîn Rûmî et l'Ordre des Derviches tourneurs, Desclee De Brouwer, 1972, გვ. 46.

⁸ ყურანი, თბილისი, 1906, სურა XII, გვ. 626.

⁹ И. Гольдциер, Лекции об Исламе, Брокгауз-Ефрон, 1912, გვ. 98.

¹⁰ ყურანი, სურა XIII, მუხ. 9, გვ. 473.

¹¹ H. Z. Ülken, *İslâm Düñüncesine Giriş*, İst., 1954, გვ. 43.

¹² И. Гольдциер, Лекции об Исламе, გვ. 168.

¹³ იქვე, გვ. 101—106.

¹⁴ Чахандогья Упанишада, М., 1965, I, 6, 6. Брихандараньяка Упанишада, М., 1964, III, 8, 8.

¹⁵ В. Шмаков, Священная книга Тота, великие арканы Таро, абсолютные начала синтетической философии эзотеризма, М., 1916, გვ. 64.

„წართქემითი და უკუთქემითი“ ღმრთისმეტყველება მიზნად ისახავდა ღმრთის ყოვლისმომცველობის და ზეალმატებულობის მტკიცებას. ერთ შემთხვევაში გამოსიყვებულ და გამოჩენილ საგანთა და შემოქმედს შორის დაშვებულია გარკვეული საფეხურებრივი მსგავსება და ამ მსგავსების საფუძველზე ანალოგიის, შედარების გზით გვექმნება გარკვეული წარმოდგენა პირველ მიზნზე. ე. ი. „ონტოლოგიურად დაბოლოებული და შემეცნების თვალსაზრისით განსაზღვრებადი სამყარო ედება საფუძვლად დაუბოლოებელის შესახებ გარკვეული ცოდნის აგებისათვის“¹⁵. მეორე შემთხვევაში ღმერთი წარმოდგენილია იმდენად უზეშთავსად, რომ მთლიანად და ცალკეული ნიშნების მხრივ მისი განსაზღვრა და მის შესახებ გარკვეული ცოდნის აგება შეუძლებელია¹⁶. ეს ორივე განსაზღვრა არ ეწინააღმდეგება ურთიერთს. დიონისე არეოპაგელი ასე აფრთხილებს მკითხველს: „ნუ იფიქრებ, რომ დადებითი განსაზღვრებანი წინააღმდეგობაში არიან უარყოფით განსაზღვრებებთან, არამედ, რომ ყოველთა მიზეზი ბევრად უპირველესია და ზეშთა, როგორც ყოველთა უარყოფითთა, ასევე დადებით განსაზღვრებათა“¹⁷.

ხშირად ხდება საპირისპირო ნიშანთა და თვისებათა შეგნებული გაერთიანება¹⁸ და ანტითეზათა საშუალებით მტკიცდებოდა ღმერთის ყოვლისმომცველობა. შმაკოვი წერს: „აბსოლუტური, უპირველეს ყოვლისა, არის ყოვლისმომცველობა, ის არის ერთღროული მტკიცებაც და უარყოფაც ყოველგვარ მტკიცებათა და უარყოფათა... ამრიგად, ჰეშმარიტება აისახება მხოლოდ ანტინომებში და ყოველი ანტინომია არის ჰეშმარიტების ასპექტი“¹⁹. ვარდა ამისა, ამ კატაფატიკური და აპოფატიკური მეთოდით ღმერთი შეიმეცნებოდა ყოველმხრივ, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ატრიბუტების გათვალისწინებით. გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური თვალსაზრისით მოაზრებული იყო მისი ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები და ხდებოდა მათი ერთგვარი შეჯერება²⁰. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დადებითი და უარყოფითი ღმრთისმეტყველება არ ეწინააღმდეგება ურთიერთს, მაგრამ, თუ უპირისპირდება, მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ უარყოფით ღმრთის შემეცნებას უფრო მალა აყენებენ, უფრო სრულყოფილად მიაჩნიათ, ვიდრე დადებითი. უცოდინარობა, რომელსაც წინ წამოწევს აპოფატიკა, უფრო მალა დგას, ვიდრე ცოდნა²¹. ხოლო როცა ონტოლოგიურადაა წარმოჩენილი ღმერთისა და ხილვადი სამყაროს მიმართების საკითხი. აქაც მახვილი ისმის უარყოფით ატრიბუტზე, ანტითეზაზე, რომელიც თეზასთან მიმართებაში ხსნის აბსოლუტური ჰეშმარიტების სრულყოფილებას. საკითხის ამგვარ მოაზრებას ვხვდებით უკვე პლა-

¹⁵ შ. ხიღაშელი, ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილი არეოპატიკის თვალსაზრისით. „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 94.

¹⁶ იქვე, გვ. 94.

¹⁷ დიონისე არეოპაგელი, საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის, თარგმნა ღენეზა ზუმბაძემ, „მნათობი“, 1970, № 3, გვ. 182.

¹⁸ შ. ხიღაშელი, დასახ. შრ., გვ. 81.

¹⁹ В. Шмаков, დასახ. შრ., გვ. 90.

²⁰ В. И. Лосский, Отрицательное богословие в учении Дионисия Арепагита, Seminarium kondacovianum, III, Prague, 1922, გვ. 138.

²¹ იქვე, გვ. 138.

ტონთან²², ხოლო თავის სრულყოფილ განვითარებას პოულობს პლოტინის ფილოსოფიურ სისტემაში. „პირველი მიზეზი არის ყველაფერი და ამავე დროს არც ერთი არსებულთაგანი, — წერს პლოტინი — ყოველთვის საწყისი არ შეიძლება იყოს ყველა არსებულთა ჯამი. საწყისი არის ყოველივე და ყველაფერი მხოლოდ იმ აზრით, რომ ყველაფერი მას უტოლდება, მისგან გამომდინარეობს“²³. ამ თეზას პლოტინი არაერთხელ იმეორებს. „От кого происходят все вещи, тот не похож ни на одну из них и отличён от каждой в отдельности и от всей их совокупности, он прежде всех вещей, следовательно прежде самого ума“²⁴.

უმალესი საწყისი არაფრით არ შეიძლება იყოს მრავლისმომცველი. მრავლის წინ უნდა იყოს ერთადერთობა, როგორც ერთი უსწრებს ყველა რიცხვს²⁵. ის ერთიანია, რომელიც არ შეიძლება დაითვალოს, რადგან ის არის საზომი ყოველივესი, მაშინ როცა მისთვის არავითარი საზომი არ არსებობს²⁶. პირველადღებული არ არის არავითარი ხატი, რადგან ის ხატი არ არის, — არც სუბსტანციაა, რადგან სუბსტანცია არის განსაზღვრული. გამოკვეთილი რამ... პირველი მიზეზი არ არის არც ერთი ხატთაგანი (სახეობათაგანი)²⁷ — ეს ნიშნავს ის მაღლა დგას ყოველივეზე. პირველადღებული მაღლა დგას არსებულზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რაიმე განსაზღვრული, არ შეიძლება რაიმე ამტიციო მის შესახებ, არ შეიძლება რაიმე სახელი მიუსადაგო მას, მხოლოდ შეგვიძლია ილაპარაკო, რომ ის არის არც ეს — არც ის²⁸. ეს არის პლოტინის უარყოფითი განსაზღვრა აბსოლუტური ქეშმარიტებისა. მაგრამ ემანაციის თეორიის განვითარების შედეგად პლოტინი უშვებს დადებითი შემეცნების პროცესსაც. და ასე წარმოადგენს მსჯელობას: „Сам Бог единый, не раздельный, который не в пространстве, а в самом себе существует, который созерцается в множестве существ, в большой или меньшей степени способных, воспринять и отображать его в себе, но который отличён и обособлен от всех их, подобно тому, как один центр в круге остаётся один сам по себе, между тем, как множество радиусов со всех точек периферия к нему сходятся“²⁹, ხდება თეზისა და ანტითეზის ერთგვარი გაერთიანება, რომელსაც მოჰყვება დასკვნა, რომ „პირველი საწყისი არაა გამოყოფილი ყოველ საგანთაგან და არც ჰკიებს მათში“³⁰. ამ განსაზღვრას შემდგომ ხშირად მიმართავს ქრისტიანული და აღმოსავლური ეზოტერიზმი. იგი უეჭველად ყურადსაღებია, როცა ღმერთისა და სამყაროს მიმართებაზე ვმსჯელობთ.

კატატატიკური და აპოფატატიკური თვალსაზრისით ღმერთის ცნების გააზრება საშუალო საუკუნეების რელიგიური აზროვნებისათვის ნიშანდობლივი

²² იხ. П л а т о н, Сочинение в трех томах, Краткл, т. I, М., 1968, გვ. 438.

²³ Избранные трактаты Плотина (перевод с греческого языка под редакцией проф. Г. В. Малеванского), Э. V, к. I, Вера и разум, 1898, № 9, გვ. 359.

²⁴ Избранные трактаты Плотина, Э. V, к. III, Вера и разум, 1898, № 11, გვ. 455.

²⁵ Избр. тракт. Плотина, Э. V, к. III, Вера и разум, 1898, № 11, გვ. 456.

²⁶ Избр. тракт. Плотина, Э. V, к. V, Вера и разум, 1898, № 13, გვ. 39.

²⁷ ხატისა და იკავის შესახებ იხ. მ. რ ა თ ა ე ა, იკავის, ხატისა და კერპის ცნებისათვის იოანე პეტრიწის „განმარტებში“, „მაკნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 1, გვ. 67.

²⁸ Избр. тракт. Плотина, Э. V, к. V, Вера и разум, 1898, № 14, გვ. 63/64.

²⁹ Избр. тракт. Плотина, Э. V, к. I, Вера и разум, 1898, № 9, გვ. 353.

³⁰ Избр. тракт. Плотина, Э. V, к. V, Вера и разум, 1898, № 16, გვ. 70.

თვისებაა. უკვე აღექსანდრიული სკოლის წარმომადგენლის ფილონის მოაზრებით ღმერთი ყველგან არის და არსად არ არის. ამიტომ მისი არსი საცესებით შეუცნობელია³¹. ღმერთი თავის ძალით ავსებს ყოველივეს, თვით კი არაფერში გადადის, ისე, როგორც ბეჭედი აღიბეჭდება სანთელზე, და თვით უმცირეს ნაწილსაც არ კარგავს და უცვლელი რჩება³². მაგრამ, ძირითადად ფილონი ღმერთს უარყოფითი მეთოდით განსაზღვრავს³³. ნეტარი ავგუსტინიც, რომელმაც მოახდინა ერთგვარი სინთეზი ანტიკური და ქრისტიანული აზროვნებისა და პლატონური სიბრძნე ქრისტიანობას დაუკავშირა³⁴, არაერთგზის აღნიშნავს, რომ ღმერთი ავსებს ყოველივეს, მაგრამ მას არაფერი არ მოიცავს³⁵. ის არის ყოველ ქმნილებაში, მაგრამ მათში არ არის მოქცეული... არ არის არც ერთ ქმნილებაში, მაგრამ არც მათგან არის განკვეთებული³⁶. ვითარცა ღმერთი ყოველივეს შინაგანობაში ჰკვიებს, — არის შემოქმედი, ხოლო ვითარცა ყოველივეს მიღმა, გამგებელია ყოველივესი³⁷. ის არის ერთი მთლიანი, რომლის დანაწილებაც შეუძლებელია³⁸, მაგრამ როგორც ბეჭედი აისახება ყველა ქმნილებაში, რომლებიც არარას იღებენ მისას... ყველა ქმნილება, მისგან განსხვავებულია, მაგრამ ყოველი ქმნილია მისგან³⁹. სამყარო არის ქურჭელი, რომელიც საცესა ღვთით, მაგრამ როცა იმსხვერვა ის, ღმერთი არ გადმოიღვრება. „და როცა თქვენ გადმოიღვრებით, — მიმართავს ავგუსტინი ღმერთს, — თქვენ კი არ მდებარდებით, არამედ ჩვენ ავგამაღლებთ.. თქვენ კი არ ნაწიერდებით, არამედ ჩვენ გკვართიანებთ“⁴⁰. და თუმცა ის უმადლესი და მარადიული არსებაა... ჰეშმარიტი სინათლე, უწყვეტი ნათება, ანგელოსთა სინათლე, ვერვინ ვერ იხილავს მას⁴¹. ამდენად მისი შეცნობა შეუძლებელია. ამ პრობლემის მოაზრებას განსაკუთრებული დიდი ადგილი ეთმობა არეოპაგტიკაში. ფსევდო დიონისე არეოპაგელის შრომებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ღმერთის „წართქუმიტ და უკუთქუმიტ“ დახასიათებას⁴². მას სპეციალური ნაშრომიც კი მიეძღვნა, სადაც ეს საკითხი ძალზე ნათლად და კარგადაა წარმოდგენილი⁴³. დიონისე არეოპაგელი ღმერთის ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტს ასე გადმოგვცემს: „ვინადაც ყოველთა შორის იცნობების ღმერთი და

³¹ Г. Э џ к е н, დასახ. შრ., გვ. 75.

³² С. И. Т р у б е ц к о й, Учение о логосе в его истории, М., 1906, გვ. 131.

³³ В и н д е л ь б а н д, История древней философии с приложением истории философии средних веков и эпох возрождения, С.-Петербург, 1902, გვ. 303.

³⁴ Saint A u g u s t i n, Les Confessions, Paris, 1964, გვ. 5.

³⁵ Избранные сочинения Блаженного Августина, о Граде Божием, ч. II, М., 1786, გვ. 66.

³⁶ Избр. соч. Блаж. Августина, святые и душеспасительные размышления, ч. IV, М., 1876, გვ. 390.

³⁷ იქვე, გვ. 390.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე, გვ. 387.

⁴⁰ Saint A u g u s t i n, Les Confessions, გვ. 16—17.

⁴¹ Избр. соч. Блаженного Августина, святые и душеспасительные размышления, გვ. 383. მისივე, Ручная книжка, ч. 4, გვ. 548.

⁴² პეტრე ი ბ ე რ ი ე ლი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირეს თარგმანი, გამოსცა ს. ენუქიშვილმა, თბილისი, 1961; იხ. საღმრთო სახელთათვის 6₁₅₋₂₀, 8₁₅₋₁₀, 9₃₀₋₄₀, 10₅, 12₅₋₁₅, 17₂₅₋₃₀, 18₅, 23₂₅₋₃₅, 24₅₋₁₅, 29₂₅, 30₅, 32₂₅₋₃₀, 33₅₋₃₅, 35₂₅, 36₂₀, 38₂₀₋₂₅, 60₂₅₋₃₅, 80₅₋₃₅, 81₅₋₃₅, 82₂₅₋₃₀ 84₅₋₁₀ და სხვ.

⁴³ დიონისე ა რ ე ო პ ა გ ე ლი, საიდუმლო ღმერთისმეტყველებისათვის, „მნათობი“, 1970, № 3, გვ. 182—184.

გარეგან ყოველთა, და ცნობითაცა იცნობების ღმერთი და უცნაურებითაცა; და არს მისი მოგონება და სიტყუა და კელოვნება და შეხება და ნება და ოცნება და სახელი და სხუა ყოველი; და არცა იცნობების, არცა ითქუმის, არცა სახელ-იდების; და არარა არს არსთაგანი არცა რაჲს არსთაგანისა შორის იცნობების; და ყოველთა შორის ყოველ არს და არცა ერთსა რას შორის არარა“⁴⁴. არეოპაგელისეულ მოაზრებაში მინც კარბობს ღმერთის უარყოფითი ატრიბუტებით შემკობა. „რაჲცა იგი არს, მისი ცნობა და ხედვა ყოველთა არსთაგან შეუვალ არს, ვითარცა ზეშთაარსებისა ყოველთაგან ამაღლებული“⁴⁵. ხოლო ონტოლოგიურად „ყოველთა მიმართ წინა — განმევალ არს და ყოველთა მიმართ მიიწევის და გარე — შეიცავს ყოველსა; და კუალად იგივე, მასვე შინა ზეშთააღმატებით არცა ერთისა რაჲსაგანმე, არცა ერთითა რაჲთ გარეშეიწერების, არამედ აღმატებულ არს ყოველთაგანი; იგივე რაჲსა შინა თვისსა იგივედ და სამარადისოდ არს და დგას და ჰგიეს და მარადის მასეუობა ეგრეთთედ აქვს. და არასადა გარეგან თავისა თვისისა განვალს, არც დააკლდების თვისისა სიმტიციისა და შეუძვრელისა დგომისა და დამყარებისაგან“⁴⁶. ცხადია, აბსოლუტური კეშმარიტების ასეთი მოაზრება უცხო არ იყო პეტრიწისათვის⁴⁷. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ღმერთის დააასიათების დროს მინც კარბობს აპოფატეიური ღვთისმეტყველება⁴⁸. და ეს განპირობებული იყო იმით, რომ ღვთის იდეა ეფუძნებოდა სრულყოფილის იდეას, რომელიც უნდა ყოფილიყო ერთადერთი და უნდა მიღმა მდგარიყო იმ სიერტული და დროული ჩარჩოებისა, რითაც ადამიანია დასაზღვრული.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თუ რა კუთხით აისახა ეს საკითხი ისლამის თეოლოგიაში. დავძენთ, რომ აღმოსავლურ ფილოსოფიურ აზროვნებაში ღმერთი უფრო აპოფატეიურად არის წარმოდგენილი და ხაზი აქვს გასმული მის ტრანსცენდენტალურობას. იბნ-სინა წერს, რომ სამყაროს ჰყავს პირველი საწყისი, რომელიც არ ჰგავს სამყაროს და რომლისგანაც იქმნება სამყაროს არსებობა⁴⁹. ღმერთის ტრანსცენდენტალურობას ამტიციებს იბნ-რუშდი (ავერროესი). იგი პირველმიზეზს წარმოადგენს როგორც ბორბლის ცენტრს, რომელიც არ მოქმედებს სამყაროზე და გარე ნაწილს ნებას აძლევს იბრუნოს თავისი სურვილის მიხედვით⁵⁰ მაიმონდის აზრითაც, ღმერთის მიმართ დასაშვებია მხოლოდ უარყოფითი ატრიბუტების ხმარება. მხოლოდ უარყოფითი ატრიბუტებით განისაზღვრება ღვთიური არსება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რა არ არის ღმერთი, და არა-რა არის იგი⁵¹.

⁴⁴ დიონისე ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი, საღმრთო სახელათვის, გვ. 72₁₀₋₂₀.

⁴⁵ იქვე, გვ. 75.

⁴⁶ დიონისე ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი, ეპისტოლენი ათნი, შრომები, გვ. 254. 15-20.

⁴⁷ იოანე პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, განმარტება პოკლესთეს, დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოცემს და გამოკლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყუაზ-ჩიშვილმა, ტფილისი, 1937, გვ. 8, 12, 212, და სხვ.

⁴⁸ ღმერთის ამგვარი დახასიათება ჩვეულებრივი მოვლენაა სამ. საუკუნეების აზროვნებისათვის, იხ. მაგ., В. И. Лосский, დასახ. შრ.; Г. Эйкен, დასახ. შრ. გვ. 537. С. Н. Трубецкой, Метафизика в древней Греции, собр. соч. С. Н. Трубецкого, т. III, М., 1910, გვ. 8 და სხვ.

⁴⁹ Ибн-Сина, Даниш-Наме, Сталинабад, 1957, გვ. 184.

⁵⁰ Э. Ренан, Аверроэс и аверизм, Киев, 1903, გვ. 63.

⁵¹ А. Т. Шекль, История средневековой философии, М., 1912, გვ. 69.

სუფიურ აზროვნებაში, რომელიც საერთოდ, და კერძოდ, ამ საკითხის მოაზრებისას მკვიდრო კავშირს ამყარებს ნეოპლატონურ და არეოპაგოტიკულ ფილოსოფიასთან, წინა პლანზე წამოწეულია კათევატიკური და აპოფატიკური ღმრთისმეტყველება. მაგრამ აქაც ჰარბობს და უპირატესობა ეძლევა უარყოფით მეთოდს. იბნ-ულ-არაბი გვაძლევს უკვე სიმბოლისმისა და ტრანსცენდენტალიზმის შერიგების ცდას. ის წერს: „მათთვის, ვინც იცნობს ღმრთიერ ჰემ-მარიტებას და ამტკიცებს, რომ ღმერთი არ შეიძლება საგნებს შეადარო, ის ზღუდავს და პირობითს ხდის რეალობის კონცეფციას... ეგზოტერიისტი, რომელიც მხოლოდ ღმერთის ტრანსცენდენტალურობას ამტკიცებს, და გამორიცხავს იმანეტობას (თაუზიბ), ცილს სწამებს ღმერთს და მის მიმდევრებს... ის მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც აღიარებენ ღმრთიერი გამოჩინების ერთ მხარეს და მეორეს უარყოფენ⁵². მაგრამ, როცა საქმე ეხება ღმერთის არსის მიმართებას ბუნებასთან, მაშინ იგივე ავტორი ასე მსჯელობს: „ღმერთი არის ყველა ინდივიდუალურ არსთა არსი. როგორია მისი ბუნება, რომლითაც ყველა გამოჩინდება და ვინ არის ის? ის, რაც გამოჩინდა, არის ის თვითონ, მაგრამ ის არ არის იდენტური იმისა, რაც გამოჩინდა“⁵³. აქაც ის აზრია გატარებული, რომ შემოქმედი ყოვლისმომცველია, მაგრამ მისი ქმნილი მას ვერ მოიცავს. საერთოდ, მისტიკური აზროვნებით ღმერთი არის მარადიული, ნიადგ ცოცხალი, მარად მოძრავი და მარად მყოფი მარადიული ქმნალობა... იგი არის განუყოფელი ერთი მთლიანი, რომელიც მოიცავს ყველაფერს და არაფერს არ გამორიცხავს... იგი არის ერთი მთლიანი სხვის გარეშე, რომელთანაც შეიძლება მისი შედარება... ის არის უნივერსალური მუდმივი წარმოქმნა⁵⁴. არაფერი არ არის მის წინ და უკან, არც ზემოთ და არც ქვემოთ... არაფერი არ არის მის მარჯვნივ და მარცხნივ... არ აქვს ზომა სიგრძისა, სიღრმისა და სიმაღლისა... აბსოლუტურად არაფერი არ არის მის გვერდით. هو هو⁵⁵.

მიუხედავად იმისა, რომ ღმრთის ცნების დახასიათება ძალზე მრავალფეროვანია და სხვადასხვა სუფი მას სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენს, მაინც სუფიზმში მთავარი იდეა ღმერთის შესახებ არის ის, რომ იგი უნიკალური ძალის და ენერჯისაა, განაგებს ყოველივეს და მას ვერავინ განაგებს⁵⁶, რომ ის მოიცავს ყოველივეს და მას ვერაფერი ვერ მოიცავს.

საერთოდ, როცა ამ საკითხის ისტორიას ვეცნობით, შეიძლება გამოვეყოთ ორი მიმართულება: „სუბიექტური სკოლა“, რომელიც ამტკიცებს, რომ „იგი არის ყველაფერი“, და ობიექტური სკოლა, რომელიც ამტკიცებს, რომ „მისგან

⁵² Fusûs al-Hikam, ციტირებულია ე. მეიროვიჩის დასახ. ნაშრომის მიხედვით 33-166.

⁵³ Fusûs al-Hikam, ციტირებულია ე. მეიროვიჩის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 172, იხ. აგრეთვე: R. Nicholson, The Mystics of Islam, London, 1914, გვ. 155.

⁵⁴ Amin Jung, Islamic Mysticism; Tasavvuf in theory and in practice, Islamic Culture, 1942, № 16, გვ. 268, 269.

⁵⁵ იქვე, 33-267—268.

⁵⁶ იქვე, 33-267.

არის ყველაფერი⁵⁷, თუმცა ამ ორ მიმართულებას შორის არსებითი განსხვავება არ არის და მხოლოდ ზოგიერთი ტერმინოლოგიით განსხვავდება ურთიერთისაგან.

ჯეღალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში მოცემულია ღმერთის კატაფატიკური და აპოფატიკური მეთოდით დახასიათება. რუმი ცდილობს ღვთის სიმბოლიზში და აბსოლუტური ტრანსცენდენტალურობა გააერთიანოს და ის დავა, რომელიც ამ საკითხის გარშემო არსებობდა ისლამში, დააცხროს. პოეტისათვის საერთოდ დამახასიათებელია უკიდურესობათა შორის „ოქროს საშუალის“ პრინციპით გზის გაკვლევა; ამის აღნიშვნა მისი მსოფლმხედველობის გარკვევისას კიდევ არაერთხელ მოგვიხდება. მითუმეტეს, რომ სუფიური აზროვნებისათვის ტრანსცენდენტალიზმისა და სიმბოლიზმის შერწყმა ბუნებრივია. მეკლანა ღმერთს ათქმევინებს:

თქვა, მართალია, მე თქვენი მოგონებითგან განწმენდილვარ,
 არ შეგფერის მე თქვენი აღწერა (ქება)...
 მაგრამ მთვრალი წარმოდგენით და ილუზიით ვერასოდეს
 ჩემს არსს ვერ ჩასწვდება ზილვადის (შედარების) გარეშე⁵⁸.

დაშვებულია ღმერთის აღქმა შედარების, სიმბოლოების მეთოდით მხოლოდ არა რჩეულათათვის.

ჯეღალ ედ-დინ რუმი ამ საკითხის მოაზრებისას არ გამოთქვამს ორიგინალურ შეხედულებებს. ჯერ ერთი, საშუალო საუკუნეებში უკვე ერთგვარად შემუშავებული იყო ღმერთის ცნება, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ებრაულ-ქრისტიანულ-მუსლიმური კონცეფცია შემოქმედისა, გადმოცემული არისტოტელეს ტერმინოლოგიით⁵⁹. მეორეც, ღმერთის ცნების ინტერპრეტაცია მორწმუნესათვის ისეთი პრობლემაა, რომელიც ყველაზე მეტად მოითხოვს ტრადიციულად არსებული აზრის ანგარიშის გაწევას და პედანტიზმს. თუმცა ეს როდი გამოიციხავს ამ პრობლემის ორიგინალური კუთხით წარმოჩენას. რუმიც მისდევს მისტიციზმში არსებულ ზოგად გამოცდილებას და საკუთარი ხელწერით წარმოაჩენს მას. ამით უნდა აიხსნას სწორედ ამ საკითხის გაანალიზებისას რუმის ისეთი შეხედულებები, რომელიც ორთოდოქსალური ისლამის ჩარჩოებში ვერ თავსდება. არაა მართებული აზრი, რომ ჯეღალ ედ-დინ რუმის ღმერთი განსხვავდება ისლამის სინამდვილეში არსებული ღმერთისაგან და იგი უფრო ჰეგელის ღმერთს ჰვავსო⁶⁰. თუ კი მსგავსებაზეა ლაპარაკი, მაშინ უნდა ითქვას, რომ მეკლანას ღმერთი გაცილებით ახლოა და იდენტური კატაფატიკურ-აპოფატიკურ ღვთისმეტყველებაში შემუშავებული ღვთის ცნებისა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა რელიგიის ისტორიაში და განსაკუთრებით მტკიცედ დამკვიდრდა საშუალო საუკუნეების ქრისტიანულ თუ ისლამურ ეზოტერიზმში.

⁵⁷ იქვე, გვ. 270.

⁵⁸ جلا الدين الرومي، مثنوی منوی، سعی و اهتمام و تصیغ رینولد لین نیکسون،

წ. II, გვ. 280, ბ. 1716, 1933—1952 چاپ پروزه، შემდგომში: M. M.

⁵⁹ Averroes Abu-I-Walid. Muhammed., Tahafut al-Tahafut. (The incoherence of the in coherence). Transal, from the arabic with introduction and notes by Simon Van Den Berg, vol. 2, London, 1954, გვ. 163.

⁶⁰ Н. Одилов, Кяхонбинни Кхалолиддин Руми, გვ. 28.

უპირველეს ყოვლისა, რუმი ხაზს უსვამს ღმერთის ზებუნებრიობას, უხილადობას და უჩინარობას. არეოპაგელის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ის არის „უხილავ-უხილადობა“ ნათლისა შეუხებლისა, რამეთუ ზეშთაღმატების იგი ხილულსა ამას ნათელსა“⁶¹. პოეტი აკონკრეტებს, თუ რატომ არის ღმერთი უხილავი, და ამის საპასუხოდ რამდენიმე მიზეზს ასახელებს. პირველი მიზეზი დიალექტიკური აზროვნების საფუძველზე დაყრდნობით არის მოცემული. საერთოდ, რუმის აზროვნებაში ვხვდებით ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა დიალექტიკის ელემენტებს⁶². ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

რუმის მოაზრებით, ხილვადი სამყარო, მასში არსებული საგნები, საპირისპირო და საწინააღმდეგო მოვლენათა შეპირისპირებით და შეჭერებით, თეზითა და ანტითეზით წარმოიჩინდება. ხილვადი, ფერადი სამყაროს გამოჩინება ფერთა კონტრასტებითაა განპირობებული. სამყაროში არსებული ყველა ფერი: წითელი, მწვანე, ყვითლის და სხვათა საფუძველი სხივია, ღვთიური სხივი. რადგანაც ადამიანის გონება მთლიანად ამ ფერებშია ჩაძირული, ეს ფერები ხელს უშლიან მას აღიქვას ღვთიური სხივი; მაგრამ, როცა დაღამდება და ფერები წყლიადში შთაინთქმება, მიხედვით, რომ ფერის აღქმა სხივისგან არის⁶³. ამგვარად, საპირისპირო, საწინააღმდეგო სიბრტყეზე გადატანით შეიძლება აღიქვა ჰეშმარიტება ანუ თეზა ანტითეზის საშუალებით მტკიცდება. მაგრამ რუმის დიალექტიკური მსჯელობა აქ არ სრულდება. გარეგანი ფერი რომ არ იყოს, — ფიქრობს აგი, — საერთოდ შეუძლებელია ფერთა დანახვა. ზუსტად ასევეა შინაგანი წარმოსახვის (ილუზიის) ფერიც. პოეტი აზრით, არსებობს გარეგანი ფერები, რომლებიც მზისა და პოლარული ვარსკვლავის სხივით ანათებს, და შიდა ფერები, რომლებიც მალალ სხივთა ანარქულით ციალებენ⁶⁴. კვლავ დიალექტიკური შეპირისპირება შიდა და გარე ფერებისა, ხოლო ამ ფერებს შესაბამისად აღიქვამს გულის სხივი (შინაგანობა) და თვალის სხივი (გარეგანი გრძნობა). შემდეგ პოეტი კვლავ უბრუნდება ზემოთ ახსნილ საკითხს. და უკვე ჰირდაპირ ამბობს: „ღამით სხივი არ არის, ფერს ვერ ხედავ. ამ მიზეზით — საწინააღმდეგოთი (კონტრასტით) სხივი შენთვის ჩენილი ხდება“⁶⁵. ე. ი. არსებობს სხივით განპირობებული ხედვა და მერე ფერის დანახვა და ამას იგებთ სხივის საწინააღმდეგო, საპირისპირო ცნებით. შემდეგ მევლანა გვიხსნის, რომ ყოველივე ეს შექმნილია ღმერთის ნება-სურვილით. ღმერთმა შექმნა დარდი და ავადმყოფობა, რათა გულმა გაიგოს, რა არის სიამოვნებაო, და დასძინს:

ამგვარად მალული (საგნები) პირისპირდადებულით გამოჩინდება.
 რადგანაც ღმერთს არ აქვს საპირისპირო, ამიტომ მალულია.
 ჯერ იყო ხედვა სხივისა, მერე ფერისა,
 რადგანაც განრეზუმოდ შეხამებულია რუმი და ზანგი (თეთრი და შავი).
 ერთი სიტყვით, სხივის პირისპირდებულით გაიგე შენ სხივი,
 საწინააღმდეგო (თავის) საწინააღმდეგოს წარმოაჩენს.
 არსებობაში ღმერთის სხივს არ აქვს პირისპირდებული,
 რომ პირისპირდებულით შესაძლებელი იქნეს მიაი გამოჩენა⁶⁶.

⁶¹ პეტრე ი ბ რ ი ე ლ ი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), საღმრთო სახელათვის, გვ. 70კ.

⁶² იხ. ამის შესახებ: История античной диалектики, М., 1872.

⁶³ М. М., I, 55, 1121—1124.

⁶⁴ М. М., I, 55, 1125.

⁶⁵ М. М., I, 56, 1128.

⁶⁶ М. М., I, 56, 1131—1134.

პოეტი არაერთგზის აღნიშნავს ამ თეზას⁶⁷. მისი აზრით, ლმერთი არის აბსოლუტური სინათლე, რომელიც არ არის სახილველი იმიტომ, რომ არა აქვს კონტრასტული ფერი.

როცა რუმის ამ ხატოვან აზროვნებას ვეცნობით, უდავოდ თვალში გეცემათ ის მსგავსება, რომელიც არსებობს ამ საკითხის მოაზრებაში მასსა და ლაზარის შორის. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, პოეტი უშუალოდ უნდა ეყრდნობოდეს ფილოსოფოსს და მისი აზრის მხატვრულ ინტერპრეტაციას უნდა გვთავაზობდეს. ლაზარი ასე განმარტავს ამ საკითხს: „საგნები მქლავნდებიან, როცა მას უპირისპირდება რამე. მზე რომ ყოველთვის ანათებდეს, არ ჩადიოდეს, ჩვენ არასოდეს გვეცოდინება, რომ საგნებს აქვს სხვა ფერი, გარდა იმ ფერისა, მზის გასხივოსნებით რომ გააჩნიათ. როცა მზე ჩადის, ჩვენ ვიცით, რომ იგი არსებობს სხვა ფორმით და ამგვარად ჩვენ ვამტკიცებთ სინათლის არსებობას, რომელიც არის ყველაზე მკვეთრი გამოხატვა საგნებისა. ამგვარად, ლმერთი არის ყველაზე მკვეთრი გამოჩინება, მაგრამ გონება ვერ წვდება, რადგან არაფერი არ არსებობს, რაც შეიძლება მას დაუპირისპირდეს“⁶⁸.

პოეტი ლმერთისა და სამყაროს მიმართებას ზღვისა და ქაფის ხატოვანი მაგალითით გადმოგვცემს. ეს მისი საყვარელი ხერხია. კონტრასტული ფერები, — პირისპირდება თუ მსგავსება, — ეს არის ხილვადი სამყაროსათვის ნიშანდობლივი, ე. ი. ის განეკუთვნება ქაფს, ხოლო ზღვის არსს არც მსგავსი ჰყავს და არც პირისპირდებული. ლმერთი არის არსი, რომლისგანაც არსებობა იმოსება. — მექლანას აზრით, პირისპირდებული არ შექმნის თავის საწინააღმდეგოს, პირიქით, ისინი ურთიერთს გაუტრბიან. და თუკი სამყაროში ბალის ფოთლების დარად ურიცხვი ურთიერთის საპირისპირო და საწინააღმდეგო მოვლენები და არსებანი გვხვდება, ისინი მოგვაგონებენ ქაფს ზღვისას, რომელსაც არც მსგავსი გააჩნია და არც პირისპირდებული. ხოლო ზღვის ეს მოგება და შამათი (წაგება) უსაფუძვლოდ, არსებამოკლებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ისინი ზღვის არსს არ შეესაბამება.

ყველაზე უმდაბლესი ქმნილება, რაც ლმერთმა შექმნა, ეს არის შენი სული, რომელიც როგორც ვერ აიხსნება⁶⁹. მითუმეტეს ვერ აიხსნება ამ თვალსაზრისით მისი შემოქმედი, რომელიც არის აბსოლუტურად მარტივი და ყოველგვარ სამყაროს მიღმა დგას. არც იმ სამყაროშია, არც იმ სამყაროს მიღმა... ფიქრის სამყაროშიც ვერ დაეტევა. ვერც ერთი სამყარო მას ვერ მოიცავს⁷⁰. საერთოდ, მისტიკოსების აზრით, ლმერთი მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის⁷¹. ის ვერ ეტევა აზრის სამანებში და ვერც მიზეზებით აიხსნება⁷². ცხადია, იგი ვერ დაეტევა გონების სასწორზედაც, დაამტკიცეს მას⁷³. ის არ არის დასაზღვრული სივრცის ჩარჩოებით. მას არც ზედა აქვს, არც ქვემო. ლმერთს არ აქვს ადგილი. ის ცაზეც არ არის. მას ცა ვერ მოიცავს⁷⁴. ლმერთს ვერ საზღვრავს

⁶⁷ M. M., IV, 1148, 2152; 80-1330, حواش بدیع الزمان فوازآفر، طهران، و حواش بتصحیحات مولانا جلال الدین، کتاب فیہ مافیہ، با تصحیحات

⁶⁸ Ma q s a d, გვ. 66, ციტირებულია: E. Meyerovitch-ის დასახ. ნაშრომის მიხედვით, 33-168.

⁶⁹ M. M., IV, 112, 1218.

⁷⁰ F. F., გვ. 99.

⁷¹ Н. Поздnev, Дервиши в мусульманском мире, Оренбург, 1886, გვ. 88.

⁷² M. M., III, 448, 1242.

⁷³ M. M., IV, 644, 379.

⁷⁴ F. F., გვ. 212.

ვერც დროის ჩარჩოები. ღმერთის გვერდით არც დილაა, არც საღამო: წარსული, მომავალი, ეზელი და ებეთი იქ არ არის. დროით და სიერციით სამანდაულებელ სამყაროში მათ ადგილი არ აქვთ⁷⁵. ღმერთს არა აქვს არავითარი თვისება (نقص), და მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი მაგალითებით წარმოსახვა, როცა გასურს სიტყვით გადმოსცე ის⁷⁶. მართალია, ჯეალ ედ-დინ რუმის აზრით, ღმერთს მას ეტყვიან, ვინც უადგილოა⁷⁷, მას ვერავითარი ცა ვერ დაიტევს. მაგრამ მას ცასთან, როგორც შენთან, აქვს ხელშეუხებელი და აღუქმელი კავშირი. ყოველივე მისი ძალის ხელთაა. ყველაფერი მისი მიღწეული, მის ბატონობაშია. ამგვარად. ის არსებობის მიღმა არ არის, მაგრამ მათშიც არ არის. ანუ ისინი მას ვერ მოიცავენ, მაშინ, როცა ის ყოველივეს მოიცავს, იტევს⁷⁸. ასეთია უარყოფითი ატრიბუციით მიღებული დასკვნა, რომელიც გადადის შემდგომ დადებით ღვთისმეტყველებაში.

ჯეალ ედ-დინ რუმი ასახელებს უჩინარობის კიდევ რამდენიმე მიზეზს. ჯერ ერთი. ღმერთი ძალზე ნატიფი და ჰაეროვანია...⁷⁹ თუ აზრის ხილვა არ შეიძლება, მითუმეტეს, არ შეიძლება მისი შემქმნელის ხილვა. მეორეც, ღმერთი ძალიან ახლოსაა. განუყოფელია ადამიანისაგან და სწორედ ეს სიახლოვე უშლის მის აღქმას ხელს. „ღმერთი ძალიან ახლოა შენთან. თუ რამეს ფიქრობ, თუ რამეს აკეთებ, ის შენთან არის. რადგან შენი ფიქრის, ოცნების შემქმნელი ის არის, შენი შემწყეც ის არის. მაგრამ, რადგანაც ძალზე ახლოა, ვერ ხედავ. რა გასაოცარი რამეა, ყოველ საქმეში ჰკუა შენთანაა, მასთან ერთად ეძლევი ხელმოსაყიდ საქმეს, მაგრამ ჰკუას სავსებით ვერ ხედავ, მხოლოდ შედეგით შეგიძლია იხილო⁸⁰. საერთოდ, ღმერთი ავსებს ადამიანის მეობას. „როგორ მოუხებო ჩემში ღმერთს? — კითხულობს ავგუსტინი, — არის კი ჩემში ადგილი, სადაც შეუძლია ღმერთს მოვიდეს? მე არ ვიქნებოდი, ჩემო ღმერთო, თქვენ რომ არ ყოფილიყავით ჩემში, ანდა მე არ ვიარსებებდი, მე რომ არ ვყოფილიყავი თქვენთან, რადგან ყოველივე არსებული თქვენშია და თქვენით არსებობს. სად მოგიხმო, როცა მე შენში ვარ და საიდან მოხეალ შენ ჩემში“⁸¹. უმეტრების გამო ადამიანი ვერ ამჩნევს, რომ ღვთით არის ავსილი და კითხულობს, სად არის ღმერთი? მუხლებამდე წყალში დგას და წყალი სურს. ცხენზე ზის და კითხულობს, ცხენი სად არისო... როგორც მარგალიტი ზღვაშია და კითხულობს, ზღვა სად არისო⁸². დაბოლოს, ღმერთი იმდენად მკვეთრი და კაშკაშა გამოსხივებაა. რომ მას ვერ აღიქვამს ადამიანი. ის არის სინათლე, რომელსაც ვერ ხედავს სხვა სინათლე, — ამბობს ავგუსტინი, — სინათლე, რომელიც აბნელებს ყოველგვარ სინათლეს, ... და ნათება, რომელიც აბრმავეებს ყოველგვარ გარეგულ ბრწყინვალეობას⁸³. როგორც არ შეუძლია ჩვენს თვალებს აღიქვას თვით სინათლის ბუნება, ე. ი. მზის სუბსტანცია, — წერს ორიგენი. — მაგრამ აღიქვამთ მის ბრწყინვალეობას, ანდა სხივებს, გადმოღვრილს

⁷⁵ M. M., VI, 1175.

⁷⁶ M. M., V, 841, 420.

⁷⁷ F. F., გვ. 212.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე, გვ. 213.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ Saint Augustin, Les Confessions, გვ. 66.

⁸² M. M., V, 874, 1075, 1077, 1080.

⁸³ Избранные сочинения Блаженного Августина, Ручная книга, ч. 4, გვ. 472.

ლოგიურად ყველა ცალკეული ინდივიდუმი „ის“-ის იდენტურია. ამგვარად, ღმერთი ყოველივეს საფუძვლადღებულია და არსებელია, მაგრამ ამის აღქმა უნდა შესძლო:

ის ხარ შენ, შენი არსებობაც, არარსებობაც მთლიანად მისგანაა,
მხიარულების და მწუხარების ძირითადი წყარო მთლიანად ის არის.
მაგრამ, თვალი არ გაქვს, რომ ის აღიქვა,
თორემ, თავიდან ბოლომდე მთლიანად ის არის⁹⁷.

ჯელალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში მოცემულია ღმერთის დადებითი და უარყოფითი ატრიბუტაციის შერწყმისა და ერთად წარმოდგენის ცდაც. პოეტი ახდენს კატაფატიკური და აპოფატიკური ღმერთისმეტყველების შეჭარბებას და შეგნებულად აერთიანებს მათ. ცხადია, ამით მას სურს ხაზი გაუსვას ღმერთის ყოველმხრივ სრულყოფილებას. სატრფო (ღმერთი) ჩენილიც არის და მალუ-ლიც⁹⁸. როგორც მარილი ქვამში, როგორც სული სხეულში — ყოველთაგან და ყველაფრისაგან აშკარად ჩენილია, მაგრამ, მაინც კვლავაც მალულია⁹⁹. ჩენი-ლი არ არის, მაგრამ ყველაფერი თვით ის არის¹⁰⁰. თვითონ უნიშნო, რომლის ასობით კვალი და ნიშანი მოჩანს¹⁰¹.

პოეტის გონების მტერიც და უქკუობის მიზეზიც სატრფო ღმერთია, რომლის ცნებაც მასში ისე დულს, როგორც ღვინო ქვევარში. „დასაწყისიც შენ ხარ, დასასრულიც შენ ხარ, — მიმართავს მევლანა ღმერთს. — ჩენილიც შენ ხარ, მალულიც. ფადიშაპიც შენ ხარ, სულთანიც. თანაც ჩაუში შენ ხარ და ფარდის გამწვევიც. კარგი თვისებაც ხარ, ცუდი თვისებაც. გულისმწველი და გულისწარმტაცი, თანაც მთვარის სახა ოუსუფი ხარ, თანაც უჩინარი და დამალული ეინმე ხარ... თან შორეული ხარ, თან ახლობელი, თან უწინარესი ხარ, თანაც უმეტესობა (მორჩენილი)... თან ნექტარი ხარ, თანაც სიტკბოება“¹⁰². მაგრამ, მევლანას მოაზრებით, ღმერთის არსი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მალული და ხილული ასპექტები. ორივე ასპექტის შემქმნელი ის არის. გარდა ამისა, ყოფნა-არყოფნის ცნებები არ მიესადაგება მას. რადგან თუ მას მოვიაზრებთ არსებულად (ჩენილად), მაშინ უნდა დავეუშვათ მისი დაკარგვის შესაძლებლობაც, არარსებობაც, რადგან არსებობა დიალექტიკური პრინციპით თავისთავად გულისხმობს პირისპირდებულ ცნებას — არარსებობას. ხოლო თუ ღმერთს წარმოვიდგენთ არარსებულად (უჩინრად), უნდა დავეუშვათ მისი ყოფნა (ჩენილობაც). მაგრამ, მევლანას რწმენით, ჯერ ერთი, პირისპირდებულს არ შეუძლია წარმოქმნას თავისი პირისპირდებული, მეორეც უფალი არ ქმნის თავის მსგავსს. ეს შეუძლებელია. მაშინ ის ყველაზე აღმატებული არ იქნება. მევლანა ასე განმარტავს ამ აზრს: „ღმერთი არც ჩენილია და არც გაუჩინარებულ-ლი. ორივეს შემქმნელი ის არის. ანუ ჩენილობაც მან შექმნა და გაუჩინარებაც. ასე რომ, ორივე ამ ასპექტის მიღმა დგას. რადგან, თუ კი არსებობა არის, არ უნდა იყოს გაუჩინარება. ხოლო თუ უჩინარობა არის, არ უნდა იყოს ჩენილო-

⁹⁷ K., გვ. 1457, რ., 1597.

⁹⁸ M. M., III, 452, 1419.

⁹⁹ შეადარე ჰერმესის დიალოგში თქმულს: „ასეთია უზეშთაესი ღვთაება, იგი უხილავია და თან ჩენილი. იგი გამოცხადება სულს, საჩინო ხდება ზედისათვის. მას არა აქვს სხეული და აქვს მრავალი სხეული...“ (B. Ш м а к о в, დასახ. შრ., გვ. 451).

¹⁰⁰ K., გვ. 227, ლ. 504.

¹⁰¹ K. გვ. 536, ლ. 1384.

¹⁰² K., გვ. 967, ლ. 2662.

პა. რადგან, თუ კი ჩენილია, უჩინარობაც უნდა ახლდეს. მაშასადამე, ის არ აღიწერება არც ჩენილობით და არც უჩინარობით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, საკირო იქნება დაეუშვათ, რომ პირისპირდებულმა შვას თავისი პირისპირდებული. რადგან უჩინარ მდგომარეობაში საკიროა, რომ მან შექმნას სიცხადე, ხოლო სიცხადე პირისპირდებულთა უჩინარობისა. ასევეა ზუსტად უჩინარობაც. მაშასადამე, შეუძლებელია, რომ საპირისპირომ პირისპირდებულ შვას და არც ის შეიძლება, რომ ქეშმარიტებამ თავისი მსგავსი შვას, რადგან ამბობენ, რომ „მისი მსგავსი არ არის“¹⁰³. მევლანა გრძნობს, რომ მისი მსჯელობა, რომელიც ამჟერად სოფისტურ დიალექტიკას გვაგონებს, არ არის დამაჯერებელი. ამ საკითხის გარკვევა ძალზე ძნელია და ის გონებით, რაციონალური აზროვნებით ვერ აიხსნება. აქ წინა პლანზე უნდა დადგეს რწმენა და ინტუიტიური აღქმა და არა ლოგიკური აზროვნება: „აქ მოხვედრი თუ არა, გაჩერდი. უკვე კჳუას ნუ აწვალებ, — ამბობს მოძღვარი. — აქ კჳუას ხელი არა აქვს“¹⁰⁴. საერთოდ, ღმერთის ხელოვნებაზე საუბარი ძნელია, ის სიტყვაზე გაცილებით მალა დგას და კალამსაც არ შესწევს ძალა, რომ მისი ნიშნები აღწეროს¹⁰⁵. ლუცი ასე მიმართავს ინიდას. „მე არ მაქვს იმდენად ძალოვანი ხმა, რომ ვთქვა ყოველივე, რას ვფიქრობ შენს მორკმულობაზე და, საერთოდ, ამისათვის აღამიანის მეტყველება სეკმარისი არ არის“¹⁰⁶. „საერთოდ, ღმერთი სიბრძნე, თუ მას საკუთარ ბუნებაში განვიხილავთ, ჩვენთვის მარად დარჩება შეუცნობელ რამედ“¹⁰⁷. ამით ხზნი ესმებოდა მის უზეშთაესობასა და სრულყოფილების იდეას. ერთი ბრძენი იმასაც კი ამბობდა, რომ: „Будь у меня Бога, которого я бы мог познать, не захотел бы я больше считать его за Бога“¹⁰⁸. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ღმერთი მევლანას მოაზრებით სავსებით დაკლილია სიერცობრივ ცნებისაგან... ის მთლიანად განწყენდილია მხარეთაგან. კჳუასაც კი არა აქვს მხარე, არა თუ ღმერთს, რომელიც არის მისი შემოქმედი. არცერთი ქმნილება არ არის, მასთან რომ არ იყოს დაკავშირებული... მაგრამ, ეს კავშირი აუხსნელია. ამ კავშირს გონება ვერ ჩასწვდება, რომელიც შეერთების და განშორების მიზეზებს იძიებს¹⁰⁹. ამიტომაც, — გვამცნობს პოეტი, — მუსტაფამ ანდერძი დაგვიტოვა: „ღმერთის არსზე ბევრი არ იმსჯელოთ“. მართლაც, ღმერთის არსზე ფიქრი, სინამდვილეში მის არსზე ფიქრი არ არის, რადგან მაფიქრალის აზრი და ფიქრი მხოლოდ გზას ეხება. იმ ფიქრსა, აზრსა და ღმერთს შორის ასიათასობით ფარდაა. ყველა ფარდაჩამოფარებული ფიქრობს, ღმერთს მივალწიეო, მაგრამ რასაც ღმერთად მიიჩნევს, ის მხოლოდ წარმოდგენაა¹¹⁰. მაშასადამე, ჭელალ ედ-დინ რუმის მოძღვრებაში აბსოლუტური ქეშმარიტების არსი შეუცნობელია გონებისათვის... ჩვენ შეგვიძლია აღვიქვათ მისი ნამოქმედარი და მისი საოცარი ქმნილებანი და ასე

¹⁰³ F. F., გვ. 197.

¹⁰⁴ იქვე.

¹⁰⁵ M. M., IV, 810, 3732—33.

¹⁰⁶ M. C. Корелии, Падение античного мирозерцания, С.-Петербург, 1901, 33.

¹⁰⁷ Э к х а р т с г а у г е н, Ночи или беседы мудрого с другом. С.-Петербург, 1804,

33-42.

¹⁰⁸ M. Э к х а р т, Проповеди и рассуждения. Об обновлении духа (перевод со средне-верхненемецкого Савомниковым) М., 1912, გვ. 147.

¹⁰⁹ M. M., IV, 808, 3695—3699.

¹¹⁰ M. M., IV, 1700—3703.

წარმოვლდინოთ მისი სიდიადე¹¹¹. ე. ი. ჩვენ გონებას შესწევს უნარი აღიქვას ის, რაც არ არის ღმერთი, და არა ის, რაც ის არის¹¹². მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია ატრიბუტების საშუალებით ვისაუბროთ მასზე, მაგრამ, ვერც ერთი ატრიბუტი მაინც ვერ ასახავს მის არსებას. პლოტინი წერდა: უმაღლესი საწყისი „Πενερχουσ, не выражимое, так как какое бы наименование мы ни дали ему, это наименование будет означать всегда нечто одно определенное из чисел много подобного... всякое наименование взятое оттуда, не приложимо к нему, так как выражаем всегда не то, что он есть, а то, что он не есть“¹¹³. საერთოდ, ღმერთმა შექმნა თავისი სახელი სარკედ ადამიანისათვის. როცა იგი (ადამიანი) იყურება მასში, მან იცის ქეშმარიტად, „რომ ღმერთი იყო და სხვა არაფერი იყო გარდა მისი“, და როცა იგი გამოჩნდება, მისი სმენა არის ღმერთის სმენა, მისი ხედვა არის ღმერთის ხედვა. მისი სურვილი — ღმერთის სურვილი და ა. შ.¹¹⁴. ატრიბუტების საშუალებით ესენცა გამოვლინდება გარე სამყაროში, ე. ი. ისინი არიან აზრის ფორმები, რომლებითაც აზრი გარე გაცხადებულია. მაგრამ ატრიბუტები სხვადასხვაგვარნი არიან. ერთნი — ღრობებით-ყოფით ამბავთა მსგავსნი — და მეორენი — მარადიულნი, ღვთიურნი. როცა უკანასკნელი გამოჩნდება, წვავს და ანადგურებს ეამურ ატრიბუტებს¹¹⁵. გარდა ამისა, ანთროპომორფული თვისებები (მაგ., ხედავს, ესმის), რომლებიც ღმერთმა მორწმუნეს შესაშინებლად მიუსადაგა თავს. რათა ის (მორწმუნე) ცუდ საქმეს არ მიეცეს, საესებით ვერ გადმოგვეცემენ ესენციის არსს. მათი მიმართება ღმერთთან ისევე მართებულია, როგორც შავს თეთრი (ქაფური) უწოდო. ღმერთის სახელები ატრიბუტებისაგან იქმნება, ღმერთის ატრიბუტებისაგან, რომლებიც მარადიულნი და უსაწყისონი არიან. მათ არავითარი კავშირი არა აქვთ გონის მიერ შექმნილ გარდამავალ და ეამიერ ატრიბუტებთან¹¹⁶. მაგრამ სუფიების აზრით, ღვთიური ატრიბუტებიც ვერ გვექმნიან ნამდვილ წარმოდგენას ქეშმარიტებაზე¹¹⁷. მეკლანას რწმენით, ღვთის სახელები ბადებენ ილუზიას, რომელიც გვადგება მხოლოდ შეერთების არგუმენტად. ის წერს:

ატრიბუტისგან და სახელისგან რა წარმოიქმნება, ილუზია,
და ეს ილუზია არის მხოლოდ შეერთების არგუმენტი¹¹⁸.

მაგრამ არის მრავალი მანიშნებელი არგუმენტი, რომელსაც აზრი არა აქვს. განა არ არის ისეთი სახელი, რომელიც ქეშმარიტებას არ მოიცავს. განა „ქაფი“ და „ლამი“ ასოებით ვარდი შეიკრიბება?¹¹⁹ სახელმა უნდა მიგვიყვანოს სა-

¹¹¹ M. M., IV, 809, 3708.

¹¹² M. Э х а р т, Проповеди и рассуждения. О разумении и молчание его, გვ. 85.

¹¹³ Избранные трактаты Плотина, Вера и разум, 1898, № 11, გვ. 458.

¹¹⁴ R. Nicholson, Studies in Islamic Mysticism, გვ. 93.

¹¹⁵ M. M., III, 451, 391.

¹¹⁶ M. M., IV, 636, 215—220.

¹¹⁷ ათორი უარყოფს ღმერთის სახელებს. მისი აზრით, ატრიბუტებით წარმოდგენილი ღმერთი — უნე ილუზია. იხ. A. М у х а м а д х о д ж а е в, Мирозаврение фюрриджина Аттора, Душанбе, 1974, გვ. 42.

¹¹⁸ M. M., I, 171, 3454.

¹¹⁹ სპარსულად ვარდს ეწოდება گل მინიშნებაა ამ სიტყვის შემადგენელ ასოებზე, რომელიც ვარდის მნიშვნელობას გადმოგვეცემს.

ხელწოდებულთან, ამიტომ უნდა განიწმინდო ყოველგვარ ილუზიათაგან და მთვარე ცაში ეძებო და არა მდინარეში¹²⁰.

ჩველად ედ-დინ რუმის მსჯელობით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების არსი მიუწვდომელია გონებისათვის. ის თავისთავად, როგორც სუბსტანცია-ესენცია, აუხსნელია. მაგრამ მას აქვს ატრიბუტები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მასზე. თუმცა ეს წარმოდგენა მისი არსის იდენტური არ არის. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მევლანას არ სჩვევია სწორხაზოვანი აზროვნება. ის ამა თუ იმ საკითხის მოაზრებას სისტემურად არ აყალიბებს, როგორც ჭეშმარიტი მხატვარი ხან ერთი კუთხით აღიქვამს საძიებელ საგანს, ხან მეორე კუთხით, ეძიებს, შფოთავს. ზოგჯერ ამ ძიებაში იბნევა, ვერ გადაუწყვეტია და ღმერთს შესთხოვს დახმარებას. ერთ-ერთ ღაზელში მევლანა ღმერთზე საუბრობს და ამბობს, რომ ერთი ზღვაა, რომელიც ჩვენგან შორს არ არის, თუმცა არ ჩანს, მაგრამ არც მალულია. თან რომ თქვა, ნება არ გაქვს. თანაც არ თქმაც ურწმუნობაა. მასზე საუბარი თეზბიძია, ღუმელი კი თათილი¹²¹. ორთოდოქსალური ისლამის თვალსაზრისით ორივე მიმართულება მცდარია, ჭეშმარიტი გზისაგან გადახვევაა. ამიტომ მევლანა საკითხის გადაწყვეტას ეზოტერიზმში პოულობს. რელიგიას აქვს თავისი ღრმა, უჩინარი განვითარება, რომლის არსის გასარკვევად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გარეგნულ, დოგმატურ მხარეს. ჩველად ედ-დინ რუმის მოაზრებით, კატაფატიკური და აპოფატიკური ღმრთისმეტყველება გვიხატავს ღმრთის მორჭმულობას, სიღიადეს, მაგრამ ის მაინც ვერ გადმოგვცემს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსს. მისი სიტყვიერი გადმოცემა, ანდა რაციონალური მოაზრება ყოვლად შეუძლებელია. ამგვარად, არსებული მნიშვნელობა არა აქვს, რა წარმოდგენის ვიქნებით ღმერთზე; წარმოვიდგენთ მას აბსოლუტურად ტრანსცენდენტალურად, ყოველ თვისებათაგან განწმენდილად, თუ წვერებიან და თმაგაწევილ ინდივიდუუმად, ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ესენციის ფორმას და არა არსს. ამიტომ მორწმუნეს მთავარი და შინაგანი მიზანია გულწრფელად უყვარდეს ღმერთი. ხოლო მის სიტყვიერ მტკიცებას და უფლის დახასიათებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ აზრს მევლანა ძალიან ნათლად გადმოგვცემს „მუსას და მწყემსის ჰეჰაიეთში“¹²². « მუსამ ერთი მწყემსი ნახა, რომელიც ასე მიმართავდა ღმერთს: „ეი, მწყალაბელო უფალო, სად ხარ, რომ მტლად დაგედო, ქალამები შეგიკერო, თმები დაგივარცხნო, ტანსაცმელი შეგიკერო, ტილები მოგიხილო... რძით გაგიმასპინძლდე... ხელები დაგიკოცნო, ფეხები დაგბანო“¹²³. მუსამ ამ სიტყვების გამო სასტიკად გაიცხა მწყემსი და აუხსნა, რომ ასეთი ანთროპომორფული თვისებანი არამც და არამც არ მიესადაგება ღმერთს. მწყემსი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მაგრამ, ღმერთი საყვედურობს მუსას, რომელმაც მონა განაშორა მას. უფალი უხსნის მოციქულს, რომ მან სხვადასხვა აღამიანს სხვადასხვა თვისება და ტერმინი (გამოთქმა) მიანიჭა. ზოგს რომ ქებად ეჩვენება ის, სხვას ლანძღვად მიანიჭა. თვით ღმერთი კი განწმენდილია სიბილწისაგანაც და სიწმინდისაგანაც. ამიტომ ამბობს უფალი:

¹²⁰ M. M., I, 171, 3452—58.

¹²¹ K., გვ. 662, ლ. 1808.

¹²² M. M., II, 280, 285, 1720.

¹²³ M. M., II, 280—81, 1720—1723.

ჩვენ ენას და სიტყვას არ ვუყურებთ
ჩვენ გულსა და მდგომარეობას ვაკვირდებით¹²⁴.

ამგვარად, მევლანას აზრით, მთავარია ადამიანის რწმენა, რომლის საყრდენიც არის გული და არა ის, თუ რას ამბობს გარეგნულად მისი ენა. „რადგანაც გული არის ჭევეჭერი — ესეცნია, ხოლო სიტყვის თქმა არაზი — ვარდამავალი თვისებაა. ამდენად, არაზი არის ნასესხები თვისება, როცა ჭევეჭერი არის მიზანი“¹²⁵. მიზნის კატეგორია კი უმაღლესია ქელალ ელ-დინ რუმის აზროვნების სისტემაში. საკითხის ამგვარ გაშუქებას სხვაგანაც ვხვდებით. ღმერთი ამბობს: „მე მონის აზრთან ვარ. სადაც ჩემი მონის ფიქრია, იქა ვარ მე; მე, როგორც მომიზრებს, ის ვარ მე. ყველა მონას სხვადასხვა ფიქრი აქვს, სხვადასხვა წარმოდგენა; იგი მე როგორც წარმომიდგენს, ის ვარ მე“¹²⁶. ეს არის ეზოტერული აზროვნების უმაღლესი საფეხური, სადაც უგულვებელყოფილია ყოველგვარი გარეგნული, დოგმატური, და შინაგანი რწმენის ღირებულება წამოწყულია წინა პლანზე.

ამგვარად, ქელალ ელ-დინ რუმის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ღმერთის ცნების განსაზღვრას და იგი წარმოჩენილია საშუალო საუკუნეების ამ საკითხთან არსებული ტრადიციული აზროვნების მსგავსად. პოეტი აჭერებს სიმბოლიზმისა და აბსოლუტური ტრანსცენდენტალიზმის გზას და ღვთის ცნების განსაზღვრისას მიმართავს როგორც კატაფატიკურ, ასევე აპოფატიკურ ღმერთისმეტყველებას. ხშირად შეგნებულად აჭერებს პირისპირდებულ ნიშნებს და ატრიბუტებს. მაგრამ პოეტი ღვთის ცნების მოაზრების უკანასკნელ საფეხურზე ასკენის, რომ ვერაუფითარი ატრიბუტები ვერ ასახავენ კეშმარიტების არსს და ამდენად მთავარია ღვთის კეშმარითი სიყვარული და არა მასზე შექმნილი სიტყვიერი წარმოდგენა.

¹²⁴ M. M., II, 282, 1759.

¹²⁵ M. M., II, 282, 1861.

¹²⁶ F. F., გვ. 49.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჩიქიამ)

М. Р. НАТАДЗЕ

О СОЦИАЛЬНОЙ ОБУСЛОВЛЕННОСТИ СТИЛИСТИЧЕСКИХ ОКРАСОК¹

Большинство исследований по стилистике отдельных языков, как же, как и общим вопросам стилистики, оперирует терминами «стилистической окраски», «эмоциональной окраски», «экспрессивной окраски». Понятие, обозначаемое этими терминами, есть одно из основных и наиболее продуктивных понятий лингвистической стилистики. Объем этого понятия, несмотря на неоднородность терминологии, более или менее един как для разных авторов, стремящихся обосновать цель и методы стилистики, так и для непосвященных лиц, исходящих из общераспространенного и не имеющего научного обоснования употребления слов «стиль» и «стилистика» (хотя логическое содержание этого понятия не всегда едино и не имеет точного определения).

Под «стилистической окраской» слова или грамматической формы обычно разумеется способность этой формы или слова придавать письменной или устной речи тот или иной стиль в распространенном, повседневном значении этого термина. Наиболее простым и четким примером этого явления (к тому же наиболее часто приводимым в стилистических исследованиях) служит специфическая роль определенной группы слов в современных развитых языках (например архаизмов), одно употребление которых придает высказыванию определенное звучание (торжественное, высокопарное, прощическое — смотря по контексту, но никогда совершенно нейтральное), т. е. выражает определенное эмоциональное отношение автора к объекту высказывания, к самому высказыванию или его адресату. (Напр., „heed“ вместо „pay attention“, „thrall“ вместо „slave“, „Minne“ вместо Liebe“, „Lenz“ вместо Frühling“, „око“ вместо «глаз» и т. п.² Слова эти употребляются не во всех контекстах, а лишь в некоторых и всегда с их употреблением сопряжен определенный дополнительный оттенок, определенная эмоция. Следовательно, слова эти не нейтральны, они несут в себе определенный эмоциональный заряд, который и принято называть стилистической окраской. Лексика, грамматические и фонетические явления с более или менее сходной стилистической окраской объединяются (более или менее схематично) в стилистические пласты³ языка. Лексика, грамматический и фонетический инвентарь и фразеология современных развитых языков состоят из разного числа подобных пластов. Это есть основной языковой факт, на существо-

¹ Основные положения этой работы доложены автором на Межвузовской конференции по вопросам стилистики художественной литературы, МГУ, 1. 1961.

² Мы для простоты изложения даем самые элементарные примеры. В действительности, конечно, стилистические окраски много разнообразнее и сложнее.

³ Термин «пласты» (strata) употребляется уже у Исеперена: O. Jespersen, Man, kind, Nation and Individual from a Linguistic Point of View, L., 1940.

вании которого основывается стилистика, как лингвистическая наука. Цель нашей статьи — интерпретировать некоторые аспекты этого факта, рассматривая его с точки зрения его социальной сущности, — его объективности (т. е. объективности наших суждений о нем) и его места в системе языка.

Первая и простейшая теоретическая проблема при рассмотрении стилистических окрасок появляется уже тогда, когда мы оказываемся перед задачей классификации этих окрасок. Конечно, для любого человека, владеющего тем или иным языком не будет представлять никакой трудности сгруппировать слова и выражения родного языка, более или менее однородные стилистически. Например, любой англичанин не задумываясь скажет, что глагол «heed» и форма «dolt» стилистически более или менее однородны, но тот же глагол «heed» не имеет ничего общего со словом «brick» в значении «добрый парень», или с выражением „to speak Tommy-tot“, „lousy“ и др. Однако, когда его попросят обосновать свое решение он может ответить исходя из двух совершенно различных принципов. Он может сказать: „heed“, „dolt“ — высокопарно, „brick“ — фамильярно, просто, „lousy“ — вульгарно или „heed“, „dolt“ — достойные поэзии, „brick“, „lousy“ — это словечки слэнга. В этих двух ответах уже даны два противоположных принципа классификации «стилистических окрасок» — дискутируемых и практически применяемых в описании стилистических средств языков. Один исходит из эмоционального содержания, т. е. классифицирует стилистические окраски по содержанию той эмоции, которую они выражают (торжественность, проза, сухая официальность и т. п.). Другой, наоборот, исходит из сферы употребления специфических слов и выражений, и объединяет в отдельные группы поэтизмы, жаргонизмы⁴ и т. д.

Со строго лингвистической точки зрения вопрос правомерности, вернее, последовательности этих противоположных двух принципов не представляет никакой проблемы. Если языкознание есть наука о языке, (а не о его применении), т. е. об объективно существующей системе знаков, которая обязательна для всех говорящих и не зависит от воли ни одного из них, то стилистика в качестве лингвистической дисциплины, может иметь дело только с явлениями, которые также обязательны для говорящих и не зависят от воли каждого из них. Таковыми же в языке являются лишь интенсивность и содержание той дополнительной эмоции (т. е. стилистической окраски), которой наделены то или иное слово, грамматические формы или выражения, а не их употребление в той или иной сфере функционирования языка⁵. Никто не может употребить стилистически нейтральное (не имеющее дополнительного эмоционального заряда) слово как стилистически окра-

⁴ Принципы классификации пространно обсуждались в ходе дискуссии на страницах журнала „Советское языкознание“ 1954, №1—12. Точку зрения автора на этот вопрос см.: М. Натадзе, к вопросу о классификации и генезисе стилистических пластов языка, (на груз. яз.). Тезисы V научной сессии факультета западноевропейских языков и литературы ТГУ, Тб., 1966.

⁵ Взгляды автора по вопросу объекта стилистики см.: М. Р. Натадзе: К вопросу о стиле речи и стилистической потенции языка», Тезисы доклада на межвузовской конференции на тему «язык и речь», М., МГПИИЯ, 1962; О литературоведческой и лингвистической точке зрения в стилистике, (на груз. яз.) Труды ТГУ, т. 106, 1964; О преподавании стилистики — на материале иностранных языков (на груз. яз.), Первая научно-методическая конференция ТГУ (тезисы), Тб., 1963.

шенное и наоборот. В обоих случаях слушатель или читатель поймет не то, что хотел выразить говорящий, т. е. произойдет потеря информации, пострадает коммуникация. Распределение же тех или иных слов и выражений по той или иной сфере применения языка (по жанрам) в принципе условно, традиционно, но ни в какой мере не обязательно для пишущего или говорящего. Каждый волен использовать при заказе обеда поэтическую лексику, или стоя на кафедре употреблять жаргонные выражения. Некоторое чувство несоответствия у слушателей будет, но потерн информации не произойдет, коммуникация не пострадает, а следовательно, нормы данного языка, которые независимы от каждого и обязательны для всех, нарушены не будут. Это значит, что единственно языковой классификацией стилистических окрасок является классификация по содержанию эмоции, а не по применению в тех или иных «жанрах».

Однако жанровая классификация стилистических окрасок имеет свое оправдание в том факте, что исторически наличие той или иной стилистической окраски языкового факта, как правило, обусловлено его употреблением в той или иной сфере применения языка. Например, архаизмы во многих современных языках потому и окрашены стилистически, что мы привыкли их встречать не всюду, а лишь в древних текстах, в поэзии, летописях и т. п. То же самое можно сказать и о словах с сухо официальной стилистической окраской (их мы привыкли встречать в «сухом» языке бюрократии), о жаргонных выражениях и т. п. Поэтому не случайно, что попытки жанровой классификации стилистически окрашенного материала языка дают результаты, ценные с точки зрения классификации по содержанию дополнительной эмоции.

Это уже вплотную подводит нас к вопросу о степени и характере социальной обусловленности стилистической окраски, т. е. основному для каждого элемента языка вопросу, от решения которого зависит, принадлежит ли этот элемент действительно языку, т. е. является ли он частью системы, имеет ли он санкцию языкового коллектива и является ли наше суждение о нем соответствующим суждению коллектива, т. е. правильным. Итак, в чем состоит социальная обусловленность стилистической окраски языкового факта и бытования ее в современном языке?

Основной фактор, определяющий существование стилистических окрасок и стилистических пластов в языковом сознании каждого из нас, это тот общий фактор, который определяет существование в нашем сознании всех языковых фактов вообще: звуковые комплексы («стол», «стул», и т. д.) и их значения, включая все возможные нюансы, мы воспринимаем из коммуникации, воспринимаем в процессе практического овладения языком. Точно также слова „response“ и „answer“, „Leu“ и „Löwe“ каждый, для кого английский и немецкий язык родной, слышал в разных смысловых и эмоциональных контекстах и вместе с логическим смыслом этих слов воспринял и их эмоциональный оттенок, т. е. их различную стилистическую окраску. Никакого дополнительного фактора, никакой дополнительной информации об истории слов „response“ и „answer“, „Leu“ и „Löwe“ для этого не потребовалось. Если допустить гипотетический случай, что индивид вырос в однородной по образованию и по социальному положению среде, говорящей на каком-нибудь определенном языке, и никогда не имел общения с другими сферами применения того же языка (включая словесность), то этот индивид может иметь такое же полное знание всех стилистических окрасок в этом языке, какое имеем мы

в нормальных условиях. Однако, это только теоретически. Фактически в восприятии индивидом стилистических окрасок слов данного языка, т. е. в существовании этих окрасок в его языковом сознании не менее, если не более важную роль играет и другой фактор—сравнение, сопоставление не разных смысловых и эмоциональных контекстов (как в вышеуказанном гипотетическом случае), а разных сфер применения языка, «жанров», где употребительны те или иные различного рода слова, формы и выражения. Например для постижения стилистической разницы между словами «щека» и «лапты», «wald» и «Hain», вовсе не обязательно уметь слышать стилистически различное их употребление в устах своих знакомых — для этого вполне достаточно знать поэзию более ранней эпохи, или церковно-славянский язык, или язык рыцарства и Миннезанга, или какой-нибудь специфический жанр, где слова эти употребительны. Употребление этих слов в современном тексте или в устной речи будет воспринято с одинаковой стилистической окраской всеми, знющими русский и немецкий языки и их вышеуказанные специфические жанры. Для этого не потребуется никакого предварительного соглашения между ними в виде языковой привычки (зууса). Точно так же, если достаточное количество говорящих на данном языке знает какой-нибудь специфический жаргон (например, воровской), употребление жаргонной формы (скажем, при обсуждении этических проблем) произведет на каждого из них одинаковый эмоциональный эффект (цинизма и т. п.), даже если это слово до того, со стилистической функцией никогда не употреблялось.

Итак, наличие у слов и оборотов стилистических окрасок есть результат сравнения, сопоставления двух сфер применения языка, или, что то же самое, языков, применяемых в двух различных сферах. В приведенных выше примерах рождение стилистических окрасок произошло в синхронии: (т. е. на одном данном этапе развития языка). Но как происходит рождение стилистических окрасок в диахронии, т. е. исторически?

Как было сказано выше, в развитых современных языках мы имеем множество слов, грамматических форм и выражений, стилистическая окраска которых нам дается не из сравнения и сопоставления, которое мы производим сегодня, а унаследована от прошедших поколений вместе с самим словом или грамматической формой. Например, читая строку Уланда „Jung Siegfried den Hammer wohl schwingen kunt“ или Шелли: „And singing still dost soar, and soaring ever singest“, или Гейне: „Ihr goldnes Geschmeide blitzet“ мы совершенно ясно и в полном соответствии с замыслом автора ощущаем стилистическую окраску слова „Geschmeide“, форм „dost“ „kunt“, флексии „est“, не производя при этом сопоставления современного немецкого и английского языков с той сферой их применения, где эти слова и формы были нормальны, т. е. нейтральны. Стилистическая окраска этих языковых элементов нам уже дана в готовом виде. Но это возможно только потому, что такое сопоставление уже проведено в более раннюю эпоху, когда эти архаизмы впервые получили право гражданства (в литературном языке и через литературный язык) в качестве стилистических синонимов. Точно также фраза «немые стогны града» в русском языке имеет резкую стилистическую окраску, хотя для восприятия этой окраски вовсе не нужно вспоминать о церковно-славянском: сопоставление с церковно-славянским, о котором идет речь, было проведено в эпоху Пушкина и немного раньше его, и в современном русском языке остался лишь результат этого сопоставления. В современном грузинском языке

т. н. инверсивный порядок определяемого и определяющего (существительное — прилагательное, а не наоборот) имеет четко выраженную стилистическую окраску. Однако для современного языка это в конечном счете наследие романтической поэзии начала XIX в., введенной в современный грузинский язык этот архаизм со стилистической функцией. Существование каждого или почти каждого элемента в языке, стилистическая окраска которого нам сегодня дается непосредственно, а не путем сопоставления разных сфер применения языка, предполагает подобное сопоставление в какую-то более раннюю эпоху. Таким образом, сопоставление различных жанровых особенностей языка, различных сфер применения языка, является если не единственным, то во всяком случае основным источником рождения в нем стилистических окрасок. С очень незначительным преувеличением можно сказать, что в языке нет стилистически окрашенного, т. е. несущего качественно-определенную дополнительную эмоцию слова, формы, оборота, которые бы предварительно не существовали в обращении как стилистически нейтральные слова, формы, обороты. Чем шире и многостороннее применение языка в настоящем (производство, сельское хозяйство, наука, искусство, армия, флот, салон, богема, учащаяся или «золотая» молодежь, улица, городское дне и т. п.), чем больше непрерывная традиция языка в прошлом, тем богаче язык стилистически. Поэтому, например, в отличие от развитых современных литературных языков, имеющих богатую историю и широкую область применения, а следовательно и множество стилистических пластов (высокопарность, вульгаризм, официальность и пр.) английский язык Шекспировской эпохи, не имеющий ни непрерывной традиции, связующей его с ранними ступенями развития английского литературного языка, ни такой широкой сферы применения, почти лишен упомянутого богатства стилистических пластов.

Итак, стилистические окраски того рода, о котором мы говорили, по природе своей социальны. Они происходят из коммуникации, из применения, которое в конечном счете обуславливает их кажущуюся мистическую эстетическую ценность.

Между прочим, игнорирование фактора социальной обусловленности является одной из причин субъективизма и расплывчатости в толковании стилистических категорий. Так, стилистические оттенки, исторически совершенно однозначно обусловленные причинами социального порядка, Дойчбайном⁶ толкуются в духе недоказанных и, на наш взгляд, недоказуемых категорий лаконичности („Kürze“, „shortness“ „brevity“), силы, динамики („Kraft“, „vigor“ „energy“), сосредоточенности („Knappheit“, „Gedrungenheit“, „Dichte“, „conciseness“ „compactness“), по которым якобы один язык отличается от другого. Например, автор утверждает, что англо-саксонские слова, будучи как правило более короткими, для англичанина „сильнее“ и „более насыщены энергией“, чем романские, которые „бесцветны и неопределенны“ (farblos und unbestimmt). Эти односторонние англо-саксонские слова, мол, создают „мужественную силу“ английского языка. Однако, каким бы ни было субъективное восприятие „силы и насыщенности“ первого члена таких пар, как „end“ — „termination“, „deep“ „profound“, „hide“ „conceal“, и т. д., причины этой стилистической дифференциации кроются совсем не там, где их ищет автор.

⁶ M. Deutschbein, Neuinglische Stilistik, Leipzig, 1952.

Во-первых, большинство из приводимых автором романских слов соответствует международным латинским терминам, и этого вполне достаточно, чтобы придать им о тенок логической сухости и бесцветности. Во-вторых, как указано еще у Йесперсена⁷, еще в эпоху Шекспира сопоставление французских и английских синонимов давало эффект контраста „высокопарности“ и просторечья. Если бы мы ничего не знали об истории английского языка, нам бы пришлось искать объяснения „силы“ приведенных слов в их краткости или мистической силе их звуков. А это значит, что где мы не знаем социальных причин стилистических окрасок этого рода, мы должны предполагать их существование и их искать.

Говоря о социальной обусловленности стилистических окрасок, трудно не упомянуть классический труд Ш. Балли⁸, где обширно трактуется сущность и механизм этой обусловленности. Балли различает собственно эмоциональную окраску языковых фактов от социальной, подразумевая под второй ту стилистическую окраску, о которой мы говорили...⁹ Однако с автором трудно согласится в том отношении, что социальная (т. е. стилистическая) окрашенность языковых объектов, по его мысли, характеризует говорящего и его среду. Нам кажется, это не совсем точным — социальная стилистическая окраска, судя строго синхронно, уже есть знак дополнительной эмоции (которая определяется средой), а не самой среды.

В силу той же социальной обусловленности существующих ныне стилистических окрасок допустимо теоретически, что существование их явление **вторичное**, появившееся на определенном этапе развития общества и общественных (социальных) отношений, а, следовательно, на соответственном этапе развития языка, обслуживающего данное общество. Одной из основных причин этого явления, наряду с социальной дифференциацией самого общества, можно считать разветвление человеческих отношений в обществе, породившее потребность более тонких языковых distinctions — эмоциональных (типа „map“ — „individual“ „Gesicht“ — „Anlitz“ — „Fratze“, „пришел“ — „явился“, „დაჯიბი“ — „დაბრძობა“...) вдобавок к уже существующим с момента появления языка „основным“ предм. т.е. логическим distinctions.

Следовательно, наличие стилистических окрасок не представляется обязательным условием существования языка как семиологической системы и изучение этого явления также не представляется обязательным для уяснения **первичной природы** и возникновения этой системы.

Однако это не значит, что стилистические окраски не являются органическим, значимым элементом системы развитых современных языков. Раз появившись веледствии сдвига языковых значимостей, стилистическая окраска, как новое **«измерение»** присущее всем языковым объектам, становится неотъемлемым внутренним элементом языка, причиной дальнейших сдвигов языковых значимостей. Появление этого явления вообще и каждого конкретного случая возникновения новых стилистически окрашенных знаков в частности, изменяет систему значимостей, т. е. систему языка, обуславливая целый ряд новых оппози-

⁷ O. Jespersen, Growth and Structure of the English Language, 1938.

⁸ Ш. Балли, Французская стилистика, М., 1961.

⁹ Под собственно эмоциональной окраской подразумевается здесь все средства языка способные в той или иной мере выражать эмоцию, а не только логические отношения (включая даже восклицания, образные выражения и пр.).

ций ее элементов. (Возникновение новых ассоциативных рядов — термин Ф. де Соссюра¹⁰ — противопоставление стилистической нейтральности, т. е. нулевой стилистической значимости качественно определенной стилистической окрашенности, противопоставление конкретных качественно отличных друг от друга стилистических окрасок..).

Совокупность этих особых (стилистических) оппозиций мы называем «стилистической потенцией» языка, а не «системой» или «структурой» или «уровнем», так как термины эти приобрели в современном языкознании конкретное однозначное понимание. Стилистическая потенция не имеет обособленного существования, являясь скорее «измерением» присущим всей системе и каждому из отдельных ее элементов. Реализация стилистической потенции языка происходит в процессе индивидуального комбинирования его элементов, т. е. в речи — устной и письменной, придавая ей специфическое эмоциональное звучание — специфический стиль.

Примечание: социальная (возникающая при коммуникации) стилистическая окраска не является единственным стилообразующим элементом языка. Существует также стилистическая окраска много рода-мотивированная семантикой слова.

Для ясности сравним два ряда стилистически окрашенных оборотов и слов:

а) стилистически окрашенное «female» равняется стилистически нейтральному «Woman» (женщина). Это — основное депотативное (предметно-логическое) значение слова «female», содержащего кроме того и конотативное эмоциональное значение — отношение к женщине (я отношусь к ней иронически или враждебно, смотря по контексту, но не нейтрально). Также «farewell» = «goodbye» + отношение говорящего (напр. — мне жаль с тобой расставаться) «gaffen» = «schauen» + грубость, враждебность, «He became cognizant of the fact...» = «he realized...» + ситуация, в которой это происходило, заслуживает иронического отношения. Немецкое «Haupt» = «Kopf» + ирония или благоговение (смотря по контексту)...

б) Стилистически окрашенное «rimprkin» = стилистически нейтральному «head» + грубость, враждебность, издевка. «lousy» = «bad», «wretched» + пренебрежение, презрение, грубость, «shut up» = «stop talking» + пренебрежение, недовольство, немецкое «heult» = «weinst» + вражда, раздражение, грубость, русское «воздыхатель» = «поклонник» + ирония, «катись» = «иди», «уходи» + недоброежелательство, насмешка, грубость, грузинское, „აჭაბუგისა“ = „აჭაბუგისა“ + раздражение, враждебность, грубость...

В обоих случаях слова и обороты выражают слитно основное значение — предметно-логическое, и добавочное — эмоциональное. Однако, характер связи основного значения с добавочным, т. е. со стилистической окраской, различен: в первом случае стилистическая окраска резко отграничена от логического значения слова, существует независимо от него, обусловлена коммуникативным — социальным фактором (см. выше). Во втором случае стилистическая окраска возникает непосредственно из образного представления, заключенного в депотативном значении слова. Стилистически окрашенные слова подобного рода — это, ни что иное, как метафоры или метафорические эпитеты, укоренившиеся в лексическом составе языка, ставшие привычными, конвенциональными и, благодаря этому, потерявшие некоторую долю первичной образной выразительности. Эмоция выражаемая и вызываемая ими возникает непосредственно из характера ассоциации самой по себе. Так, например, ассоциирование представления тыквы с головой человека («rimprkin») или звериного воя с человеческим плачем («heulen») само по себе грубо, выражает недоброежелательное отношение к человеку.

Стилистические окраски подобного рода (мотивированные метафорически), в отличие от социально обусловленных, присущи лишь фактам лексического уровня языка. В процентном отношении они также малочисленны, как и явно мотивированные (ономатопеические) слова.

¹⁰ Ф. Де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933.

Итак, стилистическая окраска слова (грамматической формы, оборота) обусловлена, как правило, факторами коммуникативного (социального) порядка. Но как существует стилистическая окраска в языке? Что она представляет собой, как языковой знак, и насколько объективно восприимчивы стилистических окрасок говорящими?¹¹

Каждый языковой знак, как известно, состоит из трех элементов: 1. обозначаемое (значение), 2. обозначающее (звуковой комплекс), 3. характер, прием их соединения. Стилистическая окраска, т. е. дополнительная эмоция, присущая слову, форме, обороту не отличается принципиально от любого значения, существующего в языке. Характер соединения обозначаемого с обозначающим (звуками слова) в принципе тот же самый, что и при любом предметном, логическом значении. Рассмотрим этот вопрос детальнее.

а) Языковой знак (соединение звуков со значением) обязателен, т. е. един для всего языкового коллектива, для всех, говорящих на данном языке. Как было уже сказано, стилистическая окраска слова, бытующего в языке, также обязательна для всех говорящих (если я употреблю слово «перст», как стилистически нейтральное, я буду неправильно понят).

б) Языковой знак существует и познается постольку, поскольку в языке существует какое-то сопоставление двух или нескольких элементов, из которых выбирается один... В языке, так же как и в любой знаковой (семнологической) системе¹², постольку есть «теплый», постольку это не «холодный» и не «зеленый», множественное число постольку есть множественное число, постольку это не единственное и т. д. Аналогично английское слово «maiden» и флексия второго лица единственного числа настоящего неопределенного времени -est, постольку являются стилистически окрашенными, постольку существуют в английском нейтральное «table», «girl», нулевая флексия и т. д. Правда стилистической окраски очень небольшой процент языковых знаков (это и не удивительно, ибо практическая коммуникация в большинстве случаев требует distinctions логических значений), но это не значит, что distinctions по стилистической окраске касается только некоторых фактов языка, а не всех. Так, где нет distinctions по содержанию стилистической окраски (торжественность, сухость, грубость и т. п.), есть distinctions по именно и неименно такой окраски. Основная масса языковых фактов, которая не имеет стилистической окраски, не исключена из вышеназванного противопоставления. Ее стилистическая окраска есть нейтральная или нулевая, но что эта нулевая окраска не фикция, видно из того, что мы резко воспринимаем всякое отклонение от этой окраски.

в) Но насколько объективно наше суждение о стилистической окраске языковых фактов? Откуда мы знаем, что для нас тот или иной языковой элемент имеет ту же стилистическую окраску (тот же эмоциональный оттенок), что и для всего языкового коллектива, т. е. что мы воспринимаем стилистическую окраску правильно?

¹¹ Подробнее см. М. Р. П а т а д з е: Стилистическая окраска языкового факта как семантическая категория, (на груз. яз.), Тезисы II научной сессии факультета западноевропейских языков и литературы ТГУ, Тб., 1963; О характере знаковости в стилистических категориях, (на груз. яз.) Тезисы III научной сессии факультета западноевропейских языков и литературы ТГУ, Тб., 1964; Стилистическая окраска и значение языкового факта (на груз. яз.), Труды ТГУ, т. 115, Тб., 1965.

¹² Ф. Де. С о с е ю р, Курс общей лингвистики, М., 1933.

Ведь если мы неправильно (не так как другие) понимаем значение слова „mountain“ (гора), мы благодаря конкретности значения слова быстро обнаружим нашу ошибку, если же мы не совсем правильно понимаем эмоциональный оттенок слов „feed“ и „pourish“, „צֵדֵק“ и „צִמְחָה“, мы можем не обнаружить этой ошибки за всю свою жизнь. Не имеем ли мы поэтому права утверждать, что значение слова „mountain“ мы знаем, а стилистическую окраску слов „feed“ и „pourish“, „צֵדֵק“ и „צִמְחָה“ мы не знаем, а лишь предполагаем, допускаем, с определенной долей вероятности?

Конечно это суждение в определенной мере верно. Но есть и другие обстоятельства, которые не позволяют отрицать возможности объективного (надежного) знания стилистических окрасок и, тем самым, исключать эти последние из ряда прочих лингвистических значений. Дело в том, что в любом случае, даже когда речь идет о самых конкретных лексических значениях, наше суждение в определенной мере вероятно и наше суждение о стилистических окрасках не составляет с этой точки зрения принципиального исключения. Ведь для существования языкового знака вовсе не необходимо чтобы механизм его существования в сознании разных индивидов был один и тот же, т. е. чтобы у всех и каждого он вызывал один и те же представления и ассоциации привождение его к внешнему предмету, т. е. обозначаемому. Такое тождество психического механизма языкового знака теоретически очень мало вероятно, тем более невозможно его познание. Следовательно, когда мы судим о языковом знаке, как о достоянии коллектива, мы исходим не из того, какое представление (идея, чувство и т. д.) связано с этим звуковым комплексом в сознании говорящего (об этом мы ничего не знаем), а лишь из того, что дифференцируют другие говорящие (кроме нас самих), употребляя соответствующий звуковой комплекс. Например, если нам говорят «mountain» («гора»), рассказывая о Гималаях, и «sea» («море»), когда рассказывают о плавании, мы не знаем, как представляется нашему собеседнику одно или другое, но мы знаем, что значения этих двух слов **различны**. Далее к этим наиболее общим distinctions прибавляются все более тонкие, когда нам в разных контекстах говорят о «mountain» («горе»), «hill» («холме»), «hillock» («холмике», «бугорке») и в конечном счете, вследствие постепенного ограничения, нам дается санктошпроеванское коллективное значение, т. е. мы научаемся различать то, что различает язык, что оказалось необходимым для коммуникации, для практики. Дальше этого мы не идем, т. е. мы не интересуемся тем, **что себе представляет и что чувствует** наш собеседник, называя тот или иной предмет. Для коммуникации вполне достаточно чтобы мы усвоили различия наличные в данном языке, и если мы знаем эти различия, значит мы владеем языком полностью.

Приведем более естественный пример: на основании наблюдения над немецким языком мы можем сказать, что слова «hanschen», «sausen», «tosen» применяются в одном случае, а слово «gauschen» в другом. При переводе этих глаголов на язык логики обнаружится, что вряд ли найдется среди нас двое, одинаково воспринимающие эти значения. Одному это противопоставление представляется как противопоставление тихих и громких звуков, другому — как резких, напряженных с одной стороны, и мягких спокойных — с другой, третьему — как волнующих и успокаивающих, как производимых большим или малым явлением, слабым или сильным. Содержание этих глаголов по-разному

преломляется в сознании каждого из нас. Одно только является **общим** для всех знающих немецкий язык — разница, дифференцированность сферы их применения. Это единственное, что мы можем с полной уверенностью узнать об их содержании из наблюдения над применением этих слов говорящим, т. е. единственное, что мы можем считать санкционированным языковым коллективом.

Аналогично мы вполне объективно знаем, что слова «*police-man*» («полицейский») и «*сor*» («фараон») в английском (американском) языке стилистически различны. Что же касается точного **качественного определения** их стилистической окраски, оно в определенных мерах дается нам в тех контекстах, где мы эти слова слышим, и сужается до той меры, какая требуется для беспрепятственной коммуникации. Это и есть, кстати сказать, фактически тот основной, если не единственный пункт, где открывается возможность индивидуального (в основном конечно писательского) воздействия на стилистическую эволюцию языка, т. е. где пути языка и литературы скрещиваются, оставляя ведущую роль за литературой. **Углубление** анализа человеческих чувств и отношений, **обострение** восприятия человеком окружающей действительности создает **новые дистинкции в эмоциональном отношении** к известным и новым фактам, тем самым обуславливая рождение новых стилистических оттенков, которые писатель в определенной мере может **навязать** (или даровать) языку.

Изучение этого индивидуального творчества в области стилистических окрашенных языковых фактов должно быть, на наш взгляд, второй задачей изучения и преподавания стилистики. Первая и наиболее практическая задача — это анализ происхождения и бытования в языке социально (коммуникативно) обусловленных стилистических окрасок, который дает возможность учиться и учить сознательному отношению к, на первый взгляд, иррациональным стилистическим эффектам.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ)

ლამარა გეგეჟორი

სუბესტოპედია როგორც ექსპერიმენტული სუბესტოლოგიური მეთოდი

ბულგარელი მეცნიერ-ფსიქიატრის, დოქტორ გ. ლოზანოვის და სუგესტოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივის მიერ დამუშავებული მოზრდილთა უცხოური ენების სწავლების ორიგინალურმა მეთოდმა დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ბულგარეთში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც¹. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ამ მეთოდის შესწავლის მიზნით სამეცნიერო დაწესებულებების ბაზაზე ჩატარდა უცხოური ენების სწავლების ექსპერიმენტული ციკლები ე. წ. სუგესტოპედითური მეთოდით (როგორც მას დოქტორმა გ. ლოზანოვმა უწოდა).

ვინაიდან სწავლების პროცესისადმი სუგესტოპედითური მიდგომა წარმოადგენს თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს უცხოური ზეპირმეტყველების სწავლების ინტენსიური კურსისა, რომელიც ამჟამად მკვლევება თსუ ენების სწავლების ახალი მეთოდების ლაბორატორიაში, ჩვენ შევეცდებით ქვემოთ განვიხილოთ სუგესტოპედითური მეთოდის საკვანძო საკითხები:

ახალი პედაგოგიური მიმართულების — სუგესტოპედიის განვითარებას საფუძვლად უდევს სუგესტოლოგიური ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად აღმოჩენილი ფაქტი, რომ შესაძლებელია ფსიქიკის მწვანური რეზერვების გამოყენება პიროვნების ინტელექტუალური ფუნქციებისა და მთლიანი — შემოქმედებითი მიმართულების ერთდროული აქტივიზაციის დროს. სუგესტოპედია იკვლევს სუგესტურ მომენტებს სასწავლო პროცესში და გეგმაზომიერად იყენებს მათ. იგი არ წარმოადგენს პასიურ მეთოდს, მიუხედავად იმისა, რომ მისი განვითარება დაიწყო სუგესტური ჰიპერმნეზიის ბაზაზე. საქმე ისაა, რომ არ შეიძლება შევადაროთ სუგესტოპედითურ მეცადინეობათა მშვიდი და სასიამოვნო ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი რელაქსაციურ კომპლექსს ფსიქომარეგულირებელი ვარჯიშის დროს. ამას გარდა, სუგესტოპედითური კურსი მარყავს არა მარტო დახსოვნების ფაქტორს, არამედ იგი უფრო შორეულ მიზნებსაც ისახავს, როგორცაა, მაგალითად, მასალის აქტიური და შემოქმედებითი დაუფლება სხვადასხვა სუგესტური მეთოდის ხერხის საშუალებით.

უცხო ენების სწავლება სუგესტოპედითური მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი პირველი სფეროა. ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან, ჭერ ერთი, დახსოვნებისა და ავტომატიზაციის პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ უცხო ენების სწავლებისას; მეორეც, მეხსიერების

¹ ამ სტატიის ავტორი უშუალოდ გაეცნო ამ მეთოდით მუშაობის პრაქტიკას ქ. სოფიაში (ბსრ-და ისარგებლა დოქტორ გ. ლოზანოვის მიერ თეზიანად შემოთავაზებული მასალებით სუგესტოლოგიისა და სუგესტოპედიის საკითხებისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო სიმპოზიუმის დროს (ვარნა, 1971).

ექსპერიმენტული გამოკვლევებისათვის ყველაზე მოსახერხებელია საზომად ცალკეული უცხო სიტყვების გამოყენება; მესამე, უცხო ენებისადმი გავრდილი ინტერესის წყალობით, იოლია ცდის პირთა კონტიგენტის მოგროვება და, ბოლოს, უცხო ენების სწავლებაში ახალი მეთოდიკურ მიდგომათა ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა გადავიტანოთ მეთოდიკის დაზუსტებული თავისებურებანი სხვა საგნების სწავლების სასწავლო პროცესშიც.

სუგესტოპედიურ ექსპერიმენტებს, რომლებიც ითვალისწინებდა უცხო ენის სპეციალური, ლექსიკური პროგრამების (60-დან 120-მდე ლექსიკური ერთეულის) დახსომებას, საფუძველი ჩაუყარა გ. ლოზანოვმა. ექსპერიმენტის ეს ეტაპი მიზნად ისახავდა პიპერმენზიული ეფექტის შესწავლას სუგესტიური ზემოქმედების დროს. სუგესტოპედიური მეთოდიკის შესაძლებლობათა კვლევა-ძიების შემდეგი ეტაპი იყო, მუშაობა შეთვისებული სასწავლო მასალის აქტივიზაციაზე. საბოლოო შედეგი ის იყო, რომ სწავლების პირველი კურსის 120 საათის გავლის შემდეგ ცდისპირებს შეეძლოთ ეწარმოებინათ სპონტანური საუბრები უცხო ენაზე 1800 ლექსიკური ერთეულის ფარგლებში. უცხო ენათა სწავლების ამგვარად შექმნილი სუგესტოპედიური მეთოდიკა მოკვეცილინა სასწავლო პროცესის ახალ ტიპად, რომელიც განსხვავდებოდა მანამდე არსებული ტიპებისაგან როგორც სტრუქტურის, ისე შედეგიანობის მიხედვით.

უცხო ენების სწავლების სუგესტოპედიური კურსის ეფექტიანობაზე მსჯელობისას ფ. ბასინი შენიშნავდა: „ეკვს არ იწვევს ის გარემოება რომ პედაგოგიური პროცესისადმი მოსწავლეთა გარკვეული დამოკიდებულების აღმოცენების შედეგად მათ ახალი შესაძლებლობები უჩნდებათ ინფორმაციის შესათვისებლად, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჩვეულებრივ პირობებში არსებული შესაძლებლობათაგან. ეს შესაძლებლობები მხოლოდ ენობრივი მასალის დახსომების უნარის გაძლიერებას კი არ გულისხმობს, არამედ, და ალბათ ეს მთავარია, ამ მასალის აქტიური ფლობის კიდევ უფრო მაღალი დონის მიღწევასაც“².

ბულგარელი მკვლევარების თვალსაზრისით, უცხო ენათა სწავლების სუგესტოპედიური კურსის წარმატება მდგომარეობს, უწინარეს ყოვლისა, სწავლების მეთოდიკის სუგესტიურ საფუძველში, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ შემდეგი ფაქტორები გამოიყოფა: 1. გაფართოებული საპროგრამო მასალა. 2. უშუალო ჩართვა ენაში საკომუნიკაციო აქტის შემუშავებით (სხვანაირად რომ ვთქვათ, აზრობრივი საწყისის პრიორიტეტი). 3. სუგესტიური მასტიმულირებელი ეტიუდების სისტემა მასალის აქტივიზაციისათვის. 4. სუგესტოპედიური დამხმარე სახელმძღვანელო. 5. სასწავლო კურსის სტრუქტურა. 6. მასწავლებელ-სუგესტოპედის ავტორიტეტი და საქმიანობის სუგესტოპედიური მიმართულება³.

1. გაფართოებული საპროგრამო მასალა. უცხო ენების დაჩქარებული სწავლების ამკამად მოქმედი სუგესტოპედიური მეთოდიკის მიხედვით მსმენელებს ეძლევა 200-მდე ლექსიკური ერთეული ერთი სიანის განმავლობაში. ასეთი დიდი მოცულობის მასალის მიწოდება, ბულგარელი

² Ф. В. Б а с с и н. Проблема «бессознательного» в его отношении к теории установ-ки; философские вопросы биологии и медицины, 1970, № 4.

³ Г. Л о з а н о в, А. Н о в а к о в, Суггестопедическая методика при обучении иностран-ным языкам. Сб.: «Проблемы суггестологии», София, 1973, стр. 129—130.

მეცნიერების აზრით, მასუგესტირებლად მოქმედებს შემსწავლელებზე. და მართლაც, თუ შევედარებთ ამას სასწავლო მასალის იმ მოცულობას, რომელიც შემსწავლელთ ეძლევათ უცხო ენათა სწავლების სხვა არსებული ინტენსიური კურსების დროს, უნდა დავადასტუროთ, რომ სუგესტოპედიურ კურსში ერთი საათის განმავლობაში მიწოდებულ სიტყვათა საშუალო რაოდენობა 2--3-ჯერ უფრო დიდია. ეს თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგ ცხრილში:

მეთოდიკა	კურსები & ნგრძლი- ვისა საათებში	მოწოდებულ ლექსიკულ ერთეულთა რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა ჯამში	სიტყვათა საშუალო რაოდენობა საათში
აუდიო-ვიზუალური მეთოდი	27ს (1 კურსი)	1500	8-12	5,55
აუდიო-ლინგვისტური მეთოდი	75ს (სრული)	3500	8-10	5,00
ტრადიციული მეთოდი	84ს (სრული)	4500	8-10	5,35
სუგესტოპედიური მეთოდი	12ს	2000	12	15,00

შენიშვნა: უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზემოთ მოყვანილ მონაცემებში არ შესულა საშინაო დავალებათა შესასრულებლად განსაზღვრული მუშაობის საათები, საშინაო დავალებები კი სწავლების ყველა არასუგესტოპედიური კურსებისთვისაა დამახასიათებელი.

დახსოვების სეანებზე მოწოდებულ გაფართოებული საპროგრამო მასალის ფსიქოლოგიურ ეფექტს ადგილი აქვს მაშინ, როცა შემსწავლელს უჩნდება ხდომა და რწმენა საკუთარ შესაძლებლობებისადმი. თვით ასეთი უხვი სასწავლო პროგრამის მოწოდების ფაქტი ახდენს უნარის მობილიზაციას, რამდენადაც რეზერვის არსებობის სიგნალად გვევლინება და უკუაგვებს არსებულ წარმოდგენებს მეხსიერების შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაფართოებული საპროგრამო მასალის მოწოდებას სხვა მეთოდოლოგიებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ანალიზისაგან, შემსწავლელთა ყურადღების დაქუცმაცებისა და დეტალებზე გადართვისაგან კი არ მივეყვართ, არამედ, პირუკუ, გულისხმობს გლობალურ, სინთეზირებულ მიდგომას სასწავლო მასალის აღქმისას და დამუშავებისას.

2. უშუალო ჩართვა ენაში საკომუნიკაციო აქტიის მეშვეობით. სუგესტოპედიური სწავლების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ არ არის აუცილებელი, მოვახდინოთ ფრაზების „კონსტრუირება“, მათი შედგენა ცალკეული სიტყვა-აგურებისაგან. მსმენელები უშუალოდ ჩაერთვიან ენაში და იხსომებენ საკმაოდ დიდი მოცულობის მზა აზრობრივ ფრაზოლოგიურ მთლიანობებს. ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები რეალიზდება უშუალოდ საკომუნიკაციო აქტში ისე, რომ ცნობიერებაში დიდხანს არ ყოვნდება. აქედან სულაც არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს სუგესტოპედიური მეთოდიკა მთლიანად უგულვებელყოფს ლინგვისტურ ენობრივ მოვლენებს. სუგესტოპედიურ კურსში ახდენენ ენის ძირითად გრამატიკულ, ფონეტიკურ, ლექსიკოლოგიურ თავისებურებათა ანალიზს დედაენის ანალო-

ვიურ კატეგორიებთან შეპირისპირებით რაც უზრუნველყოფს მუდმივ კავშირს აზრობრივ და ენობრივ საწყისებს შორის. მაგრამ ენობრივი ელემენტებზე მუდამ ექვემდებარება აზრობრივს, რაც ხელს უწყობს ენის სწრაფ გადაჯეცვას კომუნიკაციის საშუალებად.

სუგესტოპედიური მეთოდიკის ეს არსებითი თავისებურება შენიშნა ა. ა. ლონტიევმა, რომელიც წერდა: „საფიქრალია, რომ გიორგი ლოზანოვის ცდამ უმოკლეს ედაში შეექმნა ენის აქტიური დაუფლების ინტენსიური კურსი, გარკვეულ წარმატებას მიაღწია აქტიურ მეტყველებაზე სწორედ ასპროცენტიანი ორიენტირების წყალობით. ალბათ, აუცილებელია დავიწყოთ საკომუნიკაციო და აქტიური მეტყველებით, როგორც ნორმალური სამეტყველო სიტუაციების ყველაზე ტიპური სახეებით, რომელთაც შემდგომში შეიძლება „გაემიჯნოს“ მეტყველების სხვა სახეებიც“⁴.

სუგესტოპედიური კურსის ზემოთ მოყვანილ თავისებურებებს შეუძლია გარკვეული აზრით დაუკავშირდეს ე. წ. პირდაპირი მეთოდის ელემენტებს, მაგრამ განსახილველ მეთოდიკაში არ არის „პირდაპირი“ მეთოდისათვის დამახასიათებელი სრული ჩაძირვა (ჩაფლობა), დედაენის იზოლაცია, გრამატიკული და ლინგვისტური ენობრივი ელემენტების უგულებელყოფა და მისთ.

„სუგესტოპედია, — წერენ გ. ლოზანოვი და ა. ნოვაკოვი, — მიმართულია შემოქმედებითი აქტიობისაკენ. იგი ძლევს წმინდა იმიტაციურ მიდგომას და არ უგულებელყოფს დედაენას. მიუხედავად იმისა, რომ სამეტყველო ჩვევები და უნარი მეტისმეტად ადრე წარმოიქმნება, სუგესტოპედია ითვალისწინებს მოკლე თეორიულ განმარტებებს, ისევე როგორც ცალკეულ მოკლენათა ანალიზს, რისი წყალობითაც ენობრივი მასალა აზრს იძენს და კურსანტებსაც ექმნებათ მთლიანი წარმოდგენა ენის როგორც სისტემის შესახებ“⁵.

3. მასალის აქტივიზაციისათვის მოხმობილი სუგესტოპედიური მასტიმულირებელი ეტიუდების სისტემა. უცხო ენათა სწავლების ყველა არასუგესტოპედიური მეთოდაკისაგან განსხვავებით, სადაც ისეთი სავარჯიშოების სისტემა გამოყენებული, რომლებიც მიმართულია შემსწავლელთა ჩვევათა და ავტომატიზაციათა დამუშავებაზე, სუგესტოპედიური კურსი გულისხმობს მასტიმულირებელი ეტიუდების სახით განსხვავებული ტიპის სავარჯიშოთა გამოყენებას. ეტიუდები შეიცავს ისეთ საშუალებებს, რომელნიც ამაღლებენ ემოციურ ტონუსს, აღძრვენ ინტერესს, აძლიერებენ მოტივაციას, აგრეთვე, ახდენენ წარმოსახვისა და აზროვნების სტიმულირებას.

სასწავლო მასალის აქტივიზაციის პლანში სუგესტოპედიური მეთოდიკა საშუალებას იძლევა თავი ავარიდოთ მრავალ მექანიკურ ენობრივ სავარჯიშოს და მივმართოთ უშუალოდ მუშაობის უფრო რთულ ხერხებს. მსმენელებს შესაძლებლობა ეძლევათ მეცადინეობის პირველი დღეებიდანვე დადგნენ აქტიური სამეტყველო ქმედების დონეზე, სხვანაირად რომ ვთქვათ, განახორციელონ (შეასრულონ) სამეტყველო ქცევები (მოქმედებანი) საეტიუდო სიტუაციებში, რომლებიც ხელს უწყობს შემსწავლელთა აქტიურობას (გამოფხიზლებას, გამოღვიძებას).

⁴ А. А. Лео н т ь е в, Некоторые проблемы обучения русскому языку как иностранному, М., 1970.

⁵ Г. Лозанов, А. Новаков, дасახ. შრ., გვ. 131.

უცხო ენების სწავლების სუგესტოპედიურ კურსში ეტიუდების მასტიმულირებელი როლის შეფასებისას ზ. ცვეტკოვა აღნიშნავს, რომ „აღამიანები, გარდა არტიკულირებისა, ყვებიან, ეკითხებიან, უპასუხებენ, უყვირო, ე. ი. ამა თუ იმ სამეტყველო (მოქმედებას ასრულებენ) ქცევას განახორციელებენ. ტერმინი მეთოდისტიებისათვის ახალი არ არის, მაგრამ უაღრესად საინტერესოა. როგორც ჩვენ გვესახება, — აგრძელებს ზ. ცვეტკოვა, — ბულგარულ პროფესორ გ. ლოზანოვის მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ იგი, კი არ ზღუდავს ანალიზის ჩარჩოებით მეტყველებას, მის ენობრივ ფორმას და აზრობრივ შინაარსს, არამედ თითოეულ მონაწილეს მეცადინეობაში საკომუნიკაციო როლს ასრულებინებს, ასწავლის მას ურთიერთობის დამყარებას ენის მეშვეობით, ე. ი. ვ. არტიომოვის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ასწავლის სამეტყველო ქცევებს. უთუოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს მეტად პროგრესული აზრია“⁶.

4. სუგესტოპედიური დამხმარე სახელმძღვანელო სწავლების ნებისმიერი არსებული მეთოდიკა გვერდს ვერ აუვლის ისეთი სპეციალური სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნას, რომელშიც აისახება მეთოდის სტრუქტურის სპეციფიკური თავისებურებანი. ამ მხრივ სუგესტოპედიური მეთოდი გამონაკლისს არ წარმოადგენს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სუგესტოპედიური სახელმძღვანელოს ავტორები მისი შედგენისას იცავდნენ უპირატესად არა მეთოდიკური, არამედ ფსიქოლოგიური ხასიათის პრინციპს. ავტორები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმძღვანელოს „ავტორიტეტობას“, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს სუგესტიური ატმოსფეროს მიღწევას.

სახელმძღვანელოს მთელი ლექსიკური და გრამატიკული მასალა განაწილებულია თემატური პრინციპის მიხედვით აგებულ დიალოგებში. თითოეული თემა თავის მხრივ დაყოფილია ქვეთემებად მათში გადმოცემული ამბებისადა მიხედვით.

სუგესტოპედიური სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოს დამახასიათებელი თავისებურებაა ის გარემოება, რომ დიალოგის რეპლიკები წარმოადგენს არა რაღაც ხელოვნურად აგებულ აბსტრაქტულ ფრაზებს, არამედ, პირიქით, სრულიად სხვადასხვაგვარ სიტუაციაში მოქმედ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის მუხტის მატარებელი არიან.

ამის გარდა, უნდა აღინიშნოს ამ სახელმძღვანელოში შემავალი დიალოგების მკაფიოდ გამოხატული ემოციური, ანექდოტური ხასიათი. ეს ფაქტორიც მოწოდებულია სუგესტოპედიურ მეცადინეობათა სუგესტიურად დამუხტული ატმოსფეროს მისაღწევად.

5. სუგესტოპედიური კურსის სტრუქტურა. სუგესტოპედიური სწავლების მთელი კურსი ძირითადად ორ კატეგორიად იყოფა: ზეპირი შესავალი კურსი და კურსი დამხმარე სახელმძღვანელოს გამოყენებით.

ზეპირი შესავალი კურსი, რომლის ხანგრძლივობაა რვა სასწავლო დღე, შედგება ოთხი თემატიკური დიალოგისაგან, რომელთაგან თითოეული შეიცავს 120-დან 200-მდე ლექსიკურ ერთეულს. ამ კურსის ერთ-ერთი ამოცანაა მიწოდოს მსმენელებს ცნობები შესასწავლი ენის ძირითადი ლექსიკური სტრუქტურებისა და გრამატიკული კატეგორიების შესახებ. მსმენელებს სთხოვენ,

⁶ З. М. Цветкова, ж. «Иностранные языки в школе», 1971, № 2.

რომ მასალა (ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური) მათ სმენით დაიხსოვონ. რაც შეეხება სასწავლო მასალის აქტივიზაციას, მას ძირითადად აღწევენ ზემოხსენებული სუგესტიური მასტიმულიზებული ეტიუდების სისტემის გამოყენების ხარჯზე.

დამხმარე სახელმძღვანელოთი მეცადინეობის დაწყებისას, გარკვეულ სამეტყველო ჩვევებს უკვე დაუფლებული მსმენელები, კითხულობენ განვლილ თემატურ დიალოგებს, რაც საშუალებას აძლევს მათ გაიმეორონ და დაიხსოვონ ლექსიკური მასალა 600–800 სიტყვის ოდენობით.

უცხო ენების სწავლების სუგესტოპედიური კურსის სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: 1. სეანსამდელი ფაზა, 2. სეანსის ფაზა: ა) აქტიური სეანსი, ბ) საკონცერტო სეანსი, 3. სეანსის შემდეგდროინდელი ფაზა: ა) პირველადი დამუშავება, ბ) მეორადი დამუშავება.

სეანსამდელ ფაზაში ხდება პირველი კონტაქტის დამყარება მსმენელებისა დიალოგის ლექსიკურ მასალასთან, რომელსაც მათ მასწავლებელი აცნობს. სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოზე ვიზუალური დაყრდნობა ამ დროს გამორიცხულია. შემდეგ მასწავლებელი დეტალურად კითხულობს მთელ დიალოგს, ამავე დროს ახდენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პასაჟების აქტივიზაციას გამეორებისა და სხვა მეთოდოლოგიური ხერხების მეშვეობით.

სეანსის აქტიური ფაზაში მსმენელებს სთავაზობენ (ვიზუალურად) თვალი ადევნონ ტექსტს და უსმინონ მასწავლებლებს, რომელიც ამ ტექსტს კითხულობს სამი სხვადასხვაგვარი ინტონაციით, ე. წ. „ვერტიკალურ აკვანში“. აღნიშნავთ, რომ ამ სეანსური ფაზის აქტივობა დაკავშირებულია მხოლოდ იმასთან, რომ მსმენელებს უხდებთ ვიზუალურად ადევნონ თვალი ტექსტს.

საკონცერტო სეანსური ფაზის დროს იმავე ტექსტს მასწავლებელი კითხულობს, მაგრამ უკვე სპეციალურად შერჩეული მუსიკის ფონზე, მსმენელები ტექსტს თვალყურს კი არ ადევნებენ, არამედ უსმენენ მასწავლებლის გამომსახველობით მხატვრულ კითხვას. ამ დროს ისინი სხედან მოხერხებულ სავარძლებში, მათთვის სასიამოვნო ატმოსფეროში, რომელიც წააგავს კლასიკური სიმფონიური კონცერტის ატმოსფეროს.

სეანსის შემდეგდროინდელი ფაზის პირველადი დამუშავების მიზანია დახსოვების სეანსში მოწოდებული სასწავლო მასალის განმტკიცება. ამისათვის, ძირითადად, გამოიყენება ეტიუდები, პრობლემური სიტუაციები, წყვილთა საუბრები გარკვეულ თემებზე, სააზროვნო ამოცანები, თამაშობები, კონკურსები, სიმღერები და მისთ.

მეორადი დამუშავების დროს ხდება პირველადი დამუშავების პროცესში განმტკიცებული სასწავლო მასალის აქტივიზაცია. მსმენელებს სთხოვენ წაიკითხონ ახალი დიალოგები, რომლებშიც მოცემულია იგივე ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული მოვლენები, ოღონდ ახალი ინტერპრეტაციით. მეორადი დამუშავებისას დასაშვებია მონოლოგიური მეტყველების ელემენტთა შემოტანა.

6. მასწავლებლის ავტორიტეტი და მისი მოქმედების სუგესტოპედიური მიმართულება. აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენების სწავლების ნებისმიერ არსებულ ინტენსიურ და არაინტენსიურ მეთოდებთან შედარებით სუგესტოპედიურ კურსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მასწავლებელს.

როგორც გ. ლოზანოვი და ა. ნოვაკოვი აღნიშნავენ „მის (მასწავლებლის — ლ. გ.) თვისებებზე უდავოდ დამოკიდებულია მოსწავლეთა ჯგუფის სუბსტიური ატმოსფერო და საერთო ტონუსი. მეთოდის მდიდარი შესაძლებლობები თვით საშუალო მასწავლებელსაც კი საშუალებას აძლევს მიაღწიოს მაღალ მაჩვენებლებს. თუკი ის დაიცავს სუბსტიუმიდურ მეცადინეობათა ჩატარების ჩვეულებრივ მოთხოვნებს, აქვს აუცილებელი (საჭირო) სუბსტიუმიდური კვალიფიკაცია და ანტისუბსტიუმიდურ ზემოქმედებას არ ახდენს კურსანტებზე. როგორც ჩანს, უკეთ მომზადებული მასწავლებლები აღწევენ უფრო მაღალ მაჩვენებლებს როგორც სასწავლო, ისე აღმზრდელი მუშაობაში“⁷.

ძნელია გადაკარბებით შევაფასოთ ის როლი, რომელსაც ასრულებს მასწავლებლის ავტორიტეტი სუბსტიუმიდურ კურსში. ეს ავტორიტეტი წარმოიქმნება არა მასწავლებლის გულმოდგინე და სოლიდურ მომზადების ხარჯზე. არამედ იმის ხარჯზე, რომ მასწავლებელს აქვს უნარი, სუბსტიუმიდურ დამუხტული ატმოსფეროს პირობებში სასწავლო მასალა მიაწოდოს მსმენელებს საინტერესოდ, ცოცხლად და მხიარულად.

**თბილისის უნივერსიტეტის ახალი მეთოდების ლაბორატორიაში
უცხო ენათა სწავლების სუბსტიუმიდური მეთოდის
პრაქტიკული გამოყენება**

თსუ ენების სწავლების ახალი მეთოდების ლაბორატორიაში უცხოური ენების სწავლების ინტენსიური კურსის თეორიული და პრაქტიკული დამუშავების პირველ ეტაპს წარმოადგენდა სუბსტიუმიდური მეთოდის ეფექტურობის ექსპერიმენტული შემოწმება.

სუბსტიუმიდური მეთოდი ითვალისწინებს ახალი ენის კეშმარტ დაუფლებას მხოლოდ სამეტყველო ქმედების პროცესში. ბულგარულ მკვლევართა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სუბსტიუმიდური კურსი უზრუნველყოფს უმოკლეს ვადაში მნიშვნელოვანი რაოდენობის სიტყვათა დახსოვებას (თვეში 2000-მდე სიტყვა).

თბილისის უნივერსიტეტის უცხო ენათა სწავლების ახალი მეთოდების ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელთა და მასწავლებელთა ჯგუფმა მიზნად დაისახა პრაქტიკულად შეემოწმებინა სწავლების სუბსტიუმიდური სისტემის ეფექტიანობა, რათა დადებითი პედაგოგიური ეფექტის დადასტურების შემთხვევაში დაენერგა სუბსტიუმიდური პრინციპები უცხოენოვანი მეტყველების სწავლების ინტენსიურ კურსში.

1972 წლის მაისიდან ნოემბრამდე თბილისში შემოწმდა შვიდი ექსპერიმენტული ჯგუფი, რომლებიც სწავლობდნენ ინგლისურ და ფრანგულ ენებს დოქტორ გ. ლოზანოვის ხელმძღვანელობით ბულგარეთში დამუშავებული მეთოდით. ამ ხნის განმავლობაში სუბსტიუმიდური მეთოდის მიხედვით ენებს ვასწავლიდით სულ 305 კაცს (ორივე სქესისას). 18-დან 55 წლის ასაკამდე. შემსწავლელნი სხვადასხვა პროფესიისა იყვნენ: მსახიობები, რეჟისორები, მეცნიერ მუშაკები, თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, მოსამსახურენი, სტუდენტები, ეურნალისტები. მეცადინეოები ტარდებოდა წარმოებისაგან მოუწყვეტილად.

⁷ Г. Лозанов, А. Новаков, *დასახ. შრ.*, გვ. 134.

სასწავლო დახმარე სახელმძღვანელოდ ვიყენებდით ბულგარეთის სუგესტოლოგიის ინსტიტუტში დამუშავებულ დიალოგებს, რომლებიც ადაპტირებულ იქნა ქართული აუდიტორიისათვის. კურსში გამოიყენებოდა ტექნიკური მოწყობილობანი (მაგნიტოფონები, დიაპროექტორები): სასწავლო ოთახების მოწყობილობა შეესაბამებოდა ბულგარული აუდიტორიებისას (რბილი, მოსერხებული სავარძლები, სათანადო განათება და ა. შ.).

მეცადინეობებს ატარებდნენ მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს სტაჟირება სუგესტოპედიის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებში მოსკოვში, ენათა სწავლების ახალი მეთოდების კათედრაზე და ახალი მეთოდებით სწავლების უფლება მოიპოვეს.

სწავლების პროცესის პარალელურად შემსწავლელებს უტარდებოდათ მთელი რიგი საკონტროლო სამუშაოები და ტესტები, რომლებსაც შემდეგ გულმოდგინე თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს უქვემდებარებდნენ. საკონტროლო სამუშაოები და ტესტები გამიზნული იყო შესასვლელ და გამოსასვლელ დონეთა (ე. წ. „შესასვლელი“ და „გამოსასვლელი“ ნივთ) განსაზღვრისათვის, აგრეთვე მთელი კურსის პროცესში სიტყვებისა და გამოთქმების დახსოვების პროცენტის დასადგენად (დახსოვების ყოველ 2 სენსში თითო საკონტროლო სამუშაო). ბულგარული სუგესტოპედების მიერ გამოყენებული გამოთვლის სისტემით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ მოწოდებული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულების ცნობის პროცენტი მერყეობდა 100%-სა და 80%-ს შორის.

წერითს საკონტროლო სამუშაოებთან ერთად მაგნიტოფონზე იწერებოდა მსმენელთა საუბარი შესასწავლ ენაზე როგორც სწავლების მთელი კურსის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდეგ. ამ ჩანაწერთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწავლების შედეგად მსმენელებმა აითვისეს მნიშვნელოვანი სიტყვიერი მარაგი: ამასთან სწრაფი რეაქციის პირობებში საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მსმენელთა მიერ ურთიერთობის გარკვეული საკომუნიკაციო ხერხების შეცნაზე. ამასვე მოწმობს ისეთი მაჩვენებლებიც, როგორცაა პაუზირება და ნეტყველების რიტმიკა, მაგრამ ამის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია ენობრივი ნორმებისაგან გადახვევის შემთხვევები უცხო ენის გრამატიკული წყობისა და სისტემატურ მოვლენათა სიბრტყეზე: შეთანხმების დარღვევა, წყობის ელემენტთა გამოტოვება და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა გამოვიყენოთ სუგესტოპედიური მეთოდის ფსიქოლოგიური ეფექტი. ამ მეთოდში ფსიქოლოგიურ ფაქტორთა როლი განსაკუთრებით დიდია, რამდენადაც თვით სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მსმენელებმა შეძლონ მეცადინეობის პირველი დღეებიდანვე აქტიური მონაწილეობის მიღება კომუნიკაციის აქტში. აბსოლუტურად ყველა მსმენელს მთელი ამ მეცადინეობის მანძილზე უჩნდებოდა დიდი კმაყოფილების გრძნობა, გატაცება და ენთუზიაზმი; დადლის ან შეცდომების დაშვების სირცხვილის გრძნობა სრულიად არ ჰქონდა, არც ე. წ. „ფსიქოლოგიური ბარიერი“ ელობენოდა მათ ერთმანეთთან და მასწავლებელთან უშუალო სამეტყველო კონტაქტების დამყარებისას.

თბილისის უნივერსიტეტის აღნიშნულ ლაბორატორიაში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევა-ძიებებმა გვიჩვენეს, რომ სუგესტოპედიური კურსისათვის დამახასიათებელია არა მარტო სიტყვიერი მარაგის (სიტყვები და

ფრაზეოლოგიზმები) წარმატებით დაუფლება, არამედ სამეტყველო ურთიერთობის დონის ამაღლება.

1971 წ. ვარნაში გამართულ პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც სუვესტოპედიის პრობლემებს მიეძღვნა, სუვესტოპედიური კურსის გულმოდგინე ექსპერიმენტულ ანალიზზე დაყრდნობით ფ. ბასინმა და ი. შეხტერმა აქ წაკითხულ მოხსენებაში ამ კურსს ასეთი შეფასება მისცეს: „პედაგოგიური ეფექტის ხასიათი, რომლის მიღწევა შესაძლებელია განსახილველი მეთოდის გამოყენებით, განსაზღვრავს ამ უქანასკნელის საზოგადოებრივ მნიშვნელობას... იგი ქმნის სერიოზულ წანამძღვრებს შემსწავლელთა შემდგომი წარმატებით წინსვლისათვის და ამიტომ, როგორც პედაგოგიური პროცესის რთული სისტემის განსაზღვრული ელემენტი, მეტად ფასეულად გვეკლინება. დღეს მას უკვე შეუძლია დამოუკიდებელი პრაქტიკული როლის შესრულება, რაღაც საჭიროა უცხოური ენის ექსპრეს-სწავლება“⁸. მაგრამ სუვესტოპედიური მეთოდის ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად, ჩვენი აზრით, უნდა აღინიშნოს მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც სასწავლო პროცესის პედაგოგიური წაყოფიერების ამაღლების მიზნით სერიოზულ მეთოდიკურ დახვეწას სრულყოფას საჭიროებს.

უწინარეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ მიუხედავად საკომუნიკაციო მიზნების მიღწევისა, სუვესტოპედიური კურსი არ უზრუნველყოფს საკმარისად კორექტული მეტყველების ფლობას. ეს მოვლენა, ჩვენი აზრით, ძირითადად იმასთანაა დაკავშირებული, რომ სუვესტოპედიური სწავლების მთელი პროცესი უპირატესად მიმართულია საკომუნიკაციო უნარის და არა საკომუნიკაციო ჩვევების წარმოსაქმნელად.

უნარისა და ჩვევების პრობლემის განხილვისას ა. ლეონტიევთან ერთად ჩვენდა უნებურად უნდა ვალიაროთ, რომ ნორმატიულ კორექტულ მეტყველებას არ ექნება ადგილი თუ მოლაპარაკე არ დაეუფლა ენობრივ ჩვევებს, რომლებიც მას საშუალებას მისცემს მოქმედებიდან (მოცემულ შემთხვევაში სიტყვებისაგან ფრაზების შეგნებული აგებიდან) ოპერაციაზე გადავიდეს, რომლის დროსაც ეს მოქმედება მთლიანად ავტომატიზებულია, ტოვებს ჩვენს ცნობიერებას და უშინაარსოდ იქცევა. მხოლოდ ენობრივ უნარს, ბუნებრივია, არ შეუძლია უზრუნველყოს უცხო ენის დაუფლება პროდუქტიულ დონეზე (თუმცა ისინი შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს რეცეპტული მიზნების მისაღწევად).

ე. ვერეშჩაგინი აღიარებს უცხო ენათა სწავლებისას ენობრივი ჩვევების დაუფლების აუცილებლობას და წერს: „საქმე ისაა, რომ უნარის საფუძვლებზე ადეკვატური მოქმედება მაშინ ხდება, როცა ამ მოქმედების შემსრულებლის მთელი ყურადღება მიპყრობილია ამ მოქმედებაზე. აქტიური გააზრებული და შემოქმედებითი მეტყველებისას მოლაპარაკეს არ შეუძლია იფიქროს, მაგალითად, მეტყველების წარმოქმნით მხარეზე. ფრაზის გრამატიკულ გაფორმებაზე, ვინაიდან მას, უწინარეს ყოვლისა, უხდება ყურადღების მიქცევა გამონათქვამის შინაარსზე. უცხოენოვანი მეტყველების გამოსახვის პლანის შენარჩუნება ამ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ჩვევებმა (ხაზი ჩვენია. — ლ. გ.), ე. ი. მთლიანად ავტომატიზებულმა მექანიზმებმა, რომლებიც ფუნქციონირებისას არ მოითხოვენ მოლაპარაკის მხრივ შეგნებულ და მიზან-

⁸ იხ. კრებული «Проблемы суггестологии», София, 1973, стр. 111.

დასახულ კონტროლს. ამ შემთხვევაში მეთოდოლოგიური ხერხების პლანში ცოდნის გამოსამუშავებლად მოხმობილ ახსნა-განმარტებებს უნდა დაემატოს ვარჯიშები (drills), რომლებიც უზრუნველყოფს ჩვევათა წარმოქმნას⁹

ამასთანავე, როგორც ეს ნათლად ჩანს სუგესტოპედიური კურსის სტრუქტურის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპებიდან, ამგვარ ვარჯიშებს (drills) ეს მეთოდოლოგია არ შეიცავს. სუგესტოპედიური კურსში ამ ვარჯიშთა როლს ასრულებს ეტიუდები, სააზროვნო ამოცანები, პრობლემური სიტუაციები და სხვ., რომელთა პროცესშიც შემსწავლულები უნდა დაეუფლონ ენობრივ ჩვევებს. მაგრამ, ამგვარი მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენებისას შემსწავლელს, უწინარეს ყოვლისა, ორიენტაცია ადებულეი აქვს შინაარსის პლანზე და არა გამოსახვის პლანზე. რის შედეგადაც საკომუნიკაციო აქტი იმით გამოირჩევა, რომ მასში გვხვდება სერიოზული გადახვევები შემსწავლელი ენის გრამატიკული ნორმებისაგან.

ანალოგიურ დასკვნებს აკეთებენ ფ. ბასინი და ი. შეხტერი, რომლებიც მიუთითებენ სუგესტოპედიური კურსის პედაგოგიური ეფექტის გარკვეულ შეზღუდულობაზე. ამ კურსისათვის კი დამახასიათებელია ძირითადი ლექსიკური მარაგის უფრო სრულყოფილად დაუფლება ისე, რომ აუცილებელი არ არის მეტყველების გრამატიკული სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება¹⁰.

სუგესტოპედიური მეთოდოლოგის ავტორები, როგორც ჩანს, ძირითადად იმისაკენ მიისწრაფოდნენ, რომ თავიანთი კურსისათვის შეენარჩუნებინათ მომხიბლველობა. როცა წინ აყენებდნენ შემსწავლელთა ფსიქოლოგიური ფსევდოპასიურობის მდგომარეობას. ისე, რომ მსმენელთა მხრივ არავითარ დაძაბულობასა თუ ძალდატანებას ადგილი არა ჰქონია. ჩვენ საკვიროდ მიგვაჩნია შევავსოთ სუგესტოპედიური კურსის ხარვეზები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საერთოდ უარი უნდა ეთქვათ ენობრივ ჩვევათა გამოსამუშავებლად გამიზნულ სავარჯიშოებზე და მოვძებნოთ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ადეკვატური (სათანადო) მეთოდოლოგიური გადაწყვეტა.

ამ ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის ძიებისას სუგესტოპედიური მეთოდოლოგის საბჭოთა მკვლევარები სხვადასხვაგვარ გზას სახავენ ამ მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ს. მელნიკის წინადადებაა, კურსში შევიტანოთ საშინაო დავალებები. დოქტორ გ. ლოზანოვის სუგესტოპედიური მეთოდი, — წერს იგი, — ჰიპერმენზიაზე, დახსოვების შესაძლებლობათა ამღლებაზე დაყრდნობით, საერთოდ უგულვებელყოფს მუშაობას აუდიტორიის გარეთ. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ მიზანშეუწონელია სწავლებაში გათვალისწინებული მთელი მუშაობის სიმძიმე მასწავლებელს დაეკისროთ. ნებისმიერ კურსში არის მთელი რიგი ამგვარი სახის სამუშაოები, რომლებიც თავისუფლად შეიძლება (განხორციელდეს) შესრულდეს დამოუკიდებლად თუ ლაბორატორიაში. ამ გზით მოგებული დრო მასწავლებელმა დიდი წარმატებით შეიძლება დაუთმოს შემოქმედებითს მუშაობას ჩვევათა აქტივიზაციისათვის¹¹.

⁹ E. M. В е р е щ а г и н, Психология двуязычия и преподавания русского языка иностранцам: сб.: «Психологические вопросы обучения иностранцев русскому языку», М., 1972, გვ. 14—15.

¹⁰ Сб. «Проблемы суггестологии», София, 1973, გვ. 111.

¹¹ С. И. М е л ь н и к, Некоторые проблемы интенсивного курса обучения иностранным языкам; Сб. «Методы интенсивного обучения иностранным языкам», М., 1973, გვ. 43.

იმავე პრობლემას იკვლევს ი. შეხტერიც, რომელიც ამუშავებს ე. წ. ემოციურ-ანრობრიე მეთოდს მოსკოვის ახალი მეთოდებით სწავლების კათედრა-ზე. უცხო ენების შესწავლის მისეულ კურსში შეტანილია ახალი ორიგინალური მეთოდიური ხერხი, ე. წ. „პირველადი მიწოდება“ (წყენება, წარდგენა), რაც გულისხმობს სამეტყველო ჩვევათა გამომეშავებას მსმენელთა აქტიური შეგნებული მუშაობის დროს, რომელიც ვამიზნულია გრამატიკული და სხვა სტრუქტურული ენობრივი თავისებურებების დასაუფლებლად.

სუგესტოპედიურ კურსზე საუბრისას (უსათუოდ) უეჭველად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების მეორე და მესამე ციკლები არასაკმარისადაა (ჩვენი აზრით) დამუშავებული. მეორე ციკლის სასწავლო მასალა მრავალმხრივ ჩამორჩება პირველი ციკლისას. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მეტიმეტად დიდი რაოდენობის მასალის გაუმართლებელი შემოტანა, რაც ჩანს, სწავლების მხოლოდ მესამე ეტაპზე იყო შესაძლებელი. ამას გარდა, მეორე ციკლის დილოგები ნაკლებ სიტუაციურია, მათ აკლია ის ემოციურ-გასართობი ხასიათი, რომელიც მომგებიანად გამოარჩევს პირველი ციკლის დამხმარე სახელმძღვანელოს.

დასასრულს აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ფსიქოლინგვისტურ, ისე დიდაქტიკურ პლანში სუგესტოპედიური სისტემის ჭერ კიდევ მრავალი საკითხია გადაუჭრელი. ამ მეთოდმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პედაგოგიურ თეორიაში და მას ყველაზე ფართო პერსპექტივები აქვს შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა).

თ ა ნ ა ზ ა კ ა ჰ ა ნ ტ ი რ ა ა მ

მ ს ბ ა ვ ს მ ბ ი თ ი შ ე დ ა რ ე ბ ი ს კ ა ტ მ რ ი რ ი ს ა თ ვ ი ს

§ 1. ც ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

1.1. „შედარება მეტყველების ისეთ ფიგურას წარმოადგენს, რომლის არსა ერთი საგნის მეორესთან იმ ნიშნის მიხედვით დამსგავსებაშია, რომელიც პირველისთვისაც ივარაუდება“¹ — ეს დეფინიცია ძირითადად მოიცავს არსებით ნიშნებს იმ კატეგორიისა, რომელიც ქართული ენის სისტემის გამოხატულების პლანში სხვადასხვა ენობრივი საშუალებით მქლავდება და რასაც შესაძლოა ვუწოდოთ მსგავსებითი შედარების კატეგორია?²

1.2. აღნიშნული კატეგორიის ანალიზი შესაძლოა სხვადასხვა ენობრივ იარაღსზე. თვით კვლევის სავანი საშუალებას იძლევა მსგავსებითი შედარება განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ლოგიკური (resp. ლოგიკურ-ფსიქოლოგიური) მოდელი, შემდგომ კი — ამ ლმ-ის ენობრივი რეალიზაციის სქემები. ამ სქემათა ანალიზი ორი გზით უნდა წარიმართოს: ა. სქემათა გრამატიკული თვალსაზრისით აღწერა და ბ. სქემის წვერთა მარეალიზებულ სემანტიკურ ერთეულთა აღწერა-განაწილება. ვინაიდან მსგავსებითი შედარება ძირითადად მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, მისი ანალიზისას ზოგჯერ შეფასების საკითხებიც იჩენს თავს, რასაც სტილისტიკისა და პოეტიკის სფეროში გადავყავართ.

1.3. მსგავსებითი შედარების კატეგორიის განხილვისას ანალიზის ეს დონეები ურთიერთისაგან იზოლირებული არ არის. ეს კია, რომ ცალკეულ შემთხვევებში თითოეული მათგანი წინა პლანზე წამოიწევეს ხოლმე. მაგრამ საანალიზო მოდელის მხოლოდ ერთი კუთხით კვლევა პერსპექტიული არ გვეჩვენება. უფრო მეტიც, სქემათა გრამატიკული ან სქემათა სემანტიკური ანალიზის „წმინდა“ სახით ჩატარება ხშირად შეუძლებელიცაა.

§ 2. მსგავსებითი შედარების კატეგორიის ლოგიკური მოდელი.

2.1. მსგავსების ცნება თავისთავად გულისხმობს შედარების მომენტს (მხოლოდ შედარების შედეგად დაჩნდება მსგავსება-განსხვავება), შედარება კი, თავის მხრივ, შესაძარებელ საგანს მსგავსებულ ობიექტებს. შედარება უფრო ფართო მოცულობის ცნებაა, ვიდრე მსგავსება. „შედარება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით — მსგავსების, სხვაობის, იგივეობის და შეფარდების საფუძველზე...“³ შედარებისა და მსგავსების ცნებები ერთმანეთს არ ფარავს, ამიტომ ზემოთ (1.1) მიღებული დეფინი-

¹ О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, Москва, 1966, стр. 450.

² ამ ტერმინს ხმარობს შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 146.

³ შ. ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 146.

ცია ჩვენთვის მთლიანად შედარებას კი არ მოიცავს, არამედ მის ერთ-ერთ სახეს, კერძოდ — მსგავსებით შედარებას.

2.2. მსგავსებითი შედარების მოდელი გულისხმობს შესაბამის საპირისპირო ოდენობებს, კერძოდ, დამსგავსებულსა და დასამსგავსებელს. დამსგავსებულს (ოდენობას, რომელიც ჰგავს და რომლის დასახასიათებლად (განსახსნელად) „მუშაობს“ ზემოაღნიშნული მოდელი) A სიმბოლოთი აღვნიშნავთ, დასამსგავსებელს (ოდენობას, რომელიც ჰგავს) — B სიმბოლოთი. A-სა და B-ს შორის პოსტულირებულია საერთო ნიშანი — N. ივარაუდება, რომ A-სა და B-ს თავიანთ თვისებრივ (ატრიბუტულ) ან ზმნურ (პრედიკატულ) გამოვლინებებში, რაც საერთო ტერმინში — ნიშანი — ერთიანდება, აქვთ შეხების წერტილები.

მსგავსებითი შედარების ლოგიკური მოდელით იგულისხმება, რომ N A-სათვის რაოდენობრივად უფრო ნაკლებადაა დამახასიათებელი, ვიდრე B-სათვის. ეს მოდელი მუშაობს A-სა და B-ს რაგვარობით ერთი და იმავე საერთო ნიშნის რაოდენობრივ-ინტენსიური თვალსაზრისით გასათანაბრებლად.

2.3. ლმ გულისხმობს, რომ ა. $A \neq B$ (დამსგავსებელი და დასამსგავსებელი არ არის ერთი და იგივე); ბ. $N \neq O$ (A და B მოდელში უშუალოდ, ნიშნის გარეშე, ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება). ეს დებულებანი თითქოს ტრივიალურია, მაგრამ ლმ-ის ენობრივი რეალიზებისას მათ დასაბუთება ესაჭიროებათ, ვინაიდან ამ დროს შესაძლებელია დამსგავსებელი და დასამსგავსებელი ენობრივად იდენტურნი იყვნენ ან ნიშანი სახეზე არ აღმოგვაჩნდეს. ამდენად, მათ აქსიომათა ღირებულება ენიჭებათ.

აღწერილი მოდელი ძალზე ჰგავს სხვა სახის შედარების ანალოგიურ მოდელს. პრინციპული სხვაობა ისაა, რომ, ვთქვათ, შეფარდებითი შედარების დროს A-სა და B-სათვის საერთო ნიშნის რაოდენობრივი გათანაბრება კი არ ხდება, არამედ ერთ-ერთისათვის ამ ნიშნის სიჭარბის ჩვენება.

§ 3. ლმ-ის სარეალიზებო სქემები⁴.

3.1. მსგავსებითი შედარების ლმ ქართული ენის სისტემაში წინადადებით ან წინადადების ნაწილის საშუალებით რეალიზდება. ასეთი ფუნქციის სტრუქტურებს სქემებს ვეწოდებთ, მსგავსების ფუნქციით აღჭურვილ ენობრივ ერთეულებს კი (თანდებულებს, სადერივაციო აფიქსებს, კავშირებს) — მსგავსების ელემენტებს (ϵ)⁵. სქემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ან ელემენტებით, ან სქემის ნაწილთა ურთიერთმიმართებით. ლოგიკური მოდელი სქემებით რეალიზდება, სქემები კი — სხვადასხვა სემანტიკური ერთეულებით: მოდელი ერთია, სქემა — რამდენიმე, სქემის რეალიზების შესაძლებლობა კი — პრაქტიკულად ამოუწურავი.

3.2. სქემის ნაწილი ლოგიკური მოდელის კომპონენტის⁶ ეკვივალენტს

⁴ აქ ნიშანი = რუს. приравн., ≠ знак.

⁵ ნიშნის რაოდენობაში იგულისხმება ნიშნის ინტენსიურობა, ხანგრძლივობა. სიძლიერე, მდებობა და სხვ., რაც მხოლოდ მოცულის რეალიზების დროს დაწინდება ხოლმე.

⁶ ანალიზისათვის მოსაშობილა სლიტერატურო ქართული ენის მონაცემები, ძირითადად — ახალ ქართული ენისა. მაგალითები ორდინარულია, ამიტომ მათ წყაროს აღარ მივუთითებთ.

⁷ ეს ელემენტები მხოლოდ მსგავსებითი შედარების სქემებში არ მონაწილეობენ და ასეთ შემთხვევებში, ცხადია, განსხვავებული ფუნქციაც აკისრიათ.

⁸ კომპონენტებს წარმოადგენენ A, B და N.

წარმოადგენს, ამიტომ ნაწილთა რაოდენობა სამია. სქემის ნაწილი ყოველთვის არ უდრის ცალკე სიტყვას, ვინაიდან ზოგჯერ ა) სქემის ერთი ნაწილი რამდენიმე სიტყვით გადმოიყვამა ან ბ) ერთ სიტყვაში ორი ნაწილი რეალიზდება. სქემის ნაწილი წევრებისაგან შედგება, რომელთაგან ერთი ძირითადია, სხვა — ძირითადი წევრის განმსაზღვრელი. შესაძლებელია ნაწილი მხოლოდ ერთი წევრითაც რეალიზდებოდეს. A-ს მარეალიზებული ძირითადი წევრი a სიმბოლოთი აღინიშნება, B-სი — ხ სიმბოლოთი, N-ისა კი — n სიმბოლოთი. a და ხ ყოველთვის სუბსტანტივით ან გასუბსტანტივებული სიტყვით რეალიზდება, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი — სუბსტანტივთა ურთიერთმიმართებით, n კი — პრედიკატივით ან ატრიბუტივით. ძირითად წევრებთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვათაგან ყველა ვერ იქნება სქემის წევრი: განმსაზღვრელი წევრი ისეთი სიტყვაა, რომლის ამოღებით მოდელი სემანტიკურ დონეზე ირღვევა. რომ შევუდაროთ ორი გამონათქვამი: 1. ვაჟაკმა დაპრილი ლომივით დაიღრიალა და 2. ვაჟაკი დაპრილი ლომივით საცოდავი სანახავი იყო, სიტყვა დაპრილი ორსავე შემთხვევაში ერთი სინტაქსური მნიშვნელობა ექნება (განსაზღვრება), მაგრამ მსგავსებითი შედარების თვალსაზრისით — განსხვავებული ფუნქცია: პირველად ნახმარი დაპრილი სქემის წევრი არ არის, მეორედ ნახმარი კი სქემის წევრია, რაც იქიდან ჩანს, რომ მისი ამოღებით მოდელი სემანტიკურ დონეზე დაიშლება: ვაჟაკი ლომივით საცოდავი სანახავი იყო, შდრ.: ვაჟაკმა ლომივით დაიღრიალა, სადაც დაპრილი-ს ამოღებას იგივე შედეგი არ მოსდევს. განმსაზღვრელი წევრი — იმისად მიხედვით, თუ რომელ წევრს განსაზღვრავს, აღინიშნება δ_x და δ_n სიმბოლოებით.

3.3. როგორც ძირითადი, ასევე განმსაზღვრელი წევრები შესაძლოა შერწყმულს სახით წარმოგიდგინენ სქემაში. ამას მსგავსებითი შედარების კატეგორიისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ცვლილება მხოლოდ რაოდენობრივია. შერწყმა ხდება განმსაზღვრელი წევრებისა, ძირითად წევრთაგან კი — a-სა და n-ისა. ხ შერწყმული სიტყვებით იშვიათად რეალიზდება.

3.4. სქემათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს n-ის შინაარსი. ვიღებთ ორ ჯგუფს: I ჯგუფის სქემებში n ატრიბუტია (n_1), მეორისაში — პრედიკატი (n_2). n_1 -ის სქემებში a თვისებრივი გამოვლენით ემსგავსება ხ-ს, n_2 -ის სქემებში კი — ქმედებითი გამოვლენით.

3.5. n_1 -ის ჯგუფი. ამ ჯგუფის სქემისათვის ნიშანდობლივია, რომ ისინი წინადადების კონსტრუქციის ნაწილს (ბლოკს) წარმოადგენენ. სქემის ნაწილები ერთმანეთის მიმართ სინტაქსურად დაქვემდებარებულ ურთიერთობაში არიან: ხ და n_1 წარმოადგენენ a-ს განმვრცობს, (დეტერმინანტებს)⁹, თავად a კი წინადადებაში შესაძლოა მთავარ (ქვემდებარე, პირმომართი დამატებები), ან მეორეხარისხოვან როლს ასრულებდეს. მსგავსების ფუნქციის გამოხატვა ეკისრებათ ელემენტებს, რომლებიც ხ-საგან განსაზღვრულ ფორმას მოითხოვენ. ეს ელემენტებია: -ვით, -ებრ/მებრ, -ებრი, -ებური, -თანა, -ნაირი, -ტოლა, -ზელა, -ოდენი/დენი. -ოდენა, ხნის, -ვით-ის გარდა, რომელიც სახე-

⁹ ამ ტერმინისთვის იხ. И. Ю. Шведова, Детерминирующий объект и детерминирующее обстоятельство как самостоятельные распространители предложения, ВЯ, 1961, 6; მისივე, Существуют ли все-таки детерминанты как самостоятельные распространители предложения, ВЯ, 1968, 2.

ლობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს ხ-საგან, დანარჩენი ელემენტები ნათესაობითს დაერთვის (-ებრ შესაძლოა ფუძესაც დაერთოს)¹⁰. სქემის ძირითად წევრთა თანმიმდევრობა განსაზღვრულია: ჭერ ელემენტდართული ხ, შემდეგ ი₁ და ბოლოს ა¹¹

3.6. ატრიბუტული ჭგუფის სქემებში ი₁ ზოგჯერ ცალკე სიტყვით რეალიზდება. ზოგჯერ კი ზ-ს საშუალებით. ამ ნიშნის მიხედვით ეს სქემები სამად ჭგუფდება: 1. სქემა, რომელშიც ი₁ ყოველთვის ცალკე სიტყვით რეალიზდება, 2. სქემა, რომელშიც ი₁ არასოდეს ცალკე სიტყვით არ რეალიზდება და 3. სქემა, რომელშიც ი₁ ზოგჯერ ცალკე სიტყვით რეალიზდება, უფრო ხშირად კი — არა. როდესაც სქემაში ელემენტად -ვით გვევლინება, მაშინ ი₁ ყოველთვის ცალკე სიტყვით გადმოიკემა ან ცალკე სიტყვად ივარაუდება¹². თუ მსგავსების ელემენტებად -ხელა, -ტოლა, -ოდენა, -ოდენი/-დენი, ხნის, დარი მოგვევლინენ, ი₁ თავად ამ ელემენტის საშუალებით რეალიზდება და იგი სქემაში ცალკე სიტყვად არც სახეზე არ იქნება და არც ივარაუდება. -თანა, -ნაირი-ელემენტები სქემები კი გარდამავალნი არიან ამ ორ ჭგუფს შორის და ი₁-ს ხან ცალკე სიტყვით ავლენენ, ხანაც — თავად ამ ელემენტებით.

ამის ნიზეზი ის არის. რომ -ვით თანდებული (ე₁) ოდენ გრამატიკული (აქ: მსგავსების) ფუნქციითაა აღჭურვილი და დამოუკიდებლად არაფერს გვეუბნება, თუ რა ნიშნის მიხედვით გვაქვს მსგავსება. ამიტომ N, რომელიც მიუცილებელია მსგავსების კატეგორიისათვის, ცალკე სიტყვით გადმოიკემა. პირიქით, -ხელა და მისთანანი (ე₂) თავად მიუთითებენ, კერძოდ რა ნიშნის მიხედვით ვვაქვს მსგავსება. ქართულ ენაში ნიშნის (ი₁) ზოგიერთი მხარის გრამატიზება მოხდა. ამ ჭგუფის გარკვეული ელემენტები უბრალოდ მსგავსებას კი არ გვიჩვენებენ, არამედ ზომით, რაოდენობითა და ასაკით (ხნოვანობით) მსგავსებას; ი აქ თავად ე-შია მოქცეული, იგი ცალკე სიტყვად არცა გვაქვს და არც ივარაუდება. ასეთ სქემებში ერთი სიტყვით გადმოიკემა დასამსგავსებელიც (ი₁), ნიშანიც (ი₂) და მსგავსების ელემენტიც (ე).

თუ I და II ჭგუფების ელემენტთა ფუნქციები და სემანტიკა შემოზღუდულია, III ჭგუფისა (-თანა, -ნაირი) უფრო თავისუფალია. -ვით-ის მსგავსაო ისინიც ზოგად მსგავსებაზე მიუთითებენ, ამიტომ ი₁ ამ სქემებშიც ზოგჯერ ცალკე სიტყვითაა წარმოდგენილი. მაგრამ მათ, -ვით-ისაგან განსხვავებით, აქცენტი გლობალურ მსგავსებაზე გადააქვთ. ამ ნიუანსის რეალიზების დროს ი₁ ცალკე სიტყვით უკვე აღარ წარმოგვიდგება, ვინაიდან მსგავსების გლობალურობა თავად არის N. ამგვარ მსგავსებას -ვით-იანი სქემით ვერ გამოვხატავთ, ვერ ვიტყვით: შენსავით კაცი მჭირდება, არამედ ასე: შენისთანა კაცი მჭირდება, როცა მთლიანი, ერთიანი მსგავსების გამოხატვა გვსურს და არ გავხაზავთ ხასიათის რაიმე თვისებას. თუ ეს მიზანი გვაქვს, სქემა შეიცვლება: შენსავით გამოცდილი (კვიანი, ეშმაკი და ა. შ.) კაცი მჭირდება, თუმცა არ არის გამორიცხული — შენისთანა გამოცდილი კაცი მჭირდება. ამ შემთხვევაში გლობალური მსგავსების ნიუანსი აღარ არის რეალიზებული.

¹⁰ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბილისი, 1953, გვ. 115 შმდ., გვ. 622 და ლ. კვაქანტირაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 19.

¹¹ განჯარბოების შემთხვევაში ა წინ მოქცევა.

¹² შესაძლოა ასეთ სქემაში ელიფსირებულ იქნეს. ამის შესახებ — ქვემოთ.

ელემენტები იმითაც უპირისპირდებიან ერთმანეთს, რომ ისინი განსხვავებულად ნაწილდებიან სხვადასხვა კლასის სიტყვებში. მაგ. III ჯგუფის ელემენტები (ა) ძირითადად ნაცვალსახელებს ეროვის. შედარებით შეზღუდულია ε_1 -ც, უფრო თავისუფალია ε_1 -ებრ ელემენტის შემცველი სქემა უნდა განვასხვავოთ -ებრი ელემენტის სქემისაგან. I შემთხვევაში იგი, როგორც თანდებული, ისე რეალობება და დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს -ვით-იან სქემასთან (განსხვავება სტილისტურია), მეორეგან კი იგი წარმოქმნის ელემენტია და ε_2 სქემებს ეკედლება.

- 3.7. n_1 ჯგუფის სქემები: 1. $[g_1] - b_{\varepsilon_1} - (n_1) - a...$
 2. $[g_2] - b_{\varepsilon_2} - a...$
 3. $[g_3] - b_{\varepsilon_3} - [n_1] - a...$ ¹³

არის ატრიბუტული ჯგუფის ერთი სქემა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ჩამოთვლილთაგან და სტრუქტურულად პრედიკატული ჯგუფის სქემებს უახლოვდება. აქ ელემენტი განსხვავებულია (კავშირი როგორც) და სქემის ნაწილთა თანამიმდევრობაც. მისი ხმარების არც ძალზე ვიწროა, მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებში, ძირითადად პოეზიაში თუ გამოიყენება. მხედველობაში გვაქვს ამგვარი მაგალითები: ლამაზი, როგორც ყვავილი, ქალი ჩამოხდა ცხენიდან. გვაქვს მიახლოებითი მსგავსების გამომხატველი ელემენტიც — მაგვარი, რომელიც გაურკვეველ სიტუაციაში სწორად იხმარება განუსაზღვრელ ნაცვალსახელთან ერთად: ხელში რაღაც დანიისმაგვარი სხეული მომაჩეჩა.

გლობალურ მსგავსებას გადმოგვემსგავსოთ ელემენტი — მსგავსი, რომლის საშუალებითაც სწორად გადმოიყვება გარეგნული, გრძნობის ორგანოებით აღქმული (ძირითადად — ვიზუალური) მსგავსება.

3.8. n_2 -ის ჯგუფი. ამ ჯგუფის სქემები წინადადების კონსტრუქციის ბლოკს კი არ წარმოადგენს, არამედ მთლიან კონსტრუქციას, ვინაიდან ქართული წინადადების სტრუქტურულად ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი, ზნაშემასმენელი, ამ სქემის ერთ-ერთი წევრია (n_2). ამის გამო სქემის წევრებს შორის განსხვავებული მიმართებაა, ვიდრე ატრიბუტულ ჯგუფებში, მათი თანამიმდევრობაც უფრო თავისუფალია.

პრედიკატულ ჯგუფთან ისეთი ელემენტებიც გვაქვს, რომლებიც ატრიბუტულისთვის არ იყო დამახასიათებელი; ესენია კავშირები: როგორც, ვითარცა, ვითა (ε_5), რომელთა შორის სხვაობა სტილისტურია: ვითარცა და ვითა ახალი ქართულისათვის არქაიზმს წარმოადგენს. ატრიბუტულ ჯგუფთან ხმარებულ ელემენტთაგან პრედიკატულში უცვლელი სახით გამოიყენება -ვით, -ებრ, ვითარებითი ბრუნვის ფორმით კი — მსგავსი, -მაგვარი, -ნაირი, -ებური (ε_4). (ε_2), როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სქემებში არ გვხვდება: ამ ელემენტთა სემანტიკა ზომითი, რაოდენობრივი და ასაკობრივი მსგავსების ჩვენებაა, ეს ნიშნები კი მოქმედების დასახასიათებლად არ გამოიყენება.

n_1 და n_2 ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა გვაქვს ნიშნის რეალიზებაში. ატრიბუტულ ჯგუფში იგი (ნიშანი) მხოლოდ ერთი, ძირითადი წევრით

¹³ ε_1 = -ვით, -ებრ, ε_2 = -ტოლა, -ხელა, -ოღენა, -ოღენა/-ღენი, ხნის, ღარი, -ებრი; ε_3 = -თანა, -ნაირი. კვადრატულ ფრჩხილებში თავსდება სქემის წევრი, რომელიც მოცემულ სქემაში ხან წარმოადგენილია, ხანაც — არა. ფრჩხილებში თავსდება სქემის წევრი, რომელიც სქემაში ჯოველთვის არის ან ივარაუდება, რადგან შესაძლოა ელიფსირებულ იქნეს.

გადმოიცემოდა (განმსაზღვრელი არ დაერთვოდა), რომელიც ა) ზოგჯერ სახეზე გვექონდა, ბ) ზოგიერთ სქემაში ელიფსირდებოდა, გ) ზოგან კი მსგავსების ელემენტში ექცეოდა. პრედიკატულ ჯგუფში n_2 ყოველთვის გვაქვს; იგი არც ელიფსირდება და არც ელემენტში მოექცევა. მას ხშირად ახლავს განმსაზღვრელი წევრი (F_{n_2}), რომელიც მოქმედების თვისებრივი მახასიათებელია და ბევრ შემთხვევაში n_1 -ის ანალოგს წარმოადგენს. E_1 ელემენტებიან პრედიკატულ სქემებში F_{n_2} ცალკე სიტყვით რეალიზდება, რომელიც ზოგჯერ ელიფსირებულია. E_1 ელემენტებიან ატრიბუტულ სქემებში n_1 ანალოგიურ თვისებას აელენს. განსხვავება ისაა, რომ E_{n_2} შესაძლოა საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი, n_1 კი ყოველთვის არის ან ივარაუდება. E_3 ელემენტებიან ატრიბუტულ სქემებში n_1 ცალკე სიტყვად, ჩვეულებრივ, არ გვხვდება და არც ივარაუდება. ასევე, ამავე ელემენტებიან¹⁴ პრედიკატულ სქემებში E_{n_2} არ გვხვდება და არც ივარაუდება. განსხვავება ისაა, რომ ამ უქანასკნელში E_{n_2} არასოდეს არ არის წარმოდგენილი.

E_{n_2} სხვა წევრებთან დაკავშირებულ განმსაზღვრელ წევრებს იმითაც ემიჯნება, რომ მისი ამოღებით მოდელი სემანტიკურ დროზე არ იშლება, ამდენად, მხოლოდ პირობითად ეუწოდებთ მას განმსაზღვრელ წევრს. ზოგიერთ მაგალითში F_{n_2} -ის ამოღება მოდელს სემანტიკურ დონეზე შლის. მაგ., ქალი დამქენარი ვარდივით საცოდავი სანახავი იყო, აქ E_{n_2} -ის (საცოდავი) ამოღებით მოდელი იშლება, მაგრამ ამკვარ მაგალითებში თავად მსგავსებითი შედარების კატეგორია არაფერ შუაშია, აქ უფრო ზოგადი კანონი მოქმედებს: რიგი პრედიკატებისა (გამოყრება, პირი უჩანს, სანახავია) ყოველთვის ვარაუდობს თვისებრივ მახასიათებელს.

3. 9. მსგავსებითი შედარების კატეგორიის გამომხატველ სქემათაგან განსაკუთრებულ სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებას იჩენს კავშირ-ელემენტოვანი სქემები. ყველა სხვა სქემა მხოლოდ ერთ a -ს ამსგავსებს ასევე ერთ x -სთან (ერთით — რომ ვაზობთ, სტრუქტურულ ერთეულს ვეკულისაზობთ, თორემ თავად a და x შესაძლოა მრავლობითი რიცხვის ფორმით ან ერთგვაროვან სახელთა შერწყმით წარმოგვიდგინენ). ატრიბუტულ სქემებთან სხვანაირად არც შეიძლება. ვინაიდან ატრიბუტული ნიშანი მხოლოდ ერთ წევრს შეიძლება ახასიათებდეს და მასვე მიემართება. პრედიკატული ნიშნით (ზმნა-შემასმენელი) კი შესაძლოა რამდენიმე წევრი უკავშირდებოდეს ერთმანეთს. იგი რამდენიმე წევრის „მახასიათებელია“.

ამიტომ ასეთი ნიშნის მიხედვით დამსგავსებისას შესაძლოა არა მარტო ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული ცალკეული ერთეული შეედაროს ამავე ნიშნის მატარებელ სხვა ერთეულს, არამედ რამდენიმე ერთეული — რამდენიმეს. თანაც სრულებითაც არ არის საეაღლებულო, რომ ამ კომპლექსურ შედარებაში მონაწილე შესაბამისი კომპონენტები იმავე ნიშნით ცალ-ცალკე დაუკავშირდნენ მსგავსების კატეგორიით ერთმანეთს. მაგ., როგორც გველს ეჯავრება გოგირდი, ისე მეზობლებს ეჯავრებოდა მამაშენი. აქ ერთი მხრივ გველი ემსგავსება მეზობლებს, მეორე მხრივ გოგირდი — მამაშენს. დამოუკიდებლად ამ წყვილებით a -სა და x -ს რეალიზაციისას მოდელი სემანტიკურ დონეზე დაიშლება: მეზობლებს ისე ეჯავრებოდათ მამაშენი, როგორც გველს; მეზობლებს ისე ეჯავ-

¹⁴ იგულისხმება ერთობით ბრუნვით გაფორმებული E_3 .

რებოდათ მამაშენი, როგორც გოგირდი. ან: წუთისოფელი (შენ) ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა. აქ შესაბამისად წუთისოფელი უპირისპირდება ლეკს, შენ კი — ნაბადს. ამათგან I წყვილი მოცემული ნიშნის (გაგთელავს) მიხედვით ერთმანეთს დამოუკიდებლად ვერ დაუკავშირდება: წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ლეკი, მეორე წყვილის დაკავშირება კი შესაძლებელია: წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ნაბადს. შეიძლება ისეთი სემანტიკური ერთეულებით რეალიზებული სქემის დაძებნა, სადაც კომპლექსური მსგავსების შემადგენელი წყვილები მოცემული ფუნქციით დამოუკიდებლადაც რეალიზდებიან. ზემო მაგალითს რომ ასე ვუცვალოთ სახე: წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ტრაქტორი — ბალახს, აქ თანაბრად შესაძლებელია — წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ტრაქტორი, და — წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ბალახს. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პრედიკატული ჯგუფის ასეთ სქემებში ცალკეული ერთეულები რაიმე ნიშნით კი არ ემსგავსებიან ერთმანეთს, არამედ რამდენიმე წევრს შორის რაიმე ნიშნით ურთიერთდამოკიდებულება ემსგავსება სხვა წევრებს შორის ამავე ნიშნით გადმოცემულ ურთიერთდამოკიდებულებას.

როგორც ვნახეთ. კომპლექსური მსგავსების დამოუკიდებელ ნაწილებად დაშლა ყოველთვის ვერ მოხერხდა. პირველ პროცესიც, როცა რაიმე განსაზღვრულ ნიშანთან ცალ-ცალკე მართებულადაა დაკავშირებული წყვილები, მათი გაერთიანება კომპლექსში კი მოდელის დარღვევას იწვევს, კვლავ გახანავს იმ გარემოებას, რომ კომპლექსური მსგავსებისას ნიშანთან (ი2) დაკავშირებული წევრები კი არ ემსგავსებიან ერთმანეთს, არამედ — მათი ურთიერთდამოკიდებულება. ზემოთ მოცემულია მართებული სქემები: წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ნაბადს; წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ტრაქტორი, მაგრამ მათი მექანიკური გაერთიანებით მოდელი სემანტიკურ დონეზე იშლება: წუთისოფელი ისე გაგთელავს, როგორც ტრაქტორი — ნაბადს.

ამ სახის სქემებისათვის ნიშანდობლივია მსგავსების ფუნქციის მატარებელი რთული შედგენილობის ელემენტი ისე — როგორც, რომელთაგან როგორც (resp. ვითარცა, ვითა) ყოველთვის სახეზეა „დამოკიდებულ“ წინადადებაში, ისე კი — „მთავარში“¹⁵, ეს უკანასკნელი შესაძლოა ელიფსირებულ იქნეს.

3.10. ატრიბუტული ჯგუფის სქემები იდენტური სემანტიკური ერთეულებით სქემის წევრთა რეალიზებისას ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ელემენტთა სემანტიკით, დისტრიბუციითა და სტილისტური ელფერით. პრედიკატულ სქემებშიც მოქმედებს ჩამოთვლილი ფაქტორები, მაგრამ ზოგიერთი სქემა რეალიზებისას იმავე ინფორმაციას იძლევა, რასაც სხვა სქემა, სტილისტურადაც — იდენტურს. ამგვარი ვითარებაა, როცა კავშირლემენტთან სქემას ვით-ელემენტთან სქემით ვცვლით და პირიქით¹⁶. ეს კია, რომ ვით-იანი სქემა (პრედიკატული ჯგუფისა) ყოველთვის შეიძლება კავშირიანით შეცვალოთ, საპირისპირო პროცესი კი განსაზღვრულ პირობებშია შესაძლებელი. თანაც კომპლექსური მსგავსების დროს შეცვლა (სქემის ტრანსფორმაცია) საერთოდ შეუძლებელია, ასეთ მსგავსებას ოდენ კავშირიანი სქემები გამოხატავენ.

¹⁵ ასეთა სტრუქტურის წინადადებები ძოლოდ პირობით თუ ჩაითვლება რთულ ქვეწყობილად. იხ. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966. გვ. 396.

¹⁶ იხ. ლ. კვაჭაძე, დასახ. შტ., გვ. 450.

n_2 ჯგუფის სქემები:

1. $a - [r_n] - b_{e1} - [g_{n2}] - n_2$ $e_1 =$ -ვით, -ებრ;
2. $a - [r_n] - b_{e4} - n_2$ $e_4 =$ -ნაირად, -მაგვარად, -მსგავსად, -ებურად;
3. $a - [k] - n_2 - e_5 - [g_n] - b$ $e_5 =$ როგორც, ვითარცა, ვითა; $k =$ ისე.

კომპლექსური მსგავსების დროს მხოლოდ №3 სქემა მოქმედებს, სადაც a და b სიმბოლოებით სუბსტანტივთა ნაცვლად მათივე ურთიერთდამოკიდებულება აღინიშნება.

სქემათაგან ყველაზე გავრცელებულია ვით-ელემენტურიანი, რომელიც ორსავე ჯგუფში მონაწილეობს. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამ სქემის ანალიზი რიცხვში შეთანხმებისა და ელიფსის საკითხებთან დაკავშირებით.

§ 4. მსგავსებითი შედარების კატეგორია და რიცხვში შეთანხმება.

4.1. სიმრავლის ცნება მსგავსებითი შედარების ლმ-ში ყველა კომპონენტთან ერთნაირად მოსალოდნელი არაა. n_2 პრედიკატია, რომელიც მრავლობითობას მასთან პირიქედ დაკავშირებული წევრისას თუ გამოავლენს, თავად კი ამ ნიშნით ვერ დახასიათდება. n_1 ატრიბუტია; სიმრავლის ამსახველი რაოდენობითი რიცხვითი სახელებიც ძირითადად განსაზღვრების ფუნქციას ასრულებენ წინადადებაში. მიუხედავად ამისა, n_1 რიცხვითი სახელებით მაინც ვერ რეალიზდება. არ შეიძლება: თითებივით ხუთი კაცი..., თვლებივით ორი გზა... და ა. შ. ამის მიზეზი თვით ლმ-ის არსში უნდა ვეძიოთ. როგორც აღვნიშნეთ (2.2), ლმ მუშაობს A-სა და B-ს საერთო ნიშნის (ამ შემთხვევაში n_1 -ის) რაოდენობრივ-ინტენსიური თვალსაზრისით გასათანაბრებლად. აქედან კი გამომდინარეობს, რომ n ისეთი სემანტიკისა უნდა იყოს, რომელიც გრადაციას აკუთვნს, რომლის საფუძვრითა გათანაბრება შესაძლებელია. რაოდენობითი რიცხვითი სახელები ამ საფუძვრებს მოკლებულნი არიან. ისინი თავად წარმოადგენენ სინუსტის ეტალონს, ამიტომაც ამ ნიშნით დამსგავსება შეუძლებელია¹⁷.

4.2. a და b კი სუბსტანტივებია, რომლებიც თავისუფლად იგუებენ სიმრავლის ნიშნის როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკურ მახასიათებელს. რიცხვის კატეგორიის მიხედვით დამოუკიდებელი ცვლადის როლში a გვევლინება, b -ს რიცხვი, ჩვეულებრივ, მასზე დამოკიდებული. ასეთი სინტაქსური ურთიერთობა კი, როცა წინადადების ერთი წევრის რიცხვის კატეგორიის მიხედვით ცვლილება მეორე წევრის შესაბამის ცვლილებას იწვევს, რიცხვში შეთანხმებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ a ყოველთვის ვერ ახერხებს b -ს რიცხვში შეთანხმებას: a როცა მხოლობითშია, b -ც მხოლობითშია, a -ს მრავლობითში გადაყვანისას კი ორგვარი შედეგია: ან b -ც მრავლობითში გადავა (ე. ი. შეთანხმება მოხდება), ან მხოლობითში დარჩება. არის გამონაკლისები, როცა a მხოლობითშია, b კი შესაძლოა მრავლობითის ფორმით იქნეს წარმოდგენილი. მხედველობაში გვაქვს ამგვარი მაგალითები: ი გ ი ს ხ ვ ე ბ ი ვ ი თ ი ქ ე ე ვ ა , მ ე ც ს ხ ვ ე ბ ს ა ე ი თ ვ მ ხ ი ა რ უ ლ ბ დ ი , ი გ ი ც მ ა თ ს ა ე ი თ უ ბ ე დ უ რ ი ა და ა. შ. ასეთ მაგალითებში b -ს მარეალიზებლად გვევლინება კრებული და ხაზი ნიშ-

¹⁷ განუსაზღვრელი რიცხვის აღნიშნული სახელები: ბევრი, მრავალი, ცოტა, ურიცხვი, უთვალავი, რამდენიმე და სხვ. განსაზღვრულ პირობებში შესაძლოა n_1 -ის მარეალიზებლად მოგვევლინონ სწორედ ამ გაურკვევლობის გამო, მაგ., კალიასავით უთვალავი მტრის ქარი...

ნის რაოდენობრივ-ინტენსიური თვალსაზრისით გათანაბრებას კი არ გავსმის (ვინაიდან a და b ძირითადად ერთი სემანტიკის სიტყვებია), არამედ a-ს მიერ b-სათვის — როგორც კრებულისათვის — დამახასიათებელი ნიშნის გაზიარებას, ერთეულის ჩართვას კრებულში განსაზღვრული ნიშნის მიხედვით. მსგავსების გაცემა ასეთ მაგალითებში სუსტდება. შდრ. ერეკლე ლომსავეთ იბრძოდა და ერეკლე სხვებსავეთ იბრძოდა. ამ უკანასკნელში ერეკლე დაპირისპირებულია კრებულთან, რომლის წევრები იმავე სემანტიკის სიტყვებია, როგორისაც — ერეკლე (ამ შემთხვევაში — მებრძოლი; კრებულის აღმნიშვნელი ერთეული, ჩვეულებრივ, ელიფსირებულია)¹⁸. ამიტომაც დამსგავსების მომენტი შესუსტებულია და აქცენტი a-ს კრებულში მონაწილეობაზე მოდის. I მაგალითში კი მსგავსების ფუნქციაა წინ წამოწეული სხვადასხვა სემანტიკის სიტყვების დაპირისპირებით. აქ შეუძლებელია: ერეკლე ლომებივით იბრძოდა.

4.3. რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია: რა სემანტიკური ერთეულით რეალიზდება a და b, აქვთ თუ არა მათ რიცხვის კატეგორია, ერთი სიტყვით გადმოცემიან, თუ ერთგვაროვანი რამდენიმე სიტყვით.

1. შეთანხმება ვლინდება გრამატიკული საშუალებით: ეს დევებივით ქორათები როგორ აწვილიან ზეცად!.. ყვითელი თვლები... ისრებივით მიეპყრო ტრედისათვის; სქელი, გველებივით დაკლანილი ფესკები ჩემს უბე კალთაში ჩაუწყვიათ; გაშიშვლებული სხეულებივით ელადა მრუმეში ხეები; მზის სხივები შუბებივით ეცემოდა მიწას.

2. ან b კრებითი სახელია; ასეთ შემთხვევაში აზრობრივი შეთანხმება გვაქვს: კალიასავით მოედნენ სპარსელები საქართველოს; ტყვეები ნახირივით გაირეკეს წინ; გაიჭიმა გუთნეულ ხარკამეჩებივით თავების გუნდი.

3. ან b ნივთიერების სახელია, ან ისეთი, რომელიც ძნელად ჰკვობს მრავლობით რიცხვს: ცეცხლივით თვლები შემომავთა: მაგრამ მე ზუღამ მემახსოვრება შენი თოვლივით თეთრი ხელები: იქ... ბოლივით გაკლანილი მრეში ღრუბლები ჩამოწოლილიყო: მისი ტოტები... ქექა-ქუხილივით ხმაურობას ასტეხდნენ; სინათლის გზები გამრავლების ტაბულასავით იცოდა; ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს; წაბლისფერი თმა კვამლის რგოლებივით ხვეული ჰქონდა; ყრუანტელი მივლის, როცა იმისი აღმასივით ბრქვალელები მავონდება.

4. ერთგვაროვანი წევრებით გადმოცემული a მრავლობით რიცხვში დასმულ a-ს ედრება: ბარტყებივით გარს ეხვიენენ დედ-მამას ილიკო, ნიკო და თამრიკო. აქ შეთანხმებაა, მაგრამ: ცა და ქვეყანა რომ ხელში მქეროდა, ყველსავით გაწურავდი. აქ სურიცხო სახელით არის რეალიზებული, ამიტომ შეთანხმება არ გვაქვს.

საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს, ამის აშკარა მიზეზი კი არა ჩანს¹⁹: ძალებმა ყური სქვიტეს და ტყვიასა-

¹⁸ ზოგჯერ კრებულის აღმნიშვნელი სიტყვა სახეზეა: ღიად, ახლა ქარს ეღარ მიჰყვება ხელს წითელი სხვა ხეებივით.

¹⁹ შეინიშნება ტენდენცია სქემაში გი₂-ის მონაწილეობის დროს რიცხვში შეთანხმებლობისა.

ვით შეუპოვრად დაეტაკენ არუთინას; ტრედები წავიდნენ ტყვიასა-
საეით პირდაპირ; ნებუმ თვალე ჰკილა... როგორც სალტესაეით გადა-
ეჭიმა მუცლის კუნთები; ამისათვის... კრელი ქისები ჰქონდა,
?ანთასაეით შეეკრილები; მაყვალსაეით შავად შეკუნწლული სა-
ფერავის ეაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად.

როგორც ჩანს, ამ თელსაზრისით ქართულში არა გვაქვს სტაბილური ვი-
თარება; როდის ვერ მოხდება შეთანხმება, ამის წესები თითქოს დაჩნდა, მაგ-
რამ როდის გვექნება შეთანხმება უცილობლად, ამის კანონი არა ჩანს. არის
ისეთი სახის შედარებები. სადაც თითქოს თანაბრადაა შესაძლებელი შეთანხმე-
ბაცა და შეუთანხმებლობაც. ამის დადასტურებას წარმოადგენს მაგალითები,
როცა ერთგვაროვან დასამსგავსებელთაგან ზოგი შეთანხმებულია, ზოგიც არა:
(მიმინო და ჯიხოლა) ხან ბელურებივით ეივთეებდნენ, ნიბლიები-
ვით წიწინებდნენ, ხან მზეწვიასაეით წრიბინებდნენ და ღობე-
მძვრალსაეით წიოდნენ²⁰.

4.4. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში რიცხვი შეთანხმების
ორი უდავო შემთხვევა გამოყოფილი: ქვემდებარისა და დამატება-ობიექტე-
ბის რიცხვი მეტ-ნაკლებად აისახება ზმნა-შემასმენლის ფორმით, ხოლო სა-
ზღვრულის რიცხვი — მსაზღვრელით²¹. როგორც დავინახეთ, დამსგავსებულის
(ა) მრავლობითობა იწვევს დასამსგავსებლის (ბ) მრავლობითი რიცხვის ფორ-
მას. ამით ეს მოვლენა შეთანხმების ზემოდასახელებულ შემთხვევებს ეკედ-
ლება. საერთოა თითქოს ისიც, რომ ორსავე შემთხვევაში გვაქვს შეთანხმების
დარღვევა, ვაბატონებული წევრი თავის რიცხვს ყოველთვის ვერ დააჩენს და-
ქვემდებარებულს. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი მომენტი, რომელიც
მნიშვნელოვანდ განასხვავებს მსგავსების მოდელის წევრთა რიცხვი „შეთან-
ხმებას“ სხვა სახის რიცხვი შეთანხმებისაგან. ჩვეულებრივი შეთანხმებისას ამ
მოვლენის საფუძველი ყოველთვის და ოდენ სინტაქსურია: ზმნა-შემასმენელ-
სა და მსაზღვრელში მეორეულად ვლინდება რიცხვის კატეგორია, რომელიც
მათთვის, როგორც თვისებისა და ქმედების სემანტიკის მატარებელ ერთეულ-
თათვის, არსებითად უცხოა. დასამსგავსებელი კი ამ მხრივ არ განსხვავდება
დამსგავსებულისაგან, მისთვის, ჩვეულებრივ, ისევე პირველადი და არასინ-
ტაქსურია რიცხვის კატეგორია, როგორც დამსგავსებულისათვის²². ამიტომ
დამსგავსების მოდელში მხოლოდ სინტაქსური მოვლენა არა გვაქვს, აქ ზოგ-
ჯერ სემანტიკური ფაქტორებიც მოქმედებენ (4.2). ამიტომაც არის, რომ შესა-
ძლოა შეგვეხედეს მაგალითები, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებში, სა-
დაც შესადარებელი მრავლობითი რიცხვის ფორმით იქნება წარმოდგენილი,
შედარებული კი — მხოლობითით: ბიკი წიგნის ფურცელზე აღბეჭდილი
ასოებივით უძრავი იყო.

საყურადღებოა „შეთანხმების“ დიაქრონული ასპექტით განხილვაც. ძველ
და საშუალო ქართულში ამ ფუნქციით გამოიყენებოდა *ე*-ელემენტებიანი სქე-

²⁰ მაგალითი ამოღებულია: ლ. კვაკანტირაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი,
გვ. 147.

²¹ დაწვრილებით იხ. ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I,
თბილისი, 1968, გვ. 162—209; ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 83 და შმდ.; ლ. კვაკანტირაძე, დასახ.
შრ., გვ. 93—110.

²² А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении. Москва,
1956, гл. 30—33.

მები. თითქმის ყველგან რიცხვში შეთანხმება გვაქვს: ბორცუნი იმღერდეს, ვითარცა კრავნი²³ (სას. პოეზია, რი, 232); ვითარცა მკუდარი... ეგრეთვე ჩვენ აღმადგინენ მკუდრეთით (ბოლნ. 46,6); ხოლო კაცნი იგი შიშისა მისისაგან იქმნეს, ვითარცა მკუდარი (კიმ.)... მონაზონნი და ქალწულნი, ვითარცა ავაზაკნი, მიიკლვოდეს და ვითარცა ცეცხლნი ეგრე ეტყინებოდეს იგინი (წარტყუნ., იზ. 30); გამოაბრწყინენ შენ, მესნელო, წმინდანი მღვდელთ მოძღუარნი ვითარცა რაჟ ვარსკვლავნი სამყაროსანი (სას. პოეზია, ეზ, 194); და შეკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინნეს იგინი ურთიერთას, ვითარცა იგი მწყემსმან რაჟ განარჩინნის ცხოვარნი თიკანთაგან (მათე 25,32); ვითარცა მთიებნი რაჟ ჰნათობენ სამყაროსა ცათსა, ეგრეთვე თქუენცა გამოჰბრწყინდით სიერცესა შინა უდაბნოსასა... (სას. პოეზია, რმა, 146); მიხედეს სიბრძესა, დაქდეს სიღრმესა ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი (აბლულუმესია, 34,2).

ზოგჯერ შეთანხმება არა გვაქვს: და რაჟამს ილოცვიდე, არ იყო (შენ) ეგრე, ვითარცა იგი ორგულნი (მათე 6,5); ხოლო შენ რაჟამს იქმოდი ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა... (მათე 6,2); დასდებდა მათ (იგი), ვითარცა წწნი მოციქულნი (ასურ., 19,10). ეს აიხსნება იმ სემანტიკური ფაქტორებით, რომლის შესახებაც ზემოთ (4.2) გვქონდა მსჯელობა.

ორიოდე ისეთი მაგალითიც შეგვხვდა, სადაც თითქოს მოსალოდნელი იყო რიცხვში შეთანხმება და არა გვაქვს: ვითარცა მთანი გარემოხს იხრუსალემისას, ავრამთვე ეკლესიაჲ შენ მოციქულთა გარემოხს შემოკრებულ არიან წმიდასა ეკლესიასა შენსა (ჭ.-ეტრ., 244, V, 7); ვითარცა სახელ ასპიტმან მამა-ღვდაჲ მოკლის, ეგრეცა ფარისეველთა მამაჲ საგონებელი (სახისმეტყ., 17, იგ, 29).

ყოველ შემთხვევაში, შეთანხმების თავიდან აცილების ტენდენცია თითქოს აქეთ და აქეთ უფრო იჩენს თავს.

§ 5. მსგავსებითი შედარების სქემათა სემანტიკური ერთეულებით რეალიზება.

5.1. მსგავსებითი შედარების სქემათა სემანტიკური ანალიზი არკვევს სარეალიზებო ოდენობათა სემანტიკას, მათ კორელაციას, შეხვედრის სიხშირესა და ალბათობას. მოდელის დაშლას ამ დონეზე იწვევს, ერთი მხრივ, სქემის ნაწილთა შეუფერებელი სემანტიკის ერთეულებით რეალიზება და ნაწილთა შორის კორელაციის დარღვევა, მეორე მხრივ, თვით ნაწილის შიგნით სქემის წევრთა არასწორი განაწილება.

5.2. ძირითად წევრთა სემანტიკური დახასიათება. ლმ-ს მექანიზმის აღწერა-განსაზღვრებიდან ჩანს, რომ x და y არსებითი სახელებით უნდა რეალიზდებოდეს, n_1 — ზედსართავით, n_2 კი — ზმნით. ეს მართლაც ასეა, ოღონდ ძირითად წევრთა მარეალიზებული ერთეულები მაინც ზუსტად ვერ თავსდება დასახლებულ მეტყველების ნაწილთა ფარგლებში. ყველაზე გარკვეული ვითარება n_2 -ის რეალიზების დროსაა, იგი ყოველთვის ცალკე სიტყვით და ყოველთვის ზმნით არის გადმოცემული, თანაც არასოდეს არ ელიფსირდება.

²³ მაგალითები ამოღებულია: შ. ძიძიგური, კეშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 147 და შშდ.

ნ₁ წევრი ე₁-ელემენტიან სქემებში ყოველთვის განსაზღვრების ფუნქციით გვევლინება. მაგრამ ყველა სახის განსაზღვრება მსგავსებითი შედარების მოდელში ნ₁-ის როლს ვერ იკისრებს, ყველა სახის ნიშან-თვისება ვერ გახდება საგანთა შორის დამსგავსების სფერო. ზემოთ (4.1) აღვნიშნეთ, თუ რატომ არ შეიძლება რიცხვითი სახელებით ნ₁-ის რეალიზება. იმავე მიზეზით ნ₁ ვერ გამოიყენება სუბსტანციური მსაზღვრელით: კუთვნილება ისეთი ნიშანია, რომლის მიხედვით დამსგავსება ძნელი წარმოსადგენია. ვერც ერთი სახის ნაცვალსახელი, რომლებიც ასე ხშირად გვევლინება მსაზღვრელის ფუნქციით, ნ₁-ის რეალიზებაში ვერ მონაწილეობს. ზედსართავ სახელთა გარდა, ნ₁-ის მარეალიზებლად ენებითი და საშუალო გვარის მიმღებობებიც გამოდის, ძალზე იშვიათად — მოქმედებითი გვარისანიც. უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებობებით რეალიზებული ნ₁ ფაქტიურად პრედიაკატული ჯგუფის სქემის ტრანსფორმაციას წარმოადგენს და ნ₂-ზე დაიყვანება: შანთივით გახურებული შუბლი — შუბლი შანთივით გახურდა; მერცხალივით მოკიკვავე ბალღი — ბალღი მერცხალივით კიკვიებს.

ზედსართავთაგანაც, ცხადია, ყველა ერთნაირი სიხშირით ვერ მონაწილეობს ნ₁-ის რეალიზებაში. ზოგი მიმართებითი ზედსართავი (დანიშნულების, წარმომავლობის სახელები) ნ₁-ში ვერც მონაწილეობს. ისეთი გავრცელებული ზედსართავი სახელი, როგორიცაა ახალი, ნ₁-ის როლში არ შეგვხვედრია და დამაკმაყოფილებელი კონტექსტის შექმნაც გაკვირდა. ჩანს, ქართულად მოლაპარაკისათვის არ არსებობს ისეთი ხ, რომელთანაც სიახლის ცნების კავშირი მტკიცე იყო²⁴. ამას ლოგიკური საფუძველი აქვს: სიახლის ცნება მუდმივობას გამოირიცხავს. მართლაც, ძნელია ისეთი საგანი მოვნახოთ, რომელიც მუდმივი ინტენსივობით ახალი იყოს და სიახლის ერთგვარ ეტალონს წარმოადგენდეს. ნ₁ ჯგუფის სქემებში კი ხ-სა და ნ₁-ს შორის ამგვარი მტკიცე კავშირი ივარაუდება. თუმცა ენა ასეთ განსჯით მომენტებს ყოველთვის არ უწყევს ანგარიშს და განსაზღვრულ ნიშან-თვისებას მტკიცედ უკავშირებს ხოლმე საგნებს, თუნდაც ამისთვის კიდევ უფრო ნაკლები ლოგიკური საფუძველი არსებობდეს.

ამრიგად, ნ₁-ის მარეალიზებელი სემანტიკური ჯგუფი არც ოდენ ზედსართავი სახელებით ამოიწურება და ყველა ზედსართავიც ვერ მონაწილეობს ნ₁-ის რეალიზებაში.

5.3. ა-სა და ხ-ს როლში არსებითი სახელები. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები. მოქმედებითი გვარის მიმღებობა და. საერთოდ. გასუბსტანტიკებული ყველა მეტყველების ნაწილი შეიძლება მოგვევლინოს, ზმნის პირიანი ფორმაც კი: მოდიხარით აღვიღად ამბობს წადის. მსგავსების ფუნქციას ყველაზე სრულად არსებითები გადმოგვეცემენ. ხ-ს ნაცვალსახელებით რეალიზებისას მსგავსების ფუნქცია სუსტდება. ამ დროს სემანტიკური კავშირი ხ-სა და ნ₁-ს შორის ფაქტიურად შეუზღუდველია. მსგავსების კატეგორია აქ მხოლოდ კონტექსტისა და სიტუაციის წყალობით ფიგურირებს, ვინაიდან ნაცვალსახელით რეალიზებული ხ ნიშნისადმი სრულიად გულგრილია. სიტუაციის გაუთვალისწინებლად მისებრ გულადი მეომარი, შენსავით გამხდარი ქალი, ჩემსავით ზარმაცი ადამიანი, მსგავსების თვალსაზრისით უტყვია.

²⁴ აქ ლაპარაკია ერთი სიტყვით რეალიზებულ ხ-ზე.

5.4. განმსაზღვრელ წევრთაგან \mathcal{F}_x განსაზღვრებაა, \mathcal{E}_{12} კი — ვითარების გარემოება.

უშუალო კორელაცია, ცხადია, ერთი მხრივ, Π -სა და \mathcal{A} -ს შორის, მეორე მხრივ, Π -სა და \mathcal{B} -ს შორისაა, მაგრამ Π -ს სემანტიკა მინც \mathcal{A} -ს სემანტიკით არის შეზღუდული, თანაც Π ჩვეულის სქემებში უფრო მეტად, ვიდრე \mathcal{A} ჩვეულის სქემებში. ამას განაპირობებს \mathcal{A} -ს უნარი \mathcal{B} -ის მარეალიზებლად გაცილებით მეტი სემანტიკური ერთეული შეიხამოს, ვიდრე Π -სა. ამ მოვლენის მიზეზი კი ზმნური დახასიათების არასტაბილურობაშია, მოქმედების დროულ განზომილებაში მოქცევის ენობრივ უნარში. ზმნური მახასიათებელი სახელისათვის წარმოიდგინება არა როგორც მუდმივი, არამედ — დროებითი, წარმავალი, შდრ. ბ რ ა ზ ი ა ნ ი კ ა ც ი და კ ა ც ი ბ რ ა ზ დ ე ბ ა, ის, რაც შემთხვევაში სტაბილურია, Π -ში ასეთი არაა²⁵. ზედსართაული მახასიათებელი კი დროის გაგებას მოკლებულია. იგი სტატიკურად ახასიათებს სახელს. ეს გამომდინარეობს კონსტანტურობიდან თვით საგნისა, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით უცვლელია დროის მიხედვით. უცვლელია მისი თვისებრივი მახასიათებელიც, ვინაიდან საგნის უცვლელობას მისი სპეციფიკური ნიშან-თვისებათა უცვლელობა განაპირობებს. მუდმივი მახასიათებელი კი საგნის დროებითზე უფრო ნაყლები რაოდენობისა აქვს ხოლმე. ამას ემატება ის, რომ ამ შეზღუდული რაოდენობიდან \mathcal{A} -სთან დასაყვეშირებლად \mathcal{B} -ს ყველა თვისებრივი მახასიათებელი არ გამოდგება. მაგ., ქვის დასახასიათებლად შესაძლოა ვიხმაროთ მაგარი, ბრტყელი, მძიმე, ხავსიანი და სხვ. მაგრამ ამათგან მხოლოდ მაგარი არის ის თვისება, რომელიც ყველა ქვისთვისაა ნიშანდობლივი, დანარჩენი ატრიბუტივები შესაძლოა ანტონიმებთან შეეცვალოს. ჩვეულებრივ, სწორედ ამ შინაარსის Π შეიწყობს დასამსგავსებელ ერთეულად ქვას.

§ 6. ელიფსი მსგავსებითი შედარების სქემებში.

6.1. ელიფსის შედეგი სქემებში ორგვარია: ა) სქემის წევრი უბრალოდ ამოვარდება. სტრუქტურა კი უცვლელი რჩება და ბ) სქემის წევრის ამოვარდნას სტრუქტურის შეცვლა მოსდევს. პირველი შედეგი გვაქვს Π -ის, Π კი — \mathcal{A} -ს ან \mathcal{B} -ს ამოვარდნისას.

ელიფსი მსგავსებითი შედარების ყველა სქემას თანაბრად არ ეხება. არც სქემის წევრებზე ვრცელდება ეს მოვლენა ერთნაირად: \mathcal{A} -სა და \mathcal{B} -ს ამოვარდნა საერთოდ იშვიათად ხდება და თანაც განსაზღვრულ სემანტიკურსა და გრამატიკულ პირობებში. \mathcal{B} -ის ელიფსი საერთოდ არა გვაქვს. ყველაზე გავრცელებულია Π -ის ამოვარდნა.

6.2. Π -ის ელიფსი Π წინადადებაში განსაზღვრების ღუნქციას ასრულებს. მისი ამოვარდნა დამოკიდებულია \mathcal{A} -სა და \mathcal{B} -ს სემანტიკაზე. ხშირად საგნის ცნებას აქვს მუდმივი თვისებრივი მახასიათებელი, ან საგანი მუდმივად ერთ ასოციაციას იწვევს. მაგ. ქვისათვის სიმაგრე მუდმივი მახასიათებელია. ლომი მუდამ სიძლიერის ასოციაციას იწვევს. ეს ატრიბუტები სახელებს ისე მიემაგრა, რომ თავისთავად იგულისხმება და მსაზღვრელად არცა ვხმარობთ (მაგარი ქვა სემანტიკური სიჭარბეა). თუ ასეთი საგანი ამ ნიშნით მსგავსების ლოგიკურ მოდელში \mathcal{B} -ს მარეალიზებლად იქნა გამოყენებული, Π შესაძლოა ამოვარდეს. მაგ., დევივით (უზარმაზარი)

²⁵ იხ. А. М. Пешковскнй. დასახ. შრ., გვ. 75 და შდ.

ქორაფები, ლომივით (გ უ ლ ა დ ი) მეომარი, თოვლივით (თ ე თ რ ი) ხელები, გიშერივით (შ ა ვ ი) თვალები და ა. შ. ასეთ დროს საუაღდებულო არა მხოლოდ ერთი, განსაზღვრული სიტყვა აღვადგინოთ: აღდგება ხოლმე მომიჯნავე სემანტიკის რამდენიმე სიტყვა. ამა თუ იმ საგანთან განსაზღვრული ნიშანია მიმაგრებული და ზოგჯერ კირს ამ არჩევანის ახსნა. მაგ., თოვლის თვის თანაბრად დამახასიათებელია სითეთრეცა და სიცივეც, თანაბრად შეუძლებელია შავი თოვლი და ცხელი თოვლი (მხედველობაში არა გვაქვს პოეტური მეტყველება), მაგრამ როცა ხ-ს მარეალიზებლად თოვლი გვაქვს და Π_1 ელიფსირებულია, ქართულად მოლაპარაკისათვის ყოველთვის აღდგება თეთრი და არა ცივი. თოვლივით ხელები — თოვლივით თეთრი ხელები, თუმცა კონტექსტი ისეთია, რომ ა-ს განმსაზღვრელად ცივიც დასაშვებია.

საგნისათვის მიწერილი თვისება ხშირად თვით საგნის არსებით ნიშანს არ წარმოადგენს და ზოგჯერ შეცდომითაც მიემაგრება მას: (ბ რ ო ლ ი ვ ი თ თ ე თ რ ი, ჩ ო ნ ხ ი ვ ი თ გ ა მ ხ დ ა რ ი). ლომივით კ ა ც ი. როცა ვამბობთ, უ შ ი შ ა რ ი და მომიჯნავე სემანტიკის სიტყვას აღვადგენთ ხოლმე, თუმცა ეს არ წარმოადგენს ლომის ცნების ყველაზე უფრო სპეციფიკურ ნიშანს.

Π_1 -ის ამოვარდნა მაშინაა მოსალოდნელი, როცა ა და ხ მხოლოდ ერთი ნიშნით უკავშირდება ერთმანეთს მეტყველის ფსიქიკაში, თანაც ნიშნის საპირისპირო მნიშვნელობით ინტერპრეტაცია შეუძლებელი უნდა იყოს. ხ-ს მარეალიზებელი ლომი მხოლოდ ერთი ნიშნის (ძ ლ ი ე რ ე ბ ა და არა, ვთქვათ, ს ი ს წ რ ა ფ ე) ასოციაციას იწვევს და თანაც ყოველთვის პოზიტიურს (არ ვუშვებთ, რომ ლომი უ ძ ლ უ რ ი, მ შ ი შ ა რ ა შეიძლება იყოს). ამიტომაცაა შესაძლებელი ამ შემთხვევაში ნიშნის (Π_1) ამოვარდნა. ხ-ს მარეალიზებლად რომ ძაღლი იყოს, მაშინ Π_1 -ის ელიფსი არ გვექნება, ვინაიდან ძაღლი სხვადასხვა შინაარსის ასოციაციას იწვევს (ე რ თ გ უ ლ ი, ა ვ ი), თანაც ეს ასოციაცია ზოგისთვის დადებითია, ზოგისთვის უარყოფითი (ა ვ ი, კ ე თ ი ლ ი). ასეო დროს Π_1 სახეზეა, ვინაიდან მისი ამოვარდნის შემთხვევაში განსხვავებული მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვის აღდგენა შესაძლებელია.

6.3. ხ-ს ე ლ ი ფ ს ი. ხ შესაძლოა მაშინ ამოვარდეს ატრიბუტული ჩვეულის სქემებში, თუ ა) სქემა E_1 ელემენტანია, ბ) ხ-ს განმსაზღვრელ წევრად ახლავს სუბსტანტიური მსაზღვრელი (E_2), გ) ა და ხ ენობრივად. იდენტურ ოდენობას წარმოადგენენ და მათ შორის განსხვავება კუთვნილებით ურთიერთობაზეა დაფუძნებული: არუთინა თ ა გ ვ ი ვ ი თ ვ ი წ რ ო თ ვ ა ლ ე ბ ს ახ ა მ ბ ე ბ დ ა; აქ ამოვარდნილია ხ — თ ვ ა ლ ე ბ ს, ე. ი. არუთინა თ ა გ ვ ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი ვ ი თ ვ ი წ რ ო თ ვ ა ლ ე ბ ს ახ ა მ ბ ე ბ დ ა. ამ შემთხვევაში ელიფსმა უკვე სტრუქტურაზე ელიქმება: ხ ამოვარდა, E_1 -მა კი მის სუბსტანტიურ მსაზღვრელზე (E_2) გადაინაცვლა. რომელმაც სქემაში ამოვარდნილი ხ-ს ადგილი დაიკავა. თუ Π_1 ისეთი შინაარსისა იქნება, რომ მსგავსების ფუნქციით ისევე დაუკავშირდება E_2 -ს, როგორც ხ-ს, მაშინ შესაძლოა სქემის ორგვარი ინტერპრეტაცია. ზემოთყვანილ მაგალითში Π_1 შესაბამისი სემანტიკისა რომ იყოს, ვთქვათ, ვ ი წ რ ო ს ნ ა ც ე ლ ა დ — მ ო უ ს ვ ე ნ ა რ ი, ო რ ა ზ რ ო ე ა ნ ფ რ ა ზ ა ს მივიღებდით: არუთინა თ ა გ ვ ი ვ ი თ მ ო უ ს ვ ე ნ ა რ თ ვ ა ლ ე ბ ს ახ ა მ ბ ე ბ დ ა = ა) არუთინას თ ვ ა ლ ე ბ ი არის თ ა გ ვ ი ვ ი თ მ ო უ ს ვ ე ნ ა რ ი და ბ) არუთინას თ ვ ა ლ ე ბ ი არის თ ა გ ვ ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი ვ ი თ მ ო უ ს ვ ე ნ ა რ ი. პირველი ინტერპრეტაციით შესაძლებელია მოხდეს რიცხვში შეთანხმება და

მაშინ ფრაზა აღარ იქნება ორაზროვანი: არუთინა თ ა გ ე ბ ი ე ი თ მოუსვენ-
ნარ თ ვ ა ლ ე ბ ს ახამხამებდა.

ბ-ს ელიფსი შესაძლებელია პრედიატული ჭკუფის სქემებშიც. აქაც ძა-
ლაში რჩება ის პირობა, რომ ა და ბ ენობრივად იდენტური ოდენობანი უნდა
იყვნენ. ეს ელემენტთან სქემებში ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს და
ატრიბუტული მსაზღვრელი იქნება თუ სუბსტანტიური, ამოვარდნა მოხდება:
ჩემი მანქანა ისე მუშაობს, როგორც ახალი (მ ა ნ ქ ა ნ ა), ჩემი მანქანა ისე მუ-
შაობს, როგორც მეზობლის (მ ა ნ ქ ა ნ ა). ე₁ ელემენტთან სქემებში კი ბ მხო-
ლოდ ატრიბუტულ მსაზღვრელთან ამოვარდება: ჩემი მ ა ნ ქ ა ნ ა ახალ მ ა ნ-
ქ ა ნ ა ს ა ვ ი თ მუშაობს — ჩემი მ ა ნ ქ ა ნ ა ა ხ ა ლ ი ე ი თ მუშაობს. სუბ-
სტანტიურ მსაზღვრელთან ამოვარდნა სულ სხვა შინაარსს მიაჩვენებს სქემას:
ჩემი მ ა ნ ქ ა ნ ა მეზობლის მ ა ნ ქ ა ნ ა ს ა ვ ი თ მუშაობს, ბ-ს ელიფსით:
ჩემი მ ა ნ ქ ა ნ ა მეზობელი ე ი თ მუშაობს.

6.4. ა-ს ე ლ ი ფ ს ი. ა-ს ამოვარდნა მსგავსებითი შედარების მოდელზე
არაა დამოკიდებული. ი₂-ის შემთხვევაში ა-ს ელიფსი მოჩვენებითია. ვინაიდან
ა. როცა იგი ზმნასთან პირივლად დაკავშირებული სახელია, რეალაზდება ზმნის
ფორმით. ი₂-ის შემთხვევაში ა მაშინ ამოვარდება, თუ იგი პირის ნაცვალსახე-
ლითაა რეალიზებული: ქარხალივით გაწითლებულმა (მ ე) თავი დავხარე. მაგ-
რამ აქ მოქმედებს ზოგადი კანონი, რომლის თანახმად პირის ნაცვალსახელი
თავის მსაზღვრელთან ვერ ძღვება. მსგავსებითი შედარების კატეგორიას ამ
თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შდრ.: გაწითლებულმა (მ ე)
თავი დავხარე. რამდენსამე შემთხვევაში ა-ც ამოვარდება. ეს ხდება მოდელის
წალიზის სემანტიკურ დონეზე. გრამატიკულ დონეზე ა ყოველთვის სახეზეა.
ამ დროს ი₁ ჭკუფის ე₁ ელემენტთან სქემა გვაქვს, და კი სუბსტანტიური მსა-
ზღვრელია. ა და ბ რეალიზდებიან ისეთი განსხვავებული სიტყვებით.
რომლებიც ფუნქციონალურად იდენტური საგნების აღმნიშვნელნი არიან. მაგ.,
ქ ბ ი ლ ი — ე შ ვ ი, თ მ ა — ფ ა ფ ა რ ი, ფ რ ჩ ხ ი ლ ი — კ ლ ა ნ ქ ი, ძ უ-
ძ უ — ც უ რ ი და ა. შ. ამ გამონათქვამის — მან ლომივით (ხშირი) ფ ა ფ ა რ ი
გადაივარცხნა — ამოსავალად ივარაუდება: მან ლომის ფ ა ფ ა რ ი ე ი თ (ხში-
რი) თ მ ა გადაივარცხნა, სადაც ა-სა და ბ-ს იდენტური სიტყვებით რეალიზე-
ბისას ანალოგიურ სქემაში ბ ამოვარდება ხოლმე. აქ კი ბ-ს ამოვარდნა არ შე-
იძლება: მან ლომივით თმა გადაივარცხნა, ვინაიდან და ვერ იგულებს ა-ს. ასეთ
შემთხვევაში შესაძლოა დაიწყოს სქემის მეტაფორიზება. ამოვარდეს ა (თმა),
მისი ადგილი დაიკავოს ბ-მ (ფაფარი), ე₁ (-ვით) მოსცილდეს ამ უკანასკნელს და
მის მსაზღვრელს და-ს (ლომი) მიეკედლოს. ანალოგიური ვითარებაა ამ მაგა-
ლითშიც: სევასტიმ ტ ა ხ ი ე ი თ ე შ ვ ე ბ ი გამოაჩინა. ცხადია, ამ დროს შე-
საძლოა -ვით დართული მსაზღვრელი საერთოდ ამოვარდეს, რაც გამოიწვევს
მსგავსებითი შედარების კატეგორიის ანულირებას.

დასასრულ: მსგავსებითი შედარების კატეგორია ხატოვანი ენისათვისაა
დამახასიათებელი. მას ძირითადად მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციები ენი-
ჭება. ამიტომ ენობრივი ფაქტის აღწერის შემდეგ მისი შეფასების საკითხიც
დგება. რაც სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ლია ლასააჰა

ნათესაობითი ბრუნვის ატრიბუტული კონსტრუქციების
სემანტიკური სტრუქტურა თანამედროვე ქართულში

ენობრივი ერთეულების მნიშვნელობა ტექსტში არ არის ნათელი ფორმით წარმოდგენილი. ამიტომ სიტყვათა მნიშვნელობების დადგენისა და კლასიფიკაციისათვის საჭიროა დაეყრდნოთ ტექსტის ისეთ თვისებებს, რომლებსაც შეიძლება უშუალოდ დააკვირდეთ და რომლებიც ამავე დროს ასახავენ უშუალო დაკვირვების სფეროს გარეთ მყოფ სემანტიკურ თვისებებს.

ტექსტის ელემენტთა მნიშვნელობა, როგორც წესი, ვლინდება სინტაქსურ ასპექტში, რომელიც შეიძლება იყოს უშუალო დაკვირვების ობიექტი¹. ამიტომ ენობრივი ელემენტთა სინტაქსური ნიშნების მიხედვით შეიძლება დადგინდეს მათი სემანტიკური მსგავსება და განსხვავება. ცნობილია, რომ იდენტური სინტაქსური თვისებების მქონე ენობრივი გამოხატუვამებს აქვთ მსგავსი მნიშვნელობები და პირიქით, მსგავსი მნიშვნელობების მქონე ენობრივი გამოხატუვამებს აქვთ ერთნაირი სინტაქსური თვისებები. მაგალითად, ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ რუსულში ფრაზები, რომლებშიც ვლინდება ზმნის სხვადასხვა მნიშვნელობა, როგორც წესი, ექვემდებარებიან სხვადასხვა ტრანსფორმაციას².

აღწერილი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს უფრო მკაცრად აღვწეროთ ენის სემანტიკური ასპექტი.

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა კლასების სემანტიკური ნიშნები მათი სინტაქსური ნიშნების საფუძველზე.

ბრუნვის კატეგორია წარმოადგენს სახელის ძირითად კატეგორიას. რომელიც ქართულ ენაში უშუალოდ დაკავშირებულია ზმნასთან და ზმნის კატეგორიებთან. ბრუნვის ფორმათა მნიშვნელობებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არც ერთ ბრუნვას არა აქვს ისეთი ერთიანი მნიშვნელობა, რომელიც გამოდგე-

¹ Ю. Д. Апресян, Экспериментальное исследование семантики русского глагола, М., 1967. Ю. Д. Апресян, К вопросу о структурной лексикологии, «Вопросы языкознания», 1962, № 3. Ю. Д. Апресян, О понятиях и методах структурной лексикологии (на материале русского глагола), «Проблемы структурной лингвистики», 1962. Е. Курпилов и, Очерки по лингвистике, 1962. В. Матезиус, О системном грамматическом анализе, «Пражский лингвистический кружок», М., 1967. А. А. Халодович, Залог. Определение, Исчисление «Категория залогов», Материалы конференции, А., 1970. N. Chomsky, Aspects of the theory of syntax, Cambridge, Mass 1965. N. Chomsky Studies on semantics in generative grammar, The Hague-Paris, 1972. R. Jakobson, On linguistic aspects of transformation, «On translation», Ed. R. A. Bower, Cambridge, Mass. 1955. S. Jakobson, Essais de linguistique generale, Paris, 1963.

² Ю. Д. Апресян, Экспериментальное исследование семантики русского глагола, М., 1967.

ბოდა იმის კრიტერიუმად, რომ ესა თუ ის ფორმა მივაკეთვნოთ გარკვეულ ბრუნვას. როგორც ა. პოტებნია აღნიშნავს: „ჩვენ მიეჩვიეთ, მაგალითად, ვილაპარაკოთ ერთ მოქმედებით ბრუნვაზე რუსულში, მაგრამ სინამდვილეში ეს ბრუნვა არის არა ერთი გრამატიკული კატეგორია, არამედ რამდენიმე სხვადასხვა, გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული კატეგორია. მოქმედებითის ყოველი განსაკუთრებული ხმარება არის ახალი ბრუნვა, ისე რომ, კერძოდ, ჩვენ გვაქვს რამდენიმე ახალი ბრუნვა, რომელიც აღინიშნება მოქმედებითის სახელით“³.

ბრუნვის ფორმათა აღწერა როგორც სისტემისა, რომელიც აღებულია ქართული ენის ფუნქციონირების თანამედროვე ეტაპზე სინქრონულ კრილში და მკიდრო კავშირში იმყოფება ერთიანი რთული ენობრივი მექანიზმის სხვა ფრაგმენტებთან, შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად.

ქართული ენის ბრუნვის სისტემის ერთ-ერთი თავისებურება არის ის, რომ მისგან შეიძლება ცალკე გამოიყოს ბრუნვები, რომელთა მაჩვენებლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც სიტყვათწარმოქმნელი აფიქსები⁴. ასეთ ბრუნვათა რიცხვს ქართულში მოქმედებითთან და ვითარებითთან ერთად მიეკუთვნება ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტს აქვს არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ სიტყვათწარმოქმნითი ფუნქციაც. ასეთ ფორმას ნ. მარი უყოლებდა მიმართებიან ნათესაობითს (родительным с от-ношением)⁵. ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის მიერთების შედეგად იქმნება ახალი გაფართოებული ფუძე და ხელმეორედ იბრუნება, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი.

ქართველურ ენებში მიმართებიანი ნათესაობითის არსებობა სწორად ახსნა ჯერ კიდევ ფ. ბოპმა, რომელიც თვლიდა, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში მყოფ არსებით სახელს აქვს ზედსართავი სახელის ფუნქცია და დისტრიბუცია და აქვს „ნარი, თავის მხრივ, იბრუნებოდეს“⁶.

ქართული ენის ბრუნვის სისტემაში ნათესაობითი ბრუნვის ფუნქცია საზოგადოდ ვლინდება ერთი სახელის მეორესთან დამოკიდებულებაში. სინტაგმაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უმთავრესად გამოდის როგორც დამოკიდებული წევრი. განსაზღვრებითი დამოკიდებულება ნათესაობით ბრუნვაში დასმულსა და სხვა სახელს შორის შინაარსობრივად შეიძლება იყოს სხვადასხვა. მართული სიტყვის ტიპს, როგორც ნიშანს, აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგანაც ბრუნვის ფორმის სემანტიკა და მისი სინტაქსური ფუნქცია მკიდროდა დაკავშირებული იმასთან, თუ რას უკავშირდება ბრუნვის ფორმა, სახელს თუ ზმნას და ა. შ. ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ქართულში იხმარება როგორც არსებით სახელთან, ასევე ზმნასთან და ზმნიზედებთან. სახელთან ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ასრულებს ატრიბუტულ ფუნქციას. მაგალითად, ვოგონა დედის კაბას კერავდა, სახლის სახურავი გაასწორა, რკინის გალია

³ А. А. Потебня. Из записок по русской грамматике, I, II, 2-е изд., Харьков, 1888, გვ. 56.

⁴ ვ. თოფურიძე, ნათესაობათა და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებისათვის, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თსუ, 1956.

⁵ Н. Марр., Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925.

⁶ Franz Bopp, Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, Berlin, 1847, გვ. 19.

გააკეთა და ა. შ. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ატრიბუტულ კონსტრუქციებს.

ცნობილია, რომ ენაში ნებისმიერი სინტაგმატური ჯაჭვის აგება ექვემდებარება ენის ორ შინაარსობრივ ფუნქციას: დენოტატის აღნიშვნის ნომინაციურ ფუნქციას და კომუნიკაციურ ფუნქციას⁷. ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა წარმოადგენს აქტიურად მოქმედ სიდიდეს სწორედ ენის ამ ორი შინაარსობრივი ფუნქციის გამოსახატავად.

ნათესაობითი ბრუნვის კონსტრუქციები წარმოადგენენ მრავალი გრამატიკული ურთიერთობის (ატრიბუტულის, აქტანტურის, ადვერბიალურის) თითქოსდა შეკუმშულ ფორმებს, რომლებიც ადვილად იშლება წინადადებაში (მაგალითად, ბავშვის თამაში — ბავშვი თამაშობს; დედის ხალაი — დედს აქვს ხალაი). სწორედ ეს შეკუმშული ფორმები ასრულებენ თანამედროვე ქართულში ნომინაციურ ფუნქციას. ამასთანავე, ყველა ფორმა მიღებულია სხვადასხვა სემანტიკური „სათავისაგან“ სინტაგმატურ ჯაჭვში. სწორედ ეს „სათავეები“ განსაზღვრავენ გენეტური კონსტრუქციის საკომუნიკაციო სტატუსს, ხოლო ნომინაციურ პლანს განსაზღვრავს მათი შესატყვისობა დენოტატთან.

ის ფაქტი, რომ ნათესაობითი ბრუნვა იხმარება, როგორც ნომინაციის საშუალება (ასახელებს გარკვეულ დენოტატს) და როგორც საკომუნიკაციო ფუნქციის გამომხატველი (არის ატრიბუტული ან პრედიკატული კონსტრუქციის წევრი), შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმას აქვს შინაარსობრივი ელფერის მეტად რთული გამა, ე. ი. აქვს რთული სემანტიკა და სხვადასხვა სემანტიკური ფუნქცია სხვადასხვა გარემოცვაში.

ჩვენი დამოკვლევის ამოცანა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ. მოცემულია თანამედროვე ქართული ენის სწორი წინადადებების სიმრავლე, რომელთა ცენტრალურ პოზიციაშიც⁸ დგას არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. ითვლება, რომ სწორი წინადადებების სიმრავლე მოცემულია ინფორმანტის ენობრივი გამოცდილების მიხედვით. მოითხოვება ნათესაობითი ბრუნვის ფორმის სახელთა სემანტიკის აღწერა, რომელიც ელინდება მისი სინტაქსური თვისებების (დისტრიბუციული განაწილებისა და ტრანსფორმაციების) საფუძველზე. მეორე მხრივ, ვადგენთ კლასების იკვივებებს და განსხვავებებს დენოტატებთან შეთანადებით. შემდეგ ეს ორი მიმართულება ერთიანდება და ადასტურებს ერთიმეორის სისწორეს.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმის არსებით სახელთა ეკვივალენტური სემანტიკური კლასების დასადგენად ჩვენ ვიყენებთ ამ ფორმათა დისტრიბუციულ კონსტრუქციებსა და ტრანსფორმაციებს. სინტაქსურ ნიშანთა ერთობლიობა ითვლება ეკვივალენტურ ფრაზათა კლასის ფორმალურ განმსაზღვრელ ნიშნად. დისტრიბუციული კონსტრუქცია წარმოადგენს ეკვივალენტურ სიტყვა-ფორმათა კლასების ერთმანეთთან უშუალოდ სინტაქსურად დაკავშირებულ სიმბოლოებს, რომლებშიც ყველა პოზიცია აუცილებელია, ხოლო ცენტრალური პოზიცია უკავია სიტყვა-ფორმას Nგ-ს (ე. ი. ნათესაობითი ბრუნვის

⁷ Общее языкознание, М., 1972, გვ. 297—328.

ცენტრალური პოზიცია განისაზღვრება ი. დ. აპრესიანის მიხედვით: Ю. Д. Апресян Исследование семантики русского глагола, М., 1967, გვ. 48. „კონსტრუქციის ეწოდება რაღაცა X₀ პოზიციის მიმართ ორიენტირებული, თუ ამ ფრაზის ან კონსტრუქციის ნებისმიერი სხვა პოზიცია X₀ ქმნის წყვილს X-თან, ან არის აუცილებელი, X₀ პოზიციის ამ შემთხვევაში ეწოდებოდა ცენტრალურს“.

ფორმას). ყოველ კონსტრუქციას შეესაბამება მოცემულ ფრაზათა გარკვეული კლასი.

ჩვენ მიერ გამოყენებულ ტრანსფორმაციებში სრულდება ის პირობა, რომ ძირითადი სემანტიკური კომპონენტი (ე. ი. სახელთა შორის ინვარიანტული შინაარსობრივი დამოკიდებულება) რჩება უცვლელი, მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რომლებიც შეუძლიათ შემოიტანონ აღნიშნულ ტრანსფორმაციებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შემცველ გამონათქვამებში.

ცნობილია, რომ წინადადების წყობაში არსებობს ორი ტიპის დამოკიდებულება — ზედაპირული, ე. ი. მოცემულ წინადადებაში ფორმალურად უშუალოდ გამოხატული (მორფოლოგიურად, სიტყვათა მიმდევრობით ან სხვა რაიმე საშუალებით), და სიღრმისეული, რომელიც იხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემულ წინადადებას ვუპირისპირებთ ამავე ენის სხვა ისეთ წინადადებას, რომლებიც არიან სემანტიკურად იდენტურნი და ასახავენ მათი ელემენტების ერთმანეთთან შინაარსობრივ კავშირს⁹. სხვადასხვა ზედაპირული სტრუქტურის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციებს შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი სიღრმისეული სტრუქტურა და პირიქით.

წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა განისაზღვრება როგორც წინადადებაში გამოხატული შინაარსობრივი დამოკიდებულების სისტემა, ხოლო მისი ზედაპირული სტრუქტურა როგორც ენობრივი კომუნიკაციის პროცესში რეალურად ხმარებული გრამატიკული ფორმა („აგებულების ფორმა“). „წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა გადმოგვცემს მის მნიშვნელობას, რამდენადაც სიღრმისეული სტრუქტურა შეიცავს მთელ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა წინადადების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის“¹⁰.

ცნობილია, რომ შინაარსობრივი „შენადედი“, რომელსაც შეიცავს წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა (ან ნებისმიერი სინტაქსური კონსტრუქცია), გულისხმობს იმ ძირითადი ელემენტების ინვარიანტულ შემადგენლობას, რომელთა შორისაც დამოკიდებულებანი არ იცვლება და ზედაპირული სტრუქტურის მისაღებად მთელი რიგი ტრანსფორმაციების გამოყენებისას შენარჩუნებულია ერთი და იგივე უცვლელი ინვარიანტები. სწორედ ეს ინვარიანტული კომპონენტები წინასწარ ვანსაზღვრავენ სიღრმისეული სტრუქტურის ბაზისის მდგრადობას.

ჩვენ მიერ გამოსაკლავი ნათესაობითი ბრუნვის ფორმების ფრაზათა სიმრავლე შეიძლება განვიხილოთ როგორც ზედაპირული სტრუქტურების სიმრავლე. ამ სტრუქტურების ელემენტები არიან კონკრეტული სიტყვა-ფორმები, რომელთა შორისაც არსებობს ფორმალურად უშუალოდ გამოხატული სინტაქსური დამოკიდებულებანი. ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა აღწერა დისტრიბუციული ნიშნების მიხედვით მოახდენს ზედაპირული სტრუქტურების კლასიფიკაციას. მოცემულ ფრაზათა კლასი, რომელიც გამოიყოფა განსაზღვრული დისტრიბუციული კონსტრუქციის საშუალებით, წარმოადგენს მოცემული ფორმის გარკვეული ზედაპირული სტრუქტურის კლასს, რომელშიც გამოიყოფა რაღაც საერთო სემანტიკური კომპონენტი. ანალიზის შემდგომი

⁹ А. С. Бархударов, О поверхностной и глубинной структуре предложения, «Вопросы языкознания», М., 1973, № 3.

¹⁰ R. J. Jacobs, P. Rosenbaum, English transformational grammar, Waltham (Mass). 1968, გვ. 19.

დონე — ტრანსფორმაციული ანალიზი მოახდენს საკვლევ ფრაზათა შემდგომ კლასიფიკაციას, რის შედეგადაც ყოველ კლასში ერთიანდება ისეთი ფრაზები, რომელთა ელემენტებს შორისაც დამოკიდებულება ერთნაირია, ე. ი. ყოველ კლასში გამოიყოფა აუცილებელ სემანტიკურ ელემენტთა ერთობლიობა, ანუ სიღრმისეული სტრუქტურა.

კლასიფიკაცია, რომელსაც ვოლბულობთ ტრანსფორმაციული ანალიზის შედეგად, არის ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა სიღრმისეული სტრუქტურათა ტიპების გადათვლა. ერთი ან რამდენიმე ტრანსფორმაცია გამოყოფს სიღრმისეული სტრუქტურის გარკვეულ ტიპს, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს უამრავ ზედაპირულ სტრუქტურაში.

ანალიზის მსვლელობაში გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: V — ზმნა, N — არსებითი სახელი, A — ზედსართავი სახელი, P_{III} — ჩვენებითი ნაცვალსახელი, R — რიცხვითი სახელი, N_I — არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში, Ng — არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში, N_{II} — არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში, N — არსებითი სახელი მოქმედებით ბრუნვაში, N₀ — სახელი ობიექტურ ბრუნვაში (ე. ი. სახელობით ან მიცემით ბრუნვაში), N_s — სახელი სუბიექტურ ბრუნვაში (ე. ი. სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში), N_{ლ.} — სულიერი არსებითი სახელი, N_{მ.} — უსულო არსებითი სახელი. თანდებული შენარჩუნებულია ჩვენს ნოტაციაში თავისი ჩვეულებრივი სახით.

ატრიბუტული დისტრიბუციული კონსტრუქციები ძირითადად არიან შემდეგი სახის: Ng'N₂V. აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა Ng' გამოდის ზმნის ერთ-ერთი აქტანტის განსაზღვრების როლში. ამიტომ ამ კონსტრუქციაში აუცილებლად მონაწილეობს ზმნა, რომელიც განსაზღვრავს ატრიბუტული კონსტრუქციის სტატუსს და ამით მის ფუნქციონალურ შინაარსსაც გამოავლენს, რაც მეტად მნიშვნელოვანია გამოსაკვლევი კონსტრუქციების სემანტიკის დასადგენად. ზმნა აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ნათესაობითი ბრუნვის კონსტრუქცია გამოდის როგორც ნომინალიზებული ერთეული (იხ. ქვემოთ „რაგვარობის კლასი“).

ყოველ დისტრიბუციულ კონსტრუქციასა და ტრანსფორმაციას ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგნაირად: პირველ ადგილზე დგას დისტრიბუციული კონსტრუქციის ნომერი, ხოლო მეორე ადგილზე — ტრანსფორმაციის ნომერი:

1.0. Ng'N₂V — შრიალებს ალვის ხე; გაუკეთეს ჩინის გაღია; მოვიდა ცეკვის მასწავლებელი; ფეხის ხმა ისმის; დაიწინა მღვდლის სახლი და ა. შ.

მოცემულ კონსტრუქციაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოხატავს სუბსტანციურ განსაზღვრებას¹¹. დისტრიბუციულ კონსტრუქციათა ეს კლასი მეტად ფართოა. იგი შეიცავს სხვადასხვა სემანტიკურ კლასს, რომლებიც იხსნებიან ანალიზის მომდევნო (ტრანსფორმაციულ) დონეზე. საერთო მნიშვნელობა დისტრიბუციულ დონეზე არ გამოიყოფა.

განვიხილოთ ტრანსფორმაციები:

1. Ng'N₂V — N₀N₂V — გოგონა დედის კაბას კერავდა — გოგონა დედის კაბას უკერავდა; მეზობლის სახლს აშენებს — მეზობელს სახლს უშენებს; ქალის ტანისამოსი დაძველდა — ქალს ტანისამოსი დაუძველდა.

¹¹ ლ. ლაცაბიძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, ბათუმი, 1966.

ჩვენ მიერ განხილული ნათესაობითი ბრუნვის კონსტრუქციაში „დედის კაბა“, „მეზობლის სახლი“, „ქალის ტანისამოსი“ არის მეორადი კონსტრუქციები. მათ „წყაროს“ წარმოადგენენ შემდეგი სახის უბრალო წინადადებები: „დედას აქვს კაბა“, „მეზობელს აქვს სახლი“, „ქალს აქვს ტანისამოსი“. ამ საწყისი წინადადებების ტრანსფორმებს წარმოადგენენ ნათესაობითი ბრუნვის კონსტრუქციები: ქალს აქვს ტანისამოსი—ქალის ტანისამოსი. საწყისი პრედიკატული წინადადებიდან ჩვენ ვღებულობთ ნომინალიზებულ სტრუქტურებს¹², რომლებიც მოითხოვენ უკვე ახალ პრედიკატებს.

ამოსავალი მარტივი წინადადებები („ქალს აქვს ტანისამოსი“, „მეზობელს აქვს სახლი“ და ა. შ.) წარმოადგენენ სიღრმისეულ სტრუქტურებს, სადაც ზმნის მნიშვნელობა უფრო აბსტრაქტულ ფორმაში განსაზღვრავს აქტანტებს შორის დამოკიდებულებებს. მათი სინონიმური წინადადებები, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვის სტრუქტურები წარმოადგენენ წარმოქმნილ სტრუქტურებს და შეიძლება განვიხილოთ როგორც ზედაპირული სტრუქტურები. ზმნა „აქვს“ წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს მოცემული კლასის ყველა კონსტრუქციისათვის საჭირო აბსტრაქტულ სინტაქსურ მოდელში ანუ სიღრმისეულ სტრუქტურაში. ამიტომ ამ კლასის სიღრმისეული სტრუქტურა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: N¹ აქვს N². აქ ზმნის მნიშვნელობა ატარებს „კუთვნილების“ ნიშანს.

ჩვენ მიერ განხილული ნათესაობითი ბრუნვის კონსტრუქციებს, რომლებიც არიან საწყისი კონსტრუქციებისაგან მიღებული ნომინალიზირებული სტრუქტურები, მიწერილი აქვთ ახალი პრედიკატები. მაგალითად, ქალს აქვს ტანისამოსი—ქალის ტანისამოსი—ქალის ტანისამოსი დაძველდა.

განხილული 1.1. ტრანსფორმაციის შედეგად ზმნის პირიანობა მარცხენა ტრანსფორმში მცირდება: თუ ზმნა ორპირიანია, იგი გახდება ერთპირიანი; ხოლო თუ ზმნა სამპირიანია, მაშინ იგი გახდება ორპირიანი. მარჯვენა ტრანსფორმში ზმნა წარმოდგენილია სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმით. ამიტომ იგი აუცილებლად ორ-ან სამპირიანია. ამ კონსტრუქციაში ყველა წევრს უკავია აუცილებელი პოზიცია, ე. ი. წარმოდგენილია ზმნა სუბიექტთან და პირდაპირ ან ირიბ ობიექტთან ერთად.

მოცემული ტრანსფორმაციის დროს ზმნა გადადის საარვისო ქცევის ფორმაში. ირიბი დამატება, რომელსაც აქვს მიცემითი ბრუნვის ფორმა, გადადის პირდაპირი ობიექტის განსაზღვრებაში და ლებულობს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. აუცილებელი პოზიცია, კერძოდ ირიბი დამატება, გადადის გენეტური ფორმის ფაქულტატურ პოზიციაში, კერძოდ განსაზღვრებაში. ობიექტთა რიცხვის შემცირების გამო ხდება წინადადების შეკუმშვა გენეტურ ფორმაში (ვუკერავ დედას კაბას—დედის კაბა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარჯვენა ტრანსფორმში ზმნა დგას სასხვისო ან სათავისო ქცევის ფორმაში. ა. შანიძემ ქართული ზმნის ქცევის კატეგორ-

¹² მსგავსი სტრუქტურები გვხვდება ბევრ სხვა ენაში. ნომინალიზირებული სტრუქტურები მიღებულია კონსტრუქციათა ნომინალიზაციის შედეგად, რომელიც უკავშირდება ტრანსლაიის ცნებას ტენიერთან და ფუნქციონალურ ტრანსპოზიციის ცნებას ბაისთან. L. Tesnier, Elements de syntaxe structurale, Paris 1959. III. Б а л л и, Общая лингвистика и вопросы французского языка, М., 1955. Z. V e n d l e r, Adjectives and nominalizations, The Hague-Paris, 1968. R. A. J a k o b s, P. S. R o s e n b a u m, English transformational grammar, Waltham, 1968.


რიას ასეთი განმარტება მისცა: „ქცევა გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის“¹³. როგორც ცნობილია, სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის კუთვნილებას: სუბიექტი მოქმედებს თავისთვის ან თავისაზე, ხოლო სასხვისო ქცევა კი გამოხატავს ირიბი ობიექტის კუთვნილებას: სუბიექტი მოქმედებს სხვისთვის ან სხვისაზე. ეს ორივე ქცევა მხოლოდ კუთვნილებით მხარეს გამოხატავს. განსხვავება სათავისოსა და სასხვისო ქცევის ფორმათა შორის მხოლოდ იმაშია, თუ ვის კუთვნილებას წარმოადგენს ნამოქმედარი ან მოქმედება: სუბიექტისას თუ ირიბი ობიექტისას.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ქცევის მაჩვენებელი ი- აფიქსი (ვ-იკეთებ, ი-კეთებ, ი-კეთებს), რომელიც მიუთითებს პირის (სუბიექტის ან ირიბი ობიექტის) კუთვნილების მხარეზე, ე. ი. არის კუთვნილებითი შინაარსის მატარებელი, მიჩნეულია კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან მიღებულად, ოღონდ ისეთი კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან, რომელიც მხოლოდ კუთვნილებას გამოხატავს პირის გარეშე¹⁴. მაშასადამე, მარჯვენა ტრანსფორმაში ზმნის კატეგორიის საშუალებით გამოიხატება კუთვნილების მნიშვნელობა. ტრანსფორმაციის შედეგად, ზმნა გადადის საარვისო ქცევის ფორმაში და მას უკვე აღარ შეუძლია გამოხატოს კუთვნილების მნიშვნელობა, რადგანაც საარვისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავის კუთვნილებას არ წარმოადგენს¹⁵ (კაბას ვერავ).

ობიექტის ან სუბიექტის კუთვნილების მნიშვნელობა, რომელიც ზმნაში ნეიტრალდება მისი ვადასელოთ საარვისო ქცევის ფორმაში, გადმოიცემა პირდაპირი ობიექტის განსაზღვრების საშუალებით (დღის კაბას ვერავ), რომელიც წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

მოცემულ კლასში ჩგუფდება ყველა ის ფრაზა, რომელთა სემანტიკური კრიტერიუმიც არის მოცემული ფრაზის ერთ-ერთ კომპონენტში საერთო ნიშნის — კუთვნილების სემის არსებობა. ამიტომ ამ კლასს შეიძლება ვუწოდოთ კუთვნილების კლასი. საინტერესოა ის, რომ მოცემული კლასის სიდრმისეული სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშანი არის კუთვნილების ნიშნის არსებობა, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში გამოისახება სხვადასხვა საშუალებით, კერძოდ ზმნით („ქალს აქვს ტანისამოსი“), ქცევის კატეგორიით („კაბას ვ-ვ-ვერავ“) და სახელის ნათესაობით ბრუნვის ფორმით („დღის კაბა“, „ქალის ტანისამოსი“).

დასახელებული კლასიდან შეიძლება გამოვეყოთ ორი ქვეკლასი სემანტიკური ელემენტის მიხედვით (სულოერობის ნიშნის მიხედვით). პირველ ქვეკუფში ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში მოხვდებიან სულოერი არსებითი სახელები, ხოლო მეორეში — უსულონი, შესაბამისად მათა ტრანსფორმაციებიც ასე წარმოდგება:



სემანტიკურად მეორე ქვეკუფი გამოხატავს მთელისა და მისი ნაწილების კორელაციას. რამდენადაც ნაწილი მიეკუთვნება მთელს, ამიტომ ეს კლასი შეიცავს კუთვნილების სემასაც (მაგრამ ეს სემა არ არის აქტუალიზირებული,

¹³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

¹⁴ გ. რ ო გ ა ე ა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართულურ ენათა ზმნისა და სახელს მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევათა და ბრუნვებში), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 1942.


¹⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1953.

მას აქვს პოტენციური სახე). ასევე კუთვნილების ქვეკლასში მოიძებნება ისეთი ფრაზები, რომლებიც ამავე დროს გამოხატავენ მთელსა და მის ნაწილს, მაგალითად, დედის გული, ხელოსნის თვალები.

გარდა ამისა, მოცემული კლასიდან ყველა ნათესაობით ბრუნვიანი სიტყვათშეხამება შეიცავს ექსტრალინგვისტური სინამდვილის ორ (და არა ერთ) დენოტატს. ეს ჩანს აგრეთვე ამ კლასის სინტაქსური, ფორმალური ნიშნიდანაც, კერძოდ ტრანსფორმაციიდან. განვიხილოთ წინადადება „დედის გული ცემდა“ და მისი ტრანსფორმაცია: „დედის გული ცემდა“—„დედას გული უცემდა“.

ტრანსფორმაციის შედეგად სიტყვათშეხამება „დედის გული“ იხლიჩება, იყოფა, კერძოდ, პირველ ადგილზე მდგომი ნათესაობითი ბრუნვის ფორმის არსებითი სახელი (განსაზღვრება) „დედის“ გადადის მიცემითი ბრუნვის ფორმაში (ობიექტ-აქტანტიში) და ამით იგი იქცევა კონსტრუქციის აუცილებელ წევრად. ამრიგად, ნათესაობითი ბრუნვის სიტყვათშეხამება იყოფა ორ აქტანტად. სუბიექტად და ობიექტად.

ის ფაქტი, რომ კუთვნილების კლასი გამოხატავს ორ-ორ დენოტატს (მფლობელსა და ფლობის საგანს, ან მთელსა და მის ნაწილს), მოცემული კლასის სტრუქტურულ მოდელში შეიძლება ფორმალურად შემდეგნაირად გამოვსახოთ:



იგივე სიტყვათშეხამება „დედის გული“ შეიძლება გამოვიდეს როგორც ნომინირებული ერთეული ქართულში. მას არა აქვს კუთვნილების მნიშვნელობა, ე. ი. არ შედის მოცემულ კლასში. ეს სიტყვათშეხამება გამოხატავს ერთიან მთლიანობას (შეესატყვისება ერთ დენოტატს) და არ ხერხდება მასში ორი დენოტატის გამოყოფა (იხ. ნომინაციის კლასი):

1.2. $Ng' N^2V \leftrightarrow V Ng'$ (თვის) [განკუთვნილი, დანიშნული] N^2 . მანქანაზე საწვავის კასრები შეყარა \leftrightarrow მანქანაზე შეყარა კასრები (განკუთვნილი) საწვავისათვის; მოიტანა წამლის მინა \leftrightarrow მოიტანა მინა (განკუთვნილი) წამლისათვის და ა. შ.

ტრანსფორმაციის შედეგად მარჯვენა ტრანსფორმში ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ახლავს თანდებული -თვის. ამასთანავე წინადადებაში დაზუსტების მიზნით გამოიყოფა ზმნა „განკუთვნება“-ს („დანიშნულების“) აბსტრაქტული მნიშვნელობა. სწორედ ეს საერთო ნიშანი განსაზღვრავს ნათესაობითი ბრუნვის ფორმიან სიტყვათშეხამებათა კომპონენტებს შორის დამოკიდებულებას. იგი არის მოცემული კლასის სიღრმისეული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი აუცილებელი კომპონენტი. ამიტომ ამ კლასში ჩგუფდება ყველა ის სიტყვათშეხამება, რომელთაც ახასიათებთ საერთო ნიშანი „დანიშნულება“. აქედან გამომდინარე, ამ კლასს ვუწოდებთ დანიშნულებების კლასს.

დანიშნულების კლასის ნათესაობით ბრუნვიანი სიტყვათშეხამებანი გამოხატავენ ორ-ორ დენოტატს. მარჯვენა ტრანსფორმში ეს ორი დენოტატი შეიძლება გავყოთ სიტყვით „დანიშნული“ ან „განკუთვნილი“:

1.3. $Ng' N^2V \leftrightarrow Ng'$ (გან) N^2V კვის სახლები ააშენა \leftrightarrow კვისაგან სახლები ააშენა; ჩითის კაბა შეიკერა \leftrightarrow ჩითისაგან კაბა შეიკერა: რკინის გალია გააკეთა \leftrightarrow რკინისაგან გალია გააკეთა და ა. შ.

ტრანსფორმაციის შედეგად მარჯვენა ტრანსფორმში გვაქვს -გან თანდებულიანი ნათესაობითი, რომელიც გამოხატავს ნათესაობით ბრუნვიანი კონ-

სტრუქციის კომპონენტებს შორის სემანტიკურ დამოკიდებულებას. მოცემული კლასის გამოსაყოფად კონსტრუქციებში მონაწილეობენ ისეთი ზმნები, რომელთაც აქვთ „კეთების“, „წარმოების“ მნიშვნელობა. თუ იგივე სიტყვათშეხამებანი იხმარებიან სხვა ზმნებთან, მაშინ ისინი არ ექვემდებარებიან აღნიშნულ ტრანსფორმაციას, ე. ი. არ შედიან მოცემულ კლასში. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის მოსაზრება, რომ ქართულში ზმნა წარმოადგენს წინადადების დომინირებულ წევრს. ზმნის ამორჩევით განისაზღვრება ნათესაობითი ბრუნვის სიტყვათშეხამებათა მნიშვნელობა. ამასთანავე მოცემული კლასის კონსტრუქციებში ზმნას აქვს აბსტრაქტული მნიშვნელობა და ყველა ზმნა წარმოადგენილია მნიშვნელობით „კეთება“, „წარმოება“. მაშასადამე, ზმნის აღნიშნული მნიშვნელობა აუცილებელი კომპონენტია მოცემული კონსტრუქციების სინტაქსური მოდელისათვის. ამ კონსტრუქციების სიღრმისეული სტრუქტურა, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: N_1 კეთება N_2 . მოცემულ კლასში ხვდებიან ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა სიტყვათშეხამებანი, რომლებიც გამოხატავენ საგანსა და მასალას, რომლისაგანაც გაკეთებულია საგანი. ამ კლასის ელემენტები გამოხატავენ ორ-ორ დენოტატს: საგანსა და მასალას.

იგივე სიტყვათშეხამებანი სხვა კონტექსტებში გამოხატავენ ერთიან განუყოფელ დენოტატს. მაგალითად, ქვის სახლი გამოჩნდა; ხის ჯამბში ჩაასხა საკმელი. აქ ნათესაობითიანი სიტყვათშეხამებანი ასრულებენ ნომინაციის ფუნქციას, ე. ი. მიეკუთვნებიან ვრცელ სემანტიკურ კლასს — „რაგვარობის“ კლასს (იხ. ქვემოთ).

1.4. $N_1 \text{ გ } N_2 \text{ გ } — V N^2$ [როგორც ახასიათებს, აქვს] $N_1 d$ — ბენზინის სუნი მსიამოვნებს — მსიამოვნებს სუნი, როგორც ბენზინს ახასიათებს. მარილის გემო იგრძნო — იგრძნო გემო, როგორც მარილს აქვს.

მარჯვენა ტრანსფორმებს წარმოადგენენ ფრაზები, რომლებშიც ფიგურირებს „როგორც ახასიათებს“ ან „როგორც აქვს“. როგორც თვით ამ სიტყვების სემანტიკა გვიჩვენებს მოცემულ კლასში ჭგუფდება ფრაზები, რომლებიც გამოხატავენ საგანისა და მისი სხვადასხვა ფიზიკური პარამეტრის კორელაციას. მარცხენა ტრანსფორმში ნათესაობით ბრუნვიანი სიტყვათშეხამება მიღებულია მარჯვენა ტრანსფორმის შეკუმშვით, რომელიც ხდება მსაზღვრელი სიტყვების „როგორც ახასიათებს“ ან „როგორც არის“ გამოტოვებით. ამ ჭგუფის კონსტრუქციათა სინტაქსურ მოდელში ეს განმსაზღვრელი სიტყვები წარმოადგენენ აუცილებელ კომპონენტს, ამიტომ ისინი შევლენ მათი სიღრმისეული სტრუქტურის შემადგენლობაში, რომელიც შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ: N_1 როგორც ახასიათებს, როგორც აქვს N_2 . საზღვრულ სიტყვებს აქვთ საგნის რალაც ფიზიკური ნიშნის მნიშვნელობანი, ისეთი როგორიცაა: ფერი, გემო, სუნი და ა. შ., ხოლო თვით ნათესაობით ბრუნვაში მყოფი სიტყვები განსაზღვრავენ ამ ნიშნებს.

მოცემული განისაზღვრება ამ ნიშნებს „საგნის ნიშანი“.

ამ კლასის სიტყვათშეხამებათა გამოყოფა დამოკიდებულია იმ ზმნაზე, რომელიც დომინირებს ფრაზაში. ყველა ფრაზისათვის ამორჩევა ისეთი ზმნა, რომელიც ხაზს უსვამს გარკვეულ ფიზიკურ ნიშანს. ეს საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ მოცემული გენერტური სიტყვათშეხამებანი როგორც ორი დენოტატის აღმნიშვნელი: საგნისა და მისი ნიშნის. მარჯვენა ტრანსფორმების ნაბიჯით ბრუნვიანი სიტყვათშეხამებანი შეიძლება გაიყოს სიტყვებით „რო-

გორიც ახასიათებს“ ან „როგორც აქვს“. სხვა ზმნებთან იგივე სიტყვათშეხამებანი შეიძლება გამოვიდნენ როგორც განუყოფელი მთლიანობანი და შევლენ რაგვარობის კლასში.

1.0. Ng_1N_2V — დისტრიბუციული კონსტრუქციის ფრაზები. რომლებიც არ ექვემდებარებიან ტრანსფორმაციას: დედის გულს არ დაემალება; ხელოსნის თვალი მჭრელია; მთის წყარო მოჩუხჩუხებდა; მინდვრის ყვავილი ლამაზია და ა. შ.

მოცემული კლასი წარმოადგენს ატრიბუტული კონსტრუქციების უკანასკნელ კლასს. ეს კლასი არის „რაგვარობის“ ან „ნომინაციის“ კლასი. მოცემული კლასის სიტყვათშეხამებანი წარმოადგენენ განუყოფელ მთლიან ცნებებს და ასახელებენ გარკვეულ დენოტატებს. რაგვარობის კლასის ფრაზათა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ყველა დანარჩენი კონსტრუქციისაგან არის ის, რომ ყოველი მოცემული სიტყვათშეთანხმების წევრებს შორის უკვე აღარ არის „მოძრაობა“. ისინი, როგორც მთლიანი, განუყოფელი ერთეულები შეესატყვისებიან ობიექტური სინამდვილის ერთ დენოტატს. ამ კონსტრუქციების სიღრმისეულ სტრუქტურაშიც ეს გენეტური სიტყვათშეხამება გამოისახება როგორც მთლიანი ერთეული, მაშინ როდესაც სხვა ატრიბუტული კონსტრუქციების სიღრმისეულ სტრუქტურებში შეიძლება გამოვსახოთ როგორც ორი დენოტატი. ფორმალურად ეს შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

1. რაგვარობის კლასის გენეტური სიტყვათშეხამება: $N[NgNn]$;

2. სხვა ატრიბუტული კონსტრუქციების გენეტური სიტყვათშეხამება: $N[Ng + Nn]$.

რაგვარობის კლასში შედიან მოცემულობანი დანარჩენი ატრიბუტული კლასებიდან. იგი „იკვებება“ სხვა კლასების მასალით. დანარჩენი კლასის თითქმის ყველა სიტყვათშეხამებისათვის, სადაც ისინი გამოდიან როგორც ორი დენოტატისა და მათ შორის დამოკიდებულების გამოხატველი თავისუფალი სიტყვათშეხამებანი, შეიძლება ვიპოვოთ ისეთი კონტექსტი, სადაც იგივე სიტყვათშეხამებანი გამოდიან როგორც საგანთა და მოვლენათა მთლიანი, განუყოფელი დასახელებანი და ასრულებენ ნომინაციის ფუნქციას, ე. ი. შედიან „რაგვარობის“ კლასში. მაგალითად 1. „დედის გულს არ დაემალება“ — ამ ფრაზაში სიტყვათშეხამებას „დედის გული“ აქვს დასახელების ფუნქცია, გამოხატავს ერთიან მთლიან დენოტატს და შედის „რაგვარობის“ კლასში. ფორმალურად კონსტრუქცია გამოისახება ასე: $N_1[NgNn]V$.

ახლა განვიხილოთ იგივე სიტყვათშეხამება სხვა კონტექსტში: 2. „დედის გული სუსტად ცემდა“. აქ სიტყვათშეხამება „დედის გული“ გამოხატავს ორ დენოტატს. ფრაზის ტრანსფორმაცია შესაძლებელია, რის შედეგადაც ნათესაობით ბრუნვიანი სიტყვათშეხამება იხლიჩება: „დედის გული სუსტად ცემდა“ — „დედას გული სუსტად უცემდა“. აქ სიტყვათშეხამება „დედის გული“ შედის კუთვნილების კლასში. ფორმალურად კონსტრუქცია გამოისახება ასე:

რაგვარობის კლასი ასრულებს ენობრივ ფუნქციათა ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას — დასახელების, ნომინაციის ფუნქციას. ნომინაციის კლასი გაშლის როგორც ატრიბუტულ კლასთაგან ერთ-ერთი მთავარი. ქართულში მას აქვს ყველაზე ფართო დისტრიბუცია.

ენილი ჰოზონელიძე

ნასახელარ დინამიკურ ზმნათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ
ლიალექტებში

აფხაზურ-აბაზურ დინამიკურ ზმნათა ერთ რიგს წარმოადგენს ე. წ. ნასახელარი გარდაუვალი და გარდამავალი დინამიკური ზმნები, რომლებიც იწარმოება სხვადასხვა სპეციალური მადინამიკურებელი აფიქსების საშუალებით.

პირველად პ. უსლარმა თავის ცნობილ „აფხაზურ ენაში“ აღნიშნა, რომ სახელებისაგან -ხ სუფიქსის დახმარებით, გარდაქცევითობის შინაარსით იწარმოება მოქმედების გამომხატველი ზმნები¹. მაგ.: სებეახჯუეატ — „ემლირდები“. შღრ. აბეა — „მლიდარი“. დღღუშხუეატ — „იზრდება“. შღრ. აღუ — „ლიდი“.

პ. უსლარის ინფორმატორები ბზიფური დიალექტის წარმომადგენლები იყვნენ, ამიტომაც რომ ამ ზმნათა უღლების პარადიგმები მოცემულია იმ თავისებურებებით, რაც ამ დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. ცნობილია, რომ ბზიფურში ბლოკიდური ა იცვლება ჯ-თი, ალბათ ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანიც იყო, რომ პ. უსლარმა, ნასახელარი დინამიკური ზმნების მაწარმოებლად გამოყო -ხ და არა -ხა, რაც აღნიშნულიცაა სამეცნიერო ლიტერატურაში. შემდგომში, როგორც ჩანს, პ. უსლარის შრომაზე დაყრდნობით იმავე აზრს იმეორებენ ა. დირი², გ. დიუმეზილი³, კ. ბოუდა⁴.

ა. გენკომ მთლიანი ზმნური ფორმა ა ხ ა რ ა — „ე თ ე ბ ა“ ზმნა მიიჩნია ნასახელარ გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მაწარმოებლად⁵. გ. დეეტერსმა⁶ და ქ. ლომთათიძემ⁷ ნასახელარ გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მაწარმოებლად -ხა სუფიქსი გამოყვეს. მაგ.: აკეჯნახარა — „ყმაწვილად ქცევა“, დჰკიჯნახოატ — „ის (აღამ.) ყმაწვილად იქცევა, ყმაწვილდება“. შღრ. აკეჯნ — „ყმაწვილი“.

ნასახელარ გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა წარმოებასთან დაკავშირებით გ. დეეტერსმა აღნიშნა, რომ სახელური ფუძე + ტი სუფიქსი ნიშნავს რაღა-

¹ П. К. У с л а р, Этнография Кавказа, Языкознание, Абхазский язык, Тб., 1887, გვ. 29.

² A. D i r r, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen mit einer Sprachkarte, Leipzig, 1928, გვ. 49.

³ G. D u m é z i l, Etudes comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest (Morphologie), Paris, 1932, გვ. 214.

⁴ K. B o u d a, Das Abasinische, eine unbekannte abchasische Mundart, «Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, Bd 94—Heft 2, Leipzig, 1940.

⁵ А. Н. Г е н к о, Абазинский язык, Грамматический очерк наречия таланта, Москва 1955, გვ. 165.

⁶ G. D e e t e r s, Der abchasische Sprachbau, «Nachrichten von der Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen Philologisch-historische Klasse, Göttingen, 1931, გვ. 300.

⁷ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძირითად ღრთა წარმოებისათვის აფხაზურში, ენიკის მოამბე, II, 2, 1938, სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში, იყ, ტ. VI, თბ., 1954, გვარის აკრეგორის საეთხისათვის აფხაზურში, იყ, ტ. VII, თბ., 1956.

ცის გაკეთებას (შესაბამისი ზმნური ფორმები ნაწრომში მოყვანილი არაა)⁸.
 ქ. ლომთათიძეს ნასახელარ გარდამავალ ზმნათა მაწარმოებლად გამოყოფილ
 აქვს, ერთი მხრივ, -ტი სუფიქსი; მაგ. ღებზია-ს-ტი-ჟეძტ — „ვაკარგებ, ვაკე-
 თილებ“. შღრ. აბზია — „კარგი“ და, მეორე მხრივ, კაუზატივის მაწარმოებე-
 ლი რ პრეფიქსი, მაგ. ი-სგ-რ-კაჟე-ჟეძტ — „მას ეამოკლებ“. შღრ. აკაჟე —
 „მოკლე“⁹.

საჭიროა გაირკვეს -ხა, -ტი, -რ მაწარმოებელთა გავრცელება როგორც
 სახელთა სხვადასხვა ფუძეებში. ასევე დაღეპტებში, ამასთანავე უნდა ვუჩვენ-
 ნოთ, კიდეც რა საშუალებებს მიმართავს ენა აღნიშნული შინაარსის გამოსახე-
 ტავად.

I. -ხა სუფიქსით სახელთაგან გარდაუვალი ღინამიკური ზმნების წარმოება.
 როგორც უკვე მითითებულაა სამეცნიერო ლიტერატურაში, -ხა სუფიქსი აღ-
 ნიშნული ფუნქციით ერთნაირად დამახასიათებელია ყველა აფხაზურ-აბაზური
 დიღეპტისათვის¹⁰. -ხა სუფიქსი აფხაზურ-აბაზურ ენებში მეტყველების ყვე-
 ლა ნაწილთან დასტურდება, მაგრამ იგი როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავ-
 რესად ზედსართავ და არსებით სახელთა ფუძეთაგან აწარმოებს ნასახელარ
 ღინამიკურ ზმნებს.

ა) -ხა სუფიქსი არსებით სახელთა ფუძეებში: (აღალ)
 აძგ ანთაშია იფსგძხეჯტ — აფს. II, 121,9 — „ბაყაყი“ „წყალში როცა
 ჩაეარდა, თევეზად იქცა“. შღრ. აფსგძ — „თევიზი“. ახღჯა — ფსღჯაქია
 ანეღაღჩაჟ, იფსთჰახოჯტ — ა. ქ. 194,18 — „ორთქლი როცა გაიბე-
 რება, ღრუბლად იქცევა“. შღრ. აფსთჰა — „ღრუბელი“. (არფჯს)
 აფხა ეაფჟე ზნდ მათხეჯტ, ზნდ ღღაღ ზხეჯტ, ზნდ ღღმცაბზხე-
 ჟტ — აფს. II, 281,9 — „ცმაწვილი“ წინანდებურად ხან გეელად იქცა,
 ხან ბაყაყად, ხან აღად“. შღრ. ამათ — „გველი“, აღალ — „ბაყაყი“, ამცაბზ —
 „ალი“. ანჯსთახჟ სჯმსეჯხოჯტ, სჯქმახოჯტ, სჩაღახოჯტ — აბოლ.
 98 99 — „როცა მიწა დათვად, თხად, სახედრად ვიქცევი“. შღრ. ამში — „ღათვი“, აჟმა — „თხა“, აჩაღა — „სახედარი“. უღღაზარ, უჟ-
 კიგნახჯტ, უჟკაჟზარ უღღაბჯტ! — ლკიეჯტ ათაქიეი — ს. ჟ.
 182,14 — „თუ გოგო ხარ ბიჭად იქეც, თუ ბიჭი ხარ გოგოდ იქეც,
 თქვა მოხუცმა“. შღრ. აძღაბ — „გოგო“, აჟკიეი — „ბიჭი“. აჟმა ჟასახჟმა,
 აჟსაგჯ ქმახჟმა? — თ. თ. 309,85 — „თხა ცხვარად, ცხვარი თხად
 იქცევა?“. შღრ. ჟასა — „ცხვარი“, ჟმა — „თხა“. საფარ... ღჯაწახჯტ,
 ღთჰაჩახჯტ — ბ. თ. ნში 154,22 — „საფარი... ღაკაკღა, ღაოჯახ-
 ღა“. შღრ. ჟაწა — „კაცი“, ჟაჩაღა — „ოჯახი“. ათაზი ამყიგბა ჰალაბიგნ,
 „ჯჯკათარახჯტ“ — ტ. ტ. 13,11 — „ღეღაბერმა აყირო იღო, სამარი-
 ღედ გამოდგებაო“. შღრ. ჟჯათარა — „სამარილე“. ...უქაწაზარი,
 სჯუფჰაგსხაჯ; უფჰიგსზარი სჯუჟაწახაჯ — აშს. ტ. 90,4 — „თუ
 კაცი ხარ შენი ცოლი გავხდები; თუ ქალი ხარ, შენი ქმარი გავხდე-
 ბი“. შღრ. ჟაწა — „ქმარი“, ფჰიგს — „ცოლი“.

⁸ გ. ღეეტერსი, დასახ. ნაწრომი, გვ. 300.

⁹ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმის მოამბე,
 ტ. XII, 1942.

¹⁰ ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში, იყე VIII, 1956-
 მისი ე. სტატიური და ღინამიკური ზმნები აფხაზურში, იყე, VI, 1954.

ბონ — ნ. თ. აფა. 53,23 — „აქამდის კამა რომ იყო. აქამდის შამა რომ იყო. მადინად ხდებოდა, შაზინად ხდებოდა“. შღრ. საკუთარი სახელები — „მადინა“, „შაზინა“.

უფრო ხშირად, როგორც ეს უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, — ხა სუფიქსი საკუთარ სახელებთან, ან ნათესაობის სახელებთან (აორისტში) გამოყენებულია საალერსო მიმართვის გამოსახატავად¹²: ჭარა ალაქ უჰომატ თე მგ რ ხ ე მ ტ — ი. პ. თემ. 96,30 — „შენ ხუმრობ, თე მ უ რ ჯ ა ნ“. შღრ. თემგ. ნ ა ნ ხ ე მ ტ — დ. გ. 44,10 — „დე დ ი ჯ ა ნ“. შღრ. ნან — „დედა“. და დ ხ ე მ ტ — დ. გ. 49,26 — „მ ა მ ი ჯ ა ნ“. შღრ. დად — „მამა“.

-ხა სუფიქსი აბაზურის დიალექტებში აღნიშნული ფუნქციით საკუთარ სახელებთან არ დასტურდება. -ხა სუფიქსი ერთვის მასდარის ფორმასაც: ახაა-წა იჩპარა უ ჩ პ ა რ ა ხ ა ა მ ტ — ხ. ბ. 383,36 — „მამაკაცის მოთმინება იქონიე“. შღრ. აჩპარა — „თმენა“, „ატანა“. ანთ აუჰა იჩაზ ი რ ჯ მ ა ფ ხ ა შ ა რ ა ხ ა ნ — აშხ. ტ. 56,36 — „ეს რომ თქვა, ამთ შე რ ც ხ ე ა თ რ ა („ესირცხილათ“). შღრ. აფხაშარა — „რცხენა“.

-ხა სუფიქსი მიმღობათა ფუძეებიდანაც აწარმოებს ნასახელარ ღინამიკურ ზმნებს: მ ე მ ლ კ ა ა ტ ი ხ ე მ ტ დარა ანბანქია აღინოტიპ აკლავიატურაყნე იშაპარგგლაზ — მ. ა. 433,12 — „გასარკვევი გახდა, ეს ასოები ღინოტიპის კლავიატურაზე როგორ დაგვედგა“. შღრ. ააღკაატი — „გასარკვევი“. აფშიმა ბააფს დ ნ ა ს კ ა გ ა ვ ხ ი მ ტ — აფს. ეთ. 151,21 — „ცული მასპინძელი გამცილებელი ხდება“. შღრ. ანასკაგავ — „გამცილებელი“. ჰქვთ ვათფუზხ აზჯაყ არ ზ ფ ხ ა ზ ი ხ ა ხ ტ, აზჯაყ ინყენერქიახატ — აბაზ. რუს. ლ. — „ჩვენის სოფლიდან ვინც გამოვიდნენ ზოგი მასწავლებლები, ზოგი ინჟინრები გახდნენ“. შღრ. არჯფხაში — „მასწავლებელი“.

ღ) სტატიკურ ზმნათაგან ღინამიკური ზმნების წარმოება -ხა სუფიქსით. -ხა სუფიქსი დასტურდება ზოგიერთ პირველად სტატიკურ ზმნათა ფუძეებთანაც, რომლებიც როგორც ვარაუდობენ შესაძლოა სახელური წარმოშობისა იყვნენ¹³.

ეს სტატიკური ზმნებია, ათახხარა — „მონდომება“. შღრ. ილთახუბ — „მას უნდა“, აგხარა — „დაკლება“, შღრ. მავუბ — „აკლია“. აკიხარა — „გახდომა“. შღრ. აკიუბ — „ის არის“ (დიალ.). ათახხარა — „მონდომება“ და აგხარა — „დაკლება“ ზმნური ფორმები დასტურდება როგორც აფხაზურის, ისე აბაზურის დიალექტებში. ავჯა და ნ უ თ ა ხ ხ ა — იგრავჯ ჩპა — აჟთა 18,20 — „ამხანაგი თუ გინდა, მისი ნაკლი მოითმინე“. ხოჯა შარადგნ. ჩინაყ აქრბბ ითახხე მ ტ — მ. ც. 43,8 — „ხოჯა შარადინს ერთ დღეს ქვაბი დასჭირდა“ ბბაგა მაქარა ათაჯ ხ ე მ ტ — აშხ. ტ. 9,14 — „მელას მისი შექმა მოუნდა“. ჰანტუთაქხარა, ამცა, ჰვრჯკქია ჰვრჯც მალუხუზ, ინანტურფხალრა, ასაპათ ჰაჰოლუბ — ტ. ტ. 7,7 — „როცა მოგინდებოთ, ჩვენს ბუნებებს ფაფრიდან გამოძრობილს ცეცხლს რომ მიათბობ, იმ წუთში (იმ საათში) მოგივალთ (გეშოვებით)“. აკ — აანსიონ ში — მანტყ ს ჯ გ ხ ე მ ტ — აფხ. ქ. ლ. — „რალაცას ვყი-

¹² ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში, იყე, ტ. VIII, თბ. 1956, გვ. 204.

¹³ ქ. ლომთათიძე, სტატიკური და ღინამიკური ზმნები აფხაზურში, გვ. 261.

დულობდი და ასი მანეთი დამაკლდა“. ... აცხადებდა, დეჰაუსტ — ტ. ტ. 7,3 — „ილი დააკლდა, დაილა“. აკიხარა — „ქმნა“ — ყოფნა“ ზმნა მხოლოდ პირაქეთა დიალექტებში დასტურდება, მაშინაც ჩვეულებრივ დამხმარე ზმნის როლში გამოდის¹⁴: დაარა იზხოოუ აკგ აკიხაპ — რპიეგტ — დ. გ. 17,17 — „ძალიან კარგი რამე იქნებაო, თქვეს“. ჟეს — აკიხეატ — მ. ც. 33,13 — „ასე იყო“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბაზურის დიალექტებში — ტაპანთურსა და აშხარულში მსგავსი ფორმა არ დადასტურდა. საყურადღებოა, რომ აშხარულში აკი ზმნა დროთა წარმოების მხრივ გათანაბრებულია ე. წ. სახელურ ფორმებთან¹⁵.

როგორც უკვე აღვნიშნულია ამ აზარა — „ქონა-ყოლა“ ზმნასთან -ხა სუფიქსი მხოლოდ ტაპანთურში დასტურდება, მაგ.: ისე-მა-ხ-უ-მეჟ-ზოთენ — „რომ მექნებოდეს ის (რაღაც)“¹⁶.

ე) გარდამავალ ზმნათა ფუძეებისაგან -ხა სუფიქსით ე. წ. ვნებითების წარმოება. „იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტწილში გარდამავალი ზმნა გვარებს არ განარჩევს“¹⁷. ნათქვამი ეხება აფხაზურსაც. ამდენად ამ ენებში გარდამავალი ზმნა „არც ვნებითა (პასიურია), არც მოქმედებითი (აქტიური), არამედ ინდიფერენტული ანუ ამორფული (გვარის თვალსაზრისით)“¹⁸. მართლაც, აფხაზურში გარდამავალი ზმნის ფუძე ნეიტრალური ბუნებისაა. არა გვაქვს ჩვეულებრივი ვნებითის — იქმევა, იწერება, კეთდება და სხვ. ფორმები. ამდენადვე სათანადო გარდამავალი ზმნაც არაა ჩვეულებრივი გაგებით მოქმედებითი გვარისა¹⁹. მიუხედავად ამისა აფხაზურშიც დასტურდება გარდამავალ ზმნათა ფუძეთაგან ნაწარმოები ე. წ. „ვნებითის“ ფორმებიც²⁰. ამ შემთხვევაში მისი მაწარმოებელია ნასახელარ დინამიკურ ზმნათა გარდაქცევითობის -ხა სუფიქსი.

ამ ე. წ. ვნებითების წარმოებისას გარდამავალ ზმნათა ფუძე სახელურს უტოლდება, სახელდობრ, იგი უღრის ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღობას²¹. ამოსავალია „იმავე გარდამავალი ზმნის სტატისტიკური ფორმა“. მაგ.: იყაწახოატ — „კეთდება“, „გაკეთებულდება“. შდრ. იყაწოჟ — გაკეთებულია“.

აფხაზურ ხალხურ სიტყვიერებაში -ხა სუფიქსით ნაწარმოები ე. წ. ვნებითები არ გვხვდება. ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაშიც მსგავსი წარმოება აქა-იქ თუ იჩენს თავს: ღუქ მქრწკეია ჟაბგჟ აბას იფს ზშახააატ —

¹⁴ ხშირია მისი კავშირად გამოყენების შემთხვევებიც, მაგ.: უს ანაკიხა პარა ჰქტაან აგეგრჯენ ზხამ რაიოუბ — დ. გ. 66,1 — „მამასა და მამე, ჩვენ სოფელში გვირგინი ვისაც არა აქვს (ე. ი. ქვარდაუწარლები) ბევრია“.

¹⁵ ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი..., გვ. 109—120.

¹⁶ მისივე, სტატისტიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში..., გვ. 261.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, ერგატული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961, გვ. 121.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიის საკითხისათვის..., გვ. 195.

²⁰ იქვე, გვ. 207.

²¹ ცნობილია, თუ რა როლს ასრულებს მიმღობა გვარის ჩამოყალიბების პროცესში მთელი რიგ ენებში, მაგ.; ზოგიერთ მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით რუსულში ნამდვილი ვნებითი გვარი შედგება ვნებითი მიმღობისა და მეშველ ზმნისაგან, შდრ. В. В. В. И. И. О. - а д о в, Русский язык, М., 1972, გვ. 476—507.

დ. გ. 195,29 — „კოტა ხნის შემდეგ მამაშენიც ასე იყო დასვენებული“. შდრ. აფსშარა — „დასვენება“. სტატ. იფსშოქ — „დასვენებულობა“. ამაღ ზმოქ აქავჯ ხმელა დკიადაზარგუქაქია ნავახოქტ. — ძ. დ. ძალ. — 184,24 — „თუ მდიდარი კაცი კვეთი სუსტიცაა, მისი სიტყვა მიღებული იქნება“. შდრ. ანაგარა — „მიტანა“, „მიღება“, სტატ. ინაგოქ — „მიტანლობა“.

ე. წ. ვნებითები დასტურდება პრესისა და ოთხთავის ენაში, სადაც მთარგმნელი ზუსტად სიტყვასიტყვით მიჰყვება ორიგინალის ენას: აკომენისტრი საბშა აჩანჯ 3 ტონაქ ახაჰა — მაჰა ე ზ გ ა ხ ო ქ ტ აფსნჯ 1972, 5/IV, 2 — „აკომენისტური შაბათობის დღეს 3 ტონა ჭართი იქნება შეგროვებული“. შდრ. აზგარა — „შეგროვება“. სტატ. ამაზგოქ „შეგროვობა“. უბას ეგგროტგ არესპუბლიკათა რეპუბლიკათი უსურა აფშაილა აააძახაქან მოლდავია აფსუცია რკლასს — აფსნჯ 1972, 29/III, 2 — „ამ სხვა რესპუბლიკათა განახლებული მუშაობის გამოცდილებით იზრდება მოლდავეთის მუშათა კლასი“. შდრ. ააძარა — „ზრდა“. სტატ. ააძოქ — „გაზრდილობა“. აბრი აუქსნაგაძიგუქუქძელა — ფშაილა ინაგძახოქტ — აფსნჯ. 1954, 7/VII, 3 — „ეს შესასრულებელი საქმეც დიდებული დამთავრდება“. შდრ. ანაგძარა — „დაბოლოება“, „დასრულება“, სტატ. ინაგოქ — „დამთავრებულია“. შიმძებჯ, შთარგე შიძებახარგმი; ირქსშემძებჯ შთარგე იშეგქძებახარგმი; ირანაშეილა იშინაქხაპ ლუკა 6,37 — „ნუ განიკითხავთ, რაათა არა განიკითხნეთ, დანუ ჰქით. რაათა არა დანისაქნეთ, მიუტევეთ დამოგეტევოს თქუენ“ შდრ. აძბარა — „სასაქელი“, სტატ. დებუბ — „დასაქილობა“, ანაქარა — „პატიება“, „მიტეება“. სტატ. დენაქუბ — „მიტეებალია“, ადგულ აქჟ იქორაქიშა. ქაპახეშორაქ აქიჯან აქიგჯ; ადგულ იფურტბჟ, ფგრტხეჭრტ აქიჯან აქიგჯ-მათ 16,19 — „და რომელი შექარა ქუეყანისა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა: რომელი განქსნა ქუეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს იგი ცათა შინა“. შდრ. აქაპარა — „შეკარა“, სტატ. იქაპოქ — „შეკრულია“, აფგრტარა — „გახსნა“, სტატ. იფგრტუბ — „გახსნილობა“.

როგორც ვიცით, აფხაზურში ზოგი ზმნური ფუქე ერთნაირად გამოიყენება როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ღინამიკური ზმნებისათვის. ამ შემთხვევაში ე. წ. ვნებითების საწარმოებლად გამოყენებულია კაუზატივიტი ნაწარმოები გარდამავალი ზმნის სტატიკური ფორმა: ახიშექისა ავნუწყალა ირგელახაქიქტ ანსართა ვენქია — აფსნჯ 1971, 25/XI, 2 — „ხუთწილდში აშენდება საცხოვრებელი სახლები“. შდრ. არგულარა — „აშენება“. სტატ. ირგელოქ — „აშენებულია“. აქთან ააარტხოქტ ზძ ფშა ამუხეა — აფსნჯ. 1972, 14/IV, 4 — „სოფელში გაიხსნება სამამულო დიდების მუხეში“. შდრ. აარტარა — „გახსნა“, სტატ. მარტუბ — „გახსნილობა“.

აბაზურში -ხა სუფიქსიანი ე. წ. ვნებითები საკმაოდ გავრცელებულია. საგულისხმოა, რომ აქ იგი დასტურდება ხალხურ სიტყვიერებაშიც: ნხარალა იჰავახა აჩებჯე ჩოთ აცხა აცქეს რქა აქაჰა — თ. თ. 314,235 — „შრომით მოყვანილი წიწყის ნაწილი თაფლზე უფრო ტკბილია“. შდ. ჰავარა — „მოყვანა“. ამდენადვე ე. წ. ვნებითები აბაზურ ბუნებრივ ენაშიც იჩენს თავს. აშთარაცა დგუხექტ — (ს. ფსხუ, 1947 წ.) — „მონადირე მოიკ-“

ლა -- (მოკვდინდა)“. შდრ. აშრა -- „მოკვლა“. აქ წიგნის ენაში რგი ჩვეულებრივია²².

მიუხედავად ამისა, მისი საპირობება სხვა ენობრივი სტრუქტურის გაელენით რომ არის გამოწვეული ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ რუსულ-აბაზურ ლექსიკონში საკმაო რაოდენობითაა მოყვანილი -ხა სუფიქსიან ზმნათა ფორმები, მაშინ როდესაც აბაზურ-რუსულ ლექსიკონში მსგავსი ფორმები არ დასტურდება: **ჰი ა ხ ა ტ** — **ჰ ი ფ ა ხ ა ტ** — რუს. აბაზ. ლ. — „ი თ ქ ე ა და გ ა თ ა ე დ ა“ („გაკეთდა“) („сказано-делано“). შდრ. ჰიარა — „თქმა“, ჩფარა — „კეთება“²³. **ქარაქიულა** აქვთ **ჰ ა ბ ა ხ ა ტ** — რუს. აბაზ. ლ. — „შორიდან სოფელი გამოჩნდა“. შდრ. ბარა — „ხედვა“, „ნახვა“. აჭეს **ა ლ გ რ გ ა ხ ა ტ** — რუს. აბაზ. ლ. — საქმე **გ ა მ ო რ კ ე ე უ ლ ი ა** („Дело выяснилось“) შდრ. ალურგარა — „გამორკვევა“.

მართალია, -ხა სუფიქსიან ზმნათა მასდარის საილუსტრაციო პირიანი ფორმები ლექსიკონში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი არაა, მაგრამ აშკარაა, რომ ენა ცდილობს გაარჩიოს უკუქცევითი ფორმები არა უკუქცევითისაგან გარდაქცევითობის -ხა სუფიქსის საშუალებით: შდრ. **видеть** — „ბარა“ და **виднеться** — „ბახარა“, **впутать** — „ალაშაპარა“ და **впутаться** — „ალაშაპახარა“, **начать** — „ჩიქიქიშარა“ და **начаться** — „ჩიქიქიშახარა“ და სხვ.

აქვე თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსულში უკუქცევითი ზმნები ჩვეულებრივ ენებითი გვარის მნიშვნელობებს გადმოსცემენ, ცხადი გახდება, რომ აბაზურში გვარი გზას იკაფავს აღნიშნული ფუნქციით.

II. ნასახელარ გარდამავალ დინამიკურ ზმნათა წარმოება. როგორც უკვე აღვნიშნეთ ნასახელარ გარდამავალ დინამიკურ ზმნათა საწარმოებლად -ტი სუფიქსსა და რ პრეფიქსს გამოყოფენ.

-ტი სუფიქსი აფხაზურში დინამიკურ გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად მართალია ყველა ტიპის სახელის ფუძეში დასტურდება, მაგრამ მისი გამოყენების არე მაინც განსაზღვრული გამოდის. იგი ზმნურ ფორმათა წარმოსაქმნელად უმთავრესად აჩვენებს სახელთა ფუძეებში გვხვდება. მაგ. **აძეხ** ძ ბ ა ა ხ ტ ა გ ზ, აძბაა ძ ქ ზ ე ზ ტ ა გ ზ — დ. გ. ალაფში. № 8 — „წყარო ვინც დამპალ წყლად აქცია, დამპალი წყალი ვინც წყაროდ აქცია“. შდრ. აძბაა — „დამპალი წყალი“, აძეხ — „წყარო“. იქ ამ თ ა ე ი შ ი ტ ი ტ ი ე ი თ ლ ა კ გ ე ჰ ა ვ ნ რ ა — ი. პ. თემ. 69,27 — „თქვენ როგორც იქნა, გააპარტახეთ ჩვენი სახლი“. შდრ. აქამთა — „პარტახი“, „ნასახლარი“. **ბ ქ კ ი ნ ზ გ მ ტ ა გ ზ** ბეგინაპა იქიშიააბტ — ალაფ ლულურს — თან ზეგ — ნ. თ. ბზფ. 117,25 — „ყველა ხუმრობდა, ვინც შენ ბიჭად არ გაგაჩინა, შენი ცოდვა ჰქონდესო“. შდრ. აქიენ — „ბიჭი“. ჰარა ჰ ტ ე ხ ს და თ ტ ი ტ — ნართ. 136,22 — „ჩვენ უსაქმოდ გაგვხადე“. შდრ. აჭეს — „საქმე“. **ე ჰ ა გ ე დ ჰ ა ვ ვ გ მ ნ ა ტ ი თ ა ნ**, დარხ — შიაშიონ ესააბრა ას აყახარა — ნ. თ. ბზფ. 120,3 — „თანდათანობით უფრო არა აღამიანურს, ცივს ხდიდა ასე ყოფნა“. შდრ. აჭავუ — „აღამიანი“. სარა აბრი ეფუში არუკპარა სთაზერგულაზ, ს ტ ა ვ ვ გ ზ ა ზ ტ ი ე ზ... დააყიენდშიენდირტ მარა — ი. პ. აფპიკს.

²² ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიისათვის..., გვ. 209.

²³ უნდა შევნიშნოთ რომ აყაყარა — „გაკეთება“ და იმავე მნიშვნელობას „აჩფარა“ ზმნათაგან ნაწარმოები ე. წ. ენებითი აფხაზურ-აბაზურ ენებში სხვა ზმნებთან შედარებით ყველაზე მეტად არის გავრცელებული.

149,8 — „ინც მე ამისთანა სისაწყლოში ჩამაგდო, და მ ა ი ნ ვ ა ლ ი დ ა, ბურ-ღღუნებდა ის“. შღრ. აჭაუბეჟია — „ინვალიდი“.

-ტი სუფიქსი დასტურდება ზედსართავ სახელთა ფუძეებშიც. ესააბრა იქცეათეა ე ა ლ ო ტ ი ტ ა ნ — ი. პ. თემ. 70,17 — „გამუღმებით აუ მჭო-ბ ე ს ე ბ დ ა თავის გამოსვლებს“ შღრ. აბღ — „უქეთესი“. ე ა ფ შ ე ჯ ს ტ ი-ტ ა მ აპოეტ ქიჯრა — ხ ჯ მქეა, არკაშო ითაბაზი აბრა — ბ. შ. 241,21 — „ვე რ შ ე ე უ ღ ა რ ე ბ: პოეტს სიციოტლუ დაუმთავრებელსა და დამშრალ მდინა-რეს“. შღრ. ეაფშე — „ერთნაირი“. აბრი აჭეს — წიახ დიონის ყუჯშო ზეგჯ ააბრფშაჭეატ, ა რ გ ა მ ე ა ტ ი ტ ე ა ტ — აბეას 232,3 — „ამ საქმესა დაფა-რულსა ბრძენი დიენოს გ ა ა ც ხ ა დ ე ბ ს“²⁴. შღრ. არგამა — „ცხადი“.

გარდამავალ დინამიკურ ზმნათა ფუძეებად შეიძლება რაოდენობითი რი-ცხებითი სახელებიც იქნეს გამოყენებული: „სარგჯ ლაჟია ვ ბ ა ს ჯ მ ტ ი ტ, საქეშაპათხეატ — დ. დ. მაღ. — 131,12 — „მეც მისი სიტყვა ა რ გ ა ვ ა ო-რ ე, დავთანხმდი“.

-ტი სუფიქსი დასტურდება ზმნისარაუბთანაც: აცი ს ჩ ა ყ ა რ ა ს ტ ი-ტ ე ა ტ ქია ადაღ აჩაარჩეა ალაგეატ — ა. ქ. 134,2 — „თავს ხარის ო დ ე-ნ ა დ გ ა ვ ი ხ დ ი ო, ბაყაყმა გაბერვა დიწყო“. შღრ. აყარა — „ოღენა“. ... რკუჯ ითაწიახჯზ ამაძა უს ე ა ზ ა ა ი გ ი ა ნ ა ტ ი უ ა ნ — ი. პ. ივ. რ. IV, 133,29 — „მათ გულში დაფარული საიღუმლო ა ა ხ ლ ო ე ბ დ ა თ“. შღრ. ააგეა — „ახლოს“.

აღსანიშნავია, რომ -ტი სუფიქსის გამოყენების ერთეული შემთხვევა და-დასტურდა წარმოშობით სახელური სტატიკური ზმნის ფუძესთანაც: უბრი ამინუთ აზჯ ა კ ი ჯ ს ტ ი ტ — მ. ა. 367,26 — „ეს იმ წუთში მოხდა“. შღრ. აკიჯ — „იყო“. აკიხეატ — „გახდა (მოხდა, იქნა)“.

-ტი სუფიქსის ზემოთ მოყვანილი დანიშნულების მხრივ განსხვავებული ვითარება შეინიშნება აბაზურ დიალექტებში. არსებული აბაზური დიალექტო-ლოგიური ტექსტების მიხედვით²⁵ — -ტი სუფიქსი დასტურდება მხოლოდ აშ-ხარული დიალექტის კუვინსკის თქმაში: ა ა ჰ ა ა ჯ ტ ი რ ა, გჯღღჯრამ, ი ა მ-ბ ჯ ს ტ ი ტ ი რ ა, გჯღღჯრამ, ი ლ ჯ გ ო ტ ი რ ა, გჯღღჯრამ — აშხ. ტ. 35,8 — „შან (მამაკ.) რ ო მ ე ლ ი თ ა ვ ა დ ი ს ა დ ა ქ ც ი ო ს, არ იცის, რ ო მ ე ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი ს ა დ ა ქ ც ი ო ს, არ იცის, რ ო მ ე ლ ი გ ლ ე ხ ი ს ა დ ა ქ ც ი-ო ს, არ იცის“. შღრ. აჰა — „თავადი“, ლჯ — „ყმა“, აამბჯსთა — „აზნაური“. არაშქეა ეხთაქუ სრუპიოზარი, უარგჯ უტა უ ა ხ ი ო თ ს ტ ე ა ტ — იპიეატ აშხ. ტ. 90,11 — „ცხეები საღაა დამწყვედული თუ მეტყვი შენც გაგათათვისუფ-ლებ“. შღრ. ხიით — „თავისუფალი“.

აბაზურ სალიტერატურო ენაში კი, რომელსაც საფუძვლად ტაპანთური დიალექტი უღევს, ნასახელარ გარდამავალ დინამიკურ ზმნათა წარმოების მხრივ ორი ნაკადი იჩენს თავს.

ტაპანთური დიალექტის წარმომადგენელ მწერალთა ენაში -ტი სუფიქსი არ დასტურდება (ასეთია მაგ.: ბ. თ პ ა ა წ ჯ ხ ი — ის ნაწარმოებები „ნ ჯ შ ი ნ ა პ ჯ კ, 1966, მისივე, ა ბ ზ ა ზ ა რ ა ა ფ შ ა, 1963). აშხარელი ავტორის

²⁴ თარგმანი აქც და შემდეგშიც მოგვეყოს 1963 წელს გამოცემული „ეფხისტყაისის“ მი-ხედვით.

²⁵ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბ., 1944, მისივე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ), თბ., 1954.

ენაში კი -ტი სუფიქსი „გატაპანთურებულ“ -ჭი-ს სახით ვლინდება (ასეთია მაგ.: ჰ. ჯ 2 რ, ა ბ ა მ ფ ა, 1970). აფრედსედათელ ლმავგულ... ასევე კეთარ მს-თოლ ჩ ხ ა ზ ზ ა რ გ ი ა ნ ი კ ი ტ — ჰ. ჯ. 8,14 — „თავმჯდომარე წამოღდა, მდივნის მაგიდას მიუახლოვდა“. შდრ. არგიან — „ახლო“.

„აბაზურ ზღაპრებშიც“ დასტურდება -ტი სუფიქსი — ჭი სახით²⁶: სარა ტ ა ხ ი გ თ ს ჭ ი პ — მფს. 64,10 — „მე შენ გაგათავისუფლებ“. შდრ. 'ხითი — „თავისუფალი“.

აბაზურ-რუსულ ლექსიკონშიც მოყვანილია -ჭი სუფიქსით ნაწარმოები ნასახელარ გარდამავალ ზმნათა მასდარის ფორმები, თუმცა შესაბამისი პირიანი ფორმები ლექსიკონში მოცემული არაა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ფუძეებზე უმთავრესად ზედსართავი სახელებია გამოყენებული: ასთაქანქია ჩაჰიჯ რ ზ ხ ნ ა კ ი რ ა — „კიქის ღვინით გავსება“. შდრ. აზნა — „სავსე“. აღჭიარა — „გაუმჯობესება“. შდრ. აღ — „უკეთესი“. ყაფშიარა — „გაწითლება“. შდრ. ყაფშ — „წითელი“. ჯა'ხითიგშქიარა — „დატყვევება“. შდრ. ჯა-ხ'ითიგ — „ტყვე“.

-ჭი სუფიქსი აბაზური წიგნის ენაში აშხარული დიალექტის წარმომადგენელთაგან უნდა იყოს შესული, თვით ტაპანთურს მის ნაცვლად სხვა საშუალებებისათვის უნდა მიემართა.

როგორც უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. -ტი სუფიქსთან ერთად გარდამავალ ნასახელარ ზმნათა საწარმოებლად კავზატის რ პრეფიქსი გამოიყენება. რ პრეფიქსი აღნიშნული ფუნქციით აფხაზურ-აბაზურ ყველა დიალექტისათვის ერთნაირადაა დამახასიათებელი. -ტი სუფიქსიან ზმნათა მსგავსად რ პრეფიქსით ნაწარმოები ნასახელარი დინამიკური ზმნებიც ორპირიანია, მაგრამ -ტი სუფიქსისაგან განსხვავებით რ პრეფიქსი უპირატესად ზედსართავ სახელთა ფუძეებთან დასტურდება²⁶. ამასთანავე იგი -ტი სუფიქსთან შედარებით უფრო პროდუქტიულია, ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ამ ენებში არსებით სახელთა ფუძეებთან შედარებით უფრო ზედსართავ სახელთა ფუძეებისაგან ნაწარმოები ნასახელარი გარდამავალი დინამიკური ზმნებია გავრცელებული: უ ზ რ ა ბ ა ა ზ ე ა აბას ჟარა, მა ფასაძა უ ზ ჯ რ ფ ს ჯ ლ ა ზ ე ა — აბეას 101,21 — „ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო“. შდრ. აბაა — „გამხდარი“. აფსულა — „მსუქანი“. არაფ კიაბარჯლა დ უ ზ ჯ რ შ ი კ ი ა კ ი მ — აჟოა 40,2 — „ზანგს გაბანით ეერ გაათეთრებ“. შდრ. აშეკაჟია — „თეთრი“. ლეჟარსა იჩპაზ საძღა ლგოგ დაარა მ არ ფ შ ი ქ ე ტ — ი. პ. აფვიჯს. 84,12 — „ლევარსის ნათქვამმა საიდას გული აუჩვილა“. შდრ. აფშეჟა — „რბილი“. ჰა ბ შ ა კ ჰაშიკ ა რ ბ შ ი ტ — თ. თ. 319,358 — „ერთი დამპალი მსხალი ას მსხალს დააღპობს“. შდრ. ბჰა — „დამპალი“. არი ამშთაზ მამა-მამა აჰასფა ლ რ ჯ ე კ ა ხ ტ — აბაზაშა 117,26 — „ამის შემდეგ საიდუმლოდ დანა გაასუფთავა“. შდრ. ცქა — „სუფთა“. არი აჩეჯ ანხაჰიჩია რფხე დ ჯ რ ლ ა ჰ ა უ ნ — ი თ. ნეში 232,6 — „ამ დღეს გლეხების შრომას აფასებდნენ“. შდრ. ლაბა — „წვირფასი“. პქიჟნ აჟი იჰაატ: „ჩეჯს ჯ რ ჰ ა ჰ ა ჰ ა ჰ ა — ტ. ტ. 84,16 — „ბიქმა ასე თქვა თავს და ევიმძიმებო“. შდრ. აჰალა „მძიმე“.

²⁶ მასალა ლიტერატურულად დამუშავებულია, ამდენად ძნელია პირველ წყაროზე მითითება; სავარაუდოა, რომ მოქმედი აშხარელია.

²⁷ თუმცა აფხაზი (აბუელი) მოქმედები, პარალიგმების შედგენისას არც ერთ მათგანს ემათე იმ სახელთან გამოყენების მხრივ უპირატესობას არ აძლევდნენ.

აბაზურში არსებით სახელთა ფუძეთაგან ნასახელარი გარდამავალი ღინამიკური ზმნები სწორედ რ პრეფიქსის საშუალებით იწარმოება: — აჟნაშიაჟ-ფაჟიჩია ა ჯ რ ფ ჰ ი ე ს ჩ ი ა პ — ჰ. ჟ. 49,2 — „ხელმძღვანელებად ქალე ბ ს ვ ა ხ დ ი ს“. შღრ. ფჰიგს — „ქალი“.

აფხაზურშიც გვხვდება რ პრეფიქსი არსებითი სახელის ფუძესთან: სარა სნეინ დ ს გ რ ხ ა ჰ ი ი ტ — აფს. I 168,20 — „მე მივედი რა, გავაქვავ ე ის ადამიანი“, თუმცა ამავე ფუძესთან -ტი სუფიქსიც დასტურდება; უბრი აზგ რზვიან დ ხ ა ჰ ი ე ს ტ ი გ ტ — აფს. II 19,33 — „ამის გამო გავწყერი რა, გავაქვავ ე“. შღრ. ახაჰი — „ქვა“.

ასევე ორივე აფიქსი -ტი-ცა და რ-ც დასტურდება აფხაზურში ზოგიერთ ზედსართავ სახელთა ფუძესთანაც: აბაცია რუფსათაგჯ ცი გ ე ე ტ ი ჟ ე - ა ტ — ალაშო 8,24,10 — „მაშების სასუფეველსაც აცუღებს“. აბეა დაარა ი ჩ ი რ ე ც ი გ ე ტ — აფს. II 232,8 — „მდიდარმა მეტად (გაიბრაზა), „გაიციულა“ თავი. შღრ. აციგა — „ცული“. სადა ... დ ა გ ლ რ ბ ა ა ნ - დ ა ვ ი ტ — ი. პ. ი. რ. IV, 11,36 — „საიდაც ... დ ა ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ნ ა მ ა ნ (ქალმა)“. აფსაგჯ... დ ბ ა ა ნ დ ა ვ ე რ ტ ი ი ტ — ნართ. 296,29 — „აფხაზე-თის მფლობელიც დ ა ა პ ა ტ ი მ რ ე ს“. შღრ. აბანდაჯ — „პატიმარი“.

აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე ფუძესთან აშხარელი ავტორი ხმარობს -ჰი სუფიქსს, ხოლო ტაპანთელი რ პრეფიქსს: აფრედსელათელ ღზაგელტ... ასეკრეთარ ისთოლ ჩ ი ა ხ ჰ ა რ გ ი ა ნ ი კ ი ტ — ჰ. ჟ. 8,14 — „თავმჯდომარე წამოღდა, მდივნის მაგიდას მიუახლოდა“. ავაპიტან ირემმა ჰ ა მ რ ა რ გ ი - ა ნ ტ — ბ. თ. აბზაზ. 237,11 — „კაპიტანმა სკამი მიიახლოეა“. შღრ. არ-გიან — „ახლო“.

კაუზატივის რ პრეფიქსი იშვიათად დასტურდება -ხა გარდაქცევითობის სუფიქსის მქონე ფუძეშიც²⁸. ამ შემთხვევაში ყურადღება სახელის გარდაქცე-ვითობაზე უფრო გამახვილებული: ხიშივეჯ რაყარა ა ა მ რ ბ ზ ა ხ ა ნ — აფს. II, 152,18 — „ხუთასიოდე კაცი გააცოცხლარა“. შღრ. აბზა — „ცოცხალი“. ეგაარგეგმაძეატ დ ჯ რ ხ ა გ ა ხ ა რ ე ე — დ. გ. აფიაბე კა-ეჰქია, 1942, გვ. 66 — „არაფერი დააკლდათ მათ ის გაეგიჟებინათ“ (რათა გიჟად ექციათ)²⁹ შღრ. ახგა — „გიჟი“.

III. ა) ნასახელარ გარდაუვალ ღინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება. პირველად პ. უსლარმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ გარდაუვალ -ხ სუფიქსიან მოქმედების გამომხატველ ზმნათა (როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი -ხა სუფიქსის ნაცვლად -ხ სუფიქსს მიიჩნევს ნასახელარ ღინამიკურ ზმნათა მაწარმოებლად), პარალელურად ენა იყენებს აღწერით წარმოებასაც აყალარა - „გახდომა“ ზმნის საშუალებით. მანვე მიუთითა -ხ სუფიქსიან (resp. -ხა) ნაწარმოები ნასახელარი ზმნისა და აყალარა — „გახდომა“ დამხმარე ზმნის საშუალებით ნაწარმოებ აღწერითი ფორმის ერთმანეთით შეცვლის შესაძლებლობაზე. ამასთანავე პ. უსლარმა შენიშნა ორგანულ და აღწერით წარმოებათა შორის განსხვავება და მართებულად მიუთითა, რომ -ხ (resp. -ხა) სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები გამომხატავენ უფრო შინაგან, გარეგან მოვლენებისადმი დამოუკიდებელ მოქმედებას, ვიდრე აღწერითი წარმოება³⁰. მაგ.: ჟარა იჟთახეუბ სარა ა ჰ ე ს ს ყ ა ლ ა რ ე ტ — „შენ გსურს, რომ ბატონად გავხდე“.

²⁸ ჟ. ლომთათიძე, სტატიური და ღინამიკური ზმნები..., გვ. 261.

²⁹ იქვე.

გ. დიუმენილიც გამოყოფს -ს სუფიქსის (resp. -ხა) შესაბამის ზმნურ „ყალ“ — „გარდაქცევა“ ფუძეს დამოკავს შემდეგი აღწერითი ფორმა: ავჯსთაას სყალჟეჲტ — „მე ეშმაკად (გა)ეხდე ბიჲ“.

ნასახელარ გარდაუევალ დინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება დასტურდება აფხაზურსა და აბაზური ენის აშხარულ დიალექტში. მის საწარმოებლად ძირითად ნაწილად გამოყენებულია -ნჯ, -ს სუფიქსიანი სახელთა ვითარებით-გარდაქცევითი ფორმები, -ხა სუფიქსიანი ნასახელარ ზმნათა აბსოლუტივის ფუძე (იშვიათად ფუძეს ერთვის -ნჯ სუფიქსიც), ხოლო დამხმარედ იგივე აყალარა -- „გახდომა“ ზმნა შესაბამის დროთა ფორმებში. დიალექტოლოგიურ ტექსტებში, მხატვრულ ლიტერატურასა და პრესის ენაში უპირატესად -ნჯ სუფიქსიანი სახელის ვითარებით-გარდაქცევითი ფორმები გვხვდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღწერითი წარმოება ორიგინალურ მხატვრულ მწერლობაში იშვიათია, ნათარგმნ ლიტერატურაში კი იგი უფროა გავრცელებული, ამასთანავე იგი უპირატესად ნაწარმოებ და ნასესხებ არსებით სახელთა ფუძეებთან დასტურდება: ...სა სჯუფჲსნჯ, ჭარა სჯუცინჯ სყალოჲტ — ლჰიჲტ — ს. ჟ. 205,30 — „მე ცოლად, შენს კუთვნილებად გაეხდები“. ჟიწიწიყა უჲ აგვარდია დაკაპიტანხჯ დყალონ — ა. პ. 3,5 — „ხელ ის გვარდიის კაპიტნად გ-ხდებოდა“. ახანდეჯცია... იწარაჟიანჯ, აყაზარა ჟაუსწუჯციანჯ|იყალეჲტ — აფსნჯ 1971, 11/IV, 3 — „მშრომელები ნასწავლ ხალხად, დახელოვებულ მუშაკებად იქცნენ“.

აშხარულ დიალექტში აღწერითი წარმოებისას ძირითად ნაწილად მხოლოდ -ნჯ სუფიქსიანი სახელთა ვითარებით გარდაქცევითი ფუძეები დასტურდება: ჟათ ქაციანჯ ანაყალაკ — აშხ. ტ. 24,26 — „ისინი კაცებად რომ გახდებიან“. ჟოყია ანი აფჰიგსთა ბლჯან დყალეჲტ — აშხ. ტ. 14,34 — „ახლა ეს ქალიშვილი გველეშაპად იქცა“. აჟშანჯ სჯბჯყალაკ — აშხ. ტ. 4,12 — „შენ (დედაქ.) ძმად გაგიხდები“.

ზედსართავ სახელთა ფუძეებში აღწერითი წარმოება არსებით სახელთა ფუძეებთან შედარებით ნაკლებ გავრცელებული გვაქვს, მხედველობაში გვაქვს როგორც მხატვრული ისე დიალექტოლოგიური მასალა: ლეჟარსა, ნუცა ხიჯკურთა დუძძანჯ დიზჯყალეჲტ — ი. პ. ივ. რ. IV, 64,34 — „ლეჯარსა ნუცას დიდ საფიქრალად გაუხდა“. აბრი ანახჟს დარა მცხოჲდ ბეანჯ დყალეჲტ — ხ. ბ. 340,8 — „ამის შემდეგი ის ძალიან გამდიდრდა“.

გვხვდება აღწერითი წარმოება რიცხვით სახელთა ფუძეებთანაც: რჯჯაჯჯ რჯჯ აკნჯ იყალუოჲტ — მათე 19,5 — „და იყენენ ორნივე იგი ერთ კორც“.

ნასახელარ გარდაუევალ ზმნათა აღწერითი წარმოების ტიპი დასტურდება სახელური წარმოშობის სტატიკური ზმნის ფუძესთანაც: იისუს ირჰაჰიჲტ დარა: იაშჰანჯ, იაშჰანჯ იშჰასჰიოჲტ: აოჯტოჯს ფა იჟე... იშოგმან შიყალჯუომ — იოანე 6,53 — „პრეტუ მათ იესუ: აშენ, აშენ გეტყვ თქუენ:

³⁰ П. К. Услар, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

³¹ G. Duméril, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

უკუეთუ არა კმუამთ კორცი ძისა კაცისა... არა გაქუნდე ს ცხორებათა თვისა თქუენისად“.

-ს სუფიქსიანი ვითარებით-გარდაქცევითი ფუძეები აქა-იქ თუ დასტურდება: მარა აჰას დყალე მტ უბრი ატილაჰჟ — აფს. I, 85,43 — „ის ბატონად ვახდა იმ ქვეყანაში“. ამილათი ტიელახ³² არა ამინისტრს დყალე მტ — აფსნე 1972, 25.V, I — „ქვეყნის თავდაცვის მინისტრად ვახდა“.

-ხა სუფიქსიანი ნასახელარ ზმნათა აბსოლუტივის ფუძეები დასტურდება აფხაზური ზღაპრების ენაში: რაწიაგ³³ დემრახა დააყალტ — აფს. II. 277,40 — „რაწიაც (ქალის სახელია) მზედ იქცა“. (აიკეტ) შიჯრძ ცვრკ აჰჟე მანნე მგირხა დააყალე მტ — აფს. I, 84,38 („ქათამი) ფეტვის მარცვალთან რომ მივიდა. (ფეტვი) ნემსად იქცა“. აკამბამ ფსჯძხა დააყალან — აფს. I, 84,20 — „კამეჩი თევზად გადაიქცა რა“.

რიცხვით სახელთანაც შეიძლება შეგვხვდეს -ხა სუფიქსიანი აბსოლუტივის ფუძე. ჰარა ჰვირვა იშეიხა იყალო მტ — აბჟას 92,8 — „ჩვენ პატივნი ვაგვიასდენ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, -ხა სუფიქსიანი ნასახელარ ზმნათა აბსოლუტივის ფუძეს იშვიათად -ნე სუფიქსიც ერთის: ლარგ³⁴ დდალ³⁵ ხანე დნეყალე მტ — აფს. II, 119,19 — „ისიც (ქალი) ბაყაყად იქცა“.

უზღაყამ ალა უყალა მტ — ანელჰია, დელაყამეზ ახაწარა აიკენ, დხაწახანე დააყალე მტ — ნართ. 117,11 — „რაც არა ხარ იმად იქვე, რომ თქვა, ვაჟაკობა იყო, რაც აქლდა, და ვაჟაკაცად იქცა“.

როდესაც ძირითად ნაწილად -ხა სუფიქსიანი აბსოლუტივის ფუძეა გამოყენებული, მის პარალელურად ხშირად დასტურდება ორგანული წარმოებაც. ამ შემთხვევაში ამოსავლად ორგანული ფორმები უნდა ვივარადოთ: დგფსა-ატეხარც ითახენ — აფს. ბგზ. 22,7 — „უნდოდა რომ ფრინველად ქცეულიყო“. აუზხა აჰკიკენ დგფსა ატიხა დააყალან — აფს. ეი. 80,25 — „იმ ღამეს ბიჭი ფრინველად იქცა რა“. აჟა... უმ აამთაზ დქძაბხან დაასჯ დგჯლტ — აფს. II, 177,33 — „კურდღელი... ამ დროს გოგოდ იქცა რა (წა)მომადგა“. აძლაბ სახ³⁶ ზმანე ზღაყამ ძლაბხა დააყალტ — აფს. I, 146,36 — „გოგოს სახე ვისაც ქქონდა... ულამაზეს გოგოდ იქცა“.

ნასახელარ გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება ტაპანთურ დიალექტში არ დასტურდება³².

ბ) ნასახელარ გარდამავალ დინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება. გარდაუვალ ნასახელარ დინამიკურ ზმნათა მსგავსად აფხაზურ-აბაზურ ენებში დასტურდება გარდამავალ დინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოებაც. მის საწარმოებლად აფხაზურსა და აბაზურის აშხარულ დიალექტში დამხმარე ნაწილად გამოყენებულია აყაწარა — „გაკეთებ“ ზმნა, ხოლო აბაზურის სალიტერატურო ენასა და ტაპანთურში კი იმავე მნიშვნელობის აჩფარა ზმნა³³, ძირითად ნაწილად აფხაზურში დასტურდე-

³² მის მაგივრად აქ, თურქოპოლის შინაარსით გეხვდება სხვა ტიპის აღწერითი წარმოება, სახელის ვითარებით-გარდაქცევითი ფორმისა და მანჯჯრა — „გამოსვლა“. „გამოსვლად ედებდა“ ზმნის დახმარებით: მაგ.: აჩო მირთგზ, დურ დულთა მქაწწრტ. 88,23 — „მას (მამაკ.) რომ ტყენი მისცეს, რაშად გამოვლგა (გამოვიღო)“.

³³ „აყაწარა — გაკეთება“ ზმნა ტაპანთურში არ დასტურდება.

ბა -ს, ნე, ამხარულში — ნე, შთა, ხოლო ტაპანთურში თა (← შთა სუფიქსიან სახელთა ვითარებით-გარდაქცევითი ფორმები.

აფხაზურში ნასახელარ გარდამავალ დინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოებისათვის უპირატესად -ს სუფიქსიანი ვითარებით-გარდაქცევითი ფორმებია გავრცელებული. ამასთანავე იგი ნაწარმოებ ანდა ნასესხებ არსებით სახელთა ფუძეებისათვის უფროა დამახასიათებელი: ჰაჰნრა კაზენტინე შაკოლს იყარწეატ — ი. პ. თემ. 232,23 — „ჩვენი სახლი სახელმწიფო სკოლად აქციეს“

-ნე-სუფიქსიანი ვითარებით-გარდაქცევითი ფორმები ზედსართავ სახელთა ფუძეებისათვის უფროა დამახასიათებელი: ალაგარაქია ეჰა ირაცოანე იყარწეატ... აფსნე. 1972, 27/11, 2 — „მეტად ბევრი შეცდომები დაუშვეს“ („ბლომად გააკეთეს“). იყატანე იყაფოატ — აფხ. ქ. ლ. — „ტყავს ქნის“ („მოქნილად აქცევს“).

დასტურდება კაუზატიური ზმნის -ნე სუფიქსიანი აბსოლუტივის საშუალებით ნაწარმოები აღწერითი სახეობაც: აფჰეცა სტანცია, ეჰაჰე ირთბაანე, ირჰეცენე იყარწეატ ასოვეტი უსუცა — ი. პ. თემ. 45,32 — „ელსადგური უფრო გააფართოვეს, გაახლეს საბჭოთა მუშაკებმა“.

ამხარულ დიალექტში ნასახელარ გარდამავალ დინამიკურ ზმნათა საწარმოებლად ძირითად ნაწილად -ნე-სუფიქსიანი სახელთა ვითარებით-გარდაქცევითი ფორმებია გამოყენებული: ფანტ უყასწაჰ (უსფანბჰ), მლჰქინე სარი სემოუ უსთაჰ — აშხ. ტ. 47,13 — „შვილად გაგიხდი, ქონება რაცა მაქვს მოგვმ“. ვეტიჯს — სურათნე, ფჰიტს ფანე დყეაწეატ. ლარს დჰჰეჰე — აშხ. ტ. 30,20 — „ის შეშად იყო რა, მან (მამა) ის აღამიანის სახელად, ქალიშვილად აქცია“.

ძირითად ნაწილად დასტურდება -შთა სუფიქსიანი ვითარებით-გარდაქცევითი ფორმებიც: ბაჰჰეაჰე თეძე შთა იყარწეატ — აშხ. ტ. 49,21 — „ძელებიც სახლად გააკეთეს“. ჩეჯჰ ჩაშთა დყეაწეატ — აშხ. ტ. 56,9 — „ის (მამა) ცხენის მწყემსად გახადა“.

მსგავსი ტიპის აღწერითი წარმოება ტაპანთური დიალექტისათვის უფროა დამახასიათებელი აფხაზურის დიალექტებთან შედარებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ -ტს სუფიქსი, რომელიც აფხაზურში არსებით სახელთა ფუძეთაგან აწარმოებს ნასახელარ დინამიკურ ზმნებს, ტაპანთურში არ დასტურდება. ამ დიალექტში ძირითად ნაწილად -თა — შთა სუფიქსიანი ვითარებით-გარდაქცევითი ფუძეები გამოიყენება: ჰაჰქიანე ფჰიტათა დელჩეჰ დ აფჰიჯსფა — ჰეიჯენ — ტ. ტ. 132,12 — „ბოლოს ქალიშვილად (ასულად) გაიხადა მან პატარა გოგო“. აჰე აჰეიჯენ დჰჰეჰეჰე: „აჰჰეი შეჰლათა იუხეჰეჰეჰე? იჰინან... შეჰლათა იგეჰეჰეჰეჰე — ტ. ტ. 84,89 — „ის ბიჭს შეეკიოხა, ქვის ფქვილად გადააქცევა შეგილიან? ფქვილად ვერ აქცია“. იფსკიჯთა ირჩეჰეჰეჰე, ჩარა — ჟირათა ირჩეჰეჰეჰე — ტ. ტ. 91,22 — „მის ქვლებად რომ აკეთებდნენ, ჰამა-სმად გადააკეთეს რა“. აჰაიჰიჰა აჰსჰიჯლა აჩეატ... აჰანახეჰე ჰინაყიჯთათა აჩეატ — ბ. თ. ნეში. 247,25 — „მამაკაეები მებრძოლებად გახადა... დანარჩენები შინაყმებად აქცია“.

დასტურდება აღწერითი წარმოება ზედსართავ სახელთა ფუძეებშიაც: აფჰიგს გიგზზელათა დგზჩფაჟა აჟაწა მაკობ — ბ. თ. აბზაზ 262,1 — „ქალს ქკეიანად ვინც ხდის ქმარია“. აჰამიკურთალა აჰაგაჟა ამაყემი აჰილაფენ რეწაგნი ჰალამათთა მჯრჩფიტი — ბ. თ. აბზაზ. 100,14 — „საეკევაო მოედნიდან მოღწეული მელოდია საღამოს უფრო მშვენიერს ხდის“.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ -ხა სუფიქსი ერთნაირად დამახასიათებელია ყველა აფხაზურ-აბაზური დიალექტისათვის. -ხა სუფიქსი აფხაზურ-აბაზურ ენებში მეტყველების ყველა ნაწილთან დასტურდება, მაგრამ იგი უმთავრესად ზედსართავ და არსებით სახელთა ფუძეთაგან აწარმოებს ნასახელარ გარდაუვალ ღინამიკურ ზმნებს.

ასევე რ პრეფიქსი აღნიშნული ფუნქციით აფხაზურ-აბაზური ყველა დიალექტისათვის ერთნაირადაა დამახასიათებელი, -ტი სუფიქსი კი მხოლოდ აფხაზურის დიალექტებსა და აშხარულ დიალექტში დასტურდება, ხოლო აბაზური წიგნის ენაში კი იგი „გატაპანთურებელი“ ჭი-ს სახით აშხარული დიალექტის წარმომადგენელთაგან უნდა იყოს შესული. ამასთანავე -ტი სუფიქსი უმთავრესად არსებით სახელთა, ხოლო რ პრეფიქსი კი ზედსართავ სახელთა ფუძეთაგან აწარმოებს ნასახელარ გარდაუვალ ზმნებს.

ნასახელარ გარდაუვალ ღინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება დასტურდება აფხაზურსა და აბაზური ენის აშხარულ დიალექტში.

მის საწარმოებლად ძირითად ნაწილად გამოყენებულია -ნჟ, -ხ-სუფიქსიანი სახელთა ვითარებით-გარდაქცევითი ფორმები, -ხა სუფიქსიანი ნასახელარ ზმნათა აბსოლუტივის ფუძე (იშვიათად ფუძეს ერთვის -ნჟ სუფიქსიც), ხოლო დამხმარედ აყალარა — „გახლომა“ ზმნა შესაბამის დროთა ფორმებში.

ნასახელარ გარდაუვალ ღინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება ტაპანთურ დიალექტში არ დასტურდება. ნასახელარ გარდაუვალ ღინამიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება დასტურდება აფხაზურ-აბაზურ ყველა დიალექტში. მის საწარმოებლად აფხაზურსა და აბაზურის აშხარულ დიალექტში დამხმარე ნაწილად გამოყენებულია აყალარა — „გაკეთება“ ზმნა, ხოლო აბაზურის სალიტერატურო ენასა და ტაპანთურში — იმავე მნიშვნელობის აჩფარა ზმნა. ძირითად ნაწილად აფხაზურში დასტურდება -ს, -ნჟ, აშხარულში -ნჟ, -შთა, ხოლო ტაპანთურში -თა—/შთა-სუფიქსიანი სახელთა ვითარებით-გარდაქცევითი ფორმები.

ერთმანეთის პარალელურად გვხვდება როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოება.

აბაზ. რ. ლ. — Абазинско-русский словарь, Москва, 1967.

აბაზაშ. — აბაზაშთა ალკეჟია, სტაეროპოლი, 1965.

აბოლ. — აბოლგარტი ვილარ რლკეჟია, აყა, 1958.

ალაშ. — ალაშთარა (ალიტერატურატი—სახარკერატი აჟაჟილარატი—პოლიტიკატი ვურნალ), აყა, 1971.

აფს. I — აფსჟა ლკეჟია I-ტი ატომ, აყა, 1965.

აფს. II — აფსჟა ლკეჟია, II-ტი ატომ, აყა, 1968.

აფ. ვი. — აფსჟა ვილარ რლკეჟია, აყა, 1958.

აბჟას—შოთა რუსთაველი, აბჟას—ცია ზმეუ, აყა 1959.

აფს. ბჟ. — აფსჟა ბჟშეა აფზერატი აშეოლ 4-ტი აკლას აზგ, აყა, 1955.

აფს. ქ. ლ. — ჟანაშეა, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

ცნობები და შენიშვნები

მიხეილ კაკელია

სიტყვა „მემაჯანის“ ბაზებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევის პრეტენზია როდი გვაქვს. მოსაზრების გამოთქმა, სამართლებრივი ხასიათის ძეგლებში ფუძე „მემაჯანიდან“ წარმოებულმა სიტყვების მრავალგზის ხმარებამ და მისი შინაარსის მართებულად გაგების სურვილმა გვიკარნახა.

სიტყვა „მემაჯანის“ შინაარსი არამცთუ სამართლის ძეგლებში, არამედ „ვეფხისტყაოსანშიც“ არ არის საბოლოოდ დადგენილი. „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა მემაჯანის შინაარსის სწორად ახსნას ორნაირი მნიშვნელობა ენიჭება: ა) გვშველის ტარიელის ფიზიკური შეხედულების, ანუ სიტყვიერი პორტრეტის, სწორად წარმოდგენაში და ბ) ჩვენთვის საინტერესო სტროფში სიტყვის მკვერს-ს უდგილობას გვისაბუთებს.

„ვეფხისტყაოსანში“ ორჯერაა დამოწმებული ფუძე მემაჯანი-იდან წარმოებული სიტყვა მემაჯანი (261,2 და 1603,2). ამ ორი ადგილიდან ერთი (1603,2) რუსთაველისეულად არ არის მიჩნეული, მაგრამ სიტყვის შინაარსის გასახსნელად მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

261,2 ტაქში ავთანდილთან საუბრისას, ასმათი ასე ამთავრებს ტარიელის ამბავს:

ამის მერსა ვერას ვიხირობ მე სიტყვასა ამისთანა:

ისი შინდორს არონინებს ტანსა მკვერსა, მემაჯანსა.

1603,2 ტაქში საკვლევი ტერმინი შემდეგ კონტექსტშია წარმოდგენილი:

უთხარით: ბრძანებს ტარიელ, მეფე ლალი და ჯანია,

იგი ხელმწიფე მაღალი, მებრძოლთა მემაჯანია (1951 და 1957 წწ. გამოცემები).

ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემაში სიტყვა მემაჯანი სხვადასხვა შინაარსით არის გაგებული: 1. ძლიერი, დიდი, საშინელი (ძმ. თავართქილაძეები), 2. მაღალი, წვრილი (დ. კარიჭაშვილი), 3. დამამკირებელი, მაძაბუნებელი, თავზარდამცემი (იუსტ. აბულაძე) 4. დამძაბუნებელი, დამჭაბუნებელი (კ. კვიციანიძე), 5. უდარდელი, გამბედავი (ს. კაკაბაძე), 6. მომრევი (აკაკი შანიძე), 7. თავზარდამცემი (ნ. ნათაძე).

ქართულ ლექსიკოლოგიაში მემაჯანი და მისგან წარმოებული მემაჯანი შემდეგნაირადაა ახსნილი. სულხან საბას „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული სიტყვა მემაჯანი მაძაბუნებლის მნიშვნელობით ესმის, ძაბუნს კი „სამყაროდან მოშლილად“, ხსნის. მისივე ლექსიკონის ერთ (C) რედაქციაში ასე ვკითხულობთ „მემაჯანება — გამკლავებასავით“ (სულხან-საბა, თხზულებანი, ტ. IV I). ნ. ჩუბინაშვილით „მაჯანად — მუქთად, ცუდად, უფასოდ, даром, зря“. ილ. აბულაძე: „მამათა ცხოვრებაზე“ მითითებით სიტყვას: „მაჯანად — უბრალოდ, ფუჭად“ ხსნის.

სიტყვა მემაჯანი ქართულ ისტორიულ თუ ნარატიულ ხასიათის წყაროებში არ გვხვდება. ამ მხრივ იშვიათ გამოხატვის წარმოდგენს XIV—XVI საუკუნეებში აღიშნისა და მესტიის სახარებაზე გაკეთებული მინაწერები, რომელთა ერთი ნაწილი პ. ინგოროყვას მიერ 1940 წელს იქნა გამოქვეყნებული „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ (მეორე ნაკვეთი) და ბექა მანდატუხუცესის სამართლის წიგნის მე-18 და 21-ე მუხლები. „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ მაჯანი-დან ნაწარმოები სიტყვები შემდეგ კონტექსტში გვხვდება: „თქუენი თავი საუსამართლოდ და სამაჯნოდ არაი ვის მივანებოთ“ (საბ. 7, XV საუკუნის დასაწყისი); „საპაოდ და სამაჯნოდ არ გაუსცეთ იგი“ (საბ. 23, XIV ს-ის ბოლო და XV ს-ის დასაწყისი); „თუ ვინ თვითონ(ნ) კაცი მოიმაჯნის“ (საბ. 49, XIV ს-ის ბოლო და XV ს-ის დასაწყისი) და სხვ. ბექას სამართლის წიგნის (შედგენილია 1295—1304 წწ.) მე-18 მუხლში წერია: „თუ კაცმა მისი სწორი კაცი ცოტას სამღურაეისა რასათვისმე თავისა სამამულე შიგან მყოფი ნახოს, იმაჯნოს და შეიპყროს“, 21 მუხლით კი „დამაჯნებით საბელი“—ს მობმისათვის მთელი სისხლია გაჩენილი.

როგორც ჩანს, ყველა შემთხვევაში სიტყვები: „სამაჯნოდ“, „მოიმაჯნის“, „იმაჯნოს“ და „დამაჯნებით“ იმავე ძირიდანაა ნაწარმოები, საიდანაც „მემაჯანი“, რომელიც „დაჯანების“. „მორვეის“ მნიშვნელობითაა ნახმარი. ისმის საკითხი, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს 261,2 ტაპი: „ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა“ თუ „ისი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსა“? უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ ლაპარაკია ტარიელის ფიზიკურ აგებულებაზე, რომელსაც: დამჯანბელი, მომრევი, დამძლევი შეხედულება აქვს, რომ იგი შეხედულებითაც კი, შებრძოლებს გარეშეც დასჯანბნადა მტერს. ამდენად ტანის მჭევრობა (გრაცია, მოხდენილობა, სინატიფე) აქ არაფერ შუაშია, მისი ადგილი არც არის სტროფში.

მხატვრულ ნაწარმოებშიც ვხვდებით საკვლევ ტერმინს: „ამბრის კარავსა მოვიდნენ ორნიე მტერთ მემაჯანები“ (ს. თანიაშვილი, ამირან დარეჯანიანი, 657,1); „შესხდეს მტერთა მემაჯანი“ (იქვე, 2321.2), ან „თავსა აყრიდეს წითელსა ვინ მტერთა მემაჯანი“ (შაპ-ნაპე, 668,4)¹. როგორც ჩანს, მხატვრულ ნაწარმოებშიც მტრის დაჯანების მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა მემაჯანი.

„ვეფხისტყაოსნის“ 261,2 ტაპის შინაარსი („მტერთა მემაჯანსა“) მართებულად აქვთ გაგებული კ. კიკინაძეს, ა. შანიძეს და ა. ბარამიძეს, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას და სხვა გამოცემებს უმართებულო ფორმა („მჭევრსა, მემაჯანსა“) აურჩევიათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერშიც „მტერთა მემაჯანსა“ იკითხება.

მაჯანი-დან წარმოებულად უნდა მივიჩნიოთ ლეჩხუმელთა სალაპარაკო ენაში დღემდე შემონახული სიტყვა „დამარჯნება“, რაც დამორჩილების, ჯობნობის შინაარსით იხმარება².

¹ მხატვრული ნაწარმოებიდან ადგილები მიგვითითა გურამ კარტოზიამ.

² მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო საპსაწავებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 231—253.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გამოთქმა „მკვერსა, მემაჯანსა“ შინაარსეულად აბუნდოვნებს ტაეპს, „მტერსა მემაჯანსა“ კი პირიქით, მხოლოდ სიტყვა მემაჯანის განმარტებაც კმარა სტროფში სიცხადის შესატანად.

ამდენად, ადიშისა და მესტიის სახარების არშიებზე გაკეთებული მინაწერების, ქართული სამართლის სხვა ძეგლების, მხატვრულ ნაწარმოებთა და სლაპარაკო ენაში შემორჩენილ მასალათა და ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ხელნაწერის გათვალისწინებით მართებულად მიგვაჩნია ხსენებული (261,2) ტაეპის ასე წაკითხვა:

ამის მეტსა ვერას ვითხრობ მე სიტყვასა ამისთანსა.
ისი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსაჲ.

„ვეფხისტყაოსნის“ 261-ე სტროფში (აგრეთვე ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მე-18 და 21-ე მუხლებში) სიტყვა „მემაჯანი“ დამჯაბნელის, შინაარსით უნდა გვესმოდეს.

ამ საკითხზე იხ. ჩვენი თეზისები: „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის შინაარსის გაგებისათვის ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, თბ. სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიის თეზისები“, 1968, გვ. 16—18.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარმა რედაქციამ 1974 წლის 31 მაისის სხდომაზე განიხილა ეს სტროფი და მიიღო წაკითხვა „მ ტ ე რ თ ა მე მა ჯ ა ნ ს ა“ (იხ. „მაკენ“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 1, 1974, წ. 31 მაისის სხდომის ოქმი).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საბჭოთა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

ო ი ნ . შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, თანამედროვე ენათმეცნიერების
თეორიული საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1972

ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურას შეემატა ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერის თინათინ შარაძენიძის ნაშრომი „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები“. მასში განხილულია ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები; რაც სპეციალისტთა ინტერესს იწვევს.

ამ ინტერესს განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ შრომები ენათმეცნიერების თეორიაში ცოტაა, ასევე ცოტაა ისეთი გამოკვლევები, სადაც თანამედროვე ლინგვისტურ მიმდინარეობათა თვალსაზრისები სათანადოდაა თავმოყრილი და კრიტიკულად არის განხილული. ენათმეცნიერების თეორიით და ინტერესებული მკითხველი კარგად იცნობს თინ. შარაძენიძის მრავალ ნაშრომს, სადაც არა მარტო ლინგვისტური, არამედ ფილოსოფიური სპეციალური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს საინტერესოდ დასვას და გადაჭრას ენის რთული თეორიული და ენობრივი კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები, ყოველთვის ნათლად და დასაბუთებულად წარმოადგინოს თავისი მეცნიერული პოზიცია, რაც არცაუ ისე ხშირია მსგავს ნაშრომებში.

ზემოდასახელებული წიგნი წარმოადგენს ავტორის ბოლოდროინდელ შრომათა ერთ ნაწილს. კრებულში განხილულია ენათმეცნიერების თეორიის რამდენიმე ძირითადი საკითხი: ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის საკითხი, სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთმიმართების ზოგადი ასპექტი, ენათა ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალების რაობის საკითხები, ენათა აღწერის პრინციპები. აქვეა მოცემული ამერიკელი სტრუქტურალიზმის კრიტიკული ანალიზი.

ნიშნის რაობის გარკვევა აქტუალური პრობლემაა. მას იკვლევს არა მარტო ენათმეცნიერება, არამედ ფსიქოლოგია, ფილოსოფია, კიბერნეტიკა და ფიზიოლოგიაც კი. კვლევა და დავა ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებს გარშემო ღრმად არ შეწყვეტილა და ახლაც აზრთა დიდი სხვადასხვაობაა მეცნიერებაში.

იმ მრავალ საკითხთაგან, რომლებიც ნიშნის რაობის პრობლემას უკავშირდება, თინ. შარაძენიძე თავის ნაშრომში გამოყოფს ერთ-ერთს, კერძოდ, ნიშნის ნებისმიერობის საკითხს, ე. ი. ნიშნის ბგერითი მხარის მიმართების საკითხს აღსანიშნ საგანთან და მოლაპარაკე კოლექტივთან. ავტორი განიხილავს ფ. დე-სოსიურის კონცეფციასა და გლუსემატიკის თვალსაზრისს, 40-იან წლებში სტრუქტურალისტურ ლიტერატურაში გამართულ დისკუსიას ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შესახებ და აგრეთვე ქ. ერფრუტში მოწყობილი

საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობას თემაზე „ენობრივი ნიშანი და სისტემა“. ავტორი გამოყოფს ყველა ძირითად შეხედულებას, რომლებიც კი ამ საკითხზე არსებობს, და სათანადო ლიტერატურის ანალიზის შედეგად აღგენს, რომ ნიშნის ნებისმიერობის შესახებ არსებულ დებულებას — ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნი საგნის მიმართ და არ არის ნებისმიერი მომხმარებელი კოლექტივის მიმართ — ვერ შეარყევს ბგერითი სიმბოლაციის თეორიის მიმდევართა არგუმენტაცია.

ირანაკლებ აქტუალურია თანამედროვე ენათმეცნიერებაში სინქრონიადიქრონიისა და სტატეკა-დინამიკის ურთიერთობის საკითხი.

გასული საუკუნიდან მოყოლებული ენათმეცნიერებაში განასხვავებდნენ სტატიკურ ანუ აღწერით ენათმეცნიერებასა, და ისტორიულ, ანუ ევოლუციურ ენათმეცნიერებას. ფ. დე-სოსიურას მიერ შემოღებული სინქრონიული და დიქრონიული ენათმეცნიერების ცნებები რამდენადმე სწონიძერია ზემოდასახელებული ტერმინებისა, შესაბამისად, პირველი აღნიშნავს ენის მდგომარეობას, მეორე კი — ევოლუციის ფაზას.

ენის შესწავლის ამ ორი ასპექტის გამიჯვნა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. თუ თეორიულად სინქრონია და დიქრონია მკაფიოდაა გარჩეული, საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკაში მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება თითქმის შეუძლებელია. ამან გამოიწვია სოსიურასა და მის მიმდევარ სტრუქტურალისტთა თვალსაზრისებს შორის განსხვავება.

„სინქრონიული ჭრილის იმგვარად გამოყოფა, რომ სრულიად ელიმინირებული იყოს ცვალებადობა, არ ხერხდება, — წერს თინ. შარაძენიძე. მეორე მხრივ, ისტორიული მიდგომის დროს ცვალებადი მოვლენების გვერდით ისეთებიც გვხვდება, რომელთაც იმავე ეპოქის განმავლობაში არ განუცლიათ შესამჩნევი ცვლილებები. ეს სიძნელე (სინქრონიაში — ცვალებადობა, დიქრონიაში — უცვლელობა!) სინქრონიისა და დიქრონიის ცნებათა განსაზღვრისას დაშვებული რაიმე ლოგიკური შეცდომის შედეგი კი არ არის, არამედ ობიექტური ხასიათისაა და მისი მიზეზი თვით ენის ბუნებაშია. ამიტომ მისი ასხნა შესაძლებელია, მოხსნა კი — არა“ (გვ. 65).

ზემოაღწერილი სიძნელის საილუსტრაციოდ ავტორი იძლევა საინტერესო გამოკვლევას, რომელიც ემყარება სევანური ენის დიალექტებისა და კილოკაეების ფაქტობრივი მასალის ანალიზს, რაც ენის განვითარების შესწავლისათვის ცოცხალი ენის დიალექტთა მნიშვნელობის თვალსაჩინო მაგალითია.

როგორც ცნობილია, ტიპოლოგიურ შედარებას გარკვეული ადგილი უჭირავს ენათმეცნიერებაში. იგი ცდილობს გამოავლინოს ზოგადი ენობრივი კანონები. ენებში უნივერსალურ კანონზომიერებათა ძიებამ უკანასკნელ წლებში ფართო ხასიათი მიიღო. თინ. შარაძენიძის ნაშრომი „ტიპოლოგიური შედარება, ენობრივი უნივერსალიები და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები“ მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: ენათა ტიპოლოგიური შედარება ისტორიულ და სტრუქტურულ (სინქრონიულ) ენათმეცნიერებაში, ენობრივი უნივერსალიები, ზოგადი გრამატიკის საკითხი, ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციები, ენობრივ ტიპებს შორის მსგავსება-განსხვავებათა მიზეზები და სხვ. ეს საკითხები განხილულია მრავალ მეცნიერთა შრომების ანალიზზე დაყრდნობით, გამოვლენილი და

გაშუქებულია ის განსხვავება, რაც არსებობს ამ საკითხში სტრუქტურალიზმის სამი სკოლის (პარალის სკოლა, დანიის საენათმეცნიერო წრე, ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერება) კონცეფციათა შორის.

ავტორის ყურადღების გარეთ არ რჩება ნიუ-იორკის 1961 წლის კონფერენცია, რომელიც სპეციალურად ენობრივ უნივერსალებს მიეძღვნა. იგი კრიტიკულად განიხილავს ამ კონფერენციის ამოსავალ პრინციპებს.

ზოგადი გრამატიკის შექმნის საკითხი, რომელიც თანამედროვე უნივერსალურ ძიებათა ფონზე ისმის, თინ. შარაძენიძეს წარმოდგენილი აქვს ფილოსოფიური ზოგადი გრამატიკების პრინციპთა განხილვის პარალელურად, ვინაიდან ზოგიერთი ენათმეცნიერი ამ უკანასკნელთ უნივერსალურ გრამატიკათა წინამორბედად მიიჩნევს. საწინააღმდეგოდ ამისა, ავტორი ასკვნის, რომ „უნივერსალურ ძიებებს ენათმეცნიერებაში ფილოსოფიურმა გრამატიკებმა კი არ მოუშადა ნიადაგი, არამედ ენათმეცნიერების შინაგანმა განვითარებამ“ (გვ. 112). საყურადღებოდ მიგვაჩნია თინ. შარაძენიძის შემდეგი მოსაზრებაც ზოგადი გრამატიკის შექმნის შესახებ: ზოგადი გრამატიკა შეიძლება შეიქმნეს სპეციფიური გაგებით. თუ ცალკეული ენის აღწერა ამ ენის კონკრეტულ გრამატიკას მოგვცემს, ზოგადი გრამატიკა იქნება ზოგადი ენათმეცნიერების ნაწილი, რომელშიაც წარმოდგენილი იქნება როგორც ენათა სტრუქტურის საერთო კანონზომიერებანი, ისე სხვადასხვა ენობრივი კატეგორიის გამოხატვის ძირითადი ტიპები და, საერთოდ, ის საკითხები, რომლებიც ჩნდება მრავალი ენის ტიპოლოგიური შედარებისას. ამათვისვე ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი გრამატიკა არ მოერგება არც ერთ კონკრეტულ ენას. მაგრამ რამდენადაც ის გამოყოფს და განაზოგადებს კონკრეტულ ენათა კვლევის დროს წამოკრილ ზოგად გრამატიკულ საკითხებს, იმდენად მისი გათვალისწინება საყურადღებო იქნება კონკრეტულ ენათა შესწავლისათვის“ (გვ. 113).

ნაშრომში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ტიპოლოგიური და ისტორიული შედარების ურთიერთმიმართების საკითხი. „მათი კავშირი ორმხრივია. — აღნიშნავს მკვლევარი, — რამდენადაც ტიპოლოგიური შედარება ენათა ისტორიული კვლევის განზოგადებას იძლევა, ამდენად ცხადია, იგი ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგებს უნდა ემყარებოდეს, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში თვით ისტორიულ-შედარებითი კვლევაც შეიძლება წარმტყდება იყენებდეს ენათა ტიპოლოგიური შედარების მონაპოვარს“ (გვ. 129).

დესკრიფციული ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმდინარეობის (ენა-ბორის სკოლა) წარმომადგენელია ამერიკელი ენათმეცნიერი ი. ნაიდა, რომლის შრომათა ანალიზი მოცემულია სარეცენზიო წიგნში. თინ. შარაძენიძე იძლევა დესკრიფციული ანალიზის ძირითად პრინციპებს ი. ნაიდას მიხედვით. ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული მორფოლოგიის მთავარი ცნებები, ენის მორფემული ინვენტარი და სხვ. კარგად არის დანახული და წარმოჩენილი ი. ნაიდას მორფოლოგიის მიმართება ტრადიციული გრამატიკის მორფოლოგიასთან, აგრეთვე დესკრიფციული ენათმეცნიერების მიმართება ისტორიულ ენათმეცნიერებასთან.

ეს გამოკვლევა მკითხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს ი. ნაიდას მორფოლოგიურ კონცეფციას და ამავე დროს თვალი მიადევნოს იმ განსხვავ-

ვებას, რაც არსებობს მის შეხედულებათა და დესკრიფციული ენათმეცნიერების სხვა წარმომადგენელთა (ლ. ბლუმფილდი, ბ. ბლოკი, გ. ტრეიგერი, პ. სმიტი, ზ. ჰარისი) თვალსაზრისებს შორის. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მნიშვნელობის კრიტერიუმების საკითხთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, დესკრიფციული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა (იელის სკოლა) უგულვებელყოფს მნიშვნელობას; მისი გამოყენება გაუმართლებლად მიაჩნია როგორც ფონოლოგიაში, ისე გრამატიკაში, ი. ნაიდა კი იმათავითვე პრინციპულად აღიარებს მნიშვნელობის გათვალისწინების საჭიროებას და იყენებს სემანტიკურ კრიტერიუმებს როგორც მორფემათა იდენტიფიკაციის, ისე მათი კლასიფიკაციისა და თანამიმდევრობათა შესწავლისას.

მეორე ამერიკელი ენათმეცნიერის ჩარლზ ჰოკეტის ნაშრომთა ვრცელ მიმოხილვას გარკვეული ადგილი ეთმობა სარეცენზიო წიგნში. როგორც ეს დამახასიათებელია თინ. შარაძენიძის მეცნიერული სტილისათვის, მთავარი ყურადღება ექცევა არა მარტო ჰოკეტის შეხედულებათა ანალიზს, არამედ ჰოკეტის ნაშრომებზე დამყარებით დესკრიფციული ენათმეცნიერების პრინციპთა მიმოხილვასაც. კარგად არის გამოჩნული ის, რაც ჰოკეტის ნააზრევში „დესკრიფციული ენათმეცნიერების მაგისტრალურ ხაზზე მდებარეობს, იმიტომ, რაც სპეციფიკურია ამ ავტორისათვის“.

გამოკვლევების მთავარ ღირსებად, ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ჩ. ჰოკეტის შრომათა შექმნა ნათლად არის წარმოდგენილი დესკრიფციული ენათმეცნიერების პრობლემატიკა, მიმოხილულია ბევრი სპეციფიკური საკითხი, რაც ენის სპეციალისტთა ინტერესს იმსახურებს. დასაბუთებულია ყველა ის კრიტიკული შენიშვნა, რომელსაც თინ. შარაძენიძე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჰოკეტის კონცეფციას უყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ავტორი აღნიშნავს, ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი შეკუმშულია (და მთლიანად ამოღებულია თავი „ენათმეცნიერების მიმართება მათემატიკურ ლოგიკასთან“), სპეციალურ ლიტერატურაში არ გვეგულება ჩ. ჰოკეტის ლინგვისტური ნააზრევის სხვა უფრო ამომწურავი გამოკვლევა.

ამერიკული სტრუქტურალიზმის შეხედულებათა კრიტიკული ანალიზია მოცემული აგრეთვე ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა: **დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი** და მისი მნიშვნელობა ფონოლოგიისა და მორფოლოგიისთვის. **უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზი სინტაქსში, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია და სუბსტიტუციის მეთოდი.** საკითხთა ეს წრე ფრიალ აქტუალურია. განსაკუთრებით საინტერესოა სინტაქსის სფერო, ვინაიდან სინტაქსის ძირითადი ცნებები და ანალიზის პროცედურები დღესაც სპეციალისტთა შორის პრინციპულა დავის საგანია.

როგორც ცნობილია, დესკრიპტივისტები ძირითადად ლ. ბლუმფილდის მოძღვრებას ემყარებიან. ამიტომ თინ. შარაძენიძე იძლევა ლ. ბლუმფილდის სინტაქსური მოძღვრების გადმოცემასა და ანალიზს. აქვეა განხილული სხვადასხვა მიმართულება დესკრიფციულ სინტაქსში. ამასთან დაკავშირებით კრიტიკულად არის გადმოცემული კ. პაიკის, ზ. ს. ჰარისის, რ. უელზის, ი. ნაიდას, რ. პიტმენის, ს. ჩეტმენის, ჯ. სტრიტისა და სხვათა შეხედულებები.

ცალკეა გამოყოფილი და სათანადოდ არის შესწავლილი სიტყვის, როგორც გრამატიკის ძირითადი ცნების, როლის საკითხი. როგორც ცნობილია, სიტყვის როლის შეუფასებლობა, მისი ადგილის გაურკვეველობა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია დესკრიპტივისტებისათვის. გარდა ამისა, დამახასიათებელია სიტყვის სხვადასხვაგვარი გაგება. დესკრიპტივისტთა ერთი ნაწილი იზიარებს სიტყვის ბლუმფილდისეულ განსაზღვრებას — სიტყვა მინიმალური თავისუფალი ფორმაა; ბ. ბლოკს სიტყვა მიაჩნია მინიმალური პაუნის ჯგუფად, გ. ტრეიგერი და კ. სმიტი ერთმანეთისაგან განსხვავებენ ფონემიკურ სიტყვასა და მორფემიკულ სიტყვას და სხვ. ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში არსებითად სიტყვა არ წარმოადგენს კვლევის ობიექტს. აღნიშნულ მიმდინარეობაში არსებული ვითარება კარგად არის ნაჩვენები ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით.

რაც შეეხება მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციასა და სუბსტიტუციის მეთოდს დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში, ამ საკითხის კვლევისას ავტორი მთელ რიგ საყურადღებო დასკვნებამდე მიდის; მაგალითად, „მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია არსებით გადამუშავებას საჭიროებს. ჩვენ იმ ენათმეცნიერთა აზრს ვიზიარებთ, ვისაც მიაჩნია, რომ, რაკი მეტყველების ნაწილები მორფოლოგიაში შეისწავლება, მათ გამოყოფის პრინციპიც მორფოლოგიური უნდა იყოს. მაშასადამე, ასეთი კლასიფიკაცია თითოეული ენისათვის უნდა წარმოებდეს მისი სიტყვების სტრუქტურის გათვალისწინებით. დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას სიტყვათა სემანტიკური კლასიფიკაცია. ასევე შესაქმნელია სიტყვათა მესამე კლასიფიკაცია — მათი სინტაქსური ფუნქციების მიხედვით“ (გვ. 391 და სხვ.).

თინ. შარაძენიძის წიგნი „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები“ მნიშვნელოვანი შენაძენია საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის.

ბ. კვარაცხელია

მეცნიერთა იუბილე

ბამოჩენილი რუსთაველოლოგი

(იუსტინე აბულაძის დაბადების 100 წლისთავის გამო)

1974 წლის 19, 20 და 21 დეკემბერს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ცნობილი ქართველი ირანისტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იუსტინე აბულაძის (1874—1962) დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და სამეცნიერო სესია. ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა მეცნიერებამ უღრმესი პატივისცემით კიდევ ერთხელ გაიხსენა ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ამავდარი მეცნიერი.

იმდენად მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო პროფ. იუსტ. აბულაძის მეცნიერული მოღვაწეობა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლების შესწავლა, როგორცაა: „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და „შაჰ-ნამე“, განუყოფლად დაკავშირებული მის სახელთან. ეს უკანასკნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის მეცნიერულ კრედოს განსაზღვრავენ. მათ შორის კი განსაკუთრებული ადგილი მაინც „ვეფხისტყაოსანს“ მიეკუთვნება.

მართებულად შენიშნავს პროფ. დ. კობიძე, როდესაც წერს: „არც ერთი ლიტერატურული ძეგლი არ ყოფილა პროფ. იუსტინე აბულაძისათვის ისე საყვარელი და ფართო მეცნიერული ინტერესის აღმძვრელი, როგორც „ვეფხისტყაოსანი“. სიყრმის წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი „ვეფხისტყაოსანს“ სიუჟეტის მნიშვნელობის შესახებ ფიქრობდა. მისი ადრინდელი თუ გვიანდელი ხანის ნაწერები, რომლებიც რუსთაველის უკვდავ ქმნილებას შეეხება, ყოველთვის დიდი სიყვარულის გრძნობითაა გამოთბარი“.

ამ პატარა წერილში, რასაკვირველია, ჩვენ არ შევუდგებით პროფ. იუსტინე აბულაძის ბიოგრაფიის, მისი ვრცელი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაშუქებასა და განხილვას. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა საიუბილეო დღეებში, კვლავაც ბევრი ითქმება და დაიწერება. ჩვენ მხოლოდ ორიოდ სიტყვით გვსურს, შევეხოთ ამ მაღალკვალიფიციური მკვლევარისა და ტექსტოლოგის მნიშვნელოვან წვლილს რუსთაველოლოგიური პრობლემების შესწავლაში. მის დიდ და უანგარო სიყვარულს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემისადმი.

გალაკტიონი 1922 წლის მაისში წერდა: „საქართველო და მისი პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწვრთნილი და ამალღებული მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა“. დიდი მგოსნის ეს ჰემეარიტი სიტყვები კიდევ ერთხელ დამადასტურებელია იმისა, რომ საქართველო წარმოუდგენელია რუსთაველის პოეზიის

ვარემე, ხოლო რუსთაველი — საქართველოს გარემე. ამიტომაც გასაგებია, რომ საქართველოს ვერც ერთი ღირსეული შვილი გულგრილი ვერ დარჩება ამ დიდი, ჰუმანური, სულის ამამაღლებელი პოეზიისადმი. იუსტინე აბულაძემაც, თავისი ერის ღირსეულმა წარმომადგენელმა და ლეწლმოსილმა მეცნიერმა, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მიუძღვნა რუსთაველის „იშვიათი პოეტური შემოქმედების“, „მისი დაუღუველი სიბრძნის“ შესწავლისა და მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს.

მას, თურმე, ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლამდე დაუსახავს მიზნად ცნობილი აღმოსავლური ძეგლების „ვისრამიანისა“ და „როსტომიანის“ გვერდით მისთვის უსაყვარლესი ეროვნული ძეგლის, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა, ამის შესახებ ის მოკრძალებულ წერილს წერდა აკად. ნიკო მარს, რომელსაც თავის მხრივ მოსწონებია მომავალი სტუდენტის მიზანდასახულობა და დახმარებაც აღუთქვამს მისთვის. და ძალზე საგულისხმოა, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 1924 წლის 22 დეკემბერს, ნ. მარი უკვე მაღალ შეფასებას აძლევდა მას, როგორც საშუალო საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მოღვაწე მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკს, და აღნიშნავდა მის დამსახურებას სპარსული ეპოსის მნიშვნელოვანი ძეგლის „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირველი კრიტიკული ტექსტისა და ქართული საერო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტის გამოცემის საქმეში, რაც თავის მხრივ წარმოადგენდა იმ დროისათვის ცნობილ ხელნაწერებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მათი ვარიანტების გათვალისწინების პირველ ცდას. იუსტინე აბულაძეს არც შემდეგ გადაუხვევია წინასწარდასახული მიზნისათვის და პირნათლად შეუსრულებია იგი.

და აი. სულ მალე, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1923 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იგი აქვეყნებს თავის პირველ წერილს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ — „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო». მას მოჰყვა მთელი რიგი წერილები და გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე“. მათი რიცხვი 43 აღწევს. მათ შორის მეტად საინტერესო და ყურადსაღებ ტექსტოლოგიური ხასიათის შრომებს წარმოადგენენ: „შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუშით“ (1914) და „ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია, პოემის შესავალი კრიტიკული ტექსტით“ (1920).

ამ ცალკეულ წერილებსა და გამოკვლევათა შორის მისთვის ყველაზე საყვარელ და, ასე ვთქვათ, სამაგიდო შრომას წარმოადგენდა «XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“», რომელიც პირველად 1909 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორედ გადამუშავებული სახით გამოიცა 1922 წელს. მას ერთვოდა ლექსიკონი და შემდეგი ნარკვევები: პოემის ხალხურობის, ძეგლის კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალ გამოცემათა შესახებ. აქ განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, სიუჟეტის, ლექსიკისა და მხატვრული ენის საკითხები.

პროფ. იუსტინე აბულაძის გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე“ წარმოადგენს იმ დროისათვის ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერზე ხან-

გრძლივი, გულმოდგინე მუშაობის ნაყოფს. ამავე გზით შესძლო მან პოემის პროლოგის სტროფული შედგენილობისა და თანმიმდევრობის დადგენა, შეეცადა გაემართა მთელი რიგი მცდარად წაკითხული ან საუკუნეთა მანძილზე გადამწერთაგან დამახინჯებული და წარყვნილი ტაქეები. მას ეკუთვნის მრავალი საყურადღებო დაკვირვება და ცდა ამა თუ იმ ადგილისა და ცალკეული სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისა და გაგების საქმეში, ძველი ქართული საერო მწერლობის თავისებურებათა გამოკვლევისა და ამ მიმართულებით საინტერესო საკითხების გაშუქებაში, პოეტის მსოფლმხედველობის საკითხების გარკვევაში. აღმოსავლური ენების ღრმა ცოდნა და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევაში მისი ესოდენ დიდი გამოცდილება და განსწავლულობა ხელს უწყობდა მეცნიერს პოემის სიტყვების კვლევისა და აღმოსავლურ ლიტერატურაში მისი პარალელების ძიებაში.

ჯერ კიდევ 1935 წელს მაღალ შეფასებას აძლევდა იუსტ. აბულაძის მოღვაწეობას რუსთველოლოგიაში დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჭავჭავაძის შვილი: „პოემის ორიგინალობისა და ირანული მწერლობითგან პარალელების საკითხზე, ნიკო მარის შემდგომ, ყველაზე მეტად იუსტინე აბულაძეს აქვს დაწერილი“. „პროფ. იუსტინე აბულაძე პირველი მეცნიერია საქართველოში აკადემიკოს ნ. მარის შემდეგ, რომელიც სათანადოდ ფლობს სპარსულ ენასა და ლიტერატურას და იყენებს ამ ცოდნას ძველი ქართული საერო მწერლობის საკითხების გასაშუქებლად... პროფ. იუსტინე აბულაძე საჭირო მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, გამოცდილი და საქმაოდ ნაყოფიერი მეცნიერი მკვლევარია, რომელსაც უკვე აქვს შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საგანძურში“, — წერდა აკად. ა. ბარამიძე იუსტინე აბულაძის შრომებზე დაწერილ რეცენზიაში.

რუსთველოლოგიაში მისი ღვაწლის ნათელსაყოფად ისიც კმარა, თუ აღვნიშნავთ, რომ იუსტინე აბულაძემ ორჯერ (პირველად 1914 წელს, მეორედ 1926 წელს) გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. თითოეულ გამოცემას წამძღვარებული ჰქონდა ვრცელი გამოკვლევა, ერთოდა ლექსიკონი და შენიშვნები. აღსანიშნავია, რომ ამ ორი გამოცემის ლექსიკონები ერთმანეთის ზუსტ განმეორებას არ წარმოადგენდნენ. 1914 წლის ლექსიკონთან შედარებით, 1926 წლის ლექსიკონი უფრო მდიდარია. ამ უკანასკნელში აღმოსავლურ სიტყვათა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე 1914 წლის ლექსიკონში; სიტყვათა განმარტებანიც უფრო დახვეწილი და სრულყოფილია, ხოლო რაც შეეხება იმ სიტყვებს, რომელთა წარმომავლობა (სპარსულიდან და არაბულიდან) 1914 წლის ლექსიკონში ხშირად აღრეული იყო, 1926 წლისაში თითქმის გარკვეულია.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ვახტანგ მეექვსის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი მეცნიერული ლექსიკონის შესწავლას მოჰკიდა ხელი, განზღაბთ იუსტინე აბულაძე. ეს მითუმეტეს საჭირო საქმეს წარმოადგენდა, ვინაიდან, მიუხედავად ვახტანგის ლექსიკონის დადებითი მხარეებისა, ის არ იყო დაზღვეული ნაკლოვანებებისაგანაც, რაც შემდგომში გაზრდილ მეცნიერულ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებდა. მართალია, ზოგიერთი ხარვეზებისაგან, სამწუხაროდ, არც იუსტინე აბულაძის 1914 და 1926 წლების ლექსიკონებია დაზღვეული, მაგრამ მინც მნიშვნელობა მათი დიდია. დღეს ბევრი რამ უფრო დაზუსტდა და გაირკვა, ზოგი ჯერ კიდევ რჩება აუხსნელი, მაგრამ ამ საკითხე-

ბის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იუსტინე აბულაძის ნამუშავეს.

ძართებულად შენიშნავს პროფ. სარგის ცაიშვილი, როცა იუსტინე აბულაძის ტექსტოლოგიური მუშაობის უდავო ღირსებად იმასაც მიიჩნევს, რომ მან „ვეფხისტყაოსნის“ როგორც 1914 წლის, ისე 1926 წლის გამოცემებს დაურთო ხელნაწერებიდან ამოკრებილი ნაირკითხვაობანი (წაკითხვათა ვარიანტები), რაც პირველი შემთხვევა იყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ისტორიაში. მისივე სიტყვებით იუსტინე აბულაძის მიერ ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემაზე დართული ნაშრომი „პოემის ენის ხალხურობა“ დღესაც საუკეთესოთაგანია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ ენაზე დაწერილ გამოკვლევათა შორის, ხოლო იუსტინე აბულაძე პირველი მეცნიერია, რომელმაც ყურადღება მიაქცია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მეტყველებაში გამოვლენილ აშკარა ტენდენციას, რაც გამოიხატებოდა მწიგნობრული ენის გავლენისაგან განთავისუფლებაში. ის პირველთაგანი იყო მაშინაც, როცა ალლო აულო „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის ისეთ დამახასიათებელ თავისებურებას, როგორიცაა — მცა ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში.

რამდენად დიდი იყო იმ დროისათვის პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორივე გამოცემისა და მთელი რიგი მისი გამოკვლევების მნიშვნელობა იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ მის მიერ დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მცირეოდენი შესწორებით შევიდა 1937 წლის საიუბილეო, 1951 და 1957 წლების გამოცემებშიც, ხოლო მისი ლექსიკონები ერთის 1937 და 1951 წლების გამოცემებს.

იუსტინე აბულაძემ ჭერ კიდევ 1914 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში ხელნაწერებზე დაყრდნობით აღადგინა მრავალი დამახინჩებული ადგილი და მდარად წაკითხული ესა თუ ის სიტყვა. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით შემოვიფარგლებით: 1. ძველი გამოცემისაგან განსხვავებით პროლოგის 22-ე სტროფის — „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა ზედა ფრენითა“-ს ნაცვლად — ასეთი წაკითხვა მოგვცა: „კეკლუტთა ზედან ფრფენითა“; 2. თუ პროლოგის მესამე სტროფის ბოლო სიტყვები (მე-3 და მე-4 სტრიქონები) ყველა გამოცემაში იკითხებოდა: „ხშირისა“ და „მშიერისა“, იუსტინე აბულაძე ამ სიტყვების შემდეგ ვარიანტს იძლევა — „შერისა“ და „მიშერისა“; 3. ნ. მარსეული კონიექტურის „და კალმად ნაჲ რხეული“-ს შესწორება იუსტინე აბულაძის მიერ ასეთია: „და კალმად მე ნა რხეული“. როგორც ცნობილია, ამ უქანასკნელ წაკითხვას იზიარებს თითქმის ყველა თანამედროვე გამოცემა.

ჩვენი წერილი გვესურს დავასრულოთ პროფ. იუსტინე აბულაძის სიტყვებით, რასაც ის მის მიერ პირველად, 1914 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ წერილში წერდა და რაც კიდევ ერთი უტყუარი მაჩვენებელია მისი დაუოკებელი სიყვარულისა ქართველი ერის ამ დიდი პოეტური ძეგლისადმი: „რაც მეტს ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსნას“, მით უფრო ვიმსკვალებიო საკვირველების გრძნობით მისი დამწერის გენიოსობისა და იშვიათის პოეტური შემოქმედებისადმი, მისი დაუღვეველი სიბრძნისადმი“.

იუსტინე აბულაძემ სერიოზული წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ მაღალმხატვრულ ღირსებათა შესწავლისა და წარმოჩენის საქმეში.